საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

გ. მ. გორდეზიანი და ა. ნ. გოგუა

# რაიონული დაქვემდებარების წარმოებათა დაგეგმვისა და აღრიცხვის წესები

(პრაქტიკული სახელმძღვანელო)

საქართველოს სსრ სახ. ტექ. გამ-ბა „ტექნიკა და შრომა“

19 თბილისი 50

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

„სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებას განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმა, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისა, სსრ კავშირის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი თავდაცვაუნარიანობის გაძლიერების ინტერესებისათვის".

(საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის 11 მუხლი).

ჩვენი სოციალისტური ქვეყნის განვითარებისათვის სახალხო მეურნეობის გეგმა ძირითად ეკონომიურ კანონს წარმოადგენს. ამ კანონის მიხედვით წარმოებს მეურნეობის ყოველი დარგისა და ცალკეულ წარმოების განვითარება.

სახალხო მეურნეობის გეგმის მეცნიერულად დამუშავებისა და მისი ბრწყინვალედ შესრულების საუკეთესო მაგალითს ს ტ ა ლ ი ნ უ რ ი ხ უ თ წ ლ ი ა ნ ი გ ე გ მ ე ბ ი წარმოადგენენ.

სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის გეგმის მნიშვნელობა უაღრესად დიდია. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მისი შესრულების აღრიცხვიანობის სისტემაში მოყვანა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ამხანაგმა მ ო ლ ო ტ ო ვ მ ა მიგვითითა:... „ტექნიკური—საწარმოო-საფინანსო გეგმა – ჩვენი ტემპისათვის სოციალისტური ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმათაგანია. საჭიროა, რათა დაგეგმვისა და აღრიცხვის მუშაკებმა უზრუნველჰყონ მათი საქმიანობის სრული დაუფლება".

რაიონული მრეწველობის, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის ზოგიერთი წარმოების მიერ წარმოდგენილი საგეგმო და საარიცხვო მასალები დეფექტიურია, რაც ამ დარგში მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაციით აიხსნება.

ამ მდგომარეობას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ქართულ ენაზე არ მოიპოვება სათანადო ლიტერატურა, რომელსაც შეეძლო ხსენე-

ბულ წარმოებათა მუშაკებისათვის ამ საკითხებში თეორიული და პრაქტიკული დახმარების გაწევა.

ჩვენი მიზანია, ამ წიგნის გამოცემით, ერთგვარი დახმარება გაეუწიოთ რაიონული დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის წარმოებათა მუშაკებს, საწარმოო-საფინანსო გეგმის მაჩვენებელთა დაგეგმვა-აღრიცხვიანობის და მისი სწორი ანალიზის გაკეთების წესების შესწავლის საქმეში.

შრომის მაჩვენებელთა დაგეგმვა-აღრიცხვის წესების შესწავლას წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი, რადგან ეს საკითხი რაიონული დაქვემდებარების წარმოებებში მოუგვარებელია.

წარმოებათა დაგეგმვა-აღრიცხვიანობისა და მისი სრული ანალიზის ელემენტარული წესების პრაქტიკულად გადმოცემის მიზნით წიგნში მოცემულია მრავალი კონკრეტული მაგალითი, მოყვანილია პირობითი ერთი მილიონი ცალი აგურის წარმადობის მქონე აგურის ქარხანა და მისთვის შედგენილია საწარმოო-საფინანსო გეგმა. ამავე წიგნში მოცემულია რ ს ფ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ სამკერვალო ნაწარმის გამომუშავების და რემონტზე დამტკიცებული გამომუშავების ნორმები, რაც დიდ დახმარებას გაუწევს რაიონული დაქვემდებარების სამკერვალო წარმოებებს გამომუშავების ნორმების დაწესებაში. წინამდებარე შრომაში აგრეთვე შეტანილია ოფიციალური დადგენილებანი და ინსტრუქციები, რომლებიც საწარმოო გეგმის მაჩვენებლების დაგეგმვა-აღრიცხვიანობას შეეხება.

სამინისტროს მიერ ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემა პირველი ცდაა და ეჭვს გარეშეა, რომ ეს ცდა არ იქნება უნაკლო.

აღნიშნული წიგნის შედგენისას ვსარგებლობდით შრომის საკითხებზე რუსულ ენაზე გამოცემულ სხვადასხვა სახელმძღვანელოთი.

ჩვენი თხოვნაა წიგნში აღმოჩენილი ნაკლოვანების შესახებ გვაცნობოთ მისამართით: თბილისი, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შრომისა და ხელფასის განყოფილება.

ავტორები

## შრომის მაჩვენებელთა დაგეგმვა

საწარმოო ურთიერთობათა პროცესში მთავარ ფაქტორად შრომა ითვლება. პროდუქციის დამზადების საქმეში შრომის ხვედრითი წონა მრეწველობის სხვადასხვა დარგში მრავალნაირია. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შრომატევადია სასაქონლო მეურნეობაში ამა თუ იმ ნედლეულის გადამუშავება, რომელსაც ანხორციელებს წარმოება პროდუქციის დასამზადებლად.

კაპიტალისტური მეურნეობის უთანასწორო განვითარების პირობებში, შრომის ორგანიზაცია მიმართულია მუშათა კლასის მეტისმეტად აუტანელ ექსპლოატაციისაკენ; ასეთი ექსპლოატაციის შედეგად შექმნილი ზედმეტი ღირებულება ექსპლოატატორთა მითვისების საშუალებას წარმოადგენს.

კაპიტალისტური მრეწველობის უთანაბრო განვითარების პირობებში შრომის ნაყოფიერების ზრდით შექმნილი ზედმეტი პროდუქცია იწვევს მის დასაქონლებას, რაც ამ საზოგადოებრივი წყობის თანდაყოლილ თვისებად და სენად ითვლება და, რომლის შედეგად ადგილი აქვს კრიზისს, უმუშევრობის ზრდასა და სამუშაო ხელფასის დაცემას.

სოციალისტურ მრეწველობაში, სადაც შრომა დიდების და გმირობის საქმედ არის გადაქცეული, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მრეწველობა აღმავლობით წინ მიისწრაფის, რის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება.

სოციალისტური მრეწველობის საწარმოო გეგმით, შრომის მაჩვენებლებს წარმოების ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ამის გამო აუცილებლობას წარმოადგენს, რათა შრომის ყველა სახის მაჩვენებელი მოცემული და აღნუსხულ იქნას სათანადო სიზუსტით.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების IV სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ჩვენს სოციალისტურ მრეწველობაში შრო-

მის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდისაკენ. ასეთია: წარმოების ავტომატიზაცია, შრომის მექანიზაცია, ტექნოლოგიური პროცესების დაუფლების სრულყოფა, ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმის დაწესება, შრომის სწორი ორგანიზაციის დანერგვა და სხვა.

შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდასთან დაკავშირებულია: ზეგეგმური პროდუქციის შექმნა, მუშების საშუალო ხელფასის ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფება და მასთან დაკავშირებით პროდუქციის საგასაცემო ფასების შემცირება, რაც უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდას.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ სოციალისტურ მეურნეობაში შრომა დიდებისა და გმირობის საქმედ არის, გადაქცეული. ჩვენს ქვეყანას მრავალასეული სოციალისტური შრომის გმირები ჰყავს, რომლებმაც ეს საპატიო წოდება თავდადებული შრომით დაიმსახურეს.

შრომის ნაყოფიერების მაღალი ტემპებით ზრდასთან ერთად, წინ მიისწრაფვის ჩვენი ქვეყნის აღმავლობა და ამასთანავე ერთად იზრდება მშრომელთა შემოსავალი, რის შედეგად დღითი დღე უმჯობესდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა, იზრდება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური დაგროვება.

მრეწველობაში შრომის სწორი ორგანიზაცია ძირითადი საშუალებაა სამუშაო ძალთა რაციონალურად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდისათვის.

სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკაში შრომის მაჩვენებელთა სწორად დაგეგმვასა და ფაქტიური მონაცემების სისტემატური ანალიზის სწორად გაკეთების წესების დაუფლებას, მის გამოყენებას და, ამის საფუძველზე წარმოების გასაუმჯობესებლად სათანადო ღონისძიებათა დროულად შემუშავება-გატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა მიერ წარმოდგენილი საგეგმო და საანგარიშო მასალები, ცხადჰყოფენ ამ დარგში ზოგიერთი მუშაკის სისუსტეს; ამით კი აიხსნება ის მდგომარეობა, რომ მთელ რიგ საწარმოებში განსაკუთრებით შრომის საკითხები დღემდე მოუგვარებელია.

მრეწველობაში შრომის სწორი ორგანიზაციის მთავარ ფაქტორს შრომის მაჩვენებლების სწორად დაგეგმვა წარმოადგენს. შრომის მაჩვენებლების გეგმით მოცემული უნდა იყოს წარმოების გეგმის შესასრულებლად საჭირო, სწორად გაანგარიშებული მუშების სიაბრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი, რომლის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს წარმოებაში მოქმედი გამომუშავების ნორმა-

შეფასებანი. დამხმარე მუშების საჭირო რაოდენობის განსაზღვრისათვის მხედველობაში მიღებული უნდა იქნას წარმოების მუშაობის ხასიათი. შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის საჭიროა დამხმარე და დროებრივი მუშების მაქსიმალური შესაძლებლობით შემცირება.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებათა დაგეგმვისა და აღრიცხვის მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათ საწარმოებში შრომის მაჩვენებელთა სწორ დაგეგმვასა და აღრიცხვის საქმიანობას.

## I. პერსონალის ჯგუფური დანაწილება

შრომის მაჩვენებელთა სწორი დაგეგმვა-აღრიცხვიანობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პერსონალის სწორი ჯგუფური დანაწილება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პერსონალის ჯგუფური აღრიცხვა უნდა შეესაბამებოდეს ამ პერსონალის ჯგუფურ დანაწილებას.

მრეწველობის ორგანიზაცია-დაწესებულებების პერსონალი, როგორც წესი, დანაწილებული უნდა იქნას შემდეგ ჯგუფებად:

1. ძირითადი სამრეწველო-საწარმოო პერსონალი,
2. არასამრეწველო პერსონალი,
3. კაპიტალური მშენებლობის პერსონალი, და
4. კაპიტალური რემონტის პერსონალი.

### 1. ძირითადი სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ჯგუფი შედგება:

ა) ძირითად საწარმოო საამქროებში (დამამზადებელი, გადამმუშავებელი და შემკრები) მომუშავეთაგან, რომელნიც უშუალო დამოკიდებულებაში არიან პროდუქციის დამზადებასთან;

ბ) დამხმარე საამქროებში (მექანიკური შემკეთებელი, ინსტრუმენტალური, სამოდელო, სატრანსპორტო, ელძალოვანი მეურნეობა, სამხერხაო, შესაფუთი და სხვა) მომუშავეთაგან, რომელნიც მომსახურებას უწევენ ძირითად საამქროებს ან წარმოებას;

გ) ქარხნის სამმართველოში და მასში შემავალ განყოფილებებში, სექტორებში და ქარხნის საწყობში მომუშავეთაგან;

დ) სიდარაჯო, სახანძრო დაცვის პერსონალის ჯგუფისაგან, რომლის შენახვის ხარჯები გათვალისწინებულია წარმოების დანახარჯებში;

ე) ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების თანამშრომლებთაგან, იმ შემთხვევაში, თუ მათი შენახვის ხარჯების გაწევა ძირითადი საწარმოოს ხარჯზე წარმოებს;

ვ) ქარხნის ლაბორატორიის თანამშრომელთაგან, თუ ლაბორატორია მთლიანად ემსახურება ამ ქარხნის საწარმოო საქმიანობას;

ზ) შრომის დაცვაზე (სამრეცხაო, აბანო, შხეფი) და უშიშროების ტექნიკაზე მომუშავე პერსონალისაგან, რომლის შესანახი ხარჯები გათვალისწინებულია წარმოების ხარჯთაღრიცხვით.

თ) შიდა-საქარხნო ტრანსპორტის პერსონალისაგან, რომლებიც მუშაობენ ძირითად და დამხმარე მასალების ტრანსპორტირებაზე და საწარმოო ნარჩენებისაგან ქარხნის ტერიტორიის გასუფთავებაზე და რომელთა შესანახი ხარჯები წარმოების დანახარჯებშია გათვალისწინებული.

## 2. არასამრეწველო ხასიათის პერსონალის ჯგუფი.

ამ ჯგუფში შედის:

ა) დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი მარაგ-გასაღების კანტორის ან სამმართველოს პერსონალი, რომელთა შესანახი ხარჯები გათვალისწინებული არ არის საწარმოო ხარჯთაღრიცხვით;

ბ) იმ ტრანსპორტის პერსონალი, რომელიც დამოუკიდებელ ბალანსზეა, ემსახურება მზაპროდუქციის ტრანსპორტირებას და მისი შესანახი ხარჯები გათვალისწინებულია კომერციულ ხარჯებში;

გ) დამხმარე მეურნეობის, ფერმერების, სავაჭრო წერტების მომუშავეთა პერსონალი;

დ) წარმოების სახსრების ხარჯზე შესანახი საექიმო-სანიტარული (ამბულატორია, საექიმო პუნქტი) და კულტსაყოფაცხოვრებო (აბანო, სამრეცხაო, სასადილო, კლუბი) დაწესებულებათა მომსახურე პერსონალი;

ე) ფაბრიკა-ქარხნებთან არსებული სკოლის, კურსების, საქარხნო-საფაბრიკო და პროფსკოლის პერსონალი;

ვ) ქარხნის სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო და საკონსტრუქტორო ბიუროს პერსონალი იმ შემთხვევაში, თუ მათი შენახვის ხარჯები არ შედის საწარმოო ხარჯთაღრიცხვაში, არამედ სპეციალური ასიგნოვების საშუალებით წარმოებს;

ზ) ახალი სახის პროდუქციის ათვისებაზე მომუშავე პერსონალი, რომლის შენახვის ხარჯების გაწევა სპეციალური ასიგნობით წარმოებს და წარმოებას არ ერიცხება;

თ) კონსერვაციაქმნილი წარმოებათა პერსონალი, რომელთა შესანახი ხარჯების გაწევა სპეციალური ასიგნობით წარმოებს.

ი) შიგა-სატელეფონო კომუტატორის და რადიოკვანძის მომუშავეთა პერსონალი.

საგეგმო და სტატისტიკურ-აღრიცხვის მუშაკებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა სამრეწველო და არასამრეწველო პერსონალის ჯგუფური დანაწილება სისწორით წარმოებდეს. არის ფაქტები, როცა არა სამრეწველო ხასიათის პერსონალს აღრიცხავენ სამრეწველო პერსონალთა ჯგუფში ან კიდევ პირიქით, რაც დაუშვებელია და რასაც არევდარევა შეაქვს როგორც პერსონალის ჯგუფურად, სწორად დანაწილების საქმეში, ისე ერთი მუშის საშუალო გამომუშავების მაჩვენებლის განსაზღვრაში.

### 3. კაპიტალური მშენებლობის პერსონალის ჯგუფი.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა, ძირითადად, დამტკიცებული მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე სდგება.

მშენებლობის შრომის გეგმის მაჩვენებლებში მოცემული უნდა იქნას, როგორც ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მათი ხელფასის ფონდი, ისე მშენებლობის ხარჯთაღრიცხვიდან ამოკრებილი სამშენებლო ობიექტების მშენებლობისათვის საჭირო კაცსაათების რაოდენობა (კაცდღეებში და მუშების საშუალო სიობრივ რიცხვში გადაყვანით) და მათი ხელფასის ფონდი.

მშენებლობისათვის საჭირო კაცდღეები და ხელფასის ფონდი გამომუშავების ნორმა-შეფასებიდან უნდა შემოწმდეს. საჭირო კაცდღეები და ხელფასის ფონდი გეგმაში ცალკ-ცალკე უნდა იქნას მოცემული მშენებლობასა და მონტაჟზე.

საპროექტო, საკვლევაძიებო და გეოლოგიური სამუშაოების პერსონალი, მიუხედავად მშენებლობასთან უშუალო დამოკიდებულებისა, კაპიტალური მშენებლობის პერსონალთა ჯგუფში არ შევა. არ შეიძლება შეტანილ იქნას ამ პერსონალთა ჯგუფში აგრეთვე ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია მანქანა-მოწყობილობათა შეძენასთან.

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო - ს ა მ ო ნ ტ ა ჟ ო ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ზ ე უ შ უ ა ლ ო მ ო მ უ შ ა ვ ე თ ა პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ს ჯ გ უ ფ შ ი შ ე დ ი ს:

ა) ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ჩამოშვებული ძირითადი ლიმიტით მოცემული სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო პერსონალი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ შემთხვევაში, თუ ამ სამუშაოთა ნაწილი შესასრულებლად გადაეცა სხვა რომელიმე მოიჯარადრე ორგანიზაციას, გადაცემულ ობიექტებზე საჭირო კაცდღეები და ხელფასის ფონდი გამოაკლდება უშუალოდ მომუშავეთა პერსონალის ჯგუფის კაცდღეებსა და ხელფასის ფონდს.

ბ) ლიმიტ-გარეშე (არალიმიტირებული) კაპიტალურ მშენებლობაზე მომუშავენი, მიუხედავად იმისა, თუ რა წყაროებით წარმოებს მშენებლობის დაფინანსება;

გ) დამკვეთისაგან საიჯარო წესით აღებული კაპიტალური სამუშაოთათვის საჭირო პერსონალი;

ე) წარმოების კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მიერ კაპიტალური სამუშაოთა ჩასატარებლად საჭირო პერსონალი;

კაპიტალური მშენებლობის დამხმარე წარმოება-ორგანიზაციათა პერსონალის ჯგუფი.

აღნიშნულ ჯგუფში შედის:

ა) საპროექტო სამუშაოზე მომუშავენი;

ბ) საკვლევაძიებო სამუშაოთა მწარმოებლები (მუშების ჩათვლით);

გ) გეოლოგიურ ძიებაზე მომუშავე პერსონალი;

დ) ყველა სახის სატრანსპორტო სამუშაოთა შემადგენლობის პერსონალი, თუ ისინი სამუშაოს აწარმოებენ სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის გარეშე;

ე) კაპიტალური მშენებლობის დამხმარე წარმოებების (სარემონტო, მექანიკური, სამშენებლო დეტალების სახელოსნოები, კარიერები და აგურ-კრამიტის ქარხნები) პერსონალი;

ვ) მშენებლობასთან არსებული სამკურნალო-სანიტარული დაწესებულებანი, კულტ-საყოფაცხოვრებო და ლაბორატორიის მომსახურე პერსონალი, რომელთა შესანახ ხარჯს აწარმოებენ მშენებლობის სახსრებიდან;

ზ) შეიარაღებული და იარაღგარეშე დაცვის, სახანძრო დაცვისა და სხვა პერსონალი.

### 4. კაპიტალური რემონტის პერსონალის ჯგუფი.

ფაბრიკა-ქარხნები, რომელთაც თავიანთ ბალანსზე დიდი ღირებულების ძირითადი საშუალებები (შენობა-ნაგებობანი და მანქანა-მოწყობილობები) აქვთ, კაპიტალურ რემონტს აწარმოებენ სამეურნეო ან საიჯარო წესით, საამორტიზაციო ფონდის ანარიცხების ხარჯზე. თუ ასეთი სახის სამუშაოები მეტად დიდია, იმ შემთხვევაში ფაბრიკა-ქარხანასთან არსდება კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, რომლის ფუნქციას შეადგენს, როგორც კაპიტალური რემონტის, აგრეთვე ახალი მშენებლობის წარმოება.

სამეურნეო წესით სამუშაო შეიძლება შესრულებულ იქნას:

ა) თვით წარმოების მიერ ამ მშენებლობისათვის ცალკეული დეტალების დამზადებით და კონსტრუქციის შეცვლით, რომელთა ღირებულება უნდა შევიდეს ქარხნის საერთო პროდუქციაში;

ბ) დამხმარე საამქროების (სარემონტო, მექანიკური სარემონტო, სარემონტო-სამშენებლო) პერსონალის გამოყენებით.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში კაპიტალური რემონტი სამეურნეო წესით ტარდება, როგორც საწარმოო საამქროების მიერ კაპიტალურ შეკეთებაზე (ან მშენებლობაზე) გაწეული მომსახურება. მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული სამუშაოები შესულია ქარხნის საერთო პროდუქციაში, ამ სამუშაოზე მომუშავე პერსონალთა სიობრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი არ შევა კაპიტალური დანახარჯების გეგმის შრომის მაჩვენებლებში.

როგორც წესი, დამთავრებული ნაგეშობანის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა, საერთო პროდუქციის ღირებულებაში არ უნდა იქნას შეტანილი, მიუხედავად იმისა შესრულებულია თუ არა აღნიშნული სამუშაოები საწარმოო მუშების მიერ; იგი უნდა გატარდეს კაპიტალური რემონტის გეგმის შრომის მაჩვენებლების ანგარიშით. ამავე მეთოდით უნდა წარმოებდეს დამხმარე საამქროების მიერ ჩატარებული კაპიტალურ სამუშაოთა შესრულება.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, კაპიტალურ რემონტზე ხარჯთაღრიცხვას ადგენს და, დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, ადგენს მშენებლობის გეგმას, რომელსაც ზემდგომი ორგანოები ამტკიცებენ.

დამტკიცებულ კაპიტალური მშენებლობის ხარჯთაღრიცხვასა და მშენებლობის გეგმას წარადგენენ სამრეწველო ბანკში საამორტიზაციო ანარიცხებიდან ფინანსირებისათვის. კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოს მოცულობა კაპიტალური მშენებლობის ხაზით აღირიცხება და მისი შეტანა ძირითადი წარმოების გეგმის შესრულების მაჩვენებლებში არ შეიძლება.

კაპიტალურ რემონტზე შრომის მაჩვენებლები ძირითადად აღებული უნდა იქნას რემონტის ხარჯთაღრიცხვიდან.

## II. მუშა-მოსამსახურეთა შემადგენელი ჯგუფის პერსონალური დანაწილება

საწარმოო გეგმის შრომის მაჩვენებლებში მუშა-მოსამსახურეთა პერსონალურად დანაწილებას წარმოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

### 1. მუშათა პერსონალი.

მუშების პერსონალური დანაწილება (მონარდე, დროებრივი, ძირითადი საამქროებისა და დამხმარე საამქროების მიხედვით) არაა მიღებული, რადგან ისინი შრომის გეგმის მონაცემებში მთლიანად ამ

პერსონალის სახელწოდებით არიან გაერთიანებული. სახელდობრ: „მუშები“.

მუშების დანაწილება ცალკეულ მომუშავეთა კატეგორიებად მხოლოდ შემდეგი სახით შეიძლება:

1) მუშები ძირითად საამქროებში (დამამზადებელი, გადამმუშავებელი და შემკრები საამქროები);

2) მუშები დამხმარე საამქროებში (მექანიკური, შემკეთებელი, ინსტრუმენტალური, სამოდელო, სატრანსპორტო და სხვა);

3) მუშები მიმდინარე რემონტზე და

4) მუშები კაპიტალურ რემონტზე და მშენებლობაზე.

ძირითადი საწარმოო მუშათა პერსონალი თავის მხრივ შეიძლება დაყოფილ იქნას:

ა) საწარმოო მონარდე მუშებად, და

ბ) საწარმოო მუშებად არანორმირებულ სამუშაოზე (დროებრივი მუშები).

მონარდე მუშების შრომის ანაზღაურება საწარმოში მოქმედი გამომუშავების ნორმა-შეფასებათა მიხედვით წარმოებს.

დროებრივი მუშების ხელფასი სამუშაო დროის ხანგრძლივობისა და სატარიფო განაკვეთით განისაზღვრება.

წარმოებებში შრომის მაჩვენებელთა სწორი დაგეგმვა-ანგარიშგებისათვის მიზანშეწონილია ჩატარებულ იქნას მუშათა შემდეგი ჯგუფური დანაწილება:

მონარდეები: 1. ძირითადი წარმოების (საამქროების) მუშები;
2. დამხმარე წარმოების მუშები.

დროებრივი: 1. ძირითადი წარმოების მუშები,
2. დამხმარე წარმოების მუშები.

შენიშვნა: საწარმოო გეგმის შრომის მაჩვენებლებში მუშების რაოდენობა მოცემული უნდა იქნას მთლიანად, ჯგუფური დანაწილების გარეშე.

საწარმოებში საჭირო მუშახელის გაანგარიშებისათვის პირველყოვლისა გარკვეული უნდა იქნას, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საამქროთა საწარმოო მოცულობა.

სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ანაზღაურების დადგენილ სისტემას წარმოადგენს სანარდო სისტემა, (რომელშიაც მოცემულია ერთეულ პროდუქციაზე გამომუშავების ნორმა-შეფასება), რომლის მიხედვითაც გაანგარიშებული უნდა იქნას საჭირო კაცდღეები, მუშათა საშუალო სიობრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი.

დამხმარე მუშების სიობრივი რიცხვისა და ხელფასის ფონდის გაანგარიშებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ მანქანა-მოწყო-

ბილობისა და სამუშაო ადგილის ხასიათი, მისი თავისებურება და აღნიშნულ სამუშაოებზე მომუშავე დროებრივი მუშების სათანრიგო განაკვეთი.

წარმოების დაგეგმვისას ხშირ შემთხვევაში ნატურ-პროდუქციის წინასწარ გარკვეული სახე და მისი რაოდენობა არ უზრუნველყოფს საერთო პროდუქციის თანხობრივ ჯამს.

ასეთი მდგომარეობა ხშირად გვხვდება ლითონისა და ხე-ტყის გადამმუშავებელ წარმოებებში, სადაც წლის განმავლობაში ადგილი აქვს მოულოდნელი შეკვეთების შესრულებას. ასეთი შემთხვევითი პროდუქციის შესრულება გეგმითაც არის გათვალისწინებული, მაგრამ არა ნატურ-გამოხატულებაში, არამედ „სხვადასხვა პროდუქციის" სახით, რომლის დაგეგმვა გასული წლის ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით წარმოებს.

თუ ძირითადი პროდუქციის გამოსაშვებად მოცემული გვაქვს დანახარჯთა ყველა ელემენტი, „სხვა პროდუქციის" მისაღებად საჭირო დანახარჯთა განსაზღვრისათვის უნდა გამოვიყვანოთ პროცენტული შეფარდება „სხვა პროდუქციის" ძირითად საერთო პროდუქციის მიმართ და მიღებული ურთიერთშეფარდება გავავრცელოთ ძირითადი პროდუქციის დანახარჯთა ელემენტებზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი. მექანიკური ქარხნისათვის 1949 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესადგენი ლიმიტებით ჩამოშვებულია საერთო პროდუქცია საგეგმო-საბითუმო ფასებით 1.250,0 ათასი მანეთის რაოდენობით და ნატურ-პროდუქციის სახეები. გაანგარიშების შედეგად მივიღეთ, რომ ჩამოშვებული ნატურ-პროდუქცია გადამრავლებული საბითუმო ფასზე იძლევა 1000,0 ათას მანეთს, დანარჩენი 250,0 ათასი მანეთი, როგორც „სხვა პროდუქცია", ქარხნის მიერ დაფარული უნდა იქნას წლის განმავლობაში სხვადასხვა შემთხვევითი სამუშაოს შესრულებით. გამოგვყავს ძირითადი, ე. ი. ერთი მილიონი მანეთის საერთო პროდუქციაზე საჭირო დანახარჯები და მათ შორის: საჭირო კაცდღეთა რიცხვი და ხელფასის ფონდი, რომლის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ქარხანაში მოქმედი გამომუშავების ნორმა-შეფასებები.

დავუშვათ, რომ მოცემული ნატურ-პროდუქციის გამოსაშვებად (რომლის საერთო პროდუქციაში გადაყვანა ერთ მილიონ მანეთს გვაძლევს) საჭიროა 19.967 კაცდღეთა რიცხვი და 255,0 ათასი მანეთი დღიური ხელფასის ფონდი წლის განმავლობაში. გამოვიყვანოთ მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი: მუშების სიობრივი რიცხვის დადგენისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას გასული წლის გამომუშავების ნორმების შესრულების მაჩვენებლები. ისეთი

წარმოებების მიმართ, რომლებიც ყოველწლიურად გამომუშავების ნორმების შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევდა (150—180—200%) საჭიროა გეგმითაც გათვალისწინებულ იქნას ის მოსალოდნელი შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელსაც დასაგეგმავ პერიოდშიც ექნება ადგილი. დავუშვათ, რომ გასულ წელს წარმოების მიერ გამომუშავების ნორმების გადამეტსრულების %-ლი ოდენობა საშუალოდ 150%-ს შეადგენდა. 1949 წლისათვის გავითვალისწინებთ გამომუშავების ნორმების ზრდას $\frac{150+100}{2}=125,0\%$. ეს შეადგენს დასაგეგმავი პერიოდის გამომუშავების ნორმების ზრდის საშუალო პროცენტს. საშუალო პროცენტული რიცხვის უცვლელად დაწესება სავალდებულო არ არის. ეს დამოკიდებულია დასაგეგმავ პერიოდში მოსალოდნელ პერსპექტივებთან.

125%-ით შრომის ნაყოფიერების ზრდის გათვალისწინების შემთხვევაში წარმოებაში საჭირო კაცდღეთა რიცხვი 25%-ის რაოდენობით შემცირდება და ნაცვლად გამომუშავების ნორმების საფუძველზე გაანგარიშებული 19.967 კაცდღეებისა, 14.975 კაცდღე იქნება დაგეგმილი.

მუშების საშუალო წლიური სიობრივი რიცხვის გამოსაანგარიშებლად ზემოხსენებული კაცდღეთა რიცხვი უნდა გავყოთ, წლის განმავლობაში, ერთი მუშის სამუშაოზე საშუალოდ გამოსვლის დღეთა რიცხვზე:

$$14975 : 280 = 52,5 \text{ კაცს.}$$

მუშების წლიური ხელფასის ფონდის დასადგენად, გამომუშავების ნორმა-შეფასების საშუალებით გაანგარიშებული, დღიური ხელფასის ფონდს უნდა მივუმატოთ 5%, რაც დასაგეგმავ წელში მუშებისათვის შეებულებისა და სხვა დამატებითი ხელფასის გასაცემ თანხას შეადგენს, ე. ი.

$$255,0+12,8=267,8 \text{ ათას მანეთს.}$$

ამრიგად, ერთი მილიონი მანეთის საერთო პროდუქციის გამოსაშვებად დანახარჯთა შემდეგი ელემენტები გვაქვს:

| | |
|---|---|
| საჭირო კაცდღეთა რიცხვი . . | 14.975 კ. დ. |
| მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი . . | 52,5 კაცი. |
| მუშების დღიური ხელფასის ფონდი წლის განმავლობაში . . . . . . | 255,0 ათ. მან. |
| მუშების წლიური ხელფასის ფონდი (5%-ის დამატებით) . . . . | 267,8 ათ. მან. |

და სხვა დანახარჯები (იხ. ქვ. მოყვანილი ცხრილი).

მოცემული მაგალითის მიხედვით „სხვა პროდუქციის“ გამომუშავებისათვის შრომის მაჩვენებელთა, ხელფასის ფონდისა და სხვა საჭირო დანახარჯების დასადგენად უნდა გამოვიანგარიშოთ 250.000 მანეთის პროცენტული შეფარდება 1.000.000 მანეთთან და მიღებული პროცენტი ავიღოთ ძირითადი პროდუქციის დანახარჯებიდან.

$$\frac{250.000 \times 100}{1.000.000} = 25\%,$$

ე. ი. 250,0 ათასი მანეთი შეადგენს ერთი მილიონი მანეთის 25%-ს, რის გამო დაიდგინება, რომ „სხვა პროდუქციის“ გამოსაშვებად საჭირო იქნება ძირითადი პროდუქციის დანახარჯების 25%.

ა) რამდენი კაცდღე იქნება საჭირო 250,0 ათასი მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად?

$$\frac{14975 \times 25}{100} = 3743 \text{ კაცდღე.}$$

ბ) სულ რამდენი კაცდღეა საჭირო 1250,0 ათასი მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად?

$$14975 + 3743 = 18718 \text{ კაცდღე.}$$

გ) რამდენი მუშაა საჭირო 250,0 ათასი მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად?

$$3743 : 285 = 13 \text{ კაცი.}$$

დ) რამდენი მუშაა საჭირო 1250,0 ათასი მანეთის პროდუქციის გამოსამუშავებლად?

$$18718 : 285 = 66 \text{ კაცი.}$$

ასეთივე წესით უნდა ვაწარმოოთ „სხვა პროდუქციაზე“ საჭირო დანახარჯების გაანგარიშება.

მაგალითისათვის პირობით ავიღოთ ასეთი შემთხვევა; ვთქვათ 1000,0 ათასი მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად გაანგარიშებული დანახარჯთა ყველა ელემენტი (იხ. ქვემოთ მექანიკური ქარხნის დანახარჯები).

რა დანახარჯებია საჭირო 250,0 ათასი მანეთის „სხვა პროდუქციის“ გამოსაშვებად?

## მექანიკური ქარხნის 1949 წლის დანახარჯები.

| ელემენტების დასახელება | ერთი მილიონის ძირითად პროდუქციაზე (ათ. მანეთ.) | 250,0 ათას მ.პროდუქციაზე დაიხარჯება 250,0×<br>×100: 1000,0=<br>=25% | სულ დანახარჯები 1250,0 ათას მანეთის პროდუქციაზე |
|---|---|---|---|
| ძირითადი მასალა | 345,0 | 86,2 | 431,2 |
| დამხმარე მასალა | 15,0 | 3,7 | 18,7 |
| ელენერგია . | 35,5 | 8,8 | 43,8 |
| სათბობი . . . . . | 40,0 | 10,0 | 50,0 |
| ხელფასი ძირ. და დამატ. . | 267,8 | 67,0 | 334,8 |
| ანარიცხები . . | 11,6 | 2.9 | 14,5 |
| საამქრო ხარჯები . | 120.0 | 30,0 | 150,0 |
| საქარხნო ხარჯები . . . | 100,0 | 25,0 | 125,0 |
| სულ საქარხნო თვითღირებულება . . . | 934,4 | 233,6 | 1168,0 |
| კომერციული ხარჯები . | 10,0 | 2,5 | 12,5 |
| სულ კომერციული თ/ღირ. | 944,4 | 236,1 | 1180,5 |
| საბითუმო ფასები ბრუნვიდან გადასახადის გარეშე | 965,0 | 239,7 | 1204,7 |
| საბითუმო ფასი ბრუნვიდან, გადასახადის ჩართვით . | 1000,0 | 250,0 | 1250,0 |

აი, ასეთი მეთოდით შეიძლება „სხვა პროდუქციის“ გამომუშავებაზე დანახარჯების გაანგარიშება, თუ „სხვა პროდუქციის“ სახე მრეწველობის იმავე დარგისაა.

მ ა გ ა ლ ი თ ი. ავიღოთ საავეჯო ფაბრიკის პროდუქცია. წინა მაგალითში მიღებული მაჩვენებლები მივიღოთ უცვლელ ფასებში გაანგარიშების საშუალებით.

| ნაწარმის სახე | აღრიცხვის ერთეული | ნატურ- პროდ. | | საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში | | 1949 წლ. საჭირო კაცდღეები. | საჭირო ხელფასის ფონდი ათას მანეთ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფაქტ. 1948 წ. | გეგმა 1949 წ. | ფაქტ. 1948 წლის ათას მან. | გეგმა 1949 წლის ათას მან. | | |
| კარადა ტანსაცმელის | ცალი | 1000 | 1100 | 165,0 | 181,5 | 6600 | 95,5 |
| ბუფეტი . | „ | 500 | 600 | 102.5 | 123,0 | 6000 | 86,8 |
| საწერი მაგიდა . | „ | 2600 | 2600 | 286,0 | 286,0 | 5400 | 78,1 |
| სკამები . . . | „ | 3000 | 3000 | 15,0 | 15,0 | 1500 | 19,0 |
| ჯამი . . . . . | — | — | — | 568,5 | 605,5 | 19.500 | 279,4 |
| „სხვა პროდუქცია“ | 1000 მ. | — | 160,0 | 150,0 | 160,0 | 5.150 | 73,8 |
| სულ: | — | — | — | 718,5 | 765,5 | 24.650 | 353,2 |

როგორც მოყვანილ ცხრილიდან ჩანს ძირითადი ნაწარმის გამოსაშვებად, რომლის საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში 605,5 ათას მანეთს უდრის, საჭიროა: ხელფასის ფონდი 279,4 ათასი მანეთი და 19.500 კაცდღე.

„სხვა პროდუქცია" უცვლელ ფასებში 160,0 ათას მანეთს შეადგენს, ასე ძირითადი პროდუქციის საერთო ჯამის 26,4%-ს. ამავე პროცენტული შეფარდებით გამოყვანილი უნდა იქნას აგრეთვე „სხვა პროდუქციაზე" შრომის დანახარჯებიც.

ა) საჭირო კაცდღეები $\frac{19.500 \times 26,4}{100} = 5150$ კ.დღე.

ბ) საჭირო დღიური ხელფასის ფონდი $\frac{279,4 \times 26,4}{100} = 73,8$ ათ. მ,

ე. ი. 1949 წლისათვის 765,5 ათ. მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად საჭიროა:

$$19.500 + 5150 = 24650 \text{ კ. დღე.}$$

$279,4 + 73,8 = 353,2$ ათასი მანეთის დღიური ხელფასის ფონდით.

გავიანგარიშოთ საჭირო მუშათა რაოდენობის საშუალო სიობრივი რიცხვი. ამისათვის უნდა ვიცოდეთ ერთი მუშის სამუშაოზე გამოსვლა 1949 წელს.

1. სულ 1949 წ. კალენდარული დღეებია . . 365 დღე.
2. არასამუშაო, ე. ი. უქმე დღეები . . . 57 „
3. მორიგი შვებულება, ავადმყოფობა, გაცდენა, საზოგადოებრივი მუშაობის შესრულებაზე უნდა ვივარაუდოთ . . . . . . . . . 28 „

აქედან გამომდინარე, სულ 1 მუშის გამოსვლა 1949 წელს იქნება:

$$365 - (57 + 28) = 280.$$

ამრიგად, ერთი მუშის საშუალო წლიური გამოსვლა სამუშაოზე 280 კაცდღეს უდრის.

აქედან გამომდინარე, წლის განმავლობაში საჭირო იქნება

$$24650 : 280 = 88 \text{ კაცი.}$$

დამხმარე მუშები ყოველდღიურად 10 კაცის რაოდენობით ვივარაუდოთ.

ამრიგად, წლის განმავლობაში სულ 98 კაცია საჭირო.

ხ ე ლ ფ ა ს ი ს ფ ო ნ დ ი.

| | | |
|---|---|---|
| 10 დროებრივი მუშის წლიური ხელფასის ფონდი მათი სატარიფო განაკვეთის მიხედვით შეადგენს . | 45.000 | მან. |
| მონარდეთა დღიური ხელფასის ფონდი . | 353.200 | „ |
| დამატებითი ხელფასი 5% . . . . . . . . . . | 17.300 | „ |
| სულ მუშების წლიური ხელფასის ფონდი | 415.500 | მან. |

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული საერთო პროდუქციისა და გამომუშავების ნორმების მიხედვით 88 ძირითადი მუშაა (მონარდენი) საჭირო, მაგრამ ამავე დროს ვიცით, რომ გასულ წელს ერთი მუშის ფაქტიური საშუალო გამომუშავება გეგმასთან შედარებით 9%-ით იყო გაზრდილი.

საწარმოო გეგმის გადიდებამ არ უნდა გამოიწვიოს მუშათა რიცხვის სათანადო ზრდა. ეს უნდა წარმოებდეს მუშების იმავე რაოდენობის საშუალებით შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე ან წინააღმდეგ შემთხვევაში მუშების რიცხვის გაცილებით მცირე ზრდით.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ, ზემოხსენებული სააველო ქარხნის ერთი კაცის საშუალო წლიური გამომუშავება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

| | აღრიცხვის ერთეული | 1948 წელი | | 1949 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | ფაქტიური | |
| საერთო პროდუქცია 1926—27 წლ. უცვლელი ფასებით . . | 1000 მან. | 700,0 | 718,5 | 765,5 |
| ერთი მუშის საშუალო გამომუშავება . . . . . . | მან. | 8235 | 8931 | 9000 |
| მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი | კაცი | 85 | 80 | 85 |

შრომისნაყოფიერების ზრდის გამო, ე. ი. არსებული გამომუშავების ნორმის შესრულებისა და გადამეტსრულების მხედველობაში მიღებით, ჩვენ 1949 წლისათვის მუშების სიობრივ რიცხვს ვღებულობთ არა 98 კაცის რაოდენობით, არამედ 85-ს და, ამავე დროს საჭირო ხელფასის ფონდი კი უცვლელი რჩება. ცხადია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება მუშის საშუალო წლიური ხელფასიც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მუშის საშუალო ხელფასის ზრდა არ გამოიწვევს ხელფასის ფონდის გადახარჯვას.

### 2. მოსამსახურე პერსონალის ჯგუფური დანაწილება.

ანგარიშგებაში შრომის მაჩვენებელთა დაგეგმვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას მოსამსახურე პერსონალის სწორად დანაწილება წარმოადგენს.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებებში ამ მხრივ საქმე შესაფერ სიმაღლეზე არ დგას, რის გამო მთელ რიგ დეფექტებს აქვს ადგილი.

მოსამსახურე პერსონალის კატეგორიების მიხედვით სწორად დაგეგმვა-აღრიცხვიანობის მიზნით, მათ თანამდებობრივ დანაწილებას ჩავატარებთ.

ა. ი ნ ჟ.-ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ს ჯ გ უ ფ ი:

1. ტრესტის მმართველი და მისი მოადგილეები, კომბინატის დირექტორი და მოადგილეები, ფაბრიკა-ქარხნის დირექტორი და მოადგილეები, მთავარი ინჟინრები, ტექნიკური ხელმძღვანელები.

2. მთავარი მექანიკოსები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, მნორმავები, ტექნიკური დანორმვის ინსტრუქტორები, ტექნიკური კონტროლიორები, წუნმდებლები (ტექნიკური განათლებით), მექანიკოსები, დისპეტჩერები.

3. ლაბორატორიის გამგეები.

4. ელსადგურებისა და ელძალოვანთა მეურნეობის გამგეები.

5. საერთო-საქარხნო განყოფილების და საამქროთა უფროსები (გამგეები).

6. საკონსტრუქტორო, ექსპერიმენტალური და სხვა ბიუროთა განყოფილების გამგეები.

7. წარმოების ინსტრუქტორები.

8. სამუშაოთა მწარმოებლები.

9. კალკულატორები (სპეციალური განათლებით).

10. ინსტრუმენტალური საწყობის გამგეები.

11. მგეგმავ-ეკონომისტები.

12. ეკონომისტები საწარმოო და შრომის დარგში.

13. არქიტექტორები, ტექნიკოსები.

14. საწარმოო სწავლებისა და ტექ. პროპაგანდის მეთოდისტები.

15. კარტოგრაფები, მანქანა—მოწყობილობათა პასპორტიზატორები.

16. აგრონომები, სანიტარულ-ვეტერინალური ექიმები და მათი თანაშემწეები.

ბ. ს ხ ვ ა მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ს ჯ გ უ ფ ი:

1. დირექტორის მოადგილეები და თანაშემწეები კომერციული, საფინანსო, მომარაგების, გასაღების და კადრების დარგში.

2. საფინანსო და მარაგ-გასაღების სტატალრიცხვიანობის განყოფილებათა გამგეები (უფროსები).

3. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და იურიდიულ განყოფილებათა გამგეები.

4. მეურნეობის, კანტორის, საწყობის და მაღაზიის გამგეები.

5. არქივის და სამკითხველოს გამგეები.

6. საჰაპანო-ტრანსპორტის გამგეები.

7. საიდუმლო ნაწილის, საშვები ბიუროს გამგეები და მათი თანაშემწეები.

8. მთავარი და უფროსი ბუღალტრები და მათი მოადგილე-თანაშემწეები.

9. ბუღალტრები, მოანგარიშეები, სტატისტიკოსები, მოლარეები, ბუღალტერიისა და სტატისტიკის და სხვა მუშაკები.

10. ფინანსისტ-ეკონომისტები და ეკონომისტები მარაგგასაღების დარგში.

11. კალკულატორები.

12. იურისკონსულტები, მხაზავები, ასლგადამღებნი, დროისმზომელნი, რეგისტრატორები, ჟურნალისტები, მდივნები, საქმის მწარმოებელნი, კომენდანტები, ექსპედიტორები, მომარაგების აგენტები, ტელეფონისტები, ფოტოგრაფები და სხვა.

13. სახანძრო და დაცვის უფროსები.

გ. უმცროს დამხმარე პერსონალის ჯგუფი:

მეეზოვენი, შიკრიკები, კანტორის გამთბობნი და წყლის ამღულებლები, დამლაგებლები, მეჯინიბენი, მეგარდეობენი, ასენიზატორები.

დ. სახანძრო და სადარაჯო დაცვა:

მეხანძრეები, ვახტერები, შეიარაღებული და უიარაღო მცველები.

შენიშვნა: 1947 წლამდე სადარაჯო და სახანძრო დაცვა ცალკე პერსონალად არ იყო გამოყოფილი, არამედ ისინი გაერთიანებული იყვნენ უმცროს დამხმარე პერსონალის ჯგუფში; დაცვის უფროსები კი შედიოდნენ მოსამსახურეთა პერსონალის ჯგუფში; რაკი 1947 წლიდან სამხედრო-სადარაჯო და სახანძრო დაცვა გამოყოფილია ცალკე პერსონალად, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ დაცვის უფროსებიც შეტანილ იქნას ამავე პერსონალის ჯგუფში.

## III. ხელფასი

სოციალისტური მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა საარსებო წყაროს წარმოადგენს შრომის ხელფასი, რომელსაც ისინი ინდივიდუალური შემოსავლის სახით ღებულობენ.

ხელფასის გაცემის პრინციპი ჩვენს სახალხო მეურნეობაში მდგომარეობს იმაში, რომ მრეწველობის ყველა დარგის მუშაკები თავისი შრომისათვის გასამრჯელოს ღებულობენ მათ მიერ დახარჯული შრომის, კვალიფიკაციისა და დამზადებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

არსებობს განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ მომუშავეთა შრომას შორის, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის, რის გამო შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით ერთი მომუშავის შრომადღე არ უდრის მეორე მომუშავის შრომადღეს.

სოციალისტურ მრეწველობაში ხელფასის გათანაბრების პრაქტიკა სასტიკად დაგმობილია. ხელფასის დაწესებასა და შრომის ანაზღაურების პრინციპს ჩვენში საფუძვლად უდევს: პიროვნების კვალიფიკაციის, დახარჯული შრომის ოდენობის, შექმნილი პროდუქციის რაოდენობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა ხელფასის გათანაბრებასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებათაგანია. ხელფასის გათანაბრებასთან ბრძოლისა და სანარდო სისტემის დანერგვის შესახებ მკაფიო მითითებას იძლევა საკ. კ. პ. (ბ) მეთვრამეტე კონფერენციის დადგენილება, სადაც აღნიშნულია: „საჭიროა ბოლომდე აღმოვფხვრათ გათანაბრების დამპალი პრაქტიკა ხელფასის დარგში და მივაღწიოთ იმას, რომ სანარდო სისტემა და პრემიალური სისტემა კიდევ უფრო მეტად გახდნენ უმნიშვნელოვანესი ბერკეტები შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში და, მაშასადამე, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეშიც".

სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში მუშათა ხელფასის სწორი განსაზღვრისათვის საფუძვლად მიღებულია სატარიფიკაციო ცნობარი და სატარიფო ცხრილი.

სატარიფო ცხრილი ითვალისწინებს მუშების დანაწილებას თანრიგების მიხედვით.

თანრიგის მიკუთვნებისათვის კი არსებობს სატარიფიკაციო ცნობარი, რომლის საშუალებით ირკვევა, თუ თითოეული პროფესიის ამა თუ იმ თანრიგის მქონე მუშას რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს თავის საქმიანობაში.

სატარიფიკაციო ცნობარისა და სატარიფო ცხრილის გარეშე შეუძლებელია ბრძოლა ხელფასის გათანაბრების წინააღმდეგ.

თანრიგების მიხედვით ხელფასის განაკვეთთა შორის არსებული განსხვავება სტიმულირებულ საშუალებას წარმოადგენს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში; ის საუკეთესო საშუალებაა დაბალ თანრიგიდან მაღალ თანრიგში გადასვლისათვის, რის შედეგად მუშა სისტემატურად აუმჯობესებს თავის მატერიალურ მდგომარეობას.

„სოციალისტური მრეწველობის ხელფასის დონე დიფერენცირებულია ცალკე პროფესიებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. ხელფასი პირდაპირ დამოკიდებულებაშია შრომის ნაყოფიერების დონესთან და მუშის კვალიფიკაციასთან; მუშების კვალიფიციური შემადგენლობა მრეწველობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვაგვარია; განსხვავებულია აგრეთვე ხელფასის საშუალო დონე". *)

---

*) ირ. მიქელაძე—„სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა". გვ. 321.

სახალხო მეურნეობაში შემოღებულია შრომის ანაზღაურების ორი სისტემა: სანარდო და დროებრივი. შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა თავისთავად იყოფა ორ სახედ: პირდაპირი სანარდო და სანარდო პროგრესული.

ჩვენს მრეწველობაში შრომის ანაზღაურების ყველაზე უფრო მიღებულ სისტემას პირდაპირი სანარდო სისტემა წარმოადგენს, ვინაიდან ის ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მუშებში იწვევს დაინტერესებას შრომის ნაყოფიერების ზრდისადმი, რაც თავისთავად ადიდებს მუშის შემოსავალს, ზედმეტი ხელფასის მიღების სახით.

შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა საუკეთესო საშუალებათაგანია მრეწველობის საწარმოო გეგმის შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მუშათა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის.

შრომის ანაზღაურების სანარდო პროგრესული სისტემა კიდევ უფრო მეტ წახალისებას იწვევს შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად, რადგან პროგრესულად იზრდება მუშის ხელფასი. მაგრამ ხსენებულ სისტემას ერთი თავისებურება აქვს, სახელდობრ, ის რომ ხელფასის ფონდის ხარჯვა წინ უსწრებს გამომუშავების ნორმების გადაჭარბებას.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოში არ არსებობს ნორმალური მუშაობისათვის ისეთი პირობები, რომ უზრუნველყოფილ იქნას წარმოება ძირითადი და დამხმარე მასალების, ელენერგიისა და საწვავი მასალის რეგულარული მიწოდებით, შესაძლებელია პროგრესული სანარდო სისტემის შემოღებამ გამოიწვიოს ხელფასის ფონდის გადახარჯვა და პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება.

წარმოებაში, შრომის ანაზღაურების პროგრესული სანარდო სისტემა ზრდის ხელფასს და ხელფასზე ანარიცხების ელემენტებს; ხოლო საერთოდ პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებას კი ამცირებს, რადგან შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემა ყველა პირობებში იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ჭარბი პროდუქციის გამოშვებას.

საზოგადოდ, შრომის ანაზღაურების სანარდო პროგრესული სისტემა მრეწველობის განსაკუთრებულ დარგებშია მიღებული (ქვანახშირის, მარგანეცის, მეტალურგიისა და სხვა), სახელდობრ, ისეთ წამყვან დარგებში, სადაც აუცილებელია დამატებითი მატერიალური სტიმულის შექმნა, მოწყობილობა-დანადგარების გაზრდის გარეშე, პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად.

ხელფასის გაცემის დროებრივი სისტემა განისაზღვრება მუშის ნამუშევარი დროის ხანგრძლივობით და სატარიფო განაკვეთით. ამ შემთხვევაში მუშის შემოსავლისათვის იკარგება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის მნიშვნელობა, რის გამო მატერიალური დონის მიხედვით დროებრივი მუშები მონარდე მუშებთან შედარებით დაბლა დგანან. სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ორგანიზაციას გათვალისწინებული აქვს შეკვეცოს წარმოებაში დროებრივი მომუშავეთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი და მათ ჯეროვანი პირობები შეუქმნას სანარდო სისტემაზე გადასაყვანად.

## ა. ძირითად ხელფასს მიეკუთვნება:

1. დროებრივი მუშაობის საზღაური სათანრიგო განაკვეთის ან თვიური ხელფასის მიხედვით.

2. სანარდო საზღაური გამომუშავებულ პროდუქციაზე და მისი შეფასება პროდუქციის ერთეულების მიხედვით.

3. მუშაობის საზღაურის დანამატი მავნე და მძიმე სამუშაოს შესრულებისათვის.

4. მუშაობის საზღაურის დანამატი დროებრივი მუშების ზედმეტ საათებში მუშაობისათვის.

5. დამატებითი საზღაური ღამით მუშაობისათვის, თუ ის არ შედის სატარიფო და სანარდო შეფასებაში.

6. დანამატი მონარდეთათვის პროგრესული შეფასებით.

7. პრემიები (დროებრივი) მომუშავეთათვის.

8. დანამატი ბრიგადირობისათვის.

9. საზღაური მეძუძური დედებისათვის ბავშვის გამოსაკვებად მუშაობის შეწყვეტის გამო.

10 მოზარდთა საშეღავათო საათების საზღაური.

11. წარმოების მიზეზით სამუშაო დღის პერიოდში გაცდენილი დროის საზღაური.

12 ინჟ.-ტექნიკური პერსონალის შემადგენლობისა და მოსამსახურეების პრემიები საწარმოო გეგმის შესრულებისა და გადამეტსრულებისათვის და აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

## ბ. დამატებით ხელფასს მიეკუთვნება:

1. შვებულების ფული ან საკომპენსაციო თანხა გამოუყენებელი შვებულებისათვის.

2. საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული გაცდენილი დროის ანაზღაურების თანხა.

3. განსაკუთრებულ პირობებში მუშა-მოსამსახურეებზე კომუნალური მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა (ბინის ქირა, განათება, გათბობა, წყალი), სპეცკვების გაცემა.

4. ბინის ქირის გაცემა იმ თანამშრომლებზე, რომლებიც კანონის მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იქნან საცხოვრებელი ფართობით.

5. დახმარება მოსამსახურეებისადმი მათი სამსახურიდან გაუფრთხილებლად დათხოვნის გამო.

## IV. ძირითად საწარმოო პირსონალთა ჯგუფის დაგეგმვა და საჭირო მუშათა სიობრივ-რიცხვობრივი გაანგარიშება

საწარმოო მუშათა პერსონალი თავის მხრივ შეიძლება დაყოფილ იქნას ორ სახედ:

ა) საწარმოო მუშებად—(მონარდენი).

ბ) საწარმოო მუშებად—არანორმირებულ სამუშაოზე მომუშავენი (დროებრივი).

საწარმოში მონარდე მუშების შრომის ანაზღაურება წარმოებს მოქმედი გამომუშავების ნორმა-შეფასებების მიხედვით.

დროებრივი მუშების ხელფასი კი განისაზღვრება სამუშაო დროის ხანგრძლივობისა, თანრიგისა და სატარიფო განაკვეთის მიხედვით.

საწარმოში მიზანშეწონილია შრომის მაჩვენებელთა სწორი დაგეგმვა-ანგარიშგებისათვის მუშათა შემდეგი ჯგუფური დანაწილება წარმოებდეს:

1. საწარმოო მუშები ნორმირებულ სამუშაოებზე (მონარდენი).
2. საწარმოო მუშები არანორმირებულ სამუშაოებზე (დროებრივი).
3. საწარმოო საამქროთა დამხმარე მუშები.
4. დამხმარე საამქროთა მუშები.

## V. მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი

მოსამსახურეთა (ინჟ.-ტექნიკოსები, სხვა მოსამსახურენი და უმცროსი დამხმარე პერსონალი) საჭირო სიობრივი რიცხვის დადგენისათვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული: წარმოება-დაწესებულებათა საქმიანობის მოცულობა და ხასიათი. ზოგიერთი დარგის წარმოება-დაწესებულებისათვის სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საშტატო კომისიის მიერ შემუშავებული და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ტიპიური საშტატო ერთეულები არსებობს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ტიპიური საშტატო ერთეულებით სარგებლობენ: რესპუბლიკური დაქვემდებარების წარმოებები და რაიონული (საქალაქო) მრეწვკომბინატები.

მოსამსახურეთა ხელფასის ფონდში შეტანილი უნდა იქნას:

1. ხელფასი, თვიური განაკვეთის მიხედვით.

2. ხელფასი შვებულებაში წასულთა შემთავსებლებისათვის.

3. სპეციალური დადგენილებით დაწესებული პრემიები.

4. დამატებითი ხელფასი ნამსახური სტაჟის მიხედვით.

5. გასამრჯელო მოწაფეთა მომზადებისათვის.

6. საზოგადოებრივ-სახელმწიფო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაცდენილი დროის საზღაური თანხა.

7. შვებულების საზღაური.

8. კომპენსაცია, შვებულების ნაცვლად.

9. გასასვლელი დახმარება ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით.

10. კომუნალური მომსახურების ფულადი ანაზღაურება.

11. უფასოდ გასაწევი კომუნალური მომსახურების ხარჯები.

მოსამსახურეთა წლიური ხელფასის ფონდის დადგენისათვის, გარდა მათი პირდაპირი ხელფასისა, აგრეთვე ჩართული უნდა იქნას:

1. შვებულებაში წასულთა შეთავსებისათვის ან კიდევ შვებულებაში წასულის მაგიერ დაქირავებულ პირთა ხელფასი.

2. კანონით გათვალისწინებული ზოგიერთ მომსახურეზედ უფასოდ გასაწევი კომუნალური მომსახურების ხარჯები.

3. პრემია საწარმოო გეგმის შესრულების, გადამეტსრულებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხელფასის ფონდში შეიტანება პრემიის ის თანხა, რომელიც საწარმოო-საფინანსო გეგმის 100%-ით შესრულებისათვის არის გათვალისწინებული.

## VI. უხალხო ხელფასის ფონდი

ეს არის იმ პირთათვის გათვალისწინებული ხელფასის ფონდი, რომლებიც არ ირიცხებიან წარმოების პერსონალის სიობრივ რიცხვში.

უხალხო ხელფასის ფონდიდან შეიძლება გაცემულ იქნას თანხა წარმოების მუშა-მოსამსახურეებზედაც ისეთი სამუშაოების შესრულებისათვის, რომელიც მათ თანამდებობრივ მოვალეობასთან არ არის დაკავშირებული და შესრულებულია არა სამუშაო საათებში. მაგალითად, მეხანძრემ ან დარაჯმა აწარმოა ტვირთის გადატანა, სატვირთო მანქანის დატვირთვა-გადმოტვირთვა და ქარხნის ტერიტორიის გასუფთავება; ალრიცხვის მუშაკმა აკინძა საბუღალტრო საბუთები; წარმოების მუშამ შეასრულა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და სხვა.

უხალხო ხელფასის ფონდი ორ ჯგუფად იყოფა:

1) ძირითადი წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული უხალხო ხელფასის ფონდი, და

2) დამხმარე წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული უხალხო ხელფასის ფონდი.

უხალხო ხელფასის ფონდის ხარჯვის დანიშნულება მრავალგვაროვანია და მისი წინასწარ ჩამოყალიბება სიძნელეს წარმოადგენს. საერთოდ, გეგმით მორიგი წლისათვის ასეთი სახის ხელფასის ფონდის განსაზღვრისათვის ბაზას გასული წლის უხალხო ხელფასის ფონდის ფაქტიური დანახარჯი წარმოადგენს. ცხადია, საჭიროა აღნიშნული ფონდის ხარჯვის თანდათანობითი შემცირება.

ძირითად და დამხმარე წარმოებათა საჭიროებისათვის დაგეგმილი უხალხო ხელფასის ფონდი წარმოების დანახარჯებში (ხარჯთაღრიცხვაში) უნდა იქნას შეტანილი.

კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის საჭირო უხალხო ხელფასის ფონდი გათვალისწინებული უნდა იქნას კაპიტალური დაბანდებათა გეგმის სათანადო განაყოფში: — „შრომის მაჩვენებლები“.

დამხმარე წარმოებათა უხალხო ხელფასის ფონდი ცალკ-ცალკე იგეგმება.

მ ა გ ა ლ ი თ ი. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს „საქტყემომარაგების“ ტრესტი, სამინისტროსათვის დამხმარე და არასამრეწველო ჯგუფის ობიექტს წარმოადგენს. ხეტყის დამზადებისათვის და მისი საქართველოში შემოსატანად ტრესტს უხალხო ხელფასის ფონდი ეძლევა (ხე-ტყის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, ვაგონების გამცილებლებზე გასაცემად, უბანზე შემთხვევით რამდენიმე დღით დარაჯის დაქირავებაზე და სხვა). აღნიშნული უხალხო ხელფასის ფონდი დაგეგმილი უნდა იქნას „საქტყემომარაგების“ ტრესტის გეგმის შრომის სათანადო მაჩვენებლებში.

2. წარმოებებთან არსებული საბავშვო სახლის სურსათის შესაძენად საჭირო თანხები გათვალისწინებული უნდა იქნას უხალხო ხელფასის ფონდში, რომელიც აღირიცხება საბავშვო სახლის ხარჯთაღრიცხვაში. ასეთივე მეთოდით უნდა იგეგმებოდეს და აღირიცხებოდეს სხვა არასამრეწველო სახის დაწესებულებათა უხალხო ხელფასის ფონდი (მომარაგება-გასაღების კონტორის, დამხმარე მეურნეობების, ქარხანასთან არსებული სკოლის, კურსების და სხვა).

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასში შეიძლება შეტანილ იქნას უხალხო ხელფასის ფონდიდან გაცემული ხელფასი იმ შემთხვევაში, თუ კი ასეთი დანახარჯი წინასწარ გათვალისწინებული და

შეთანხმებულია ზემდგომ ორგანოებთან და მის შესასრულებლად დაშვებულია სპეციალური ასიგნობა უხალხო ხელფასის ფონდის სახით.

## VII. ერთი მუშის საშუალო გამომუშავება (შრომის ნაყოფიერება)

სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის ერთი მუშის საშუალო გამომუშავების ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შრომის მაჩვენებელთა ეს ელემენტი უშუალოდ დაკავშირებულია წარმოებაში მოქმედი გამომუშავების ნორმების შესრულებასთან.

ბრძოლა შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისათვის, არის ბრძოლა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

„შრომის ნაყოფიერება, ამბობს ლენინი, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ყველაზე უფრო მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებული იქნას და საბოლოოდ დამარცხებული იქნება იმით, რომ სოციალიზმი ჰქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას"*).

ჩვენს ქვეყანაში შრომა ღირსებისა და დიდების საქმეა. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან უშუალოდ დაკავშირებულია მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. შრომისადმი პატივისცემა ჩვენს ქვეყანაში სტიმულია სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის.

სოციალისტურ მეურნეობაში ასიათასობით აღზრდილი შრომის ენტუზიასტები ქმნიან შრომის ნაყოფიერების დინამიკურ ზრდას, რაც თავისთავად ხელს უწყობს ჩვენი მრეწველობის განვითარებას.

ჩვენი სახალხო მეურნეობის IV სტალინური ხუთწლიანი გეგმის 4 წელში შესრულების საფუძველს შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს.

1928 წლიდან 1938 წლამდე საქართველოში მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის 15,8 ჯერ, და ამავე პერიოდში მუშათა სიობრივი რიცხვის მხოლოდ 4-ჯერ ზრდა, აიხსნება შრომის ნაყოფიერების დინამიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლებით.

შრომის ნაყოფიერების ასეთი ზრდა აგრეთვე აიხსნება იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს არ გააჩნდა მსხვილი, მექანიზაციაქმნილი მრეწველობა. მაშინდელ მრეწველობაში პროდუქციის დამუშავების კუსტარულ წესს დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა.

---

*) ვ. ლენინი. ტ. XXIV, მე-3 რუსული გამოცემა, გვ. 342.

სახალხო მეურნეობის განვითარების I და II ხუთწლედებში საქართველოში შეიქმნა მსხვილი ინდუსტრია, აშენდა მუშათა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. კუსტარული დანადგარები შეიცვალა მექანიკური დაზგებით. ჩატარებულ იქნა მთელი რიგი წარმოებათა რეკონსტრუქცია და მრეწველობისათვის მომზადებული იქნა კადრები.

მრეწველობის წამყვან დარგებში ფართოდ დაინერგა მექანიზაცია და გაუმჯობესდა საწარმოო შრომის პროცესები. ყოველივე ეს შრომის ენტუზიაზმთან შეერთებით ქმნიდა შრომის ნაყოფიერების გიგანტურ ზრდას.

დღეს საქართველოში სტახანოველთა ათასეულებია, რომელნიც დღიურ, თვიურ, კვარტალურ და წლიურ გამომუშავების ნორმებს 200—250 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

ისეთ წარმოებაში, სადაც არ არის დანერგილი შრომის სწორი ორგანიზაცია, დაცემულია შრომის ნაყოფიერება, მცირეა ერთი მუშის საშუალო ხელფასი და ადგილი აქვს ხელფასის ფონდის შეფარდებითი (გეგმის შესრულების პროპორციულად) გადახარჯვას.

საბოლოო ჯამში, ერთი მუშის საშუალო გამომუშავების მაჩვენებელი წარმოადგენს წარმოებაში დანერგილი შრომის სწორი ორგანიზებულობისა და ინტენსიურობის ბარომეტრს.

შრომის ნაყოფიერების დაგეგმვის დროს, საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას ყველა ის შესაძლებლობანი და შრომის ნაყოფიერების ზრდის რესურსები, რომლებიც კი გააჩნია წარმოებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს:

1. წარმოებებში მოწყობილობა-დანადგარების მექანიზაცია და მისი წარმადობის სრული გამოყენება.

2. მოწყობილობა-დანადგართა შესაბამისად კვალიფიციური კადრის არსებობა და მისი რაციონალურად გამოყენება.

3. შრომის სწორი ორგანიზაცია.

4. წარმოების მომარაგება ხარისხიანი ნედლეულითა და მასალებით.

5. ელენერგიისა და საწვავი მასალებით რეგულარულად უზრუნველყოფა.

როგორც ცნობილია ნაწარმთა 1926/27 წ. წ. უცვლელი ფასები ამჟამად არ გამოხატავენ მათ შრომა-ტევადობას.

ერთი მუშის გამომუშავება იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორი ასორტიმენტისა და რა ღირებულების პროდუქციას ამზადებს მრეწველობის ესა თუ ის დარგი, დროის ერთ და იმავე პერიოდში.

მაგალითად, სატრიკოტაჟო ფაბრიკაში ერთი მქსოველი 8-საათიან სამუშაო დღეში ქსოვს მამაკაცის 8 ცალ სვიტრს და ქმნის

უცვლელ ფასებში 48 მანეთად ღირებულ პროდუქციას; იმავე მქსოველს შეუძლია დროის იმავე მონაკვეთში მოქსოვოს 8 ცალი შალის ჟაკეტი და მოგვცეს პროდუქცია იმავე ფასებში 208 მანეთის რაოდენობით.

საშენ მასალათა მრეწველობის ხაზით ცნობილია, რომ 1000 ცალი საშენი აგურის გამოსამუშავებლად იხარჯება 6,5 კაცდღე; პროდუქცია კი ღირს 39 მანეთი (უცვლელ ფასებში).

სამკერვალო ფაბრიკის მკერავს 3,5 კაცდღეში ანუ 28 საათში შეუძლია შეკეროს ქალის 10 აბრეშუმის კაბა, ღირებული 550 მანეთად.

აი, როგორ შეიძლება ძირფესვიანად შეიცვალოს ერთი მუშის საშუალო გამომუშავება ასორტიმენტის შეცვლის პირობებში; ცხადია, რომ უცვლელი ფასები, რომ გამომსახველი იყოს აგრეთვე პროდუქციის შრომა-ტევადობისა, ასეთ კურიოზებს ადგილი არ ექნებოდა.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პროდუქციის დაგეგმვა-აღრიცხვიანობა არსებული უცვლელი ფასებში თანდათან კარგავს მნიშვნელობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო პროდუქციის რაოდენობა მოცემულია ღირებულებით და საჭიროა მუშათა სიობრივი რიცხვის გაანგარიშება, საერთო პროდუქციის ჯამს ჰყოფენ ერთი მუშის გამომუშავებაზე და ღებულობენ მუშების სიობრივ რიცხვს.

თუ მოცემული გვაქვს საერთო პროდუქციის ღირებულება და მუშათა სიობრივი რიცხვი, ერთი მუშის საშუალო (წლიური, კვარტალური და თვიური) გამომუშავების გასაანგარიშებლად საერთო პროდუქცია უნდა გავყოთ მუშათა სიობრივ რიცხვზე.

უნდა გვახსოვდეს, რომ საწარმოო გეგმის გადიდებამ არ უნდა გამოიწვიოს მუშათა სიობრივი რიცხვის სათანადო პროპორციული გაზრდა. ამისათვის ამ რიცხვის გაანგარიშება უნდა წარმოებდეს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან მჭიდროდ დაკავშირებით და უმთავრესად მის ხარჯზე. უკიდურეს შემთხვევაში დასაშვებია მუშების სიობრივი რიცხვის გაცილებით მცირე ზრდა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმების დანერგვა.

## VIII. გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმები

სოციალისტური მრეწველობის სწორად დაგეგმვის აუცილებელ პირობას გამომუშავების ტექნიკური ნორმების დაწესება წარმოადგენს. „თუ ტექნიკური ნორმები არ გვექნება, შეუძლებელია გეგმი-

ანი მეურნეობა. ამის გარდა, ტექნიკური ნორმები საჭიროა იმისათვის, რომ ჩამორჩენილი მასები დავაწიოთ მოწინავეებს. ტექნიკური ნორმები დიდი მარეგულირებელი ძალაა, რომელიც წარმოებაში რაზმავს მუშათა ფართო მასებს მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების გარშემო"*).

რაიონული დაქვემდებარების მთელ რიგ წარმოებებს დღემდე არ გააჩნია ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმები; ზოგი წარმოება სარგებლობს სტატისტიკური საცდელი ნორმებით; არიან ისეთი ჩამორჩენილი წარმოებებიც, რომლებსაც სრულიად არ გააჩნიათ გამომუშავების არც ერთი სახის ნორმები, რაც სოციალისტური წარმოებებისათვის მიუღებელია.

ჩვენს სახალხო მეურნეობაში გამომუშავების ნორმების ყველაზე უფრო გამართლებულ ფორმას გამომუშავების ნორმების საშუალო პროგრესული სისტემა წარმოადგენს; პროგრესულ საშუალო ნორმების დაწესების ერთ-ერთ საფუძველს გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები შეადგენენ, რადგან საშუალო პროგრესული ნორმები უახლოვდება ტექნიკურ ნორმებს.

გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მას საფუძვლად დაედება ის მოწინავე ნორმები, რომლებიც მიღწეულია ცალკეულ საამქროებში ბრიგადებისა ან ცალკეული მუშების მიერ აგრეგატებისა და მოწყობილობათა სრული დატვირთვის გამოყენებით.

გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმა წარმოადგენს ოდენობას, რომელიც იმყოფება ფაქტიურად შესრულებული ნორმების საშუალო არითმეტიკულ და საუკეთესო მოწინავე მუშათა მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიღწეულ მყარ დონეზე მყოფი გამომუშავების ნორმებს შორის.

ცხადია, აქ მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული ის სარეკორდო გამომუშავება, რომელიც მიღწეულია ერთდროულად ერთეული მუშის მიერ.

პროგრესული საშუალო ნორმა მიისწრაფვის გაუთანაბრდეს ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმებს და, თუ ეს უკანასკნელი დაბალია, გაუსწროს კიდეც მას.

მ ა გ ა ლ ი თ ი. აგურის ქარხნის დამყალიბებელ საამქროში ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად მუშაობს 20 მონარდე მუშა. დღიური გამომუშავების ნორმა 1 კაცდღეში დაწესებულია 1200 ცალი ალიზი. ფაქტიურად ალიზის დაყალიბებაზე მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

*) სტალინი. ლენინიზმის საკითხები. ქართული თარგმანი, მე-11 გამოც. გვ. 625.

| მაჩვენებლები | აღრიცხვის ერთ. | ფაქტიური გამომუშავების მაჩვენებლები ცალებში | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1100 | 1200 | 1300 | 1440 | 1700 | |
| მუშების რიცხვი დღიური ნორმების შესრულების მიხედვით. . . . . | კაცი | 4 | 5 | 5 | 5 | 1 | 20 |
| სულ დაყალიბებულია . . | ცალი | 4400 | 6000 | 6500 | 7200 | 1700 | 25800 |

აქედან გამომდინარე, ერთ კაც-დღეში ალიზის დაყალიბების საშუალო არითმეტიკული რაოდენობა იქნება 25800 : 20 = 1290 ც. ალიზი.

გავიანგარიშოთ გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმა.

ამისათვის, თანახმად ზემომოყვანილი განმარტებისა საჭიროა ნორმების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს მივუმატოთ მოწინავე მუშების მიერ მიღწეული გამომუშავება და მიღებული ჯამი გავყოთ შუაზე, ე. ი. 1290 ცალს + 1700 = 2990; 2990 : 2 = 1495 ცალი.

თითქოს გამოდის, რომ გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმა უდრის 1495 ცალ ალიზს.

ცხადია, რომ ასეთი გაანგარიშება არ იქნება სწორი, რადგან 1700 ცალი ალიზი არის სარეკორდო ციფრი, რომელიც მიღწეულია ერთი მუშის მიერ. ამ შემთხვევაში მოწინავე მუშების მიერ მიღწეულ მაჩვენებლებად შეიძლება მიღებულ იქნას 5 მუშის მიერ მიღწეული მაჩვენებლები, რომელთაგან თითოეულის დღიური გამომუშავება 1440 ცალ ალიზს შეადგენს.

გამომუშავების საშუალო პროგრესული ნორმის დადგენა:

1) 1290 ცალს + 1440 = 2730 ცალი;

2) 2730 ცალი : 2 = 1365 ცალი,

ე. ი. მოცემული მაჩვენებლების შედეგად, ნაცვლად არსებული 1200 ცალი ალიზის დამზადების ნორმისა, გამომუშავების საშუალო პროგრესულ ნორმად დადგენილი უნდა იქნას დღიურად 1365 ცალი ნედლი აგურის დაყალიბება.

მ ა გ ა ლ ი თ ი. სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოების ხარ-კამეჩის ნალის დამზადების საამქროს 6 მუშამ, სადაც დღიური გამომუშავების ნორმა 8 კგ. ნალს შეადგენდა, საანგარიშო თვეში ნალის დამზადების შემდეგ საშუალო დღიურ მაჩვენებლებს მიაღწია:

| | | |
|---|---|---|
| 1. მუშამ | 9 | კგ. თითოეულმა |
| 3. „ | 11 | „ |
| 2. „ | 12 | „ |

გამოვიყვანოთ საშუალო არითმეტიკული ოდენობა.

1) 9+(3×11)+(2×12) = 66 კგ.

2) 66 კგ. : 6 = 11 კგ.

ამრიგად, საშუალო არითმეტიკული ოდენობა 8 საათიან სამუშაო დღეში შეადგენს 11 კილოგრამს. გამომუშავების პროგრესული საშუალო ნორმის გასაანგარიშებლად საჭიროა მიღებული საშუალო არითმეტიკულ ოდენობას მივუმატოთ მოწინავე მუშების მიერ გამომუშავების მყარი მაღალი მაჩვენებლები, ე. ი.

1) 11 კგ. + 12 კგ. = 23 კგ. და გავყოთ შუაზე
23 „ : 2 = 11,5 კგ.

ამრიგად, გამომუშავების პროგრესული დღიური საშუალო ნორმა იქნება 11,5 კგ.

## IX. სასაქონლო პროდუქცია

სასაქონლო პროდუქცია არის საანგარიშო პერიოდში გამომუშავებული საერთო პროდუქციის ღირებულების ჯამი, წარმოების შიგნით მოხმარებული მზა-პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულებათა ჯამის გამოკლებით.

სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში უნდა შევიდეს პროდუქციის ის ნაწილიც, რომელიც მოხმარებულია საკუთარ კაპიტალურ მშენებლობაზე, კაპიტალურ რემონტზე, ან გაცემულია საბინაო კომუნალური საჭიროებისათვის.

გარდა ამისა სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში შედის:

1. ნახევარფაბრიკატები, წარმოების გარეთ რეალიზებული, და
2. დამხმარე საამქროების მომსახურება სხვა წარმოებებზე და სამეურნეო ორგანიზაციებზე (გაცემა წყლის, ელენერგიის, ორთქლის).

### 1. საერთო პროდუქცია.

საერთო პროდუქციის დაგეგმვა-აღრიცხვის მეთოდი სხვადასხვაგვარია. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ საერთო პროდუქციის გაანგარიშებას საქარხნო მეთოდით.

საქარხნო მეთოდით საერთო პროდუქცია შეადგენს საანგარიშო პერიოდში ძირითად და დამხმარე საამქროთა მიერ გამომუშავებულ, როგორც მზა-ნაწარმის, ისე ნახევარფაბრიკატებისა და დაუმთავრებელი ნაწარმების საერთო ღირებულების ჯამს, რომელსაც გამოაკლდება ამავე პერიოდში გადამუშავებული ნახევარფაბრიკატებისა და დაუმთავრებელი ნაწარმოების ღირებულება. საერთო პროდუქციის შემადგენლობაში შედის დამკვეთლის ნედლეულის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის ღირებულების ჯამი.

საერთო პროდუქციაში შეტანილი უნდა იქნას გარეშე მომსახურება, როგორიც არის წარმოების გარეთ გაცემული ელექტროენერგიის, წყლის, ორთქლისა და შესრულებულ სარემონტო, სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება.

უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგ შემთხვევაში ცალკეულ პერიოდში გადამუშავებული ნახევარფაბრიკატების ღირებულება შეიძლება უფრო მეტი იყოს ვიდრე ამ პერიოდში დამზადებული ნახევარფაბრიკატების ღირებულება; ასეთი შემთხვევა უფრო ხშირია ნახევარფაბრიკატების დამზადების სეზონური სახის მქონე ქარხნებში, როგორიც არის: აგურის, კრამიტის, ფაიფურისა და სხვა წარმოებები.

საქარხნო მეთოდით საერთო პროდუქციის გაანგარიშების საერთო ფორმულა ასეთი იქნება.

$$პ=ა+ბ—ვ+გ$$

პ—არის საერთო პროდუქცია.

ა — მზანაწარმის ღირებულება

ბ — ნახევარფაბრიკატებისა და დაუმთავრებელი ნაწარმების ღირებულება.

ვ—ამავე საწარმოში დამზადებული დაუმთავრებელი ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულება, რომელიც გადამუშავებაში გადავა.

გ —გარეშე მომსახურება.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა პრაქტიკაში არ წარმოებს დაუმთავრებელი ნაწარმის საერთო პროდუქციის შემადგენლობაში შეყვანა.

ეს შემოღებულია იმ დარგის მრეწველობებში, რომელთაც ახასიათებს საწარმოო პროცესების ხანგრძლივობა (მანქანათამშენებლობის, გემთმშენებლობის და სხვ. ქარხნები).

საერთო პროდუქციის მნიშვნელობის ზოგადი განმარტება ასეთია: საანგარიშო პერიოდში გამომუშავებული ნახევარფაბრიკატებისა, მზანაწარმისა და საწარმოო ხასიათის მომსახურების ღირებულებათა ჯამი გამოკლებული ამავე წარმოებაში გადასამუშავებლად გადაცემული ნახევარფაბრიკატების ღირებულება და მიმატებული დაუმთავრებელი ნაწარმის ნაშთის ღირებულების განსხვავება, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის. ეს უკანასკნელი ნიშნავს დაუმთავრებელი ნაწარმის აღრიცხვას პროდუქციის შემადგენლობაში.

საერთო ბრუნვას უწოდებენ ძირითად და დამხმარე საამქროების საერთო პროდუქციის ღირებულებათა ჯამს. წარმოების საერთო ბრუნვა საერთო პროდუქციაზე მეტია შიდა-საქარხნო ბრუნვის ჯა-

მით, ე. ი. ძირითადი და დამხმარე საამქროების მიერ გამოყენებული ნაკეთობათა ღირებულებათა ჯამით. მაშასადამე, თუ ჩვენ საერთო ბრუნვას გამოვაკლებთ შიდა-საქარხნო ბრუნვას, მივიღებთ წარმოების საერთო პროდუქციას. თუ საერთო პროდუქციას გამოვაკლებთ მატებას ანდა მივუმატებთ კლებას დაუმთავრებელ ნაწარმისას, მივიღებთ სასაქონლო პროდუქციას.

| საამქროების მიერ გამოშვებული ნაწარმისა და მომსახურების | საამქროების საერთო გამოშვება 1000 მან. | საამქროების საერთო გამოშვებიდან გაცემულია | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წარმოების საჭიროებისათვის | | | | | |
| | | ძირითად საამქროებზე | დამხმარე საამქროებზე | დახარჯულია დასამთავრებ. წარმოებაზე ინსტრ. და მოწყობილობის მატებაზე | დამხმარე საამქროებზე. | კაპიტ. რემონტსა და კაპ. მშენებლობაზე | წარმოების გარეთ |
| ძირითადი . | 200,0 | 100,0 | 5,0 | 10,0 | 15,0 | 20,0 | 40,0 |
| დ-მხმარე . | 50,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 10,0 | 5,0 | 10,0 |
| სულ . . | 250,0 | 120,0 | 15,0 | 15,5 | 25,0 | 25,0 | 50,0 |
| | | შიდა-საქარხ. ბრუნვა 135,0 | | | სასაქონლო პროდუქცია 100,0 | | |
| | | | | საერთო პროდუქცია | | | 115,0 |

საერთო ბრუნვა . 250,0

| | |
|---|---|
| საერთო ბრუნვა . . | . 250,0 ათასი მანეთი |
| შიდა-საქარხნო ბრუნვა | 120,0+15,0=135,0 ათ. მან. |
| საერთო პროდუქცია | . 250,0—135,0=115,0 „ |
| სასაქონლო პროდუქცია | 115,0—15,0 =100,0 „ „ |

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისა და მრეწვკომბინატში შემავალი, დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი წარმოებების საერთო პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა წარმოებს საქარხნო მეთოდით, ე. ი. იმ ნახევარფაბრიკატების გამოკლებით, რომლებიც წარმოების შიგნით არის გადამუშავებული.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1. აგურის ქარხნის ალიზის საყალიბო საამქრომ საანგარიშო თვეში გამოუშვა 200,0 ათასი ცალი ნედლი აგური, რაც უცვლელ ფასებში 4800 მანეთის საერთო პროდუქციის შეადგენს. ამავე თვეში აგურის გამომწველმა საამქრომ გამოუშვა 170,0 ათასი

ცალი გამომწვარი აგური, რაც საერთო პროდუქციაში 6630 მანეთს შეადგენს.

რას უდრის პროდუქციის საერთო ბრუნვა? 4800 მ.+6630 მ.= =11 · 430 მანეთს.

საქარხნო მეთოდით საერთო პროდუქციის გასაანგარიშებლად საერთო ბრუნვას უნდა გამოვაკლოთ ნახევარფაბრიკატებისა და დაუმთავრებელი ნაწარმის ღირებულება, რომელიც საანგარიშო თვეში გადამუშავდა.

რამდენი ცალი ალიზი გადავიდა გადამუშავებაში 170,0 ათასი ცალი გამომწვარი აგურის მისაღებად?

გამომწვარი აგურის რაოდენობას უნდა მივუმატოთ 10%, რაც შეადგენს ალიზის დანაკარგების ოდენობას. 170,0+10%=187,0 ათ. ცალს, ე. ი. 170,0 ათასი ცალი გამომწვარი აგურის გამოსაშვებად გადამუშავებაში გადავა 187,0 ათასი ცალი ალიზი, ღირებული 4,488 მანეთად (24 მან. ×187,0).

რას უდრის საანგარიშო თვეში აგურის ქარხნის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქცია?

6630 მ. —4488 მ. =2142 მანეთს.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2. ცალკე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ტყავფეხსაცმელების წარმოების საამქროების მიერ საანგარიშო თვეში გამომუშავებულია: ტყავსაქონლის დამამზადებელ საამქროს მიერ რბილი და მაგარი ტყავი 6.000 მანეთად ღირებული და ფეხსაცმელის სამკერვალო საამქროს მიერ—14.000 მანეთის მზა ფეხსაცმელები, რისთვისაც პირველი საამქროს მიერ დამზადებული რბილი და მაგარი ტყავებიდან ამ უკანასკნელ საამქროს გადაეცა საწარმოო გადასამუშავებლად 5500 მანეთის ღირებული ტყავსაქონელი.

1) რას უდრის პროდუქციის საერთო ბრუნვა? 6.000+14.000= =20.000 მან.

2) რას უდრის საერთო პროდუქცია საქარხნო მეთოდით გაანგარიშებული? 6.000 მ. +14.000 მ. —5.500 მ. =14.500 მანეთს.

მრეწველობის კომბინატზე უშუალოდ დაქვემდებარებული, არასამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებათა (საამქროთა) საერთო პროდუქციის დაგეგმვა-აღრიცხვა წარმოებს არა საქარხნო მეთოდით, არამედ როგორც საერთო პროდუქციის თანხა, გამომუშავებული ცალკეულ წარმოებათა მიერ, შიდა ბრუნვის გამოუკლებლად.

მაგალითად, მრეწვკომბინატზე უშუალოდ დაქვემდებარებულმა საამქროებმა საანგარიშო თვეში გამოუშვეს შემდეგი ღირებულების პროდუქცია: 1) ტყავ-საქონლის დამამზადებელმა საამქრომ მაგარი და რბილი ტყავი 6000 მანეთის ღირებულების.

2) ფეხსაცმელების საკერავ საამქრომ — ფეხსაცმელები 14.000 მანეთის ღირებულების.

3) საფეიქრო საამქრომ სხვადასხვა სახის ქსოვილი 50.000 მანეთის ღირებულებისა და

4) სამკერვალო საამქრომ მზა ტანსაცმელი 120.000 მანეთის ღირებულების.

რას უდრის საანგარიშო თვეში მრეწვკომბინატის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქცია?

6.000+14.000+50.000+120.000=190.000 მანეთს.

ამ შემთხვევაში საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო ბრუნვა იგივეა, რაც საერთო პროდუქციის თანხა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქცია მოხმარებულია საწარმოო გადასამუშავებლად იმავე მრეწვკომბინატის გაერთიანებაში შემავალ მეორე საამქროს მიერ.

ცხადია, რომ არ შეიძლება ყველა შემთხვევაში მიღებულ იქნას დაგეგმვისა და აღრიცხვის ასეთი მეთოდი.

მაგალითად, დავუშვათ, მრეწვკომბინატზე უშუალოდ დაქვემდებარებულ ცალკეულ საამქროებს წარმოადგენენ: ა) ალიზის დამყალიბებელი საამქრო და ბ) აგურის გამოსაწვავი საამქრო. ცხადია, აქ საბოლოო ჯამში საერთო პროდუქციის შემადგენლობაში შევა მხოლოდ გამომწვარი აგურის ღირებულება, ე. ი. საერთო პროდუქციის აღრიცხვა მოხდება საქარხნო მეთოდით.

აქვე მოგვყავს მრეწვკომბინატზე უშუალოდ დაქვემდებარებული, არა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოებები, რომელთა გამომუშავებული პროდუქცია აღირიცხება არა საქარხნო მეთოდით, არამედ როგორც ცალკეული წამოწყებათა პროდუქციის ნაერთი. ასეთებია:

I. სათბობ-მოპოვების მრეწველობა:

1. ნახშირის მრეწველობა.

2. ტორფის მრეწველობა.

II. ხე-ტყის დამზადება — დაცურება.

III. ქიმიკატების წარმოებები.

IV. სამშენებლო მასალების წარმოებები:

1. კირის, თაბაშირის, გაჯის, ცემენტის წარმოება.

2. აგურის წარმოება.

3. სახურავი მასალების წარმოება (კრამიტის, ფიქალების და სხვა).

4. მინერალების მოპოვება სასილიკატო — კერამიკული მრეწველობისათვის და მშენებლობისათვის.

5. სამშენებლო მასალების წარმოების დანარჩენი დარგები.

V. შავი მეტალურგია,

VI. ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა:

1. მანქანათმშენებლობა (სააღალო მშენებლობის ჩათვლით), და

2. ლითონის ნაკეთობათა წარმოება:

ა. ლითონის ფართო მოხმარების ნაკეთობათა წარმოება, შეკეთება და

ბ. დანარჩენი ლითონის ნაკეთობათა წარმოება (იარაღები, მანქანათა დეტალები და სხვა სამრეწველო დანიშნულების ნაკეთობანი).

VII. რეზინ-აზბესტის მრეწველობა.

VIII. ხის დამუშავების მრეწველობა.

1. სამხერხაო.

2. ავეჯის წარმოება (შეკეთების ჩათვლით).

3. ხის საოჯახო საგნების, თხილამურებისა და სხვა ნაკეთობათა წარმოება.

4. სააღალო მშენებლობისათვის ხის ნაწილების წარმოება.

5. სადურგლო, სამხერხაო და სარემონტო სახელოსნოები, სამშენებლო დეტალების წარმოება და სხვა.

6. დანარჩენი.

IX. საფეიქრო მრეწველობა (სატრიკოტაჟო და საჩექმე—სათელის ჩათვლით):

1. საფეიქრო მრეწველობა:

ა) ბამბეულის „

ბ) სელის

გ) შალის

დ) აბრეშუმის

2. ქეჩის

3. სატრიკოტაჟო

4. ქეჩის სათელი

X. სამკერვალო.

XI. ტყავის, ბეწვეულისა და ფეხსაცმელების მრეწველობა:

1. ტყავის წარმოება,

2. ხელოვნური ტყავის წარმოება,

3. სასარაჯო-საუნაგირო ნაკეთობათა წარმოება და შეკეთება,

4. საგალანტერიო და საგზაო ნივთების წარმოება,

5. ბეწვეულის მრეწველობა,

6. ფეხსაცმელების მრეწველობა.

XII. ცხიმოვანი და საპონსახარშავი—პარფიუმერიის მრეწველობა

1. ცხიმოვანი, ქონსადნობის პროდუქციის მრეწველობა,

2. საპონსახარშავი და საპარფიუმერიო—კოსმეტიკის მრეწველობა.

XIII. გემოკვების მრეწველობა:

1. ხორცის მრეწველობა,

2. თევზის მრეწველობა,

3. ხილბოსტნეულის მრეწველობა,
4. ზეთსახდელი „
5. ფქვილ-ბურღულის „
6. პური — საცხობი „
7. საშაქარლამო „
8. ღვინის „
9. უალკოჰოლო სასმელების „
10. კვების მრეწველობის დანარჩენი დარგები.

XIV. მარილის მრეწველობა.

XV. პოლიგრაფიული მრეწველობა.

XVI. გადამამუშავებელი მრეწველობის დანარჩენი დარგები:

1. მუსიკალური საკრავების და მათი ხელსაწყოების წარმოება, სასკოლო, სახაზავი და საკანცელარიო ხელსაწყოების წარმოება, სათამაშოების წარმოება.

2. დანარჩენი დარგები.

## რაიმრეწვკომბინატის საწარმოო გეგმა

მხედველობაში გვაქვს ისეთი მრეწველობის კომბინატი, რომლის გაერთიანებაში შემავალი წარმოებები მრეწვკომბინატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საამქროებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში მათი პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა არა საქარხნო მეთოდით წარმოებს.

| | აღრიცხვის ერთეულები | 1926/27 წლ. ერთეულის ფასი | რაოდენობა | მთელი პროდუქციის ღირებულება 1926/27 წ. ფასებში 1000 მანეთ. |
|---|---|---|---|---|
| I. აგურის საამქრო. აგური . . . | 1000 ც. | 39—00 | 500,0 | 19,5 |
| II. კრამიტის საამქრო. კრამიტი . | | 70—00 | 400,0 | 28,0 |
| III. საწოლების საამქრო: | | | | |
| საწოლები . . . . . . . . | ცალი | 100—00 | 500 | 50,0 |
| IV. ფეხსაცმელების სამქრო: | | | | |
| 1. მამაკაცის ფეხსაცმელები | წყვ. | 10—00 | 100 | 1,0 |
| 2. ჩუსტები . . . . . | „ | 5—00 | 2000 | 10,0 |
| V. ტყავგადამამუშავებელი საამქრო; | | | | |
| 1. მაგარი ტყავი | კგ. | 3—10 | 5000 | 15,5 |
| 2. რბილი ტყავი . | კვ. დცმ. | 0—10 | 20000 | 2,0 |
| VI. შეშის დამზადება | კბმ. | 5—45 | 5000 | 27,0 |
| VII. სახერხი საამქრო . | „ | 33 | 1000 | 33,0 |
| VIII. საფეიქრო საამქრო | | | | |
| ბამბის ქსოვილი . . . . . | მეტრი | 0—89 | 18500 | 16,5 |
| IX. მომსახურება კაპიტალური მშენებლობისა და დამხმარე საამქროების მიმართ . . . . | 1000 მან. | — | — | 10,0 |
| ს უ ლ . . | — | — | — | 212,5 |

ასეთივე მეთოდით გაანგარიშებული უნდა იქნას საერთო პროდუქცია საწარმოო და სამრეწველო ფასებით.

## X წარმოებათა კლასიფიკაცია

წარმოებები, გამომუშავებული პროდუქციის ასორტიმენტებისა და ნაირსახეობის მიხედვით შეიძლება დანაწილებულ იქნას ორ ტიპად: ინდივიდუალურ და მასიურ ტიპებად.

ინდივიდუალური ტიპის წარმოებას ახასიათებს ნაირსახოვანი პროდუქციის გამოშვება. აქ იშვიათად ხდება ერთი და იმავე სახის პროდუქციის დიდი რაოდენობით დამზადება და მისი განმეორება პერიოდულად, ანუ მისი გამოშვება სერიულად. ეს იმით აიხსნება, რომ ასეთი ტიპის წარმოებაში პროდუქციის გამოშვება, ძირითადად შემკვეთებზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა ნაირსახოვანი შეკვეთების დასამზადებლად კი ასეთი საწარმოები იძულებული არიან, ერთსა და იმავე დაზგაზე აწარმოონ მრავალსახოვანი დეტალების დამზადება და მუშაობის სხვადასხვა პროცესის შესრულება. დაზგებისა და საზოგადოდ მანქანამოწყობილობათა ასეთი გამოყენება შესაძლებელია გან ხორციელებულ იქნას, ყოველ ცალკეულ შემთხვევისათვის, მათი მომარჯვების (გადაწყობის) საშუალებით, რასაც თან სდევს ხსენებული აგრეგატების გამოყენების კოეფიციენტის შემცირება და შრომის ნაყოფიერების დაცემა.

როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდუალური ტიპის წარმოებაში მუშაობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში ძირითადად შემკვეთთა მოთხოვნილების მიხედვით წარმოებს, რის გამო შეუძლებელი ხდება დასამზადებელი ნაკეთობათა სახეობის წინასწარი გათვალისწინება; ეს გარემოება კი უდიდეს სიძნელეებს ქმნის წარმოების დაგეგმვის საქმეში. ამის გამო ჩვეულებრივად ასეთი ტიპის წარმოებათა დაგეგმვას აწარმოებენ გასული წლის გამოცდილებისა და ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით და დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

ზემოხსენებული გარემოებათა გამო ინდივიდუალური ტიპის წარმოებაში საწარმოო პროცესებიც ინდივიდუალურად მუშავდება.

ინდივიდუალური ტიპის წარმოების მუშები სპეციალობის მხრივ უნივერსალურია. აქ ხშირ შემთხვევაში ერთ და იმავე მუშამ უნდა შეასრულოს პროდუქციის დასამზადებლად საჭირო სამუშაოთა ყველა პროცესი. ამის გამო ასეთი მუშა არ არის დახელოვნებული ნაირნაირი პროცესების სწრაფი ტემპებითა და ამავე დროს მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მასიური (სერიული) პროდუქციის დამამზადებელი საწარმოს თითოეული მუშა კი გაპიროვნებულია თითოეულ დაზგაზე განსაზღვრული პროცესის შესასრულებლად, რის გამო ასეთი მუშა ზედმი-

წევნით დახელოვნებულია თავის სამოქმედო პროცესების სწრაფი ტემპითა და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე.

ყოველივე ამის გამო ინდივიდუალური ტიპის წარმოების მიერ დამზადებული პროდუქცია, უფრო დაბალი ხარისხისა და მაღალი თვითღირებულებისაა, ვიდრე იგივე პროდუქცია დამზადებული მასიურ საწარმოში.

ინდივიდუალური ტიპის წარმოებების არსებობა დღეს-დღეობით გამართლებულია რაიონული დაქვემდებარების მრეწველობაში, რადგან ასეთი დაქვემდებარების წარმოებები ადგილობრივი მნიშვნელობისაა და ძირითადად მოწოდებულია მოსახლეობისნაირსახოვანი მომსახურებისათვის.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოები ძირითადად ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობენ, რის გამო ისინი ინდივიდუალური ტიპის საწარმოებს წარმოადგენენ.

ჩვენს ქვეყანაში, მრეწველობის განვითარება თანდათან ამცირებს ინდივიდუალური ტიპის წარმოებებს და მის მაგივრად ზრდის მასიური ტიპის წარმოებათა რაოდენობას.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია: „რაციონალიზაციის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ყრილობას მიაჩნია საწარმოთა სპეციალიზაცია პროდუქციის ასორტიმენტის შემცირებით, მასიური წარმოების ორგანიზაცია და სპეციალიზირებული ქარხნების კოოპერირება".

წარმოების სპეციალიზაცია ნიშნავს საწარმოთა დანაწილებას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ის გულისხმობს მრეწველობის ორგანიზაციას ახალი ტექნიკის საფუძველზე, სრული მექანიზაციის საფუძველზე, გარკვეული სახის ნაკეთობათა სერიულად გამოშვების საფუძველზე. სპეციალიზაცია მოითხოვს მასიური ტიპის წარმოებათა რიცხობრივ ზრდას.

მასიური ტიპის წარმოებების დამახასიათებელია:

ა) ერთსახოვანი პროდუქციის მასიური გამოშვება და მათი გამოშვების პერიოდული (სერიული) განმეორება.

ბ) თითოეული მონარდე მუშის გაპიროვნება დაზგაზე, წინასწარ განსაზღვრული საწარმოო პროცესის შესასრულებლად.

სერიული (მასიური) წარმოება გულისხმობს წარმოების ისეთ ორგანიზაციას, სადაც საწარმოო პროცესები შემუშავებულია წინასწარ დაგეგმილი პროდუქციის დასამზადებლად. ასეთ წარმოებაში პროდუქციის ასორტიმენტი მაქსიმალურად შემცირებულია. ცალკეულ სამუშაო ადგილზე (დაზგასა, მანქანა-მოწყობილობაზე) სრულდება ერთს, ან მცირე რაოდენობის, მხოლოდ წინასწარ გათვალისწინებული

ოპერაციები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში მეორდებიან. ყოველი სამუშაო ადგილი გამოსაშვები პროდუქციის ან სამუშაოთა შესრულების მხრივ სპეციალიზირებულია, რაც ხელს უწყობს მანქანა-მოწყობილობათა მაქსიმალურად დატვირთვას. სერიულ (მასიური ტიპის) წარმოებებში, მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით.

ასეთი წარმოებები თავის მხრივ შეიძლება დაყოფილ იქნას შემდეგ ჯგუფებად: მსხვილ სერიულ, საშუალო და წვრილ სერიულ წარმოებებად. თუ წარმოებაში მრავალი სახის ნაკეთობათა დამზადება წარმოებს და ასეთების გამოშვება სერიულად მეორდება, ის მსხვილ სერიულ წარმოებას მიეკუთვნება. მასიური ტიპის წარმოებაში გამოშვებულ ნაწარმთა სახეობის რაოდენობითი მაჩვენებლებით გავარჩევთ საშუალო და წვრილ სერიულ წარმოებებს.

ასეთ წარმოებაში ერთი და იგივე სახის ნაკეთობათა გამოშვების პერიოდული განმეორება საშუალებას იძლევა მომუშავეთა დახელოვნებას, მათთვის განსაზღვრული საწარმოთა პროცესების, ნაკეთობათა დეტალებისა და ნაწილების შესრულება-დამზადების საქმეში. მასიურ წარმოებაში მანქანა-მოწყობილობათა გამოყენების კოეფიციენტი მაღალია, პროდუქცია მაღალხარისხოვანია, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება კი დაბალი.

წარმოების მიერ მხოლოდ ერთსახოვანი პროდუქციის გამოშვება საგნობრივი სპეციალიზაციის ფორმას წარმოადგენს.

საგნობრივი სპეციალიზაცია ორი მიმართულებით ხორციელდება:

ა) ერთსახოვანი მანქანა-მოწყობილობათა გამოშვებით.

ბ) სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი რომელიმე დარგის მრეწველობის სრული მომსახურებით.

პირველ მათგანს, ე. ი. ერთსახოვან მანქანა-მოწყობილობათა გამომშვებ წარმოებებს ეკუთვნის საავტომობილო, გემთსაშენი, სატრაქტორო, თვითმფრინავების, ორთქლმავალთმშენებლობის და სხვა, სადაც გამოშვებული პროდუქციის სახეობა განისაზღვრება მხოლოდ ავტომობილების, გემების, ტრაქტორების, თვითმფრინავების და ორთქლმავლების გამოშვებით.

მეორეს კი—წარმოებები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს მომსახურება გაუწიოს მრეწველობის, ან სახალხო მეურნეობის რომელიმე ერთ დარგს მთლიანად. ასეთ წარმოებათა პროდუქციის გამოშვება განსაზღვრულია იმ დარგის მოთხოვნილებებით, რომელსაც ის ემსახურება, მაგალითად ჩაის მრეწველობის მანქანათმშენებელი ქარხნები, რომელნიც განკუთვნილია მხოლოდ ჩაის დამმუშავებელ მანქანა-მოწყობილობათა დამზადებისათვის, ანდა თამბაქოს

მრეწველობის მანქანათმშენებელი ქარხნები, რომელნიც მხოლოდ თამბაქოს დამმუშავებელი მანქანა-მოწყობილობის გამოშვებისათვის არიან განკუთვნილი და სხვა ასეთი მიმართებითი დანიშნულების ქარხნები.

მრეწველობაში დიდი როლი ეკუთვნის ეგრეთ წოდებულ საწარმოთა კოოპერირებას.

ეს უკანასკნელი (კოოპერირება) მასიურ და სერიულ საწარმოთა თანამშრომლობას წარმოადგენს. ასეთი თანამშრომლობის საჭიროება გამოწვეულია მით, რომ მრეწველობის სპეციალიზაცია მოითხოვს, რათა მოწყობილ იქნას ახალი ტექნიკის საფუძველზე სრულიად მექანიზირებული, მანქანა-მოწყობილობათა გამოსაშვებად საჭირო დეტალებისა და ნაწილების დამამზადებელი წარმოებები. ეს მოთხოვნილება დამყარებულია მასზე, რომ არის ისეთი სახის მანქანა-მოწყობილობანი, რომელნიც ოცი ათასამდე დეტალისა და ნაწილებისაგან შედგება. ასეთ მანქანა-მოწყობილობათა გამომშვებ ქარხნებში კი მათთვის საჭირო ყველა დეტალის დამამზადებელი საამქროების მოწყობა, ეკონომიური თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან იქ ამ დეტალების გამოშვება შეზღუდული რაოდენობით უნდა მომხდარიყო, რის გამო ადგილი ექნებოდა დეტალების დამამზადებელ მოწყობილობათა ხშირ გაცდენებს; ეს კი თავისთავად თვითღირებულების ზრდას გამოიწვევდა. ცხადია რომ რაგინდ დიდი საავტომობილო ქარხანა არ უნდა იყოს, მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, ბურთულებიანი საკისართა საამქროს მოწყობა გაუმართლებელი იქნებოდა, მაგრამ ასეთი ზოგიერთი სხვა, მრავალი რაოდენობით საჭირო დეტალების დამამზადებელი სპეციალიზირებული ცალკე წარმოებების მოწყობა სრულიად გამართლებულია, ვინაიდან ასეთი სახის წარმოებებს შეუძლია თავიანთ მიერ დამზადებული დეტალები, შედარებით იაფ ფასებში მიაწოდოს საბჭოთა კავშირის სხვა მანქანათმშენებელ, საავტომობილო, სატრაქტორო და სხვა ქარხნებს.

„რთული მრავალი დეტალისაგან (15—20 ათასი დეტალი) შემდგარი მანქანების მასობრივ წარმოებასთან დაკავშირებით, თანამედროვე მრეწველობაში სპეციალიზაცია დეტალების დამზადების მიხედვით ფართო გავრცელებას პოულობს. სპეციალიზაციის ამ ფორმის მასშტაბის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ სამამულო ომამდე კოოპერირების საფუძველზე სტალინის სახელობის ავტოქარხანას 257 ქარხანა აწვდიდა სხვადასხვა დეტალს, კვანძსა და მასალას. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა დაკავშირებული იყო 283 საწარმოსთან, რომელთაგან ის ღებულობდა

300 დასახელების სხვადასხვა დეტალს (სტარტერი, დინამო, რელე და სხვა). იაროსლავის ავტოქარხანას დეტალებს აწვდიდა 112 სხვადასხვა საწარმოო, ხოლო გარედან შეძენილი დეტალების ღირებულება ავტომანქანის საერთო ღირებულების 44% შეადგენდა. დეტალების დამზადების მიხედვით წარმოებული სპეციალიზაციის საფუძველზე სსრ კავშირში აღმოცენდა ისეთი ქარხნები, როგორიცაა: ბურთულა-საკისართა ქარხნები, საინსტრუმენტო ქარხნები, მოტორების მშენებელი ქარხნები, ჰანჰიკებისა და საავტომობილო თვლების დამამზადებელი ქარხნები და სხვა" *).

მრეწველობის კოოპერირების დროს ერთი ქარხანა შემკვეთია და დეტალების დამმზადებელი, მრავალი ქარხანა შეკვეთების შემსრულებელი. დეტალებისა და ნაწილების დამმზადებელი ქარხნები ვალდებული არიან მოამარაგონ მათ მიერ დამზადებული პროდუქციით შემკვეთები, წინასწარ ზუსტად შემუშავებული გეგმის მიხედვით და მიწოდების ვადების ზუსტად დაცვით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ხელშეკრულებით.

წარმოებათა კოოპერირება ზრდის წარმოებათა ურთიერთ დამოკიდებულებასა და კავშირს. აუცილებელია ასეთი სახის წარმოებებში გამომუშავებული პროდუქცია (დეტალები, ნაწილები) ზუსტად სტანდარტულ იქნას, რათა აკმაყოფილებდეს წინასწარ დაწესებულ ნიმუშს, როგორც ფორმით ისე წონით, ზომით, მისი ქიმიური შედგენილობით, ფიზიკური და მექანიკური თვისებებით.

## XI. სამინისტროთა დაქვემდებარების ორგანიზაციული სტრუქტურა

სახელმწიფო მრეწველობის წარმოებათა უმრავლესობა, მათი დარგობრივი ხასიათის მიხედვით, სათანადო მრეწველობის სამინისტროთა სისტემაშია გაერთიანებული.

მრეწველობის სამინისტროები დაქვემდებარების მიხედვით იყოფა: საერთო-საკავშირო, საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებად.

I. საერთო-საკავშირო სამინისტროებს მოკავშირე რესპუბლიკებში არ გააჩნიათ მსგავსი სახელწოდების სამინისტროები. ასეთი საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნის: შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური და მანქანათმშენებლობის, ელექტრომრეწველობის, შეიარაღების სამინისტროები და სხვ.

---

*) იხ. მიქელაძე — სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა, გვ. 112-113.

II. საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებია: კვების, მსუბუქი, სატყეო, სამშენებლო მასალათა მრეწველობათა სამინისტროები და სხვ.

III. რესპუბლიკური მნიშვნელობის მრეწველობის სამინისტროებს საკავშირო ცენტრალური გაერთიანება არ გააჩნიათ. ასეთია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.

## ადგილობრივი მრეწველობის წარმოებათა მიზნები და ამოცანები.

ამხანაგმა სტალინმა საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ადგილობრივი მრეწველობათა განვითარების შემდგომი ამოცანების შესახებ მიგვითითა, რათა „გავშალოთ ადგილობრივი საბჭოთა მრეწველობა, მივცეთ მას შესაძლებლობა გამოიჩინოს ინიციატივა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში და აღმოუჩინოთ მას შესაძლებელი დახმარება ნედლეულითა და სახსრებით“*).

ადგილობრივი მრეწველობა ძირითადად მოწოდებულია, რათა ადგილობრივი ნედლეულისა და ფაბრიკა-ქარხნების ნარჩენების ბაზაზე შექმნას საშუალო და მცირე წარმადობის მქონე წარმოებები და მშრომელთა მოსახლეობას მიაწოდოს რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ფართო მოხმარების საქონელი და სურსათ-სანოვაგე. საშენ მასალათა წარმოებების გაფართოებით უზრუნველყოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისა და მშრომელთა მოსახლეობისათვის მეტი სამშენებლო მასალების—აგურის, კრამიტის, კირის, ალებასტრის, გაჯის, მეტლახის ფილებისა და სხვათა დამზადება და მიწოდება.

პარტია და ხელისუფლება რაიონული დაქვემდებარების წარმოებებს ავალებს, რათა პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად მათ გააუმჯობესონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და სასაქონლო ასორტიმენტების გამოშვება დაუკავშირონ ბაზრის სათანადო მოთხოვნილებას.

ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის სტრუქტურა საქართველოს სს რესპუბლიკაში.

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში გაერთიანებულია რესპუბლიკური მნიშვნელობის შემდეგი დარგის წარმოებები: მანქანათმშენებლობის, ლითონგადამუშავების, ქიმიური, სამშენებლო დეტალების, მთამადნეულის მოპოების, მუსიკალური, სააველო, საგალანტერიო, ფერადი ქვების, სასწავლო

*) სტალინი. ლენინიზმის საკითხები, თარ. მე-11 გამ. გვ. 556

თვალსაჩინო ხელსაწყოთა, ზუსტხელსაწყოთა და აგრეთვე მრავალი სხვა წარმოებანი.

ამავე სამინისტროს სისტემაში იმყოფება ხე-ტყის მასალების დამზადების ტრესტი და სამშენებლო კანტორა.

საფინანსო ურთიერთობის მხრივ ზემოაღნიშნული წარმოებები დაკავშირებული არიან რესპუბლიკურ ბიუჯეტთან.

2. აფხაზეთის და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები დაგეგმვის, მომარაგებისა და ტექნიკური მომსახურების ხაზით ხელმძღვანელობენ, როგორც აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის წარმოებებს, ისე სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის, საქალაქო და რაიონული მრეწვკომბინატებსა და ადგილმრეწველობის განყოფილებებს.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილმრეწველობის განყოფილება ხელმძღვანელობს საოლქო ადგილმრეწველობის წარმოებებს, აგრეთვე რაიმრეწვკომბინატებსა და ადგილობრივი განყოფილებების საწარმოებს.

4. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში გაერთიანებულია თბილისის საბჭოს ადგილმრეწველობის, როგორც სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ცალკეული წარმოებები, ისე კვებისა და სამრეწველო კომბინატები.

5. რაიონების (საქალაქო) საბჭოების აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები ხელმძღვანელობენ მათ გაერთიანებაში შემავალი ადგილმრეწველობის წარმოებებს.

როგორც წესი, ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების შესანახი ხარჯები სათანადო რაიონების (ქალაქების) ადგილობრივი ბიუჯეტის საშუალებით იფარება, რის გამო ეს ხარჯები არ შედის პროდუქციის კომერციულ თვითღირებულებაში.

6. ქალაქებისა და რაიონების აღმასკომის მრეწვკომბინატებში გაერთიანებულია, როგორც მათ სისტემაში შემავალი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ადგილობრივი მრეწველობის წარმოებები, ისე მრეწვკომბინატისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საამქროები.

მრეწვკომბინატის შესანახი ხარჯები განაწილებულია მასში შემავალ წარმოებებზე, რის გამო ხსენებული ხარჯები შეტანილია პროდუქციის კომერციული თვითღირებულების შემადგენლობაში.

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სისტემაში შემავალ საწარმოთა გაფართოებისა და ახალ წარმოებების ჩამოყალიბების შემთხვევაში, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო)

საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობით, საქართველოს სსრ მინისტრია საბჭოს გამოაქვს დადგენილება რაიონში რაიონული მრეწველობის კომბინატის (მრეწკომბინატის) დაარსების შესახებ.

რაიონული დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის წარმოებები მტკიცედ არიან დაკავშირებული ადგილობრივ ბიუჯეტთან.

დაგეგმვის, ტექნიკური დახმარების, ანგარიშგებისა და სტატისტიკური აღრიცხვიანობის საკითხებში აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება დაქვემდებარებული არიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსადმი. საქალაქო, სარაიონო ადგილმრეწველობის განყოფილებები და მრეწკომბინატები, გარდა ზემოჩამოთვლილ საკითხებისა, დაქვემდებარებული არიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსადმი, აგრეთვე ფონდირებული და დაგეგმილი ძირითადი დამხმარე მასალებითა და მანქანა-მოწყობილობით მომარაგების საკითხებში. სტრუქტურის მიხედვით მათი წარმოებათა ხსენებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ფონდირებული მასალებით წარმოებს საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ფონდებიდან.

რაიონული დაქვემდებარების კვების მრეწველობის საწარმოთა (უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების, საშაქარლამო და სხვ.) დაგეგმვისა და ფონდირებული მასალებით მომარაგების ფუნქციებს ანხორციელებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო რაიონული დაქვემდებარების ორგანიზაციათა მიმართ ანხორციელებს აგრეთვე შემდეგ დამატებითი ფუნქციებს:

ა) იხილავს მათ ყველა დარგის წარმოება-საამქროთა საშტატო ერთეულებს, მათ განაკვეთებს და აზუსტებს მას ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით;

ბ) დახმარებას უწევს წარმოებათა ხელმძღვანელებს ადგილზე გამომუშავების ნორმების დაწესების საქმეში;

გ) აწარმოებს სათანადო ინსტრუქტაჟს ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვიანობის სწორად დაყენებისათვის;

დ) საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს დოკუმენტალურ რევიზიას;

ე) ღებულობს მათგან კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს, იხილავს მათ და სათანადო შესწორების შეტანის შემდეგ უბრუნებს სა-

თანადო ასსრ ადგილმრეწველობის სამინისტროებს და აღმასკომებს დასამტკიცებლად, ადგენს მთლიან კრებსით (ნაერთ) წლიურ ანგარიშს საქართველოს სსრ-ის რაიონული მრეწველობისას და უდგენს მას ზემდგომ ორგანოებს.

ე) ადგილმრეწველობის განყოფილებათა (გარდა სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქისა) და მრეწვკომბინატების დაგროვებებიდან თანხების ამოღების საშუალებით ადგენს რაიონული მრეწველობის განვითარების რესპუბლიკური ფონდის შექმნისა და მისი განაწილების პროექტს და უდგენს მას დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს როლი და ფუნქციები რაიონულ დაქვემდებარების მრეწველობისადმი დღითი დღე იზრდება.

## XII. ადგილობრივი მრეწველობის დაგეგმვის მეთოდები

მრეწველობის დაგეგმვის მთავარ სახეს პერსპექტიული და ოპერაციული გეგმა წარმოადგენს.

პერსპექტიული გეგმა მრეწველობის განვითარების ხანგრძლივი პერიოდის დაგეგმვას ნიშნავს, ე. ი. ის ასახავს მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს განსაზღვრული დროის მონაკვეთში (ხუთწლედი, ათწლედი და ა. შ.).

პერსპექტიული გეგმები, უმაღლეს ორგანოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ ოპერაციული გეგმების საფუძველს წარმოადგენენ.

ჩვენთვის ცნობილია ოპერაციული დაგეგმვის ორი სახეობა: ოპერაციული გეგმის პროექტი და ოპერაციული გეგმა (წლიური, კვარტალური, თვიური, დეკადური). ოპერაციული გეგმის პროექტი მოკავშირე რესპუბლიკის მასშტაბით დგება რამდენიმედ (ჩვეულებრივად სამი თვით) ადრე დასაგეგმავი წლის დაწყებამდე, ე. ი. მაგალითად, 1951 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის პროექტი უნდა წარდგენილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში არა უგვიანეს 1950 წლის 1 ოქტომბრისა; აქედან გამომდინარე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა სს რესპუბლიკებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებისა და რაიონულმა მრეწვკომბინატებმა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებმა მათ მიერ შედგენილი ოპერაციული გეგმების პროექტები უნდა წარუდგინონ და დაამტკიცებინონ თავიანთ რესპუბლიკურ გაერთიანებებს (სათანადო მინისტრთა საბჭოებს, აღმასკომებს) არა უგვიანეს 1950 წლის 10 სექტემბრისა, რათა შესაძლებელ იქნას დროულად მათი განხილვა და დაზუსტება საქართველოს სსრ ადგილმრეწველობის

სამინისტროს მიერ და წარდგენა ზემოხსენებული დროისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი.

ოპერაციული გეგმის პროექტის საფუძველზე მუშავდება და ზუსტდება მომავალი წლის გეგმის მთავარი მაჩვენებლების ლიმიტები, რის შემდეგ დგება წლიური ოპერაციული საწარმოო-საფინანსო გეგმა, რომელიც ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცების შემდეგ ჩაითვლება კანონად და შეადგენს წარმოების ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პერსპექტიული გეგმა, წარმოადგენს საფუძველს ოპერაციული გეგმების შედგენისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპერაციულ გეგმაში არ შეიძლება მოხდეს სათანადო ცვლილებები. პირიქით, წარსული წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით ოპერაციული გეგმა უფრო მიახლოებითია, ვინაიდან ის, როგორც წესი, სდგება გასულ წელში მიღწეული შედეგებისა და გამოცდილების საფუძველზე, ე. ი. პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული მონაცემები ოპერაციული გეგმის შედგენისათვის დოგმატურად კი არ უნდა რჩებოდეს, არამედ იგი უნდა ზუსტდებოდეს გასული წლის ფაქტიური მაჩვენებლებისა და გამოცდილების მიხედვით.

„ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, ხუთწლიანი გეგმა არ არის რაღაც დასრულებული და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. ჩვენთვის ხუთწლიანი გეგმა, როგორც ყოველი სხვა გეგმა, არის მხოლოდ გეგმა, მიღებული პირველი მიახლოების წესით, რომელიც უნდა ზუსტდებოდეს, იცვლებოდეს და სრულყოფილი ხდებოდეს ადგილობრივი გამოცდილების საფუძველზე, გეგმის შესრულების გამოცდილების საფუძველზე"*).

ზემდგომ ორგანოს მიერ დამტკიცებული ოპერაციული გეგმების მიხედვით ადგილმრეწველობის განყოფილებებსა და მრეწვკომბინატებს გამოეყოფა ფონდირებული მასალები, ხელფასის ფონდი, საბრუნავი საშუალებანი, ბანკის კრედიტები და სხვა.

ადგილობრივი მრეწველობის წარმოებათა დაგეგმვისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები:

### ა) წარმოების დაგეგმვა მოქმედ მანქანა-მოწყობილობათა წარმადობის მიხედვით.

ამ მეთოდით წარმოების დასაგეგმად უმთავრესად გამოყენებული უნდა იქნას მანქანა-მოწყობილობათა წარმადობა. ამისათვის საჭიროა წინასწარ ჩატარებულ იქნას მანქანა-მოწყობილობათა პას-

*) სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 490.

პორტიზაცია. ფაქტიურად კი ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ წარმოებებში არ არის ჩატარებული ასეთი პასპორტიზაცია და არ არის პასპორტების საშუალებით დადგენილი მათი გამომუშავების უნარიანობა, რის გამო იგი ხშირად განსაზღვრულია სტატისტიკური ძველი მასალების საფუძველზე. ცხადია, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს დადებითად. ამის გამოსასწორებლად აუცილებელია, რომ ხსენებულ საწარმოებში მანქანა-მოწყობილობათა პასპორტიზაცია შემოღებულ იქნას, როგორც წესი. ამრიგად, მიღებული მონაცემებით წარმოებს დაგეგმვის ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშება.

წარმოების ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებათა მეთოდით დაგეგმვისათვის აუცილებელია ამას გარდა დადგენილ იქნას მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები პროდუქციის ერთეულზე და აგრეთვე გამომუშავების ნორმა-შეფასებები (ტექნიკური დანორმვის, დაკვირვებების ჩატარებისა და სტატისტიკური მასალების გამოყენების საშუალებით).

### ბ) საბალანსო გაანგარიშების მეთოდი

წარმოების დაგეგმვისას საბალანსო გაანგარიშების მეთოდი ძირითადია და ის გულისხმობს დაგეგმვას საჭირო რესურსების გამოვლინების საფუძველზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მანქანა-მოწყობილობათა წარმადობის მიხედვით წარმოების დაგეგმვა არ ითვალისწინებს იმ სიძნელეებს, რაც გამოწვეულია წარმოების მასალებითა და სხვათა მოუმარაგებლობით. საბალანსო გაანგარიშების დროს კი მთავარი ყურადღება ექცევა მატერიალურ რესურსებს. ამ შემთხვევაში წარმოების დაგეგმვა ხდება, როგორც მატერიალური ბალანსის, ისე გასული წლის გამომუშავების ფაქტიური მაჩვენებლებისა და მასთან მიახლოების მიხედვით.

აი ის ორი მეთოდი წარმოების ძირითადი გეგმის შედგენისა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო, ინვალიდთა კოოპერაციისა და სხვა წარმოებებს.

გარდა აღნიშნულისა სახალხო მეურნეობის და ნაწილობრივად ადგილობრივი მრეწველობის დაგეგმვისათვის გამოიყენება კიდევ სხვა მეთოდები, როგორიც არის:

### ა) ვარიანტების დამუშავების მეთოდი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრეწველობის გეგმის დამუშავება რამდენიმე სტადიას შეიცავს და გეგმის მრავალი ვარიანტისა და

პროექტის დამუშავებას მოასწავებს. ყოველი გეგმის პროექტი სდგება პირველი მიახლოების წესით, იმ ანგარიშით, რომ მუშაობის შემდგომი გაღრმავებითა და დამატებითი მასალის მიღებით დაზუსტდეს საგეგმო მაჩვენებლები. ზოგ შემთხვევაში მრეწველობის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტილება რამდენიმე ვარიანტის სახით სდგება, რომ უმაღლეს ორგანოებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას გააჩნდეს შესაძლებელ გადაწყვეტილებათა შედარებითი დახასიათება. ასეთია, მაგალითად, სამრეწველო წარმოების ადგილმდებარეობის შერჩევის საკითხი. სხვადასხვა შესაძლებელი პუნქტების არსებობის დროს მუშავდება გეოგრაფიული განლაგების რამდენიმე ვარიანტის სათანადო ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშება.

ბ) საექსპერტო შეფასებათა მეთოდი. ზოგიერთ შემთხვევაში მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარების საკითხის გადასაჭრელად საკმარისი არაა საგეგმო ორგანოების განკარგულებაში მყოფი ტექნიკური და სტატისტიკური მასალები. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი მასალების მიღება ექსპერტების დასკვნის სახით. ეს მეთოდი გამოიყენება გეგმის შედგენის დროს რიგი საკითხების გადასაჭრელად.

საექსპერტო შეფასებათა მეთოდს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და იგი გამოიყენება, როგორც დაგეგმვის დამხმარე ხერხი.

### გ) მოწინავე საწარმოთა და სტახანოვური მუშაობის გამოცდილების განზოგადოების მეთოდი.

ეს მეთოდი გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მრეწველობის ყველა დარგში გამოვლინებულ იქნას მოწინავე წარმოებებისა და სტახანოველების მუშაობის შედეგები, მათ მიერ მიღწეული თვისობრივი მაჩვენებლები, და დაისახოს ღონისძიებანი ამ პრაქტიკის გასავრცელებლად სხვა საწარმოებების მუშაობის უბნებზე.

### დ) უცხო სახელმწიფოებთან შედარების მეთოდი

ამ მეთოდს მიმართავენ დაგეგმვაში მრეწველობის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლის დადგენის დროს. სოციალისტური მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების დაპირისპირება მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების მაჩვენებლებთან ერთგვარ საზომს გვაძლევს მიღწეული დონის შეფასებისათვის*).

*) ირ. მიქელაძე—„სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა" გვ. 58.

## XIII სამეურნეო ანგარიში და მისი როლი სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკაში

სამეურნეო ანგარიში სოციალისტური სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ყველაზე უფრო გამართლებულ ძირითად მეთოდს წარმოადგენს.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები ოპერაციული ხელმძღვანელობისა და ქონებათა განკარგულების მხრივ დამოუკიდებელია.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებს აქვს თავიანთი საქმიანობის დამთავრებული ბალანსი, დამოუკიდებლად ეწევიან სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ფარავენ მას იმავე წარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლიდან. მიღებული დაგროვებიდან უზრუნველჰყოფენ წარმოებისათვის საჭირო ძირითად საშუალებებს და აძლიერებენ საწესდებო ფონდებს.

სამეურნეო ანგარიში საბჭოთა სინამდვილეში მჭიდროდ დაკავშირებულია ღირებულების კანონის მოქმედებასთან.

„სოციალიზმის დროს ღირებულების კანონი მოქმედებს, როგორც კანონი შეგნებულად გამოყენებული საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სახალხო მეურნეობის გეგმიანი მართვის პირობებში, ეკონომიკის უკრიზისოდ განვითარების პირობებში*).

ჩვენი სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და აღრიცხვა წარმოებს, როგორც ნატურალურ ისე ფულად გამოხატულებაში. ფულის საშუალებით გამოიხატება საწარმოში შექმნილი პროდუქცია და განისაზღვრება წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული დაგროვება.

სამეურნეო ანგარიში გულისხმობს საწარმოს მუშაობის შედეგების შეფასებას, ე.ი. შედეგებს ფულად გამოხატულებაში, რომელიც მიღწეულია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოების მუშაკების სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების დღიდან ამხანაგი ლენინი აყენებდა საკითხს სახელმწიფო წარმოებათა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის აუცილებლობაზე, მაგრამ სამოქალაქო ომებმა იმჟამად შეარყია ფინანსიური მდგომარეობა. უკანასკნელის განმტკიცების გარეშე კი წარმოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა შეუძლებელი ხდებოდა.

---

*) პოლიტიკური ეკონომიის სწავლების ზოგიერთი საკითხები, გამოც. 1944 წ. გვ. 36.

სამხედრო კომუნიზმის პერიოდში ფული, შესყიდვის უნარიანობის მხრივ, ყოველდღიურ დეგრადაციას განიცდიდა, რაც შეუძლებლად ხდიდა მრეწველობაში ფულად გამოხატულებაში აღრიცხვის ორგანიზაციას. ამის გამო შეუძლებელი იყო მანეთით კონტროლის დაწესება, რაც აუცილებელი პირობაა სამეურნეო ანგარიშიანობისათვის.

შედეგად ამისა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში წარმოებები სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის გარეშე დარჩნენ და მათი დანახარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილით იფარებოდა, სახელმწიფო ბიუჯეტშივე შედიოდა წარმოებიდან მიღებული შემოსავალი.

შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია საწარმოთა შორის ფულადი ურთიერთი დამოკიდებულების ნაცვლად ნატურალიზაციის შემოღება, რაც ნიშნავს საწარმოთა შორის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციების ნატურით ანაზღაურებას.

ასეთ პირობებში წარმოებათა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა ცხადია შეუძლებელი იყო.

1922 წელში ამხანაგი ლენინი აღნიშნავდა: ტრესტები და საწარმოები, სწორედ იმიტომ არიან მოწყობილი სამეურნეო ანგარიშზე, რათა თვითონ ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი იმისათვის, რომ მათმა წარმოებებმა ზარალი არ ნახონ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩვენი სახელმწიფო ატარებს მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებებს, რომელნიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებისაკენ. ამ ღონისძიებათა ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოებების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა წარმოადგენს.

საკ. კ. პ. (ბ) მე-XI ყრილობაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფო ნაციონალიზირებული საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამოწვეული იყო იმით, რომ სამხედრო კომუნიზმის პერიოდში საწარმოთა მმართველობის არსებული წესების გამოცდილებამ ცხადჰყვეს მრეწველობაში მმართველობის არსებული წესების შეცვლის აუცილებლობა. სოციალისტური მრეწველობისათვის სრულიად გაუმართლებელი იყო ის მდგომარეობა, რომ საწარმოთა შენახვა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილით იფარებოდა. ფაბრიკა-ქარხნების მმართველობაში ოპერაციული დამოუკიდებლობის ჩამორთმევა უარყოფით შედეგებს იძლეოდა მათ საქმიანობაში.

საჭირო იყო მრეწველობაში მართვის ისეთი წესების შემოღება, რომლის შედეგად ფაბრიკა-ქარხნების ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები თვითონ იქნებოდნენ დაინტერესებული და მოვალეობის მხრივ გაპიროვნებული მათ წარმოებებში, ნორმალური მუშაობის შესაქმნელად, რაც გამოიხატება შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდაში, გამოსაშვები პროდუქციის გეგმის გადამეტსრულებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მზანაწარმის თვითღირებულების შემცირებაში და სოციალისტური დაგროვების გაფართოებაში.

ასეთი დაინტერესება სტიმულირების გარეშე შეუძლებელი იყო და მრეწველობაში სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვა სწორედ ასეთ სტიმულირებას წარმოადგენდა.

საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა აძლიერებდა მათდამი გეგმიან ხელმძღვანელობას.

1924 წელს ფულის რეფორმის დამთავრებამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გეგმიანობისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა ფულის განმტკიცებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ჩვენი მრეწველობის დაგეგმვისა და აღრიცხვის საქმიანობას, ფულის რეფორმამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა მრეწველობაში მანეთით კონტროლის დაწესებას.

1932 წლის აპრილამდე ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის ყველა დარგის გაერთიანებას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარმოადგენდა. პარტია და ხელისუფლება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ავალებდა, რათა ხელმძღვანელობა გაეწია მრეწველობაში სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვასა და განმტკიცებისათვის. ფინანსთა სახალხო კომისარიატზე დავალებული იყო წარმოებებში მანეთით კონტროლის დაწესების უზრუნველყოფა.

1925 წლისათვის ძირითადად დამთავრდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენა. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, რასაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარება ეწოდება.

XIV ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა: „გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით აწარმოოს საჭირო მოწყობილობა,—აი რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დედაარსი, საფუძველი". ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია უზრუნველყოფდა ქვეყნის სამეურნეო დამოუკიდებლობას. ინდუსტრიალიზაცია მტკიცე ბერკეტად შეიქმნებოდა საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის, რაც აუცილებელი იყო ჩვენს ქვეყა-

ნაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ესმოდათ რა ხალხის მტრებს ინდუსტრიალიზაციის გატარების მნიშვნელობა სასტიკად ილაშქრებდნენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ რათა ჩვენი ქვეყანა კვლავ აგრარულ ქვეყნად დარჩენილიყო. მათი აზრით საბჭოთა კავშირში დამზადებული სამრეწველო ნედლეული და მასალები უნდა გაეტანათ საზღვარგარეთ და იქიდან კი შემოეზიდათ საჭირო მანქანა-მოწყობილობა, რაც სოციალისტურ მრეწველობისათვის სრულიად მიუღებელ დებულებას წარმოადგენდა. ყრილობამ სასტიკად დაჰგმო ოპოზიციონერების გამოსვლები და ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარება.

ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარებამ და მისი ამოცანების შესრულებამ, მოითხოვა სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციის ისეთი ახალი ფორმების შემოღება, რომელნიც უზრუნველჰყოფდნენ მრეწველობის მექანიზაციის შედეგად შრომის ნაყოფიერების დინამიკურ ზრდას, თვითღირებულების შემცირებას და სოციალისტური დაგროვების წყაროების გაფართოებას, რაც მიღწეული იქნებოდა წარმოებებისა და მათი გაერთიანებათა (ტრესტების) სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანით.

1927 წელს გამოცემული დებულების საფუძველზე ყველა მსხვილი საწარმო და ტრესტი გადაყვანილ იქნა სამეურნეო ანგარიშზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნულია: „საწარმოთა გადაყვანამ სამეურნეო ანგარიშზე გაამართლა თავის თავი, სამეურნეო ანგარიში ააშკარავებს წარმოების სახეს, ხელს უწყობს წარმოების რაციონალიზაციას, გასაღებისა და მომარაგების სწორ ორგანიზაციას და იწვევს ბიუროკრატიზმისა და „ვოლოკიტის" საწინააღმდეგო ძალებს. ამასთან ერთად წარმოების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, ხელს უწყობს საწარმოო საქმიანობის აღრიცხვის რაციონალურ დაყენებას და მასების მიერ ამ საქმიანობის გაცნობას".

ამავე დადგენილებით დაკანონებულია ღონისძიებები „მრეწველობის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციის შესახებ", სადაც ჩამოყალიბებული იყო სამეურნეო ანგარიშის პრინციპები, რაც გამოიხატებოდა:

1) წარმოების აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია ფულად ფორმაში, სოციალისტური დაგროვების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების საფუძველზე. 2) საწარმოთა ხარჯების შემცირება. წარმოების საქმიანობის, ზარალგარეშე რენტაბელურად წარმართვა. 3) საწარმოებისათვის საკუთარი ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყოფა, რომლის სიდიდე ყოველ-

წლიურად განისაზღვრება წარმოების საწარმოო-საფინანსო გეგმით, 4) საწარმოო წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს, რომელიც განაგებს მისთვის გამოყოფილ ფულად და მატერიალურ სახსრებს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ითვლება დამოუკიდებელ იურიდიულ ერთეულად.

ამ დადგენილებამ უდიდესი როლი შეასრულა სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარებამ სოციალისტური მრეწველობის წინაშე უდიდესი და გადაუდებელი ამოცანები დააყენა, რაც მიმართული იყო სოციალისტური დაგროვების გასაფართოებლად.

არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა და განვითარება, თუ მან არ აწარმოა დაგროვება. ცხადია, არც ჩვენს ქვეყანას არ შეეძლო ისეთი დიდი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა, როგორიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არის, თუ არ აწარმოებდა სოციალისტური დაგროვების გაფართოებას.

სამეურნეო საქმიანობაში აღმოჩენილი დეფექტების აღმოსაფხვრელად და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა არსებული საკრედიტო და საგადასახადო სისტემის რეფორმა, რაც გატარებულ იქნა 1930—1931 წლებში.

1930 წელს მრეწველობაში მრავალი სახის გადასახადიანობის ნაცვლად შემოღებულ იქნა ორი სახის გადასახადი: ბრუნვიდან გადასახადი და მოგების ანარიცხები.

1932 წლიდან შემოღებულ იქნა ახალი საკრედიტო რეფორმა. ამ დადგენილებით გაუქმებულ იქნა კომერციული კრედიტი, რაც წარმოებათა შორის ურთიერთ ანგარიშსწორების დროს თამასუქების სისტემაში გამოიხატებოდა. წარმოება პროდუქციას ნისიად— კრედიტში აძლევდა მყიდველს, რომლისგან ის ღებულობდა თამასუქს. კომერციული კრედიტის ასეთი სისტემა არ შეეფერებოდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ამოცანებს.

კომერციული კრედიტების სისტემა აძნელებდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვას, ასუსტებდა ფინანსიურ კონტროლს და აძნელებდა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, რის გამო შემოღებულ იქნა ერთიანი სახელმწიფო კრედიტი, ე. ი. სახალხო მეურნეობის სახელმწიფო ბიუჯეტით დაკრედიტება.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საფუძველზე, მრეწველობის ყველა დარგში მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდა, რამაც გაზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის არსებული დონე.

პროდუქციის თვითღირებულების თანდათანობითი შემცირებამ გაზარდა სოციალისტური დაგროვება.

1936 წელს გატარდა ახალი ღონისძიებანი, რაც საუკეთესო სტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებათა კიდევ უფრო კარგად მუშაობისათვის. სახელდობრ, 1936 წელს შემოღებულ იქნა:

ა) დირექტორის ფონდის შექმნა. დირექტორის ფონდში ჩაირიცხებოდა გეგმით გათვალისწინებული დაგროვების 4% და ზეგეგმიური დაგროვების 50%. დირექტორის ფონდის 50% იხარჯებოდა საბინაო მშენებლობაზე, 50% კი—კაპიტალურ მშენებლობაზე და პრემიებზე*).

ბ) გაუქმებულ იქნა წარმოებებზე დოტაციის გაცემა. წარმოებას უნდა ემუშავა ზარალის გარეშე, რაც მიღწეული უნდა ყოფილიყო წარმოებაში შრომის სწორი ორგანიზაციით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით, ზედნადები ხარჯების შემცირებით და მასალების მომჭირნეობითა და რაციონალური გამოყენებით.

გ) დაწესებულ იქნა ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციაზე ახალი ფასები. ამ ღონისძიებამ უზრუნველჰყო ამ დარგის წარმოებათა დოტაციის გარეშე მუშაობა.

სამამულო ომის პერიოდში და მის შემდგომ, ომამდე არსებული სამეურნეო ანგარიშის პრინციპიალური საფუძვლები უცვლელი დარჩა, თუმცა ის უკვე განსხვავდება თავისი ფორმითა და მეთოდებით ომამდელ სამეურნეო ანგარიშისაგან. ომმა წამოაყენა მოთხოვნილება წარმოების ცენტრალიზაციისა და ხელმძღვანელობის ოპერაციულობის სიზუსტით განხორციელების. ომის პერიოდში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება ხდება სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციასთან ერთად.

ომის დროს სახალხო კომისრებს უფლება მიეცათ გაანაწილონ და გადაანაწილონ მათ კომისარიატში შემავალ საწარმოთა შორის მატერიალური რესურსები, ძირითადი ფონდები და სხვა. დაგროვება საწარმოებში კი არ რჩებოდა, არამედ გადადიოდა სახელმწიფოს ხელში, რაც ხელს უწყობდა სახელმწიფო ბანკების მიერ დაკრედიტებას და მოგების საჭიროების მიხედვით განაწილებას. ომის პერიოდში, მოხდა დირექტორის ფონდის დროებით გაუქმება, რამაც გამოიწვია საწარმოთა შორის დეცენტრალიზებული დაგროვების ფონდის ცენტრალიზაცია.

---

*) სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 9 აგვისტოს № 2995 დადგენილებით დირექტორის ფონდში გადაირიცხება გეგმიური დაგროვებიდან 1%, ზეგეგმიურ დაგროვებიდან—15%.

სამამულო ომის რთულ პირობებში სამეურნეო ანგარიშზე მყოფმა მთელმა რიგმა წარმოებებმა, მათი ხელმძღვანელთა კარგი მუშაობის შედეგად ასეული მილიონების ზეგეგმიური დაგროვება მისცეს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რაც მიღწეულ იქნა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრეწვკომბინატი სხვადასხვა დარგის წარმოებათა გაერთიანებას წარმოადგენს. მრეწვკომბინატი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი გაერთიანებაა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შედიან საამქროები.

განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია მრეწვკომბინატის გაერთიანებაში იყოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოებები,მაგრამ ასეთის არსებობა დასაბუთებული უნდა იქნას წარმოების დიდი მოცულობითა და სირთულით.

მრეწვკომბინატი თავისი საქმიანობის ასპარეზს აფართოვებს ადგილობრივი ნედლეულისა და ქარხანა-ფაბრიკების ნარჩენების გადამუშავების ბაზაზე.

საკავშირო მინისტრთა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 7 იანვრის № 54 დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ რაიონული დაქვემდებარების წარმოებების მიერ ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათ-სანოვაგის გამოშვების გაფართოებას. მრეწვკომბინატს უფლება ეძლევა მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული დაგროვების 50% დააბანდოს ფართო მოხმარების საგნებისა და სურსათ-სანოვაგის გამომშვებ წარმოებათა გაფართოება—მშენებლობაზე.

## XIV. საწარმოო-საფინანსო გეგმის მაჩვენებლები

მრეწველობის საწარმოო გეგმა მაჩვენებლების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივ და თვისობრივ (ჯგუფად) მაჩვენებლებად.

1. რაოდენობრივი მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლებს ეკუთვნის საერთო პროდუქცია უნიფიცირებულ და გასაცემ ფასებში. სასაქონლო პროდუქცია გასაცემ ფასებში, პერსონალთა რიცხობრივი მაჩვენებლები, ხელფასის ფონდი, საწარმოო მოწყობილობათა წარმადობა, საჭირო კაცდღეთა რაოდენობა და საფინანსო გეგმის ყველა მაჩვენებელი.

2. თვისობრივი მაჩვენებლებს ეკუთვნის: შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულების, ტექნიკურ-ეკონომიური, ხარისხობრივი და სხვა მაჩვენებლები.

სოციალისტურ მრეწველობაში რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები ურთიერთთან მტკიცე დამოკიდებულებაში იმყოფება და ერთი მათგანის შეცვლა იწვევს მეორის შეცვლას.

მაგ., შრომის ნაყოფიერების ზრდა დროის იმავე მონაკვეთში იწვევს ზედმეტი პროდუქციის დამზადებას.

ზედმეტი პროდუქციის გამოშვება—პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება—სასაქონლო პროდუქციის ღირებულების შემცირებას და ა. შ.

### საწარმოო-საფინანსო გეგმის შემადგენელი ნაწილები:

#### I. პროდუქცია

1. საერთო პროდუქცია უნიფიცირებულ ფასებში.
2. საერთო პროდუქცია გასაცემ ფასებში.
3. სასაქონლო პროდუქცია გასაცემ ფასებში.
4. პროდუქცია ნატურალურ გამოხატულებაში.

#### II. შრომის მაჩვენებლები

1. ერთი მუშის საშუალო (წლიური, კვარტალური) გამომუშავება.
2. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო სიობრივი რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი (კატეგორიების მიხედვით).
3. არასამრეწველო პერსონალთა შემადგენლობის სიობრივი რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი.
4. უხალხო ხელფასის ფონდი, ე. ი. იმ პირთა ხელფასის ფონდი, რომლებიც წარმოების პერსონალთა შემადგენლობაში არ ირიცხებიან.

III. პროდუქციის ხარისხობრივი გეგმა.

IV. საწარმოო-ტექნიკური მაჩვენებლები.

V. ძირითადი და დამხმარე მასალათა ბალანსი.

VI. საამქრო ხარჯების წლიური და კვარტალური გეგმა.

VII. საერთო საქარხნო (საფაბრიკო) ხარჯთაღრიცხვა (წლიური, კვარტალური).

VIII. კომერციული თვითღირებულების შემცირების გეგმა.

XI. დანახარჯების შენაერთი გეგმა.

X. კაპიტალური მშენებლობის გეგმა.

XI. კაპიტალური შეკეთების გეგმა.

XII. მრეწველობის დაფინანსება.

1. შემოსავალ-გასავლის ბალანსი.
2. საბრუნავ საშუალებათა საჭიროება.
3. შედეგების გაანგარიშება.

4. საფინანსო გეგმა.
5. საკრედიტო განაცხადი.
6. საწარმოოს ბალანსი.

საწარმოო-საფინანსო გეგმას თან უნდა ახლდეს სათანადო გაანგარიშება და დასაბუთება საწარმოო გეგმის მთავარ მაჩვენებლებზე, რომლის გარეშე შედგენილი გეგმა დეფექტიურია. ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმის დამტკიცება-გაანგარიშება-დასაბუთების გარეშე არ შეიძლება.

საწარმოო საფინანსო გეგმის შედგენისა და ანალიზის ელემენტარული წესების გაცნობის და ნათელყოფის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ პირობითი აღებული აგურის ქარხნის საწარმოო-საფინანსო წლიური გეგმის შედგენის მაგალითი.

### საწარმოო-საფინანსო გეგმა.

წარმოების საწარმოო-საფინანსო გეგმა, მისი ზემდგომი ორგანოების დამტკიცების შემდეგ ამ წარმოებისათვის საგეგმო პერიოდში სამოქმედო კანონს წარმოადგენს, რის გამო საჭიროა საწარმოო-საფინანსო გეგმა შედგენილ იქნას სრული ეკონომიური გაანგარიშებით.

„ადგილობრივი მრეწველობის დაგეგმვის მეთოდების“ თავში მოცემულია მრეწველობის დაგეგმვის მთელი რიგი მეთოდები. ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის წარმოებათა დაგეგმვისათვის საკმარისია გამოვიყენოთ დაგეგმვის შემდეგი მეთოდები: ა) წარმოების დაგეგმვა წარმოებაში მოქმედ მანქანა-მოწყობილობათა წარმადობის მიხედვით; ბ) წარმოების დაგეგმვა გასული წლის მიღწევებისა და საგეგმო პერიოდის პერსპექტივების მიხედვით; გ) საბალანსო გაანგარიშების მიხედვით და დ) მოწინავე საწარმოთა და სტახანოვური მუშაობის გამოცდილების განზოგადოების მიხედვით.

საწარმოო-საფინანსო გეგმის მთავარ მაჩვენებელთა გაანგარიშება-შედგენის ელემენტარული წესების პრაქტიკულად გადმოცემის მიზნით მაგალითისათვის ავიღოთ 1000,0 ათასი ცალი (ერთი მილიონი) აგურის წარმადობის მქონე ქარხანა და მისთვის შევადგინოთ საწარმოო-საფინანსო გეგმა. დავუშვათ, რომ ქარხანა საანგარიშო წლამდე ექსპლოატაციაში იმყოფებოდა და წინა წელში ქარხნის ხელმძღვანელობამ დაამზადა თიხა 300 კბმ. და ალიზი 150,0 ათასი ცალი.

როგორც წესი, ვიდრე შევუდგებოდეთ საწარმოო გეგმის ფორმების შევსებას, საჭიროა, პირველ ყოვლისა, საწარმოო გეგმის მთავარი მაჩვენებლების გაანგარიშება-დასაბუთება.

## ნედლეული

აგურის ქარხნისათვის ძირითად ნედლეულს თიხა წარმოადგენს. დავუშვათ, რომ აღნიშნული თიხა გამოცდილია და დადგენილია, რომ მისგან გამოშვებული აგური, ხარისხის მიხედვით, მიეკუთვნება 150—125 მარკებს (1 ხარისხი). 1000 ცალ გამომწვარ აგურს, დანაკარგების მხედველობაში მიღებით, ესაჭიროება 1100 ცალი ალიზი (დანაკარგები, დამზადებიდან გამოწვის ჩათვლით, ნავარაუდებია 10%). 1000 ცალი ალიზის დასამზადებლად საჭიროა 3 კბმ. თიხა.

აგურ-კრამიტის ქარხნების დატვირთვით მუშაობისათვის აუცილებელია, რათა დაყალიბების სეზონის განმავლობაში ქარხნებმა შესძლოს დაყალიბება ალიზისა იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ღუმელის მუშაობას მიმდინარე წელში და მომავალი წლის დაყალიბების სეზონის დაწყებამდე. წლის განმავლობაში ღუმელი უნდა მუშაობდეს არა ნაკლებ 11 თვისა. ერთი თვე კი საჭიროა ღუმელზე მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად.

გამომწვარი აგურის გამოშვების გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ალიზის დანაკარგების შემცირებას. საქართველოში ბევრმა აგურ-კრამიტის ქარხნებმა შესძლეს დანაკარგებზე და წუნზე არსებული ნორმის 50%-ით შემცირება. ალიზის გარდამავალ ნაშთთან დაკავშირებულია წლის პერიოდის განმავლობაში ღუმელის მუშაობის ხანგრძლივობა. ალიზის დანაკარგების შემცირების საკითხის შესწავლას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან რესპუბლიკის მასშტაბით შეჯამებული ასეთი დანაკარგების შემცირების თითოეული პროცენტი სოციალისტურ მშენებლობას მილიონობით ზედმეტ ცალ აგურს მიაწოდებს.

ჩვენ, გეგმის შედგენისათვის—პირობით ვღებულობთ ალიზის დანაკარგს 10%, ე. ი. 1000,0 ათასი ცალი გამომწვარი აგურისათვის საჭირო იქნება 1.100,0 ათასი ცალი ალიზი. 1100,0 ათასი ცალი ალიზისათვის კი საჭიროა 3300 კბმ. თიხა. თიხის დამზადებაზე გამომუშავების ნორმები დაწესებულია მხოლოდ დამზადებულ გაცრილ თიხაზე, ფუჭი მინარევების გამოკლებით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დამზადებული თიხის 30%-მდე აღწევს.

**ძირითადი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ბალანსი**

| | აღრიცხვ. ერთეული | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | საჭიროა წლ. განმავლ. | საჭიროა გარდამ. მარაგისათვის | სულ უნდა დამზადდეს |
|---|---|---|---|---|---|
| თიხა . | კბმ | 300 | 3300 | 600 | 3600 |
| ალიზი . | ათ. ც. | 150,0 | 1100 | 300,0 | 1250,0 |

ალიზის დამზადების სეზონი საშუალოდ განისაზღვრება საანგარიშო წლის პირველ აპრილიდან პირველ ნოემბრამდე.

აგურ-კრამიტის ქარხნის მუშაკების მთავარ ამოცანას წარმოადგენს დაყალიბების სეზონში უზრუნველყოფა ალიზის იმ რაოდენობით დამზადება, რომ გარდამავალმა ნაშთმა მომავალი წლის 1 კვარტალში უზრუნველჰყოს ნორმალური დატვირთვით ღუმელის მუშაობა. აგურის წარმოებაში ძირითადი ნედლეულისა და დაუმთავრებელი ნაწარმის ღირებულება განისაზღვრება მასზე დახარჯული ხელფასით, ხელფასზე ანარიცხებით და პირდაპირი და საამქრო ხარჯებით.

## საწვავი მასალა

საშენი მასალების დამზადებაზე (აგური, კრამიტი, კირი, გაჯი, ალებასტრი და სხვა) დიდი რაოდენობით იხარჯება საწვავი მასალა. აგურის ქარხანაში ერთეულ პროდუქციაზე ნახშირის ხარჯვის რაოდენობა დამოკიდებულია ღუმელის სისტემაზე და ნახშირის თბოუნარიანობაზე. მაგალითად, „ზიგ-ზაგის“ სისტემის ღუმელში 1000 ცალი აგურის გამოწვაზე იხარჯება 200 კგ. პირობითი სათბობი, ჰოფმანის სისტემის ღუმელში—220 კგ. და საველე ღუმელში კი 400 კგ.

პირობით სათბობად ითვლება 7.000 კალორიის მქონე სათბობი, რის გამო ჩვეულებრივი საწვავი მასალის პირობით სათბობზე გადაანგარიშება წარმოებს მისი კალორიანობის 7000 კალორიასთან შეფარდებით. საწვავი მასალის ხარისხი განისაზღვრება მისი თბოუნარიანობით, რაც კალორიათა რაოდენობით აღირიცხება. სხვადასხვა საწვავი მასალას სხვადასხვა ოდენობის კალორიანობა ახასიათებს. ამის გამო რომელიმე საწვავი მასალის პირობითი სათბობზე გადაყვანისათვის საჭიროა მისი კალორიანობა გავყოთ 7000-ზე. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირს აქვს დაახლოებით 4.700 კალორიანობა, რაც პირობითი სათბობზე გადაყვანით უდრის 4.700:7.000 = =0,67 პირობითი სათბობს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 ტ. პირობითი სათბობი თავისი თბოუნარიანობით უდრის $\frac{1}{0,67}$ = თითქმის 1,5 ტონა ტყიბულის ქვანახშირს.

ტყვარჩელის ქვანახშირის კალორიანობა უდრის დაახლოებით 5.000, რაც შეადგენს 0,71 პირობითი სათბობისას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკული ინსტიტუტის გამოკვლევით ახალციხის ქვანახშირის საშუალო კალორიანობა 3400-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე 1 ტონა ახალციხის

ნახშირი უდრის 3.400 : 7000 = 0,486, ანუ დამრგვალებით 0,49 ტონა პირობით სათბობს.

ზემოთმიღებულ განაყოფებს: 0,67-ს, 0,71-ს და 0,49-ს ეწოდება სათანადო ქვანახშირების პირობით სათბობზე გადასაყვანი კოეფიციენტები. ზემონაჩვენები წესით მიღებული განაყოფები (კოეფიციენტები) გვიჩვენებენ პირობითი სათბობის თუ რა ექვივალენტს შეადგენენ ესა თუ ის ქვანახშირები, ან სხვა საწვავი მასალები.

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1926 წლის № 676 ბრძანებით დაადგინა პირობითი სათბოზის თუ რა ექვივალენტია სხვადასხვა ცნობილი საწვაები.

| სათბობის სახეები | აღრიც. ერთეული | პირობითი სათბობი | სათბობის სახეები | აღრიცხვის ერთეული | პირობითი სათბობი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კუზნეცკის ქვანახშირი . . . . . | ტონა | 1.00 | 8. კუზნეცკის კოქსი | ტონა | 0,93 |
| 2. დონის ქვანახშირი . . . | | 0,98 | 9. დონის კოქსი . | | 0,93 |
| 3. არტემოვის ქვანახშირი . . . . | | 0,57 | 10. ძრავის ნავთობი | | 1,43 |
| 4. თურქესტანის . . | | 0,71 | 11. ტორფი (25% ტენიანობისა) . | | 0,45 |
| 5. ჩელიაბინსკის . . | | 0,61 | | | |
| 6. შეშა (25% ტენიანობის) . . . . . | კბმ. | 0,183 | 12. ელექტროენერგია . . . . | 1 კილოვატ-საათი | 0,001 |
| 7. ხის ნახშირი . . | ტონა | 0,93 | | | |

რაიონული დაქვემდებარების საშენმასალათა წარმოების საჭიროებისათვის გამოყოფილი იქნება ახალციხის ქვანახშირი, რომლის კალორიანობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 3400 უდრის, რაც პირობითი სათბობის კალორიანობის 0,49 შეადგენს.

ჰოფმანის სისტემის ღუმელებში მათი შიდაკონსტრუქციული სხვადასხვაობის მიხედვით 1000 ცალი აგურის გამოსაწვავად საჭიროა 200-დან 220-მდე კილოგრამი პირობითი სათბობი. ახალციხის ქვანახშირი კი მისი კალორიანობის მიხედვით, საჭირო იქნება 410-დან 450-მდე კილოგრამი. დაგეგმვისათვის პირობითი სათბობის საშუალო ხარჯი 1000 ცალზე 430 კგ. ვიანგარიშოთ.

აქედან გამომდინარე 1000,0 ათასი ცალი აგურის გამოსაწვავად საჭირო იქნება:

$430 \times 1000 = 430.000$ კგ. ანუ 430 ტონა ახალციხის ქვანახშირი.

1 ტონა ახალციხის ქვანახშირი (ფრანკო ვაგონი გამოგზავნის ადგილი) ღირს 47 მან. და 83 კაპ. და ქარხანაში მოტანით კი ეღირება 90 მან. და 70 კაპ. მაშასადამე, 1000 ცალ აგურზე დაიხარჯება 430 კგ., ანუ 0,43 ტონა ღირებული 90,7 მან.$\times$0,43=39 მან. და 00 კ. და 1000,0 ათ. ცალ აგურზე კი—39.000 მანეთის ღირებულების ქვანახშირი.

## შრომა

საშენ მასალათა პროდუქციის თვითღირებულების ცალკეულ ელემენტებთა შორის დიდი ხვედრითი წონა ხელფასს უკავია. აგურის დამზადების პროცესში ძირითადი მასალისა და ნახევარფაბრიკატის ღირებულების უმთავრეს ნაწილს ამ უკანასკნელებზე დახარჯული ხელფასი და ხელფასზე ანარიცხები შეადგენს.

როგორც ზემოთ იყო გაანგარიშებული, ჩვენი მაგალითისათვის წლის განმავლობაში დამზადებული უნდა იქნას:

| | |
|---|---|
| 1. თიხა . | 3600 კბმ. |
| 2. ალიზი | 1250,0 ათ. ცალი |
| 3. აგური | 1000,0 ათასი ცალი |

საერთო პროდუქციის შემადგენლობაში შეტანილი უნდა იქნას ალიზი და გამომწვარი აგური.

1000 ცალი ალიზის უცვლელი ფასი უდრის 24 მანეთს, აგურის—39 მანეთს.

აქედან გამომდინარე აღნიშნული ქარხნის საერთო პროდუქცია უცვლელ ფასებში შემდეგნაირად გამოიხატება:

| | | |
|---|---|---|
| ალიზი | $24 \times 1250$ | =30.000 მანეთი |
| აგური | $39 \times 1000,0$ | =39.000 მანეთი |
| | სულ | 69.000 მანეთი |

ამ რაოდენობას გამოაკლდება გადამუშავებაში გადასული ალიზის ღირებულება 1.100,0 ათასი ცალი$\times$24=26.400 მანეთი, რის შემდეგ

საერთო პროდუქცია 1926/27 წლის უცვლელ ფასებში გვექნება 69.000—26.400=42.600 მანეთის რაოდენობით.

ამავე მეთოდით უნდა წარმოებდეს საერთო პროდუქციის გაანგარიშება სხვადასხვა (საგეგმო-საბითუმო, მოქმედი-საბითუმო, საწარმოო-საგასაცემო და საცრეწველო) ფასებში.

აღნიშნული ქარხნისათვის პირობით მიღებული გამომუშავების ნორმებისა და შეფასების საფუძველზე 1949 წლისათვის შემდეგი სახის შრომის მაჩვენებლები იქნება საჭირო.

## თიხის დამზადება

სატარიფიკაციო ცნობარის მიხედვით თიხის დამამზადებელი მიკუთვნილია IX თანრიგზე, რომლის დღიური სატარიფო განაკვეთი 13 მან. და 81 კაპ. შეადგენს. გამომუშავების ნორმა 7 კუბური მეტრია დადგენილი. აქედან გამომდინარე 1 კბმ. თიხის შეფასება უდრის 1 მან. და 97 კაპ. (13 მან. და 81 კაპ. : 7).

სულ 3600 კბმ. თიხის დამზადებაზე დაიხარჯება 514 კ/დღე. 10125 მანეთის დღიური ხელფასის ფონდის რაოდენობით.

## ალიზის დამზადება

რაიონული მრეწველობის მცირე წარმადობიდან აგურის ქარხნებში ალიზის დაყალიბება ხშირად კუსტარული წესით წარმოებს, ხოლო დიდ წარმადობიან ქარხნებში — სათანადო წარმადობიან აგრეგატებზე, რომელთა საშუალებით დიდი რაოდენობით დაყალიბებულ ალიზს, დიდი ფართობის მქონე ბუნებრივი საშრობი ფარდულები, ანდა ხელოვნური საშრობი ესაჭიროება. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია კაპიტალურ დიდ დაბანდებასთან.

თიხის მოზელა მეტწილად თიხის საზელი მანქანებით წარმოებს.

როგორც თიხის დამზადებაზე, ისე ალიზის დაყალიბებაზე გამომუშავების ერთიანი ნორმები არ არსებობს, რადგან აღნიშნული სამუშაოები დამოკიდებულია როგორც ადგილობრივი კლიმატურ პირობებზე, ისე თიხის ბუდობის თავისებურებასა და თვით თიხის ხარისხზე.

ჩვენს შემთხვევაში ალიზის დამზადებაზე პირობით ვღებულობთ გამომუშავების შემდეგ საშუალო ნორმებს:

| პროცესის დასახელება | საზომი ერთეული | თანრიგი | გამომუშ. ნორმები | დღიური სატარი-ფო განაკვ. მან. კაპ. | შეფასება ერთეულ-ზე მან. კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| თიხის მიტანა საზელთან ხელსაზიდით 100 მეტრზე | კბმ | VII | 3 | 12—01 | 4—00 |
| თიხის ჩაყრა საზელში . . | | VII | 6 | 12—01 | 2—00 |
| მოზელილი თიხის მიტანა საყალიბო მაგიდასთან . . | | VII | 3 | 12—01 | 4—00 |
| დაყალიბება . . . . | ცალი | IX | 1200 | 13—81 | 11—50 |
| გამშრალი ალიზის ხორა-ხორად დალაგება . . | | V | 4000 | 10—91 | 2—73 |
| გამშრალი ალიზის შეზიდვა სამარაგო ფარდულში | | VII | 3500 | 12—01 | 3—42 |

## აგურის გამოწვა

დასაგეგმი აგურის ქარხნისათვის ვითვალისწინებთ ჰოფმანის ტიპის პატარა ღუმელს, ეგრეთ წოდებულ „მალიუტკა“-ს, რომლის საშუალო წარმადობაა წელიწადში (10 თვის განმავლობაში) ერთი მილიონი ცალი დახარისხებული აგური (გამომწვარი, წუნის გამოკლებით).

აგურის გამოწვაზე გამომუშავების ნორმებს პირობით ვღებულობთ შემდეგს:

| პროცესის დასახელება | საზომი ერთეული | თანრიგი | გამომუშავების ნორმა | დღიური განაკვეთი მან. კაპ. | შეფასება ერთეულზე მან. კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ალიზის მიტანა ფარდულიდან ქურამდე . | ცალი | VII | 4,0 | 12—01 | 3—00 |
| 2. ალიზის შეზიდვა ქურაში და ჩაწყობა . . . . | | X | 2,0 | 14—31 | 7—15 |
| 3. ნახშირის მიწოდება ღუმელის თავზე . . . | ტონა | VII | 1,0 | 12—01 | 12—01 |
| 4. აგურის გამოწვა . | ათ. ცალი | XI | 3,0 | 15—51 | 5—17 |
| 5. გამომწვარი აგურის გამოტვირთვა და ხორა-ხორად დაწყობა | | VIII | 3,0 | 12—71 | 4—23 |

აღნიშნული ნორმირებული სამუშაოთა გარდა ქარხანაში არსებობს ისეთი დამხმარე სახის სამუშაოები, რომელთა პროცესებზე გამომუშავების ნორმები არ არსებობს. ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის მუშას ხელფასი ეძლევა დღიური სატარიფო განაკვეთის მიხედვით.

მსგავს სამუშაოთა სახეობას მიეკუთვნება: დაგროვილი ღორღისა და გაფუჭებული ალიზის გადაყრა, წყლის მიწოდება, ღუმელის კამერების დასუფთავება და სხვა. ამ სამუშაოთა შესრულებისათვის ვითვალისწინებთ 6 მუშას. მათ შორის:

ალიზის დამზადებაზე . 3 მუშას
და აგურის გამოწვაზე . . 3 მუშას.

მათი შრომა მიკუთვნილი იქნება V თანრიგზე, დღიური განაკვეთით 10 მან. და 91 კაპ. რაოდენობით.

უნდა გვახსოვდეს, რომ დროებრივი მუშები მონაწილეობას ღებულობენ შრომის ნაყოფიერების შესრულების საერთო მაჩვენებლებში, რის გამო საჭიროა მონარდე მუშების რაოდენობრივი ზრდით დამხმარე მუშების რაოდენობრივი შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

### მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი

საშუალო სიობრივი რიცხვის დასადგენად, ქარხანაში მოქმედი გამომუშავების ნორმების მიხედვით, უნდა გავიანგარიშოთ წლიურად საჭირო კაცდღეთა რიცხვი და მიღებული ჯამი გავყოთ ერთი მუშის წლიურ საშუალო გამოსვლის დღეთა რიცხვზე.

როგორც გაანგარიშების ცხრილიდან ჩანს ჩვენს მიერ დასაგეგმი აგურის ქარხნის საწარმოო დავალებათა შესასრულებლად საჭირო იქნება: (იხ. ცხრილი 67 გვ.).

1) 3600 კბმ. თიხის დასამზადებლად . 514 კ. დღე
2) 1250,0 ათასი ცალი ალიზის „ . . . . . 5648 „
3) 1000,0 ათასი ცალი აგურის გამოსაშვებად —2755 „

სულ . . . . . 8917 კაცდღე

აგურის მრავალი ქარხნის სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ იქ შრომის ნაყოფიერების გეგმა სრულდება 150%-მდე და უფრო მეტად, რაც თავისთავად ამცირებს ქარხანაში მუშათა რიცხვის მოთხოვნილებას. აღნიშულის გამო არსებული გამომუშავების ნორმა-შეფასებებს ვტოვებთ უცვლელად, ხოლო საჭირო მუშა-ხელის გეგმით განსაზღვრისას კი ვითვალისწინებთ ნორ-

## გაანგარიშების ცხრილი

| პროცესების დასახელება | აღრიცხვის ერთეული | სამუშაოს მოცულობა | გამომუშავების ნორმა | შეფასება მან. კაპ. | კაცდღეები | ხელფასის ფონდის რაოდენობა მან. |
|---|---|---|---|---|---|---|
| თიხის დამზადებაზე სულ . | კბმ | 3600 | 7 | 1—97 | 514 | 7090 |
| თიხის მიტანა საზელთან . . | | 3750 | 3 | 4—00 | 1250 | 15000 |
| „ ჩაყრა საზელში . . . . | | 3750 | 6 | 2—00 | 625 | 7500 |
| მოზელილი თიხის მიტანა საყალიბემდე . . . . | „ | 3750 | 3 | 4—00 | 1250 | 15000 |
| დაყალიბება . . . . . . . | 1000 ც. | 1250 | 1,2 | 11—50 | 1060 | 14200 |
| გამშრალი ალიზის ხორა-ხორად დალაგება . . . . . . . . | | 1165 | 4,0 | 2—73 | 291 | 3180 |
| მშრალი ალიზის შეტანა ფარდულში . . . . . . . . | | 1163 | 30,5 | 3—42 | 332 | 3980 |
| დამხმარე მუშები V თანრიგის 3 კაცი . . . . . . . | — | — | — | — | 840 | 3160 |
| ალიზის დამზადებაზე სულ . | — | — | — | — | 5648 | 68020 |
| ალიზის მიტანა ფარდულიდან ქურამდე . . . . . . . . | 1000 ც | 1040 | 4,0 | 3—00 | 260 | 3120 |
| ალიზის შეტანა ქურაში და ჩაწყობა . . . | | 1030 | 2,0 | 7—15 | 515 | 7600 |
| ალიზის გამოწვა . . . | | 1000 | 3,0 | 5—17 | 343 | 5170 |
| ღუმელიდან აგურის გამოტვირთვა და დაწყობა . . . . | | 1000,0 | 3,0 | 4–23 | 367 | 4230 |
| ნახშირის მიწოდება 100 მეტრიდან . . . . . . . . | ტონა | 430 | 1,0 | 12—00 | 430 | 5160 |
| დამხმარე მუშები V თანრიგის 3 კაცი . . . . . . . | — | — | — | — | 840 | 9160 |
| აგურის გამოწვაზე სულ . . | — | — | — | — | 2755 | 34.440 |
| სულ მუშების დღიური ხელფასის ფონდი . . | — | — | — | — | 8917 | 109.550 |
| დამატებითი ხელფასი 5% . | — | — | — | — | — | 5.480 |
| მუშების წლიური ხელფასის მთლიანი ფონდი . . . . | — | — | — | — | — | 115.030 |

მების გადამეტსრულებას 140%-ის რაოდენობით. რაც შეეხება საჰირო ხელფასის ფონდს, მას ვტოვებთ არსებულ დონეზე შეუცვლელად. მუშების საშუალო სიობრივი რიცხვის შემცირება და ნორმა შეფასების საფუძველზე გაანგარიშებული ხელფასის ფონდის დატო-

ვება გაზრდის ერთი მუშის საშუალო გამომუშავებას და მუშის საშუალო ხელფასს.

ასეთი მდგომარეობის შედეგად ქვემომოყვანილი ტაბულა შემდეგნაირად გამოიხატება:

| პროდუქციის სახე | საჭირო კაცდღეები | | მუშათა საშუალო წლიური სიობრივი რიცხვი | დღიური ხელფასის ფონდი მან. | წლიური ხელფასის ფონდი მან. | ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი მან. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამომუშავების ნორმებით | 140%-ის გადამუშავებით | | | | |
| თიხის დამზადებაზე | 514 | 367 | 1,3 | 7090 | 7440 | 5723 |
| ალიზის „ | 5648 | 4034 | 14,6 | 68.020 | 71.421 | 4891 |
| აგურის გამოწვაზე | 2755 | 2909 | 7,0 | 34.440 | 36.162 | 5166 |
| სულ . . . | 8917 | 6370 | 23 | 109.550 | 115.023 | 5000 |

აგურ-კრამიტის ქარხანაში ერთი მუშის სამუშაოზე გამოსვლის დღეთა რიცხვი დიდად დამოკიდებულია ქარხნის მოწყობილობა-დანადგარებზე. მექანიზაციაქმნილი აგურ-კრამიტის ქარხანაში ძირითადი ნედლეულის (თიხის) ღია სამუშაოებზე დამზადების გარდა დანარჩენი მუშაობა ჭერქვეშ წარმოებს. ასეთ პირობებში მუშის გამოსვლის დღეთა რიცხვი დიდია.

რაიონული დაქვემდებარების აგურ-კრამიტის ქარხნებში კი მეტწილი საწარმოო პროცესები კუსტარული და ნახევარ-კუსტარული წესით, ღია ცისქვეშ წარმოებს, რის გამო მუშების სამუშაოზე გამოსვლის დღეთა რიცხვი, როგორც კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული, მცირეა.

ჩვენს მიერ დასაგეგმი ქარხნისათვის თითოეული მუშის საშუალო წლიური გამოსვლას ვღებულობთ 277 დღეს. აქედან გამომდინარე, მუშების საშუალო სიობრივი რიცხვის დასადგენად ყველა მუშის ნამუშევარი კაცდღეთა რიცხვი 6370 უნდა გავყოთ ერთი მუშის საშუალო წლიურ გამოსვლაზე (277-ზე), რის შედეგად მივიღებთ $6370 : 277 = 23$ კაცს.

შრომის მაჩვენებელთა გეგმაში მოცემული უნდა იქნას წარმოებაში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა მთლიანი შემადგენლობა მათი პერსონალური დანაწილების მიხედვით.

ჩვენ უკვე გავიანგარიშეთ მუშების სიობრივი რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი. ახლა საჭიროა ასეთივე მაჩვენებლების მონაცემები მოსამსახურეებზე, მათი პერსონალური დანაწილების მიხედვით.

ამისათვის ადმინისტრაციულ-ტექნიკური მომსახურებისათვის ავიღოთ შემდეგი საამქრო და საქარხნო საშტატო ერთეულები:

## საამქრო პერსონალის შემადგენლობა

| თანამდებობის დასახელება | ერთეუ-ლი | თვიური ხელფასი. მან. | წლიური ხელფასის ფონდ. მან. | კატეგორიებად დაყოფა |
|---|---|---|---|---|
| 1. საგამომწველო (საქურე) საამქოოს გამგე . . | 1 | 500 | 6000 | ინჟ.-ტექნიკური პერსონალი |
| 2. აღმრიცხველი . . . . | 1 | 360 | 4320 | მოსამსახურე |
| სულ | 2 | 860 | 10.320 | |

## საერთო საქარხნო პერსონალი

| თანამდებობის დასა-ხელება | ერთეული | თვიური ხელფასი მან. | წლიური ხელფასის ფონდ. მან. | კატეგორიებად დაყოფა |
|---|---|---|---|---|
| 1. დირექტორი . | 1 | 600 | 7200 | ი. ტ. პ. |
| 2. ბუღალტერი | 1 | 500 | 6600 | მოსამსახურე |
| 3. საწყობის გამგე | 1 | 400 | 4800 | —„— |
| 4. ექსპედიტორი . . . . | 1 | 400 | 4800 | —„— |
| 5. დამლაგებელი . . . . | 1 | 260 | 3120 | უმც. დამხ. პერსონ. |
| 6. სახანძრო გასამხედრ. დაცვა . . . . . . . . | 4 | 1200 | 14400 | სახანძრო გასამხ. დაცვა |
| სულ | 9 | 3360 | 40320 | |

ამრიგად მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიებად დაყოფის შედეგად მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

| კატეგორიების დასახელება | შემოკლებით იწერება | რიცხვი | წლიური ხელფასის ფონდი მან. |
|---|---|---|---|
| მ უ შ ე ბ ი . . . . . . . . . . | მუშები | 23 | 115.030 |
| ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი | ი. ტ. პ. | 2 | 13.200 |
| მოსამსახურეები | სხ. მოსამსა-ხურეები | 4 | 19.920 |
| უმცროსი დამხმარე პერსონალი | უ. დ. პ. | 1 | 3.120 |
| სახანძრო და სადარაჯო დაცვა | ს. ს. დ. | 4 | 14.400 |
| სულ . . . . | | 34 | 165.670 |

როგორც „ერთი მუშის საშუალო გამომუშავება“-ში აღვნიშნეთ, საერთო პროდუქციის ღირებულება გაყოფილი მუშათა სიობრივ რიცხვზე გვაძლევს ერთი მუშის საშუალო (წლიური, კვარტალური ან თვიური) გამომუშავებას, ან კიდევ იგივე მაჩვენებელი გაყოფილი ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვზე მოგვცემს ერთი მუშის საშუალო დღიურ გამომუშავებას.

# შრომის მაჩვენებლების გეგმა

| მაჩვენებელთა დასახელება | აღრიცხვის ერთეული | წლიური გეგმა | მათ შორის I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საერთო პროდუქცია სამრეწველო-საბითუმო-საგასაცემო ფასებში . . . | 1000 მ. | 396,0 | 59,4 | 118,8 | 158.4 | 59,4 |
| 2. საერთო პროდუქცია . 26/27 წლ. უცვლელ ფასებ. | | 42,6 | 6,9 | 13,1 | 15,9 | 6,7 |
| 3. ერთი მუშის გამომუშავება საბითუმო ფასებში | მან. | 17,217 | 4242 | 4096 | 4525 | 4242 |
| 4. ერთი მუშის. გამომუშავ. 26/27 წლ. უცვლელ. ფასებ. | | 1852 | 492 | 452 | 454 | 478 |
| 5. საშუალო დღიური გამომუშავება საბითუმო ფასებში ერთ მუშაზე . | მ. კ. | 64—17 | 47—14 | 61—04 | 67—46 | 63—32 |
| 6. ერთი მუშის დღიური გამომუშავება . . . . . | „ | 6—90 | 7—35 | 6—73 | 6—77 | 7—14 |
| 7. ყველა პერსონალის სიობრივი რიცხვი: . | კაცი | 34 | 25 | 40 | 46 | 25 |
| მათ შორის: | | | | | | |
| ა) მუშების . . . | კაცი | 23 | 14 | 29 | 35 | 14 |
| ბ) მოწაფეების . . . | „ | — | — | — | — | — |
| გ) ინჟ.-ტექ. პერს: . | „ | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| დ) სხვა მოსამს. . . . | „ | 4 | 4 | 4 | 4 | 4 |
| ე) უმცრ. დამხ. პერს. | „ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ვ) სახანძრო-სადარაჯო დაცვა . . . . . | | 4 | 4 | 4 | 4 | 4 |
| 8 ყველა მუშის მიერ . . ნამუშევარი კაცდღეები . | კ/დ | 6171 | 939 | 1946 | 2348 | 938 |
| 9. საშუალო ხელფასი | | | | | | |
| ა) მუშების . . | მან | 5000 | 1250 | 1230 | 1230 | 1290 |
| ბ) მოწაფეების . . | „ | — | — | — | — | — |
| გ) ინჟ.-ტექნ. პერს. . . | „ | 6600 | 1650 | 1650 | 1650 | 1650 |
| დ) სხვა მოსამსახურეების . . . . . | | 4975 | 1244 | 1244 | 1244 | 1243 |
| ე) უმცრ. დამხ. პერს. . | | 3120 | 780 | 780 | 780 | 780 |
| ვ) სახანძრო-სადარაჯო დაცვა . . . . . . . . | | 3600 | 900 | 900 | 900 | 900 |
| 10. ერთი მუშის საშუალო დღიური ხელფასი . . | „ | 17—63 | 17—99 | 17—62 | 17—62 | 17—70 |
| 11. მთელი პერსონალის ხელფასის ფონდი . . | 1000 მ. | 165,6 | 30,2 | 48,6 | 56,0 | 30,8 |
| მათ შორის: | | | | | | |
| ა) მუშების . | „ | 115,0 | 17,7 | 35,9 | 43,3 | 18,1 |
| ბ) მოწაფეების . . | „ | — | — | — | — | — |
| გ) ინჟ.-ტექნ. პერს . . | „ | 13,2 | 3,3 | 3,3 | 3,3 | 3,3 |
| დ) სხვა მოსამსახურეებ. | | 19,9 | 4,9 | 5,0 | 5,0 | 5,0 |
| ე) უმცრ. დამხ. პერს. | 1000 მ. | 3,1 | 0,7 | 0,8 | 0,8 | 0,8 |
| ვ) სახანძრო სადარაჯო დაცვა . . . | | 14,4 | 3,6 | 3,6 | 3,6 | 3,6 |
| 12. მუშების დღიური ხელფასის ფონდი სიის გარეშე პირთა ხელფასის ფონდი . . . . | | 108,8 | 16,9 | 34,3 | 41,4 | 16,6 |

„ერთი მუშის საშუალო გამომუშავების“ განმარტებაში ჩვენ აღვნიშნეთ: პროდუქციის ღირებულება 26/27 წ. უცვლელ ფასებში არ არის გამომხატველი ამა თუ იმ პროდუქციის შრომატევადობისა, რის გამო პროდუქციის დაგეგმვა-აღრიცხვიანობა აღნიშნულ უცვლელ ფასებში თანდათანობით ჰკარგავს მნიშვნელობას. ამჟამად ეს საკითხი უკვე გადაჭრილია და პროდუქციის აღრიცხვა ძირითადად წარმოებს სამრეწველო და საწარმოო საბითუმო ფასებში, მაგრამ პარალელურად ამისა დაგეგმვა-აღრიცხვა იწარმოებს 1926/27 წლის უცვლელ ფასებითაც, რაც პირველ ხანებში აუცილებელია წარმოების დინამიკის აღსანიშნავად.

საგასაცემო ფასებში ერთი მუშის საშუალო გამომუშავების დასადგენად ცხადია გაანგარიშების მეთოდი იგივე დარჩება, მხოლოდ შეიცვლება პროდუქციის ღირებულება, ე. ი. ამისათვის საჭიროა წარმოების საგასაცემო ფასებით გაანგარიშებული საერთო პროდუქცია გავყოთ მუშების საშუალო სიობრივ რიცხვზე.

ახლა ჩვენს მიერ დამუშავებული მასალების საფუძველზე, შეგვიძლია შევადგინოთ დასაგეგმავი აგურის ქარხნის შრომის მაჩვენებლების გეგმა. (იხილეთ 70 გვ.).

პროდუქციის თვითღირებულების ერთ-ერთ მთავარ ელემენტს საერთო საქარხნო და საამქრო ხარჯები შეადგენს. საწარმოო-საფინანსო გეგმის შესადგენად აუცილებელ პირობას წარმოადგენს დამტკიცებული საამქრო და საქარხნო ხარჯთაღრიცხვა.

I. საამქრო ხარჯები

| მუხლების დასახელება | თანხა მთელი წლ. (მანეთებში) |
|---|---|
| ძირითადი ხელფასი | 10.300 |
| ანარიცხები ხელფასიდან 6,5% | 700 |
| შრომის დაცვა | 2.500 |
| იაფფასიანი ინსტრუმენტების გაცვეთა | 1.600 |
| შენობა-ნაგებობათა შენახვა | 3.000 |
| ამორტიზაცია 800,0 ათ. მან. 6% | 48.000 |
| შიგა-საქარხნო ტრანსპორტი | 10.000 |
| სხვა ხარჯები | 2 000 |
| სულ | 78.100 მ. |

## II. ხაერთო-საქარხნო ხარჯები

| მ უ ხ ლ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | მთელი წლის თანხა (მანეთებში) |
|---|---|
| ძირითადი ხელფასი . . . . . . . . . . . . . . . . . . | 40.300 |
| ანარიცხები ხელფასიდან 6,5⁰/₀ . . . . . . . . . . . . | 2.600 |
| საკანცელარიო ხარჯები . . . . . . . . | 2.100 |
| მივლინება და საგზაო . . . . . . . . . . | 2.200 |
| შენობის შენახვა . . . . . . . . . . . . | 4.000 |
| სახანძრო დაცვა . . . . . . . . . . . . . . . . | 3.800 |
| ამორტიზაცია 50,0 ათ. მანეთიდან 6⁰/₀ . . . . . . . . | 3.000 |
| სხვა ხარჯები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 2.000 |
| ს უ ლ . . . . . . . . . . | 60.000 მან. |

### ანარიცხები ხელფასზე

ხელფასთან დაკავშირებულ სავალდებულო გადასახადს წარმოადგენს სოცდაზღვევის ანარიცხი, რომელსაც წარმოება-დაწესებულება ურიცხავს პროფკავშირების რესპუბლიკანურ კომიტეტებს. სოცდაზღვევის ანარიცხების პროცენტული ოდენობა ნაირსახოვანია და უშუალოდ დამოკიდებულია მრეწველობის დარგზე და იმაზე, თუ რომელი პროფკავშირის რესპუბლიკანურ კომიტეტშია გაერთიანებული.

სოცდაზღვევის ანარიცხებიდან წარმოებს დახმარების გაცემა მუშა-მოსამსახურეებზე დროებითი და ხანგრძლივად შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში (ავადმყოფობა, პენსია მოხუცებულობის გამო და სხვა), თანხების გაცემა დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების მშენებლობაზე და მათ მოწყობაზე, მუშა-მოსამსახურეებსათვის საგზურების შეძენაზე და სხვა.

აგურის ქარხნებისათვის სოცდაზღვევის ანარიცხები დაწესებულია ხელფასიდან 6,5⁰/₀-ის რაოდენობით.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითის მიხედვით აგურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებზე წლის განმავლობაში გაცემული წლიური ხელფასის 165.600 მანეთზე დაერიცხება ანარიცხები 6,5⁰/₀—10.765 მან;

| | |
|---|---|
| მათ შორის: მუშების 115.000 მანეთის ხელფასის ფონდზე . | 7.475 მან. |
| მოსამსახურეებზე გაცემულ 50.600 მანეთზე . . . . | 3.290 მან. |
| ს უ ლ . . . . . | 10.765 მან. |

### წარმოების დანახარჯების შენაერთი გეგმა და პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა.

წარმოებებში ყველა სახის ხარჯები საბოლოოდ თავს იყრის წარმოების ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც მრეწველობის დაგეგმვაში

„წარმოების დანახარჯების შენაერთი გეგმა“-ს სახელწოდებით არის ცნობილი.

წარმოების ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს ხარჯების შემდეგი სახის დაჯგუფებას.

1. ძირითადი მასალა და ნედლეული.
2. დამხმარე მასალები
3. სათბობი.
4. ელენერგია (გარედან მიღებული)
5. ხელფასი ყველა კატეგორიის, დამატებითი ხელფასის ჩათვლით.
6. ანარიცხები ხელფასზე.
7. ამორტიზაცია.
8. წარმოების დანარჩენი ხარჯები.
9. სულ საწარმოო-საფაბრიკო დანახარჯები.
10. კომერციული ხარჯები (შედის მრეწვკომბინატის შესანახი და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები).
11. მთელი სასაქონლო პროდუქციის კომერციული თვითღირებულება.

საკალკულაციო დანახარჯთა სქემატურობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. ძირითადი მასალა და ნედლეული.
2. დამხმარე მასალა.
3. ელექტროენერგია (გარედან მიღებული)
4. ს ა თ ბ ო ბ ი.
5. ხელფასი (საწარმოო).
6. ანარიცხები.
7. საამქრო ხარჯები.
8. საერთო-საქარხნო ხარჯები
9. კომერციული ხარჯები.

წარმოების ხარჯთაღრიცხვის განაყოფში „ხელფასის ელემენტები“ ითვალისწინებს ყველა კატეგორიის ხელფასს (საწარმოო მუშების, საამქრო და საერთო საქარხნო ხარჯებით გათვალისწინებული ხელფასს და სიის გარეშე პირთა ხელფასის ფონდს).

ნაწარმის ერთეულის თვითღირებულების კალკულაციის ხელფასის ელემენტით მოცემულია მარტო საწარმოო მუშების ხელფასი. დანარჩენი კი, დანახარჯთა ხასიათის მიხედვით, ნაჩვენებია საამქროს და საერთო საქარხნო ხარჯების სახით. ამავე სახით არის მოცემული ამორტიზაცია თვითღირებულების კალკულაციაში. წარმოების დანახარჯებში კი ამორტიზაცია დანახარჯთა ამ ელემენტს წარმოადგენს. წარმოების ხარჯთაღრიცხვაში არის აგრეთვე

ელემენტი „წარმოების დანარჩენი ხარჯები“, რომელიც შედგება სამქრო და საერთო საქარხნო ხასიათის ხარჯებისაგან, ელექტროენერგიის, სათბობის (საწარმოო საჭიროებისათვის), ხელფასის, ხელფასზე ანარიცხების და ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც ამავე ელემენტებით უნდა შევიდეს წარმოების ხარჯთაღრიცხვაში.

## პროდუქციის თვითღირებულება.

სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკაში პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლებს წამყვანი ადგილი უჭირავს.

ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის ყველაზე უმნიშვნელოვანეს და საპასუხისმგებლო ამოცანას პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება შეადგენს.

თვითღირებულების გეგმის ზევით შემცირების თითოეული პროცენტი საბჭოთა კავშირში ასეული მილიონობით ზედმეტ დაგროვებას გვაძლევს. სოციალისტური დაგროვების ზრდა კი დააჩქარებს ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და მის შემდგომ განვითარებას.

ამას გარდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, საშუალებას იძლევა აგრეთვე კიდევ შევამციროთ პროდუქციის საგასაცემო ფასები. ეს ღონისძიება კი ხელს უწყობს საბჭოთა მანეთის კიდევ უფრო განმტკიცებას, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის დონის ამაღლებას და მშრომელთა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებას.

სოციალისტურ მრეწველობაში პროდუქციის შემცირების მთავარ ფაქტორებს წარმოადგენს:

1. ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენება.

2. შრომის ნაყოფიერების დინამიკური ზრდა.

3. ზედნადები (არაპირდაპირი) ხარჯების შემცირება.

ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

ა) წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა.

ბ) ნედლეულისა და მასალების ხარისხის გაუმჯობესება.

გ) მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება.

დ) ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობითი გამოყენების მეთოდის დანერგვა.

მაგალითად, ფეხსაცმელებისა და სამკერვალო წარმოებებში მასალის ეკონომიურად ხარჯვა დამოკიდებულია გამომჭრელთა კვალიფიკაციაზე. თუ გამომჭრელი დახელოვნებული არ არის, მაშინ გამოჭრის

პროცესში ადგილი ექნება ბევრ დანაკარგს. კარგად დახელოვნებულ გამომჭრელს შეუძლია წლის განმავლობაში წარმოებას ათასეული მეტრი ნედლეულის ეკონომია მისცეს (ქსოვილი, ტყავსაქონელი).

მასალების გადახარჯვის მიზეზს ხშირ შემთხვევაში მისი უხარისხობაც წარმოადგენს; მაგ. რაიონული ადგილობრივი მრეწველობის ფეხსაცმელების წარმოებები ზოგჯერ V—VI ხარისხის ტყავ-საქონელს ღებულობენ; ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ რბილ ტყავზე ბევრი დაზიანებული ადგილებიცა და ნასვრეტებიცაა, რაც ამცირებს ტყავის ვარგისიან ფართობს; ამის შედეგად გარდა იმისა, რომ ასეთი ტყავისაგან დამზადებული ფეხსაცმელები დაბალ ხარისხოვანია, იზრდება აგრეთვე ტყავსაქონლის ხარჯვა, რაც თავისთავად ზრდის ფეხსაცმელების თვითღირებულებას.

### ამორტიზაცია.

ამორტიზაცია წარმოების დანახარჯების მთავარ ელემენტთაგანია; ეს არის ისეთი სახის დანახარჯი, რომელსაც საწარმოს ძირითადი საშუალებანი თავისი ღირებულებიდან გაცვეთის სახით გადასცემს მის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას (იხ. განმარტება — „ძირითადი საშუალება“).

რაიონული მრეწველობის წარმოებებისათვის საამორტიზაციო ანარიცხები მიღებულია ქონების პირველადი ღირებულების 6%-ის რაოდენობით, მათ შორის 4% ანუ ამ თანხის 2/3 ხმარდება ძირითად საშუალებათა კაპიტალურ რემონტს და 2% (თანხის 1/3) კი კაპიტალურ მშენებლობას. ჩვენს მიერ მიღებული დასაგეგმი ქარხნის ძირითადი საშუალებათა ღირებულება შეადგენს 850,0 ათ. მანეთს, რაზედაც ყოველწლიურად დარიცხული იქნება 51.000 მანეთი.

საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშება ხდება ძირითად საშუალებათა საშუალო წლიური ღირებულებიდან. მაგალითად: აგურის ქარხნის ძირითად საშუალებათა ღირებულება—1949 წლის 1-ლ იანვრისათვის, თუ შეადგენდა 850.000 მანეთს, და 1949 წლის 1 ივლისიდან, ე. ი. წლის მეორე ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაეცა დამატებით 100.000 მანეთის ღირებულო შენობა-ნაგებობანი, მაშინ 1949 წელში ექსპლოატაციაში დამატებით გადაცემული ძირითადი საშუალებათა საშუალო წლიური ღირებულება იქნება 50.000 მანეთი (100 : 2), რის გამო ხსენებულ წელში ამორტიზაცია დაერიცხება სულ 850 ათ. მან+50 ათ. მან =900.000 მანეთის ძირითად საშუალებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამორტიზაცია ერიცხება ძირითად საშუალებათა პირველად ღირებულებას და არა ძირითად საშუალებებს

გაცვეთის ღირებულების გამოკლებით. დაწესებული საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობის გაზრდა ან შემცირება დაუშვებელია.

ჩვენს მიერ პირობით აღებული აგურის ქარხნის გაფართოვება დასაგეგმი პერიოდში არ არის გათვალისწინებული, რის გამო საოპერაციო წლის 1-ლ იანვრისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული 850.000 მანეთის ღირებული ძირითადი საშუალებები უცვლელი რჩება და მხოლოდ ამ თანხაზე დაერიცხება ამორტიზაცია.

აქვე მოგვყავს ამორტიზაციის ანარიცხების გაანგარიშების ფორმა.

ამორტიზაციის გაანგარიშება

| მუხლების დასახელება | საოპერაციო წელში მან. |
|---|---|
| 1. მოქმედ ძირითად საშუალებათა ღირებულება საოპერაციო წლის 1-ლ იანვრისათვის . . . . . . . . . . . . . . . | 850.000 |
| 2. ძირითად საშუალებათა ექსპლოატაციაში გადაცემა საოპერაციო წელში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | — |
| 3. ექსპლოატაციაში გადაცემულ ძირითად საშუალებათა საშუალო წლიური ღირებულება საოპერაციო წელში . . . . . . . . | — |
| 4. საოპერაციო წელში ხმარებიდან გამოსული ქონების ღირებულება . . . . . . . . . . . . . . . . | — |
| 5. საოპერაციო წელში ხმარებიდან გამოსულ საშუალო წლიური ღირებულება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | — |
| 6. ძირითად საშუალებათა საერთო ღირებულება საოპერაციო წლის 1/1-სათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . | |
| 7. მოქმედ ძირითად საშუალებათა საშუალო წლიური ღირებულება, რომელსაც დაერიცხება ამორტიზაცია . . . . . . | 850.000 |
| 8. ამორტიზაციის ანარიცხის % საოპერაციო წელში | 6 |
| 9. ამორტიზაციის საერთო ჯამი საოპერაციო წელში . . . | 51.000 |
| მათ შორის დირექტორის განკარგულებაში კაპიტ. რემონტისათვის: | |
| ა) ანარიცხების %-ში (ე.ი. 6 %-ის $^2/_3$) . | 4 |
| ბ) ჯ ა მ ი . . . . . . . . . | 34.000 |
| საამორტიზაციო თანხა კაპიტალურ მშენებლობისათვის | |
| ა) ანარიცხები %-ში (ე.ი. 6 %-ის $^1/_3$) . . . | 2 |
| ბ) ჯ ა მ ი . . | 17.000 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ წარმოება გასულ წელს იმყოფებოდა ექსპლოატაციაში, გასული წლის საამორტიზაციო ანარიცხების ფაქტიური მაჩვენებლები მოცემული უნდა იქნას აღნიშნულ ცხრილში.

ამგვარად, ახლა ჩვენ გვაქვს ყველა სახის დანახარჯი, რომლის საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ წარმოების სრული ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც „შენაერთი დანახარჯების გეგმა-“ს უწოდებენ.

## დანახარჯების შენაერთი გ ე გ მ ა.

| ელემენტების დასახელება | გეგმა |
|---|---|
| 1. დამხმარე მასალები . . . . | 2.500 |
| 2. სათბობი . . . | 39.000 |
| 3. ელენერგია . . . . . . . . . . . . . . | 8.000 |
| 4. ხელფასი ყველა კატეგორიის მომუშავეთა . . . | 165.600 |
| 5. სოცდაზღვევის ანარიცხები 6,5% რაოდენობით . | 10.700 |
| 6. ამორტიზაცია 850,0 ათ. მანეთზე 6% . . . | 51.000 |
| 7. წარმოების დანარჩენი ხარჯები . . . . . . . . . . . . . . | 33 200 |
| სულ საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯები . . . | 310.000 |
| 8. დაუმთავრებელი ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატის ნაშთი წლის დასაწყისისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . | 141.00 |
| 9. დაუმთავრებელი ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატის ნაშთი წლის ბოლოსათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 28.200 |
| 10. საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯები სასაქონლო პროდუქციაზე | 295.900 |
| 11. კომერციული ხარჯები 5% რაოდენობით . . . . . . . . | 12.500 |
| 12. სასაქონლო პროდუქციის კომერციული თვითღირებულება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 308.400 |
| 13. სასაქონლო პროდუქცია გასაცემ ფასებში: | |
| ა) ბრუნვიდან გადასახადის გარეშე . . | 396.000 |
| ბ) ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით . . | 396.000 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბრუნვიდან გადასახადი აგურის ქარხანაზე პირველი ორი წლის განმავლობაში არ დაერიცხება.

ვინაიდან აგურის ქარხანას მუდამ აქვს დაუმთავრებელი ნაწარმის (თიხის და ალიზის) გარდამავალი ნაშთი, როგორც წლის დასაწყისისათვის, ასევე წლის ბოლოსათვის, საჭიროა მათზე შედგენილ იქნას საგეგმო კალკულაცია, რომელიც მოგვყავს ქვემოთ.

| კალკულაციის ელემენტების დასახელება | თიხა 1 კბმ. | ალიზი 1000ც. ღირებულება მან. კაპ. |
|---|---|---|
| ძირითადი მასალა . | — | 6—57 |
| დამხმარე მასალა . . | — | 1—53 |
| ელენერგია . . . . | — | 3—00 |
| ხელფასი საწარმოო . | 1—97 | 55—30 |
| დამატებითი ხელფასი . . . . | 0—09 | 2—78 |
| სოცდაზღვევის ანარიცხი 6,5% . | 0—13 | 3—60 |
| ამორტიზაცია . . . . . . . . . . . . . . . . . | — | 20—00 |
| | 2—19 | 92—78 |

აქედან გამომდინარე ათასი ცალი ალიზის დამზადებაზე დაიხარჯება 3 კბმ. თიხა ღირებული სულ 92 მან. და 78 კაპ. რაოდენობით. ათასი ცალი გამომწვარი დახარისხებული აგურის გამოშვებაზე კი—1,100 ცალი ალიზი ღირებული 102 მან. და 06 კაპ.

დაუმთავრებელი ნაწარმი წლის დასაწყისში და წლის ბოლოსათვის იქნება შემდეგი:

| | ალრიცხვის ერთეული | გადმოსული ნაშთი წლის 1-ლ იანვრისათვის | | გარდამავალი ნაშთი შემდგომი წლის 1-ლ იანვრისათვის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | ღირებულება 1000 მანეთებ. | რაოდენობა | ღირებულება 1000 მანეთებში |
| თიხა . . . | კბმ | 300 | 0,6 | 600 | 1,2 |
| ალიზი | 1000 ც. | 150,0 | 13,6 | 300 | 28,0 |
| ს უ ლ . . . . | | — | 14,1 | — | 28,2 |

დაუმთავრებელი ნაწარმის ნაშთი, როგორც წესი, გააჩნია ისეთი სახის წარმოებას, სადაც პროდუქციის დამზადება ხანგრძლივი პროცესით მიმდინარეობს; ისეთი წარმოებას, კი რომელსაც არ ახასიათებს პროდუქციის დამზადების ხანგრძლივობა, წარმოების დანახარჯთა შენაერთში დაუმთავრებელ ნაწარმს არ უჩვენებენ.

ზემოთ ჩატარებულ გაანგარიშებათა საფუძველზე მოგვყავს პროდუქციის ერთეულის კალკულაცია:

პროდუქციის სახე—აგური. ალრიცხვის ერთეული ათასი ცალ.

| ელემენტების დასახელება | სულ 1000,0 ათ. ცალზე | 1,0 ათ. ცალზე |
|---|---|---|
| 1. ნედლეული და ძირითადი მასალები | — | — |
| 2. დამხმარე მასალები . . . | 2500 | 2—50 |
| 3. სათბობი . . . . . . . . . . . . . | 39000 | 39—00 |
| 4. ელექტროენერგია . . . . . . . . . . . . . | 8000 | 8—00 |
| 5. საწარმოო ხელფასი ძირითადი და დამატებითი | 104600 *) | 104—60 |
| 6. ხელფასზე დანარიცხები . . . . . | 6800 | 6—80 |
| 7. საამქრო ხარჯები . . . . . | 75000 | 75—00 |
| 8. საერთო-საქარხნო ხარჯები . . . . . | 60000*) | 60—00 |
| 9. საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულება . . | 295900 | 295—90 |
| 10. კომერციული ხარჯები . . . . | 12500 | 12—50 |
| 11. სრული კომერციული თ/ღირებულება . . . | 308400 | 308—40 |
| 12. გასაცემი ფასი ბრუნვიდან გადასახად გარეშე | 396000 | 396—00 |
| 13. გასაცემი ფასი ბრუნვიდან გადასახ. ჩათვლით | 396000 | 396—00 |

*) სხვაობა დარიცხულია ალიზის გარდამავალ ნაშთზე.

დაგროვება, სამეურნეო საქმიანობის შედეგით განისაზღვრება.

არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა და განვითარება, თუ მან არ აწარმოა დაგროვება; როგორც ჩვენთვის ცნობილია დაგროვების წყაროები და მეთოდები სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარია, რასაც განსაზღვრავს წარმოების წესი (სოციალისტური, კაპიტალისტური).

არც ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია სოციალისტური დაგროვების გარეშე შეასრულოს მის მიერ დასახული დიადი ისტორიული ამოცანები.

სოციალისტური დაგროვების საფუძველზე ხდება ჩვენს სახალხო მეურნეობაში გაფართოებული სოციალისტური რეკონსტრუქცია.

კომუნისტური საზოგადოების შექმნის აუცილებელ პირობას სოციალისტური დაგროვების წყაროების სისტემატურად გაფართოება წარმოადგენს.

კაპიტალისტური მოგება, ზედმეტი ღირებულების მითვისების, ანუ მუშათა აუტანელი ექსპლოატაციის შედეგია. კაპიტალისტური მოგება მხოლოდ კაპიტალისტთა ინტერესებისა და გამდიდრების საშუალებას წარმოადგენს. კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილი მოგებებიდან თანხები მუშა-მოსამსახურეთა პირობების გასაუმჯობესებლად არ იხარჯება.

ჩვენს მრეწველობაში შექმნილი ზეგეგმიური დაგროვების თითოეული მანეთი აჩქარებს ჩვენი სახალხო მეურნეობის გაფართოებას და მშრომელთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

დაგროვების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება წარმოადგენს. დაგროვება, პროდუქციის სრული კომერციული თვითღირებულებისა და საგასაცემო ღირებულების სხვაობაა.

ჩვენს მრეწველობაში არც ერთი დარგისა და არც ერთი სახის წარმოების მიმართ არ არსებობს რენტაბელობის მყარი პროცენტი.

დაგროვების დაგეგმვა ხდება ცალკეული წარმოების გასული წლების ფაქტიური შესრულებისა და მისი დასაგეგმავი წლის პერსპექტივების მიხედვით.

მრეწველობის დაგროვების განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მრეწველობის სპეციალობას და მის მონაწილეობას, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ისე მასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებაში.

„გეგმით დაწესებული რენტაბელობა მერყეობს მრეწველობის სხვადასხვა დარგში; მასთან განსხვავებული რენტაბელობა აქვს არა

მარტო ცალკეულ დარგებსა და საწარმოებს, არამედ ამა თუ იმ საწარმოს გამომუშავებული პროდუქციის სხვადასხვა სახესაც, ასორტიმენტის მიხედვით.

ცვალებადობას აქვს ადგილი აგრეთვე ბრუნვის გადასახადის განაკვეთებში. ამის გამო, მრეწველობის ცალკეული დარგების დაგროვების რაოდენობა მეტად დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება. გამოქვეყნებული ცნობებიდან ჩანს, რომ 1938 წელში მძიმე მრეწველობის მოგება და ბრუნვის გადასახადი სოციალისტური მრეწველობის საერთო მოგებისა და ბრუნვის გადასახადის 16 პროცენტს შეადგენდა, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის—22%, ხოლო კვების მრეწველობის—50%-მდე აღწევდა.

სოციალისტური დაგროვების ასეთი განაწილება, როდი მოასწავებს იმას, რომ მძიმე მრეწველობაში ზედმეტი პროდუქტი ნაკლები ოდენობით იქმნება, ვიდრე კვების მრეწველობაში".*)

სოციალისტურ მრეწველობაში დაგროვების გეგმის შესრულებისა და გადამეტსრულების ოდენობას საწარმოო გეგმით გათვალისწინებული ასორტიმენტის შესრულება განსაზღვრავს.

ამავე დროს, წარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელი დაგროვების გეგმის შესრულებას აღწევს დადგენილი ასორტიმენტის შეცვლით, რაც სრულიად გაუმართლებელია.

## დაგროვების დაგეგმვა.

წარმოების დაგროვების დაგეგმვისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რათა გვქონდეს საწარმოო გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებლები: პროდუქციის გამოშვების გეგმა, წარმოების დანახარჯები, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, პროდუქციის თვითღირებულებისა და მისი შემცირების გეგმა, პროდუქციის საგასაცემო ფასები და საბრუნავი საშუალებათა საჭიროების გეგმა.

ჩვენს მიერ მაგალითისათვის მოყვანილი აგურის ქარხნის დაგროვების გაანგარიშებას, როგორც საერთო წესი საფუძვლად უდევს წარმოების სრული ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვაში მოცემულია წარმოების დანახარჯების საერთო ჯამი 310 ათასი მანეთის რაოდენობით. სასაქონლო პროდუქციაზე საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულების დანახარჯები კი შეადგენს 295,9 ათ. მანეთს. განსხვავება მათ შორის (14,1 ათ. მან.) წარმოადგენს სამეურნეო წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის დაუმთავრებელი ნაწარმის ნაშთის მატებას. ეს დანახარჯები (14,1 ათ. მანეთი) გადავა შემდეგ წელში სასაქონლო პროდუქციის შესაქმნელად.

*) ირ. მიქელაძე. სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა, გვ. 377.

შედეგების გაანგარიშების გეგმაში მოცემულია სასაქონლო პროდუქციის საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულება 295,9 ათ. მანეთი. ეს თანხა მთლიანად შეადგენს წარმოების ამ სახელწოდების დანახარჯების ჯამს.

წლის დასაწყისისათვის აგურის ქარხანას არ ჰქონდა მზაპროდუქციის გარდამავალი ნაშთი. სარეალიზაციო სასაქონლო პროდუქციის კომერციული თვითღირებულების ჯამის დასადგენად საჭიროა სასაქონლო პროდუქციის საქარხნო თვითღირებულებას (295,9 ათ. მანეთს) გამოვაკლოთ ნორმატივებით გათვალისწინებული სასაქონლო პროდუქციის მომავალი წლის გარდამავალი ნაშთი საქარხნო თვითღირებულებით (5,7 ათ. მან.) და დავუმატოთ მას კომერციული ხარჯები (12,5 ათ. მან.). ჩვენს შემთხვევაში 295,9—5,7+12,5=302,7 ათ. მან. დაგროვების დასადგენად კი სარეალიზაციო პროდუქციის საგასაცემო ღირებულებას უნდა გამოვაკლოთ ამავე პროდუქციის კომერციული თვითღირებულება და ბრუნვიდან გადასახადი.

## შედეგების გაანგარიშება

| მუხლების დასახელება | 194 . . . წ. გეგმა ათ. მან. |
|---|---|
| 1. მზანაწარმის და საქონლის ნაშთი, სათანადო წლის დასაწყისში გასული წლის ფაქტიური საფაბრიკო თვითღირებულებით | — |
| 2. სასაქონლო პროდუქცია საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულებით . . . . . . . . . . . . . . | 295,9 |
| 3. მზანაწარმისა და საქონლის ნაშთი წლის ბოლოს, საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულებით . . . . . . . | 5,7 |
| 4. ხარჯები შემავალი კომერციულ თვითღირებულებაში (ბრუნვიდან გადასახადის გარეშე) . . . . . . . . . . . . . | 12,5 |
| 5. პროდუქციის რეალიზაცია კომერციული თვითღირებულებით (1+2—3+4) . . . . . . . . . . | 302,7 |
| 6. პროდუქციის რეალიზაცია გასაცემ ფასებში ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით . . . . . . . . . . . | 388,4 |
| 7. შედეგი რეალიზაციიდან . . . . . | 85,7 |
| 8. რეალიზაციის გარეშე ხარჯები (სალდო) . . | — |
| 9. სამეურნეო საქმიანობის შედეგი . | 85,7 |
| მათ შორის: | |
| ა) მოგება . . . . . . | 85,7 |
| ბ) ბრუნვიდან გადასახადი . | — |

შეუფერხებელი მუშაობისათვის წარმოებას ესაჭიროება ნედლეულის, მასალებისა და სხვა ფასეულობათა ნორმირებული მარაგი. მარაგის რაოდენობა ნორმატივ-დღეებში დამოკიდებულია საწარმოო ბრუნვის ხანგრძლივობასა და ნედლეულის და მასალების მიწოდების სპეციფიურობაზე. რაც უფრო დაშორებულია წარმოება ნედლეულისა და მასალების ბაზებიდან, მით უფრო დიდია მისი მარაგი ნორმატივ-დღეებში. (იხ. ქვემოთ საწესდებო ფონდი).

საჭირო საბრუნავ საშუალებათა გაანგარიშების მთავარ საფუძველს წარმოების დანახარჯები წარმოადგენს. წარმოების შენაერთი დანახარჯების გეგმაში მოცემულია, თუ რა სახისა და ღირებულების დანახარჯები უნდა გაწიოს წარმოებამ საწარმოო დავალებათა შესასრულებლად წლის განმავლობაში, ანუ 360 დღეში.

დღიური დანახარჯების გამოსარკვევად კი წლიური დანახარჯები უნდა გავყოთ 360-ზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:—დღიური დანახარჯების დასადგენად (1949 წლამდე) წარმოების შენაერთი დანახარჯების რაოდენობას ყოფდენ არა წლის საკალენდარო დღეებზე (360), არამედ ქარხნის სამუშაო დღეთა რიცხვზე 308-ზე.

ნორმირებულ მასალათა ფასეულობა, რასაც საბრუნავი საშუალების ნორმატივი ეწოდება, როგორც წესი, დაფარული უნდა იქნას საკუთარი საბრუნავი საშუალებით. ამ ფასეულობათა რაოდენობის დასადგენად საჭიროა წარმოებას დამტკიცებული ჰქონდეს ნორმატივები დღეებში, ე. ი. რამდენი დღის გარდამავალი მარაგი (ნაშთი) უნდა ჰქონდეს წარმოებას დაუბრკოლებლად მუშაობისათვის.

მაგ., წარმოების დანახარჯების გეგმით გათვალისწინებულია წლის განმავლობაში 730.000 მანეთის ნედლეულისა და ძირითადი მასალის ხარჯვა და ნორმატივ-დღეებში კი აღნიშნულ წარმოებისათვის დადგენილია ნედლეულისა და მასალების 30 დღის მარაგის ქონება. ამ შემთხვევაში მისი ღირებულება იქნება: $\frac{730.000 \times 30}{360} = 60.833$ მანეთი, ე. ი. წარმოებას, შეუფერხებლად მუშაობისათვის უნდა გააჩნდეს 60.833 მანეთის ღირებული ნედლეულისა და ძირითადი მასალების გარდამავალი ნაშთი.

ასეთივე მეთოდით გაიანგარიშება სათბობისა და დამხმარე მასალების ნორმირებული მარაგის ღირებულება.

ინსტრუმენტების, მცირე ღირებულების ინვენტარისა და ტარის გარდამავალი ნაშთი განისაზღვრება წარმოების საქმიანობის ხასიათისა და საბალანსო ნაშთის მიხედვით.

დაუმთავრებელი ნაწარმი რაიონული დაქვემდებარების წარმოებებში აღირიცხება მხოლოდ აგურ-კრამიტის ქარხნებში, სადაც საყალიბო სეზონის დამთავრებისას წარმოებას უნდა გააჩნდეს ალიზის გარდამავალი ნაშთი იმ რაოდენობით, რომ მომავალ წელში, დაყალიბების სეზონის დაწყებამდე, უზრუნველყოფილ იქნას ღუმელის განუწყვეტელი მუშაობა. საზოგადოდ აგურ-კრამიტის ქარხნების ნორმალური მუშაობისათვის, როგორც წესი მიღებულია, რომ მომავალი წლის 1-ლ იანვრისათვის ალიზის გარდამავალი ნაშთი უდრიდეს დაახლოებით 90 დღის მარაგს.

წარმოებიდან გამოშვებული მზანაწარმის რეალიზაციის აჩქარება საუკეთესო საშუალებაა ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. წარმოებაში მზა პროდუქციის ნორმატივზე ზევით ნაშთები იწვევს გარღვევებს საკუთარ საბრუნავ საშუალებებში და ფინანსიურ სიძნელეებს.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებებისათვის რეალიზაციის გარეშე მზანაწარმის გაჩერება განისაზღვრება 7 დღით, რაც გათვალისწინებულია „საბრუნავ საშუალებათა საჭიროების" გეგმით.

7 დღის მზანაწარმის გარდამავალი ნაშთის ღირებულების დასადგენად წარმოების მიერ გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯები უნდა გავყოთ 360-ზე და გავამრავლოთ ნორმატივით დაწესებულ დღეთა რაოდენობაზე, ამ შემთხვევაში 7-ზე.

მაგალითად, წარმოების შენაერთი დანახარჯების გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში გამოსაშვები მზანაწარმის საქარხნო თვითღირებულება 1.460.000 მანეთს შეადგენს. რა ეღირება მზაპროდუქციის 7 დღის გარდამავალი ნაშთი?

$$\frac{1.460.000 \times 7}{360} = 28.400 \text{ მანეთს.}$$

მომავალი პერიოდის გასაწევი ხარჯები დამოკიდებულია წარმოების საქმიანობის თავისებურებაზე.

წარმოებისათვის დაწესებული სხვადასხვა ნორმატივის დაფარვის წყაროს, გარდა ბრუნვაში მოთავსებული საკუთარი საბრუნავი საშუალებებისა, წარმოადგენს: გარდამავალი მინიმალური დავალიანება ხელფასისა და დამზღვევ სალაროს წინაშე, გრძელვადიანი სესხები, თანხები გზაში და მომავალი წლის ხარჯების რეზერვი.

როგორც ვიცით, წარმოება მუშა-მოსამსახურეებს მათ მიერ შექმნილი ღირებულებისათვის გასამრჯელოს თვეში ორჯერ უხდის, ე. ი. მუშა ამ პერიოდში თავის კუთვნილი ხელფასით მონაწილეობას ღე-

ბულობს წარმოების საკუთარი საბრუნავი სახსრების შექმნაში, რაც დღეებში განისაზღვრება 7 დღით.

მაგ., წარმოების შენაერთი დანახარჯების გეგმით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი და ხელფასზე ანარიცხები 547.500 მანეთს შეადგენს; რას უდრის ხელფასისა და ანარიცხების 7 დღის დანახარჯი? $\frac{547.500 \times 7}{360} = 10.646$ მანეთს.

რაც შეეხება საკუთარი საბრუნავი სახსრების გაანგარიშების წესს ეს განმარტებული გვაქვს „საწესდებო ფონდში".

უნდა გვახსოვდეს, რომ საბრუნავი საშუალებათა საჭიროება თანხებში იცვლება წარმოების მოცულობის მიხედვით, რის გამო საოპერაციო წლის 1-ლი იანვრისათვის დაწესებული ნორმატივები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდგომი წლის 1-ლ იანვრისათვის, არამედ ყოველწლიურად დადგენილი უნდა იქნას წარმოების შენაერთი დანახარჯების მოცულობის მიხედვით.

ჩვენს მიერ დაგეგმილ აგურის ქარხანას საოპერაციო წლის 1-ლი იანვრისათვის არ შეეძლო დადგენილი ჰქონოდა ნორმატივები, რადგან ის წინა წელში ექსპლოატაციაში მთლიანად არ ყოფილა შესული.

ჩვენს მიერ პირობით აღებულ ქარხნის შენაერთი დანახარჯების მიხედვით მომავალი წლის 1-ლი იანვრისათვის ვაწესებთ საჭირო საბრუნავ საშუალებათა შემდეგ მაჩვენებლებს (იხ. გვ. 85).

### ძირითადი საშუალებანი

სოციალისტური მრეწველობიდან განდევნილია კერძო კაპიტალის მონაწილეობა. ჩვენში განზოგადოებულია და სახელმწიფო კუთვნილებას შეადგენს საწარმოო საშუალებანი, რომელთაც ძირითად საშუალებებს უწოდებენ. (ეკონომიურ ტერმინოლოგიაში ის ძირითადი ფონდების სახელწოდებით არის ცნობილი).

ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში შედის:

1. შენობები და ნაგებობანი.
2. მანქანები და მოწყობილობანი.
3. სამეურნეო ინვენტარი და ინსტრუმენტები.
4. სატრანსპორტო საშუალებანი (ყველა სახის).
5. მანქანა-მოწყობილობათა სათადარიგო ნაწილები.

ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში შემავალი ჯგუფები პროდუქციის შექმნაში მონაწილეობას ღებულობენ პირდაპირი და არაპირდაპირი გზით. საწარმოო პროცესში ძირითადი საშუალებანი განიცდიან გაცვეთას, რაც თანხობრივი გამოსახულების სახით დაეწერება გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას: „ღირებულების

## საბრუნავ საშუალებათა საჭიროება

| მაჩვენებლები | საჭიროა გეგმით 194.. წ. 1 იანვრისათვის: ათას მან. | საჭიროა გეგმით 194.. წ. 1 იანვრისათვის: მარაგის ნორმა დღეებში | ფაქტ. საოპერაციო წლის 1-ლ იანვ. სათვის | საჭიროა საოპერაციო წლის ბოლოსათვის: ათას მან. | საჭიროა საოპერაციო წლის ბოლოსათვის: მარაგის ნორმა დღეებ. | მომატება, ან დაკ-ლება საოპერაციო წლის ბოლოს. +ან—ათ. მან. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა. მასალათა ფასეულობანი და ანგარიშსწორება, რომელიც დაფარული უნდა იქნას საკ. საბრ. საშუალებით: | | | | | | |
| 1. ნედლეული და ძირითადი მასალა | — | — | — | — | — | — |
| 2. დამხმარე მასალა | — | — | — | 0,3 | 45 | 0,3 |
| 3. ინსტრუმ. და მცირე ღირებ. ინვენტარი | — | — | — | 1,6 | — | 1,6 |
| 4. სათბობი | — | — | — | 3,2 | 20 | 3,2 |
| 5. დაუმთავრებელი ნაწარმი | — | — | — | 28,2 | 50 | 28,2 |
| 6. ტარა | — | — | — | — | — | — |
| 7. ნახევარფაბრიკატი | — | — | — | — | — | — |
| 8. მზა ნაწარმი | — | — | — | 5,7 | 7 | 5,7 |
| 9. მომავალი წლის ხარჯები | — | — | — | 1,5 | — | 1,5 |
| სულ | — | — | — | 40,5 | — | 40,5 |
| ბ) თანხები გზაში | — | — | — | — | — | — |
| სულ | — | — | — | — | — | — |
| გ. დაფარვის წყაროები: | — | — | — | — | — | — |
| 1. საკუთ. საბრ. საშ. | — | — | — | 36,7 | — | 36,7 |
| 2. კრედიტორები შეკვეთის ნაწილობრივი შესრულების მიხედვით | — | — | — | — | — | — |
| 3. გარდამავალი მინიმალური დავალიანება ხელფასისა და დამზღვევი სალაროსი | — | — | — | 3,8 | 7 | 3,8 |
| 4. სახბანკი გეგმიანი სესხებით | — | — | — | — | — | — |
| 5. სახბანკი თანხებით გზაში | — | — | — | — | — | — |
| სულ | — | — | — | 40,5 | — | 40,5 |

ნაწილი, რომელსაც გაცვეთის გამო კარგავს ძირითადი კაპიტალის ნატურალური ფორმა, მიმოიქცევა, როგორც პროდუქტის ღირებულების ნაწილი"*), ძირითადი საშუალებათა გაცვეთის ამ სახეობას „ამორტიზაცია" ეწოდება.

ძირითადი საშუალებათა გაცვეთის პროცენტი სხვადასხვა ოდენობისაა და ის განისაზღვრება ამ საშუალებათა მუშაობის პირობებში გამძლეობით, ხანგრძლივობით. მაგალითად, თუ ჰოფმანის სისტემის ღუმელის ღირებულება 200,0 ათას მანეთს შეადგენს და მისი მუშაობის ხანგრძლივობა კი 20 წლით არის განსაზღვრული, ამ შემთხვევაში ღუმელის გაცვეთის საამორტიზაციოდ, მისი პირველად ღირებულებას ყოველწლიურად ჩამოეწერება 10,0 ათასი მანეთი და ეს თანხა დაერიცხება პროდუქციის თვითღირებულებას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში კი, თუ ღუმელი განსაზღვრულ 20 წელზე მეტს იმუშავებს და ღუმელის შეფასებითი ღირებულება ბალანსზე არ იქნება აღრიცხული, მისი შემდგომი გაცვეთის (ამორტიზაციის) ღირებულება გამოშვებულ პროდუქციას არ დაერიცხება; ძირითად საშუალებათა რეალური ღირებულებით აღრიცხვის მიზნით, ძირითად საშუალებებს ყოველთვიურად ჩამოეწერება გაცვეთის ღირებულება და გადაიტანება ბალანს გარეშე მუხლებში.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებებისათვის ძირითად საშუალებებზე საამორტიზაციო ანარიცხები მიღებულია 6%-ის რაოდენობით. მათ შორის 4% წარმოების ხელმძღვანელის განკარგულებაში კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად და 2%—კი კაპიტალური მშენებლობისათვის.

რაც უფრო მექანიზირებული ხდება წარმოება, მით უფრო მეტად იზრდება ძირითად საშუალებათა ღირებულება და ამასთან დაკავშირებით—საამორტიზაციო თანხაც. წარმოების მექანიზაციით გამოწვეულმა საამორტიზაციო თანხის ზრდამ არ უნდა მოგვცეს საამორტიზაციო დანახარჯების ზრდა პროდუქციის ერთეულზე; პირიქით, საწარმოო პროცესების მექანიზაციით მიღწეულმა პროდუქციის გადიდებულად გამოშვებამ უნდა მოგვცეს პროდუქციის ერთეულზე საამორტიზაციო დანარიცხების შემცირება.

ძირითად საწარმოო საშუალებათა სტრუქტურა სხვადასხვაა და მას განსაზღვრავს მრეწველობის დარგობრივობა: იქ სადაც ძირითადი ნედლეულის დამზადება და მოპოვება წარმოებს წიაღიდან (ბუდობიდან) წარმოების ძირითად ფონდებში საწარმოო შენობების ღირებულებას წინ უსწრებს ნაგებობათა ღირებულება (მეტალურგიულ მრეწველობაში მადნეულობის დამზადება, ქვანახშირის მრეწველობა, ნავთის და ტორფის მოპოვება და სხვა), ხოლო მისი (ნედ-

*) მარქსი. „კაპიტალი" ტომი II. გვ. 129.

ლეულის) შემდგომი გადამმუშავებელ მრეწველობაში კი საწარმოო შენობების, დანადგარებისა და მოწყობილობის ღირებულება წინ უსწრებს ნაგებობათა ღირებულებას (მეტალურგიული ქარხნები, ნედლი ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები, ლითონის დამუშავება, მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის დამუშავება, მსუბუქი მრეწველობა და სხვა). ამასთანავე ერთად მრეწველობის ამ უკანასკნელი დარგების ძირითად საშუალებებში მანქანა-მოწყობილობათა ღირებულებას დიდი ხვედრითი წონა უკავია.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობათა ძირითადი საშუალებები სისტემატურად ჩქარი ტემპით იზრდება, რაც აიხსნება მთელი რიგი ახალი სახის მრეწველობის შექმნითა და ძველი წარმოებების რეკონსტრუქციით.

შედარებისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იგი 1928 წელთან შედარებით 24-ჯერ გაიზარდა.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სხვადასხვა დარგის მრეწველობათა ძირითად საშუალებებში მანქანა-მოწყობილობებს უმნიშვნელო ადგილი ეჭირა, ახლა მისი ხვედრითი წონა 40%-დე აღწევს, რაც აიხსნება ჩვენში მრეწველობის მექანიზაციით.

ძირითადი საშუალებები ბუღალტრული ბალანსის აქტიური ნაწილია, რის გამო მას ბუღალტრულ აღრიცხვიანობაში არა ძირითად ფონდებს, არამედ ძირითად საშუალებებს უწოდებენ.

ძირითად საშუალებათა დაფარვის წყაროს წარმოადგენს ბალანსის პასივში შეტანილი საწესდებო ფონდი.

### საწესდებო ფონდი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საწესდებო ფონდის დანიშნულებაა აქტივში მოთავსებულ ძირითად საშუალებათა ღირებულების დაფარვის უზრუნველყოფა.

წარმოების ნორმალური მუშაობისათვის და საწარმოო პროცესების შეუჩერებლივ მსვლელობისათვის საჭიროა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგი: ძირითადი ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, ტარის, იაფფასიანი და სწრაფმცვეთი ინვენტარისა და იარაღების წარმოების პროცესში მყოფი დაუმთავრებელი ნაწარმის, ნახევარფაბრიკატების, მზაპროდუქციის ნორმირებული ნაშთისა და მომავალი პერიოდის ხარჯების რეზერვი, რომლებიც, როგორც ნორმირებული საბრუნავი საშუალებანი, უნდა იფარებოდეს წარმოების საკუთარი სახსრებით. საკუთარი საბრუნავი სახსრები საწესდებო ფონდის შემადგენელი ნაწილია.

საბრუნავ საშუალებათა მარაგის ნორმებს ეწოდება საბრუნავ საშუალებათა ნორმატივები, რომელნიც განისაზღვრება საწარმოო მოცულობათა შესაბამისად და გაანგარიშებული უნდა იქნას წარმოების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

„საბრუნავ საშუალებათა ნორმატივის დაწესებისათვის აუცილებელია განისაზღვროს საბრუნავ საშუალებათა ცალკეულ მატერიალურ ელემენტების ნორმალური მარაგის ოდენობა დღეებში, ანუ ე. წ. ნორმატივდღეებში. საბრუნავი საშუალებათა ნორმატივის სიდიდე დამოკიდებულია საბრუნავი ფონდების ყოველდღიურ ხარჯზე და დღეთა რაოდენობაზე, რომლის განმავლობაში საწარმოს უნდა გააჩნდეს შეუმცირებელი მარაგი შეუწყვეტელი და დაუბრკოლებელი მუშაობისათვის. რაც შეეხება საწარმოო მარაგის ნორმატივს დღეებში, იგი განისაზღვრება ძირითადად შემდეგი პირობებით: ა) საწარმოსათვის ნედლეულისა და მასალის მიწოდების ვადებით (ინტერვალებით), რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მომმარაგებელ ორგანიზაციასთან დადებულ ხელშეკრულებაში; ბ) მასალისა და ნედლეულის გზაში ყოფნის ხანგრძლივობით, ანგარიშის განაღდების შემდეგ. ნედლეულის, მასალისა და სათბობის საჭირო მარაგის სიდიდეზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს საწარმოს ადგილმდებარეობა და მატერიალური მომარაგების სისტემა. თუ საწარმო მეტად დაშორებულია ნედლეულით, მასალით და სათბობით მომარაგების წყაროს, ბუნებრივია მან მეტი რაოდენობით უნდა იქონიოს მათი მარაგი"*).

საბრუნავ საშუალებათა საჭიროების შესამცირებლად რაც შეიძლება უფრო მეტად უნდა შევამოკლოთ საწარმოო ციკლი და მოვახდინოთ საბრუნავ საშუალებათა სწრაფი ბრუნვა.

სოციალისტურ მრეწველობაში საბრუნავი ფონდების რაციონალურად გამოყენება სამეურნეო საქმიანობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს, რაც გამოიხატება საბრუნავი საშუალებათა ბრუნვის სისწრაფეში.

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შემთხვევაში ძირითადი ნედლეულის, მასალების, სათბობის, ნახევარფაბრიკატებისა და დაუსრულებელი ნაწარმის გარდამავალი მარაგი მცირდება. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის სისწრაფე უშუალოდ დაკავშირებულია საწარმოო პროცესის სისწრაფესთან. ამისათვის დაჩქარებული ტემპებით უნდა წარმოებდეს საწარმოო პროცესში გამოყენებულ სამასალო ფასეულობათა ბრუნვა. გამომუშავებული მზანაწარმის სწრაფი რეალიზაციით უნდა შემცირდეს მზაპროდუქციის ნორმირებული გარ-

---

*) ირ. მიქელაძე. „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა", გვ 387—388.

დამავალი ნაშთი. აღნიშნული ღონისძებათა განხორციელება შეამცირებს იმ ფულადი სახსრების საჭიროების რაოდენობას, რომელიც დაბანდებული იყო სასაქონლო-სამასალო ნორმირებულ მარაგში.

„საბრუნავი ფონდების ბრუნვის სისწრაფე გამოხატავს საბრუნავი ფონდების მატერიალური ელემენტების გადაბრუნების რაოდენობას წლის განმავლობაში. საბრუნავი ფონდების ბრუნვის სისწრაფის გაანგარიშებისათვის საერთო პროდუქცია თვითღირებულების მიხედვით (ამორტიზაციის გამოკლებით) უნდა გაიყოს საბრუნავ საშუალებათა ღირებულებაზე. მაგალითად, თუ საწარმოს მიერ წლის განმავლობაში გამომუშავებულია საერთო პროდუქცია თვითღირებულების ფასებით 3500,0 ათასი მანეთის, ხოლო საბრუნავი ფონდების რაოდენობა 700,0 ათ. მანეთით გაიზომება, საბრუნავი ფონდების ბრუნვის სისწრაფე შეადგენს: 3500,0 ათ. მანეთს : 700,0 ათას მანეთზე = 5.

იმ შემთხვევაში თუ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა გაორკეცდება და საბრუნავი ფონდები უცვლელი დარჩა, საბრუნავი ფონდის ბრუნვის სისწრაფე გაორკეცდება; პირიქით გამომუშავებული პროდუქციის უცვლელობის შემთხვევაში, საბრუნავი ფონდების გაორკეცება სათანადოდ შეამცირებს საბრუნავი ფონდების ბრუნვის სისწრაფეს.

ბრუნვის დრო მოიცავს იმ დროს, რომელსაც გაივლის შრომის საგანი (ნედლეული, მასალა, სათბობი) წარმოებაში შემოსვლიდან მზანაწარმის მიღებამდე.

ბრუნვის დროის შემცირება პირდაპირ პროპორციულია საბრუნავი ფონდების ბრუნვის სისწრაფისადმი და უკუ პროპორციულია გამომუშავებული პროდუქციის ღირებულებისადმი *).

იმ წარმოებამ, რომელსაც გარღვევები აქვს საკუთარი საბრუნავ საშუალებებში სასწრაფოდ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები მისი შესავსებად; წინააღმდეგ შემთხვევაში მას წაერთმევა სამეურნეო საქმიანობის საშუალება, რადგან საანგარიშსწორებო ანგარიშზე არ ექნება თანხები მასალებისა და ნედლეულის შესაძენად და აგრეთვე საწარმოო პერსონალზე ხელფასის გასაცემად. ასეთ მდგომარეობაში მყოფ წარმოებებს, როგორც არაკრედიტუნარიანს, ბანკი უზღუდავს სესხის მიღებას.

წარმოების საკუთარი საბრუნავი საშუალებათა მდგომარეობის გამოსარკვევად უნდა ავიღოთ უკანასკნელი პერიოდის მეურნეობის ბალანსი და საბრუნავ სახსრებზე მოქმედი ანგარიშების ამოწერით მოვახდინოთ მისი გაანგარიშება.

---

*) ირ. მიქელაძე. „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა". გვ. 268.

მაგალითად, ჩვენს მიერ დასაგეგმად აღებული აგური ქარხნის ბალანსის 19 . წლის 1-ლი . . ის (ამონაწერი)

| ჯგუფებისა და მუხლების დასახელება | პირველ რიცხვისათვის ათ. მ. | ჯგუფებისა და მუხლების დასახელება | პირველ რიცხვისათვის ათ. მან. |
|---|---|---|---|
| აქტივი | | პასივი | |
| ძირითადი და განყენებული საშუალებანი: | | I. საწესდებო ფონდი . . . | 850,0 |
| I. ძირითადი საშუალებანი | 791,0 | II. საბიუჯეტო დაფინანსება | |
| II. განყენებული საშუალებ.: | | ა) საბრუნავ საშუალებათა გასაძლიერებლად . . | — |
| ა) შენატანი ბიუჯეტში დაგროვებიდან . . | — | ბ) . . | — |
| ბ) შენატანი სამრეწველო ბანკში მოგებიდან . . | — | გ) . . . | — |
| | | III. გრძელვადიანი დაკრედიტება. . . . . . . | — |
| გ) შენატანი სამრეწველო ბანკში ამორტიზაციიდან | 17,0 | VI. ანგარიშსწორება გაერთიანებასთან, საბრუნავი საშუალებებით . . | — |
| დ) შენატანი რაიონული მრეწველობის განვითარების ფონდში | 21,0 | V. დაგროვება: | |
| III. ზარალი გასული წლის: | — | ა) გასული წლის . . | — |
| ზარალი მიმდინარე წლის | — | ბ) მიმდინარე წლის . . | 85,0 |
| სულ „ა" ჯგუფით | 829,0 | სულ I—V მუხლის მიხედვით | 935,0 |

დავუშვათ, რომ აღნიშნულ წარმოებას ნორმატივით დადგენილი აქვს გარდამავალი მარაგი მასალის ნედლეულის, სათბობის, დაუმთავრებელი ნაწარმისა და მზაპროდუქციის 100,0 ათასი მანეთის ღირებულების, რომელიც დაფარული უნდა იქნას საკუთარი საბრუნავი სახსრებით. დავუშვათ, რომ მყარ პასივში, სოც. დაზღვევის ანარიცხებისა და მოსამსახურეთა ხელფასის 7 დღის ნორმალური დავალიანება უდრის 3,8 ათ. მანეთს, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი საბრუნავი სახსრების გასადიდებლად. რამდენი იქნება ამ შემთხვევაში წარმოების საკუთარი საბრუნავი სახსრები?

გაანგარიშება.

წარმოების საკუთარი საბრუნავი სახსრები შეადგენს:

1) 935,0 ათ. მან.+3,8 ათ. მან.=938,8 ათ. მან.

938,8 ათ. მან.—829,0 ათ. მან.=109,8 ათ. მანეთი.

109,8 ათასი მანეთი შეადგენს საკუთარ საბრუნავ სახსრებს, რომელიც მიმართული იქნება: 100,0 ათასი მანეთი ნორმატივებით

## ჩვენს მიერ მაგალითისათვის აღებული აგურის ქარხნის საოპერაციო წლის საფინანსო გეგმა

(ათას მანეთებში)

| საშუალებათა წარმართვა | საოპერაციო წლ. გეგმით | დაფარვის წყაროების | საოპერაც. წლის გეგმით |
|---|---|---|---|
| 1. კაპიტალური დანახარჯები . . . . . . | — | 1. საკუთარი საშუალებანი | |
| 2. ცვლილება მასალების ნაშთებში და ანგარიშსწორების მუხლებში | — | 2. მოგება . . . . . | 85,7 |
| სულ კაპიტ. დანახარჯები | — | 3. ამორტიზაცია . . . | 51,0 |
| 3. ანარიცხები კაპიტალ. რემონტის ფონდში . | 34,0 | 4. შემოსავალი ექსპლოატაციიდან გამოსული ქონების რეალიზაციისაგან . . . . . . . | — |
| 4. კაპიტალური დანახარჯები, ლიმიტის გარეშე . . . . . . . | — | 5. დირექტორის ფონდი წარმართული ლიმიტგარეშე კაპიტ. სამუშაოებზე . . . . . | — |
| 5. ცვლილება საბრუნავ საშუალებათა (∓) სულ ნორმატივები . . . | 40,5 | 6. საბრუნავ საშუალებათა ზედმეტი თანხა საოპერაციო წლის 1/I . . | — |
| 6. საბრუნავ საშუალებათა დანაკლისი საოპერაციო წლის 1/I . . . . . . | — | 7. ბიუჯეტიდან სულ . . | — |
| 7. მშენებლობაზე მიღებული სესხის დაფარვა . | 49,0 | მათ შორის: | |
| 8. ზარალი . . . . . | — | ა) კაპიტ. დანახარჯებზე | — |
| 9. დანარჩენი ხარჯები . | — | ბ) საბრუნავ საშუალებათა დასაფარავად . . . | — |
| 10. სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა: . . . . . . | | 8. წარმოების დაფინანსება | — |
| ა) ანარიცხები საოპერაციო წლის მოგებიდან . . . . . . | — | 9. კაპიტ. დანახარჯების დაფარვა სამინისტროს ცენტრალიზებულ ანგარიშიდან . . . . | — |
| ბ) ანარიცხები გასული წლის გადაანგარიშებით | — | 10. მინიმალური ხელფასის და სოცდაზღვევის დავალიანების ცვლილება | 3,6 |
| გ) დამატებითი ამოღება საბრუნავ საშუალებათა . . . . | — | | |
| 11. ანარიცხები დირექტორის ფონდში საოპერაციო წელში . . . | — | | |
| 12. თანხა დარიცხული წარმოებაზე . . . . . . | — | | |
| 13. ზედმეტი საამორტიზაციო თანხის შეტანა სამრეწველო ბანკში . . | 17,0 | | |
| სულ . . . . | 140,5 | სულ . . . | 140,5 |

გათვალისწინებული მარაგისა და გარდამავალი ნაშთების დასაფარავად; 9,8 ათასი მანეთი კი წარმოებას ექნება ზედმეტი საბრუნავი სახსრები, რომელიც მიმართული იქნება ნედლეულის, მასალებისა და სხვათა ნორმატივზევითი საბალანსო ნაშთების დასაფარავად.

იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი საბრუნავ საშუალებაზე მოქმედი აქტიური ანგარიშების თანხობრივი გამოხატულება წინ უსწრებს პასიური ანგარიშების მაჩვენებლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებას საკუთარი საბრუნავ სახსრებში აქვს გარღვევები, რომლის შესავსებად მიღებული უნდა იქნას სასწრაფო ზომები.

ჩვენს მიერ პირობითი დასაგეგმად აღებული აგურის ქარხნის საოპერაციო წლის დანახარჯებისა და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული დაგროვების საფუძველზე შედგენილი საფინანსო გეგმა შემდეგი მაჩვენებლებით განისაზღვრება (იხ. გვ. 91).

ქარხანა საოპერაციო წელში მიიღებს 85.700 მანეთს დაგროვებას, რომელიც მიმართული იქნება: აგურის ქარხნის მშენებლობისათვის მიღებული სესხის ნაწილის დასაფარავად 49.000 მანეთი და 36.700 მანეთი საბრუნავ საშუალებათა შესაქმნელად. ამავე მიზნისათვის იქნება გამოყენებული მინიმალური ხელფასისა და სოცდაზღვევის ნორმალური დავალიანება 3.800 მანეთი.

პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის ელემენტებიდან გამორიცხულია თანხა, რომელიც შემდეგი წლისათვის გარდამავალი დაუმთავრებელ ნაწარმზე ირიცხება. წლის დასაწყისისათვის გადმოსული დაუსრულებელი ნაწარმი, დანახარჯთა ხასიათის მიხედვით შესულია კალკულაციის ელემენტში. კალკულაციაში მოცემული პროდუქციის საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულება ეთანაბრება წარმოების დანახარჯების სათანადო განაყოფს, სახელდობრ: „საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯები სასაქონლო პროდუქციაზე“. (იხ. მზა ნაწარმის კალკულაცია და წარმოების დანახარჯები).

მრეწვკომბინატისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათათვის საფინანსო გეგმის შედგენის წესების პრაქტიკულად გადმოცემის მიზნით მოვიყვანთ საფინანსო გეგმის შედგენის მეორე მაგალითს, რომელსაც შემდეგი მაჩვენებლები გააჩნიათ (იხ. ცხრილი № 1, 2, 3, 4, 5 და სხვ. გვ. 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112).

## XV. მრეწვკომბინატისა და ადგილმრეწველობის განყოფილების შენაერთი საფინანსო გეგმა

მრეწვკომბინატისა და ადგილმრეწველობის განყოფილებათათვის საფინანსო გეგმის შედგენის წესების პრაქტიკულად გადმოცემის მიზნით მოგვყავს მაგალითი მათი შენაერთი ფინგეგმის მთავარ მაჩვენებელთა, ზოგადი განმარტებით.

როგორც აღვნიშნეთ ფინგეგმის შედგენის ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს: 1. წარმოების ხარჯთაღრიცხვა (წარმოების შენაერთი დანახარჯთა გეგმა).

2. საბრუნავ საშუალებათა საჭიროების გეგმა.

3. შედეგების გაანგარიშება.

4. ამორტიზაციის გაანგარიშების ცხრილი.

ყველა ეს მაჩვენებელი მოცემული უნდა იქნას მრეწვკომბინატის სისტემაში შემავალ წარმოებებზე შენაერთის სახით. საბრუნავ საშუალებათა რაოდენობის გასაანგარიშებლად საჭირო ნორმატივ-დღეთა რიცხვი აღებული უნდა იქნას საშუალოდ მრეწვკომბინატისათვის. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ შეუძლებელია ყველა მრეწვკომბინატისა და ადგილმრეწველობის განყოფილებისათვის ერთი და იმავე რაოდენობის ნორმატივ-დღეების დაწესება, რადგან ასეთის დაწესებისათვის მხედველობაში მიღებული უნდა იქნას:

ა) მათი წარმოებებისათვის ძირითადი ნედლეულისა და მასალების მიწოდების პირობები.

ბ) გადასამუშავებლად გამოყოფილი ან თვითდამზადებით შეძენილი მასალებისა და ნედლეულის გზაში ყოფნის ხანგრძლივობა, და

გ) მათი საწარმოთა ადგილმდებარეობა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა.

რაც უფრო დაშორებულია წარმოება ნედლეულით, მასალითა და სათბობით მომარაგების წყაროს, მით უფრო მეტი რაოდენობის მარაგი უნდა იქონიოს მან მუშაობის დაუბრკოლებლად უზრუნველსაყოფად.

გარედან შესაძენ მასალათა ფასეულობებზე მრეწვკომბინატებისა და ადგილმრეწველობის განყოფილებათათვის შეიძლება დადგენილ იქნას საშუალოდ შემდეგი ნორმატივ-დღეები:

1. ძირითად ნედლეულზე და მასალებზე . . —40 დღე
2. ნაყიდ ნახევარ ფაბრიკატებზე . . —40 „
3. დამხმარე მასალებზე . . —80 „
4. სათბობზე . . . . . . . . . . . —90 „

წარმოების შენაერთი დანახარჯთა გეგმა იწყება თვითღირებულების ელემენტის „ძირითადი მასალა“-ს ჯამით და მთავრდება „სულ საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯები“-თ, რაც თავისთავად ნიშნავს გამოშვებული მზაპროდუქციისა და დაუმთავრებელი ნაწარმის საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულებას.

თუ საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯთა ჯამს მივუმატებთ მიმდინარე პერიოდის 1-ლ რიცხვისათვის გადმოსული დაუმთავრებელი ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ნაშთს და მიღებულ ჯამს გა-

მოვაკლებთ მიმდინარე პერიოდის ბოლოსათვის გარდამავალ დაუმთავრებელ ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ნაშთს მივიღებთ სასაქონლო პროდუქციას, საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულებით.

მრეწვკომბინატებისა და ადგილმრეწველობის განყოფილებათათვის ფინგეგმის შესადგენად მაგალითისათვის პირობითი აღებული ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე (იხ. ცხრილი № 1) „დანახარჯთა შენაერთი გეგმა“-ს მიხედვით, სასაქონლო პროდუქციის ღირებულების ჯამი უდრის:

$$2049{,}0+80{,}0-80{,}0=2049{,}0 \text{ ათას მანეთს.}$$

კომერციულ ხარჯებში შედის მრეწვკომბინატის შესანახი ხარჯები და სავაჭრო, ანუ პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები. როდესაც სასაქონლო პროდუქციის საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულების ჯამს მივუმატებთ კომერციულ ხარჯებს, მივიღებთ გამოშვებული პროდუქციის კომერციულ თვითღირებულებას.

ჩვენს შემთხვევაში:

$$2.049+64{,}0=2113{,}0 \text{ ათასი მანეთი.}$$

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებების ხელმძღვანელთა საპატიო ამოცანას პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება წარმოადგენს. წარმოებას, ან კიდევ მათ გაერთიანებებს (მრეწვკომბინატები, ადგილმრეწველობის განყოფილებები) თვითღირებულების შემცირების გეგმა შესადარ პროდუქციაზე ეძლევა, ე. ი. ისეთი სახის პროდუქციაზე, რომლის გამომუშავება გასულ წელს წარმოებდა და მიმდინარე წელსაც წარმოებს გათვალისწინებული გეგმის მიხედვით.

დანახარჯთა შენაერთი გეგმის მე-17 მუხლი „% შესადარი სასაქონლო პროდუქციის“ განსაზღვრავს დასაგეგმი პერიოდის სასაქონლო პროდუქციის საერთო ჯამის, თუ რა პროცენტს შეადგენს შესადარი პროდუქცია. მაგალითისათვის დავუშვათ, რომ დასაგეგმ პერიოდში დაგეგმილი დანახარჯთა შენაერთის, გეგმით გათვალისწინებულ 2113,0 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციიდან (კომერციული თვითღირებულებით) 2040,0 ათასი მანეთის პროდუქცია შესადარია. ამ შემთხვევაში შესადარი პროდუქციის % იქნება:

$$\frac{2040\times100}{2113{,}0}=96{,}5\ \%.$$

„სასაქონლო პროდუქცია გასაცემ ფასებში“ ნიშნავს საანგარიშო პერიოდში გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას

მიმდინარე წლის 1-ლი რიცხვისათვის მოქმედ საბითუმო ფასებში, ე. ი. საგეგმო ფასებში.

სასაქონლო პროდუქცია ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით იგივეა, რაც სამრეწველო ღირებულებით.

### საფინანსო გეგმა

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის საოლქო ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, მრეწვკომბინატები და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები თავიანთი საფინანსო გეგმებს შენაერთის სახით უდგენენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს. ასე მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო თავისი საფინანსო გეგმაში რთავს, როგორც მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ წარმოებებს, ისე მის დაგეგმვაში შემავალი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მოქმედ მრეწვკომბინატებსა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებს. მრეწვკომბინატები და ადგილმრეწველობის განყოფილებები კი—მათში შემავალი ყველა სახისა და დარგის წარმოებებსა და საამქროებს, მიუხედავად იმისა შედის თუ არა ესა თუ ის წარმოება საქართველოს სსრ-ის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაგეგმვაში, ე. ი. იმ საწარმოთა ჩართვით, რომელნიც საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის სამინისტროს დაგეგმვაში შედის.

საფინანსო გეგმა საწარმოო გეგმის დამუშავების საბოლოო სტადიას ანუ ეტაპს წარმოადგენს.

საფინანსო გეგმა შედგება ორი ნაწილისაგან:

I. საგასავლო, ანუ „საშუალებათა წარმართვა“ და

II. საშემოსავლო, ანუ „დაფარვის წყარო“.

### საგასავლო ნაწილის მუხლებია:

(მაჩვენებელთა პრაქტიკულად გადმოცემის მიზნით მუხლებში შეგვაქვს ჩვენს მიერ პირობითი აღებული ციფრები. (იხ. ცხრილი № 4).

1. კაპიტალური დანახარჯები (ლიმიტირებული) . . . . —
2. ცვლილება მასალების ნაშთებში და ანგარიშსწორების მუხლებში . . . . . . . . . . —
3. ანარიცხები კაპიტალური რემონტის ფონდში . . 111.500
4. ლიმიტგარეშე კაპიტალური დანახარჯები . . . . 142.000
5. ცვლილება საბრუნავ საშუალებათა (+,—) სულ ნორმატივები . 214.300

6. საკუთარი საბრუნავი საშუალებათა დანაკლისი . 40.000
7. წაგება . . . . . . . . . —
8. შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში:
   ა) ანარიცხები მიმდინარე წლის მოგებიდან . —
   ბ) ანარიცხები გასული წლის გადაანგარიშებით —
   გ) დამატებითი ამოღება საბრუნავ საშუალებათა . —
9. სისტემის შიგნით წარმოებაზე გადარიცხული თანხა —
10. ანარიცხები დირექტორის ფონდში . . . . . 1.500
11. ანარიცხები რაიონული მრეწველობის განვითარების რესპუბლიკურ ფონდში . . . . . 39.000
12. ანარიცხები რაიონის კეთილმოწყობის ფონდში . . 39.000
13. ზედმეტი საამორტიზაციო თანხის სამრეწველო ბანკში შეტანა . . . . . . . . . . . . 55.700
14. კაპიტალურ მრეწველობაზე მიღებული სესხის დაფარვა . . . . . . . . . . 102.900

სულ . . . . 317.300 მან.

### 1. „კაპიტალური დანახარჯები"

ამ მუხლში შეიტანება ლიმიტირებული კაპიტალური მშენებლობის დანახარჯები, რომლის სატიტულო სია და სამშენებლო გეგმა დამტკიცებულია ზემდგომი ორგანოების მიერ და მისი დაფინანსება ხდება ცენტრალიზებული წესით სპეცბანკების საშუალებით (სამრეწველო, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ბანკები).

რაიონული დაქვემდებარების წარმოებათა მშენებლობები ძირითადად არალიმიტირებულია (ლიმიტ გარეშეა) და მისი დაფინანსების წყაროს მრეწვკომბინატის ან ადგილმრეწველობის განყოფილების მიერ მიღებული დაგროვება შეადგენს. კაპიტალური მშენებლობისათვის სესხების მიღება და მისი სარგებლობა წარმოებს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების შესაბამისად.

### 2. „ცვლილება მასალების ნაშთებში და ანგარიშსწორების მუხლებში".

ამ მუხლში შეიტანება კაპიტალური მშენებლობის ბალანსით დასაგეგმი პერიოდისათვის გადმოსული მასალების ღირებულებისა დადებიტორული დავალიანების ნაშთი, რომელიც ფინგეგმის საგასავლო ნაწილში მინუსით (—) აღინიშნება. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაგეგმი პერიოდისათვის გადმოსული მასალის ღირებულება მოხმა-

რებული იქნება მიმდინარე წელში და ამით შემცირდება მიმდინარე წელში მასალის შეძენაზე საჭირო დანახარჯები. დასაგეგმი პერიოდისათვის გადმოსული დებიტორული დავალიანება კი ანაზღაურებული იქნება და მიღებული თანხა მიმართული კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დასაგეგმ პერიოდში მშენებლობაზე მიღებულ თანხებიდან შეძენილი სამშენებლო მასალების ნაწილი და დებიტორული დავალიანება გადავა მომავალი წლისათვის, მისი ნაშთი ნაჩვენები იქნება პლუსით (+). ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა იმ თანხისა, რომლითაც წარმოებული უნდა იქნას კაპიტალური მშენებლობა, (მშენებლობა, მონტაჟი მანქანა-მოწყობილობათა და ინვენტარის შეძენა), მიმდინარე წელში საჭირო იქნება კიდევ დამატებითი სახსრების დაბანდება მომავალი წლისათვის მასალების შესაძენად და სხვ.

ბალანსზე შემდეგი წლისათვის მისაღები ნაშთებისა და დებიტორული დავალიანების არსებობა გამართლებულია მხოლოდ იმ პირობებში, თუ მშენებლობა გარდამავალია, ე. ი. მისი მშენებლობა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

საერთოდ ფინგეგმაში მოცემული უნდა იქნას მასალების ნაშთების და ანგარიშსწორების სხვაობა წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის. დავუშვათ, რომ წლის დასაწყისისათვის მისი ჯამი 100,0 ათას მანეთს შეადგენდა და წლის ბოლოსათვის კი ვითვალისწინებთ მხოლოდ 30,0 ათასი მანეთის გარდამავალ ნაშთს. ამ შემთხვევაში ფინგეგმის ამ მუხლში შეტანილი იქნება—70,0 ათასი მანეთი, ე. ი. გასული წლის ფინანსირებიდან შეძენილი 70,0 ათასი მანეთის მასალები გამოყენებული იქნება მიმდინარე წელში.

### 3. „ანარიცხები კაპიტალური რემონტის ფონდში“.

ამ მუხლში შეიტანება საამორტიზაციო ანარიცხების 2/3 ნაწილი, რომელიც მიმართული უნდა იქნას გაცვეთილი ძირითადი საშუალებათა აღდგენაზე. კაპიტალური რემონტის ფონდიდან თანხების ხარჯვა დირექტორის განკარგულებით წარმოებს.

### 4. „ლიმიტგარეშე კაპიტალური დანახარჯები“.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებათა კაპიტალური მშენებლობა ძირითადად არალიმიტირებულია. ხსენებული დანახარჯები კაპიტალური მშენებლობათა შესასრულებლად რესპუბლიკისათვის

ცენტრალიზირებული წესით ჩამოშვებული ლიმიტიდან კი არ იფარება, არამედ ასეთი მშენებლობები, მათი მოცულობის მიხედვით, წარმოებს თვით მრეწვკომბინატებისა და ადგილმრეწველობის განყოფილებათა დაგროვების ანგარიშზე, საქართველოს სსრ-ის, ან სათანადო ავტონომიური სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის აღმასკომის ან ადგილობრივი რაიონის (ქალაქის) აღმასკომის დადგენილებით. ასეთი სახის მშენებლობის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ან, როგორც ზემოთ იყო განმარტებული, მრეწვკომბინატებისა და ადგილმრეწველობის განყოფილებათა დაგროვება, ან სამრეწველო ბანკის გრძელვადიანი (სამწლიანი) და სახბანკის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სესხი, რომელიც დაფარული უნდა იქნას წინასწარ შეთანხმებულ ვადებში, სესხის მიმღების დაგროვებიდან (მრეწვკომბინატი, ან ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება) (იხ. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების II თავი).

## 5. „საბრუნავ საშუალებათა ცვლილება".

ამ მუხლში ნაჩვენები უნდა იქნას საბრუნავ საშუალებათა საჭიროების ცვლილება. წარმოების საბრუნავი საშუალება,—ეს არის წარმოების შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო ფასეულობათა ნორმირებული ნაშთები. რაც უფრო დიდია ასეთი ნაშთები, მით უფრო მეტი საბრუნავი სახსრებია საჭირო მის დასაფარავად. ნორმირებული ნაშთების სიდიდე დამოკიდებულია წარმოების ხარჯთაღრიცხვის მოცულობასთან (იხილეთ № 1 და № 2 ცხრილები).

## 6. „საკუთარ საბრუნავ საშუალებათა დანაკლისი".

ამ მუხლში შესატანი თანხის გამოსარკვევად აღებული უნდა იქნას დასაგეგმი პერიოდის 1-ლი რიცხვისათვის ბუღალტრული ბალანსი და გამოყვანილი საკუთარი საბრუნავი სახსრები. ჩვენს მიერ პირობითი აღებული მრეწვკომბინატის ბალანსის საკუთარი საბრუნავ სახსრებზე მოქმედი ანგარიშები შემდეგით გამოიხატება:

... მრეწვკომბინატის 194... წლის 1 იანვრისათვის ბალანსიდან ამონაკრეფი ციფრები, რომლებიც მოქმედებენ საკუთარ საბრუნავ სახსრებზე.

| ჯგუფების და მუხლების დასახელება | . . . . . . წლის ბოლოსათვის | ჯგუფების და მუხლების დასახელება | მყარი პასივი წლის ბოლოსათვის (ნორმატ) | . . . . . . წლის ბოლოსათვის |
|---|---|---|---|---|
| **აქტივი.** | | **პასივი.** | | |
| ა) ძირითადი და განყენებული საშუალებანი . . | | I. საწესდებო ფონდი — ანგარიშები გამოყოფილ საშუალებაზე . | | 3.052,100—00 |
| I. ძირითადი საშუალებანი | 2.520.300—00 | II. გრძელვადიანი დაკრედიტება . . . . | | 119,000—00 |
| II. განყენებული საშუალებანი | | III. მოგება მიმდინარე წლის . . . . . | | 120.000—00 |
| ა) შენატანები სამრეწველო ბანკში მშენებლობისათვის მიღებული სესხის დასაფარავად . . . . | — | სულ I-III მუხლებით | | 3.291.100—00 |
| ბ) შენატანები რაიონული მრეწველობის განვითარების ფონდში . . . | — | | | |
| III. ანგარიშსწორება ზემდგომ ორგანიზაციისა და წარმოებას შორის საბრუნავ საშუალებათა განაწილებაზე . . . | 125.800—00 | IV 1. სოცდაზღვევა ანარიცხებით . | 1.300—00 | 4.290—50 |
| | | 2. მუშა-მოსამსახურე . . | 17.700—00 | 25.250—00 |
| | | 3. მოსალოდნელი გადასახადები . . | — | 21.600—00 |
| სულ „ა“ ჯგუფში . . | 2.646.100—00 | | 19 000—00 | — |

საბალანსო მონაცემებით ძირითადი და განყენებული საშუალებანი შეადგენს 2.646.100 — მანეთს. მისი დასაფარავი ანგარიშების საერთო ჯამი კი შეადგენს 3.291.100 მანეთს, რასაც დაემატება ნორმატივებით დადგენილი სოცდაზღვევისა და მუშა-მოსამსახურეებისადმი 7 დღის მინიმალური დავალიანება 19.000 მანეთი და იქნება სულ: 3.291.100 + 19.000 = 3.310.100 მანეთი.

აქედან გამომდინარე:

ა) რას უდრის მრეწვკომბინატის საკუთარი საბრუნავი სახსრები? 3.310.100 — 2.646.100 = 664.000 მანეთს.

ბ) რას უდრის გარღვევები საკუთარ საბრუნავ სახსრებში? 704.000 *) — 664.000 = 40.000 მანეთს,

*) იხ. ცხრილი № 2.

ე. ი. მრეწვკომბინატს 704.000 მანეთის ნორმატივების დასაფარავად უნდა ჰქონოდა 704.000 მანეთის საკუთარი საბრუნავი სახსრები და ფაქტიურად კი ბალანსით აქვს 664.000 მანეთი, ანუ კომბინატს საანგარიშო პერიოდის 1-ლი რიცხვისათვის აქვს 40.000 მანეთი გარღვევა, რომლის დაფარვა გათვალისწინებული უნდა იქნას ფინგეგმით.

7. „წაგება", როგორც გამონაკლისი შემთხვევა. განსაკუთრებული დარგის ზოგიერთი წარმოება ზარალით იგეგმება. პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ზარალის გაანგარიშება № 3 „შედეგების გაანგარიშება"-ს ცხრილის მიხედვით წარმოებს.

## 8. „შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში".

ეს მუხლი ძირითადად რესპუბლიკური დაქვემდებარების წარმოებებს ეკუთვნის. რესპუბლიკური მნიშვნელობის წარმოებებს შეაქვთ ბიუჯეტში გადანაწილების შემდეგ დარჩენილი მთელი დაგროვება, ნორმატივების შემცირების ბრუნვიდან განთავისუფლებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაწილი, გასული წლის მოგებიდან ბიუჯეტში შეუტანელი ნარჩენები და საანგარიშო წლის დასაწყისისათვის ბუღალტრული ბალანსით რიცხვული ჭარბი საკუთარი საბრუნავი სახსრები.

ყველა ეს შენატანი გათვალისწინებული უნდა იქნას წარმოების საფინანსო გეგმაში.

## 9. „სისტემის შიგნით წარმოებაზე გადარიცხული თანხა".

აღნიშნულ მუხლში შეიტანება თანხა, რომელიც ზემდგომი ორგანოების განკარგულებით სისტემის შიგნით ერთ წარმოებიდან მეორე წარმოებაზე გადაირიცხება.

## 10. „ანარიცხები დირექტორის ფონდში".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 9 აგვისტოს № 2995 დადგენილების შესაბამისად წარმოების გეგმიური დაგროვების 1% და ზეგეგმიური დაგროვების 15% გადაირიცხება დირექტორის ფონდში, საიდანაც 50% დაიხარჯება საბინაო მშენებლობაზე და 50% კი კაპიტალურ მშენებლობაზე და პრემიების გაცემაზე.

11. „ანარიცხები რაიონული მრეწველობის განვითარების რესპუბლიკურ ფონდში".

12. „ანარიცხები რაიონის კეთილმოწყობის ფონდში".

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების შესაბამისად რაიონული და საქალაქო მრეწვკომბინატებისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა დაგროვების თანხებიდან შეიძლება მიმართულ იქნას:

დაგროვების 25% რაიონული მრეწველობის განვითარების რესპუბლიკურ ფონდში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით) და 25%-მდე რაიონის (ქალაქის) აღმასკომის დადგენილების საფუძველზე სათანადო რაიონის (ქალაქის) კეთილმოწყობის ფონდში (ამ ფონდიდან წარმოებს საპინაო და კულტმშენებლობა).

13. „ზედმეტი საამორტიზაციო თანხის სამრეწველო ბანკში შეტანა".

საამორტიზაციო ანარიცხების 2/3 მიმართულია კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად, რომლის ხარჯვა წარმოებს დირექტორის განკარგულებით და 1/3 ნაწილი კი უნდა მოხმარდეს კაპიტალურ მშენებლობას.

თუ კი ბალანსზე დაგროვილია საამორტიზაციო მშენებლობისათვის განკუთვნილი, ხსენებული 1/3 ნაწილი ანარიცხი, რომლის გამოყენება კომბინატს არ ესაჭიროება, ის შეიტანება სამრეწველო ბანკში, როგორც ამ კომბინატისთვის ზედმეტი საამორტიზაციო თანხა, რომელიც გამოყენებული იქნება რესპუბლიკის შიგნით სხვა მშენებლობათა დასაფინანსებლად.

## ფინგეგმის საშემოსავლო ნაწილი

ფინგეგმის საშემოსავლო ნაწილი შემდეგი მუხლებისაგან შედგება: (მუხლებში შეგვაქვს ჩვენს მიერ მაგალითისათვის პირობითი აღებული ციფრები).

| | |
|---|---|
| 1. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული დაგროვება . . . . | 156.000 მან. |
| 2. ამორტიზაცია . . . . . . . | 167.200 „ |
| 3. შემოსავალი ექსპლოატაციიდან გამოსული ქონების რეალიზაციიდან | — |

4. დირექტორის ფონდი წარმართული ლიმიტგარეშე კაპიტალურ მშენებლობაზე . . . . . . . . . —
5. საკუთარი საბრუნავ საშუალებათა ზედმეტობა წლის დასაწყისისათვის . . . . . . . . —
6. სახბიუჯეტიდან მიღებული თანხები . —
7. წარმოებიდან დაფინანსება . . . . . —
8. რესპუბლიკურ ფონდიდან რაიონული მრეწველობის განვითარების დაფინანსება . . . . . . —
9. კაპიტალური დანახარჯების დაფარვა სამინისტროს ცენტრალიზებული ანგარიშიდან . . . . . . . . —
10. მინიმალური ხელფასისა და სოცდაზღვევის დავალიანების ცვლილება . . . —5.900

| | |
|---|---|
| ს უ ლ | 317.300 მან. |

## 1. „პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული დაგროვება

აღნიშნულის გამოსაყვანად სარეალიზაციო პროდუქციის საწარმოო ღირებულებას (საგასაცემო ღირებულება ბრუნვიდან გადასახადისა და ფასდაკლების გამოკლებით) უნდა გამოვაკლოთ იმავე პროდუქციის კომერციული თვითღირებულება, ე. ი. დაგროვება წარმოადგენს სხვაობას სასაქონლო პროდუქციის საწარმოო ღირებულებისა და კომერციული თვითღირებულებას შორის. რაც უფრო დიდია მათ შორის სხვაობა, მით უფრო დიდია დაგროვების თანხა. სხვაობა კი წარმოიშვება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით. დაგროვების გაანგარიშება მოცემულია № 3 ცხრილში, „შედეგების გაანგარიშება"-ს ცხრილში.

## 2. ამორტიზაცია

ამ მუხლში შეიტანება ამორტიზაციის გაანგარიშების ცხრილში დადგენილი საამორტიზაციო ანარიცხები. მისი ოდენობა და წარმართვა წარმოებს სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 მარტის № 288 დადგენილების შესაბამისად, რომლის თანახმად ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წარმოებების ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის წლიური რაოდენობა განსაზღვრულია საშუალებათა პირველადი ღირებულების 6%-ით, მათ შორის 2/3 ნაწილი გამოყენებული იქნება დირექტორის განკარგულებით კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად და 1/3 ნაწილი კი (სამრეწველო ბანკში შეტანით) კაპიტალური მშენებლობისათვის.

### 3. „შემოსავალი ექსპლოატაციიდან გამოსული ქონების რეალიზაციიდან“

ეს შემოსავალი ნიშნავს შემოსავალს ისეთი შენობისა და მანქანა-მოწყობილობათა რეალიზაციიდან, რომელთა ღირებულება საამორტიზაციო ანარიცხების ანგარიშით უკვე ჩამოიწერა ძირითად საშუალებათა შემადგენლობიდან და ქონების შემადგენლობაში არ ყოფილა აღდგენილი საწესდებო ფონდის ანგარიშით, ან კიდევ ბალანსზე რიცხული ქონების თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობა (გაცვეთის გამოკლებით).

### 4. „დირექტორის ფონდი წარმართული ლიმიტგარეშე კაპიტალურ მშენებლობაზე“.

ამ მუხლში შეიტანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 9 აგვისტოს № 2995 დადგენილებით გათვალისწინებული წარმოების გეგმიური დაგროვების 1% და ზეგეგმიური დაგროვების 15 %. ეს თანხები გადადის დირექტორის განკარგულებაში მათი ნაწილი მოხმარებული იქნება კაპიტალური მშენებლობის ჩასატარებლად.

### 5. „საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ზედმეტობა წლის დასაწყისისათვის“

ამ თანხის გასაანგარიშებლად უნდა ავიღოთ წარმოების ბალანსი დასაგეგმი პერიოდის 1-ლი რიცხვისათვის და გამოვიყვანოთ საკუთარი საბრუნავი საშუალებათა მდგომარეობა. გამოყვანილი საკუთარი საბრუნავი საშუალების თანხა უნდა შევადაროთ გასული წლის გეგმით დადგენილ საკუთარ საბრუნავ საშუალებას და თუ ფაქტიური ბალანსით აღმოჩნდა ზედმეტობა, ეს თანხა შეიტანება ფინგეგმის საშემოსავლო ნაწილში და გამოყენებული იქნება, როგორც მიმდინარე პერიოდის საკუთარი სახსრები. თუ ეს საჭირო არ იქნება ამ წარმოებისათვის, მაშინ მოხდება მისი იმავე სისტემაში შემავალ წარმოებაზე გადაცემა.

### 6. „სახბიუჯეტიდან მიღებული თანხები“.

ეს მუხლი ძირითადად რესპუბლიკური მნიშვნელობის წარმოებებს ეკუთვნის. ამ წარმოებათა ყველა სახის შემოსავალი ბიუჯეტს მიაქვს. სამაგიეროდ ხსენებული წარმოებები ბიუჯეტიდანვე ღებულობენ ქვემოჩამოთვლილ მიზნობრივ თანხებს.

1. საბრუნავ საშუალებებში გარღვევების დასაფარავად.
2. კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად.
3. კონსერვაციაქმნილი ქონების შესანახად და სხვა.

### 7. „წარმოებიდან დაფინანსება".

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის შიგნით ერთ წარმოებას ჭარბი საბრუნავი საშუალებები გააჩნია, ზემდგომი ორგანოების განკარგულებით ხდება ასეთი წარმოებიდან თანხების გადაცემა ისეთ წარმოებებზე, რომელთაც საკუთარ საბრუნავ სახსრებში აქვს გარღვევები.

### 8. „ფინანსირება რაიონული მრეწველობის განვითარების რესპუბლიკურ ფონდიდან"

როგორც ფინგეგმის საგასავლო ნაწილში აღვნიშნეთ, მრეწვკომბინატებისა და ადგილმრეწველობის განყოფილებათა დაგროვებიდან 25% შეიძლება მიმართულ იქნას რაიონული მრეწველობის განვითარების რესპუბლიკურ ფონდში. ამ ფონდიდან თახხის გაცემა წარმოებს იმ მრეწვკომბინატებზე და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებზე, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი სახსრები მრეწველობის განვითარებისათვის (ახალ საწარმოთა, ან საამქროთა მშენებლობა, არსებულთა გაფართოება, რეკონსტრუქცია და სხვა).

### 9. „კაპიტალური დანახარჯების დაფარვა სამინისტროს ცენტრალიზებული ანგარიშიდან"

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საამორტიზაციო თანხის $^2/_3$ ნაწილი მიმართულია დირექტორის განკარგულებაში გაცვეთილი ქონების აღდგენის მიზნით კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად; $^1/_3$ ნაწილი კი—კაპიტალური მშენებლობისათვის სამრეწველო ბანკში შეტანით. იმ შემთხვევაში, თუ წარმოებებს არ ესაჭიროება ამორტიზაციის თანხის ამ ნაწილის გამოყენება, ის გადარიცხული უნდა იქნას სამინისტროს იმ ცენტრალურ ანგარიშზე, საიდანაც ხდება რესპუბლიკურ წარმოებებზე საჭირო თანხების გაცემა, კაპიტალურ მშენებლობაზე ხარჯების გასაწევად.

### 10. „მინიმალური ხელფასისა და სოცდაზღვევის დავალიანების ცვლილება"

ამ მუხლში შეიტანება 7 დღის ნორმირებული ხელფასისა და სოცდაზღვევის დავალიანების თანხები. ეს თანხები მონაწილეობას ღებულობს წარმოების საკუთარ საბრუნავ სახსრებში. მათი სხვაობა ნაჩვენები უნდა იქნას: ზრდა, გასული წლის გეგმით განსაზღვრულ თანხასთან, პლუსით (+) და შემცირება მინუსით (—).

ცხრილი 1.

## დანახარჯების შენაერთი გეგმა

| | ხარჯების დასახელება | 1918 წ. | | გეგმა 1949 წ. |
|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | ფაქტ. | |
| 1 | ნედლეული და ძირითადი მასალები . . . . . | 800,0 | 920,0 | 845,0 |
| 2 | დამხმარე მასალები . . | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 3 | სათბობი . . . | 120,0 | 125,0 | 115,0 |
| 4 | ელექტროენერგია . . . . . . | 10,0 | 15,0 | 7,0 |
| 5 | მთელი პერსონალის ხელფასის ფონდი იმ პირთა ხელფასის ჩათვლით, რომელნიც არ ირიცხებიან წარმოების პერსონალის სიობრივ რიცხვში . | 700,0 | 820 | 674,0 |
| 6 | ხელფასზე დანარიცხები . . | 32,0 | 41,0 | 33,0 |
| 7 | ამორტიზაცია . . . . | 133,0 | 133,0 | 167,2 |
| 8 | წარმოების დანარჩენი ხარჯები | 300,0 | 380,0 | 107,8 |
| 9 | სულ საქარხნო-საფაბრიკო დანახარჯები . . . . . . | 2195,0 | 2544,0 | 2049,0 |
| 10 | დაუმთავრებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატების ნაშთი წლის დასაწყისისათვის . . . | 100,0 | 100,0 | 80,0 |
| 11 | დაუმთავრებელი ნაწარმის და ნახევარფაბრიკატების ნაშთი წლის ბოლოსათვის . . . . | 100,0 | 80,0 | 80,0 |
| 12 | საქარხნო საფაბრიკო დანახარჯები სასაქონლო პროდუქციაზე . . . . . . . . . | 2195,0 | 2564,0 | 2049,0 |
| 13 | კომერციული ხარჯ., მათ შორის: | 75,0 | 80,0 | 64,0 |
| | მრეწვკომბინატის შესანახი ანარიცხები . . . . . | 75,0 | 80,0 | 64,0 |
| | მასში ხელფასი . . . . . | 48,0 | 50,0 | 48,0 |
| 14 | სავაჭრო ხარჯები და ანარიცხები | — | — | — |
| 15 | სასაქონლო მთელი პროდუქციის კომერციული თვითღირებულება . . . . . . . | 2270,0 | 2644,0 | 2113,0 |
| 16 | შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება . | 1820,0 | 1910 | 2040,0 |
| 17 | შესადარი სასაქონლო პროდუქციის % . . . | 80,1% | 72,2% | 96,5% |
| 18 | სასაქონლო პროდუქცია გასაცემ ფასებში . . . . . . . . . | 2670,0 | 3054,0 | 2611,4 |
| | ა) ბრუნვიდან გადასახადის გარეშე . . . . . . . . . | 2370,0 | 2704,0 | 2269,0 |
| | ბ) ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით . . . . . . . . . . . | 2670,0 | 3054 | 2611,4 |

## საბრუნავ საშუალებათა საჭიროება

ცხრილი 2.
| 2 | პალტო საზამთრო | 24—32 | II | 3,90 | — | 7 | 4,3 | — | — | 5 | — | 8 | 16,9 |
| | " " | 34—38 | II | 3,90 | — | 7 | 4,7 | — | — | — | — | 8 | 19,9 |
| | " " | 40—44 | II | 4,10 | — | 7 | 5,2 | — | — | — | 1,75 | 8 | 23,4 |
| 3 | პალტო დემისეზონისა | 24—32 | I | 3,30 | — | 7 | 2,0 | — | — | — | — | 8 | 12,4 |
| | " " | 34—39 | I | 3,30 | — | 7 | 2,2 | — | — | — | — | 8 | 14,6 |
| | " " | 40—44 | I | 3,5 | — | 7 | 2,4 | — | — | 5 | 1,75 | 8 | 17,2 |
| 4 | პალტო დემისეზონისა | 24—32 | II | 3,90 | — | 7 | 2,7 | — | — | — | — | 8 | 15,0 |
| | " " | 34—38 | II | 3,90 | — | 7 | 2,9 | — | — | — | — | 8 | 17,7 |
| | " " | 40—44 | II | 4,10 | — | 7 | 3,2 | — | — | 5 | 1,75 | 8 | 20,8 |
| 5 | ჟაკეტი საზაფხულო | 24—32 | I | 2,10 | — | 7 | 1,9 | — | — | — | — | 8 | 10,5 |
| | " " | 34—38 | I | 2,10 | — | 7 | 2,1 | — | — | — | — | 8 | 12,4 |
| | " " | 40—44 | I | 2,60 | — | 7 | 2,3 | — | — | 5 | 1,75 | 8 | 14,6 |
| 6 | ჟაკეტი საზაფხულო | 24—32 | II | 2,40 | — | 7 | 2,2 | — | — | — | — | 8 | 12,3 |
| | " " | 34—38 | II | 2,40 | — | 7 | 2,4 | — | — | — | — | 8 | 14,5 |
| | " " | 40—44 | II | 3,0 | — | 7 | 2,6 | — | — | — | 1,75 | 8 | 17,0 |
| 7 | ქვედა ტანი (იუბკა) | 24—32 | I | 1,00 | — | 6 | 0,4 | — | — | — | — | 7 | 3,3 |
| | " " | 34—38 | I | 1,00 | — | 6 | 0,5 | — | — | — | — | 7 | 3,9 |
| | " " | 40—44 | I | 1,25 | — | 6 | 0,6 | — | — | — | — | 7 | 4,6 |
| 8 | ქვედა ტანი (იუბკა) | 24—32 | II | 1,40 | — | 6 | 0,5 | — | — | 5 | — | 7 | 4,8 |
| | " " | 34—38 | II | 1,40 | — | 6 | 0,6 | — | — | — | — | 7 | 5,6 |
| | " " | 40—44 | II | 1,70 | — | 6 | 0,8 | — | — | — | — | 7 | 6,6 |

ცხრილი 3.

**ბამბეული ქსოვილებიდან მამაკაცის, ქალისა და საბავშვო ზედა ტანსაცმელის კერვის დროის ნორმები და სამუშაოთა ტარიფიკაცია ინდივიდუალური კერვის სახელოსნოში.**

(III თანრიგის ატელიე).

| №№ რიგზე | ნაკეთობათა დასახელება | ფასონის სირთულე | გამოჭრა და პირველი მიზომვა. დროის ნორმა კაც-საათებში | დალამბვა პირველ მიზომვაზე | | ქვესამხრეების დამზადება | | კ ე რ ვ ა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამუშაოს თანრიგი | დროის ნორმა კაც-საათებში | სამუშაოს თანრიგი | დროის ნორმა კაც-საათებში | სამუშაოს თანრიგი | დროის ნორმა კაც-საათებში |
| | ა. მ ა მ ა კ ა ც ი ს ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი | | | | | | | | |
| 1 | პალტო საზამთრო . . . . . | I | 1,9 | 6 | 3,8 | 5 | 1,75 | 7 | 15,1 |
| 2 | ნახევარ-პალტო საზამთრო . | I | 1,7 | 6 | 3,6 | 5 | 1,75 | 7 | 13,5 |
| 3 | პიჯაკი . . | II | 1,6 | 6 | 1,7 | 5 | 1,75 | 7 | 12,1 |
| 4 | . | II | 1,6 | 6 | 1,8 | 5 | 1,75 | 7 | 13,2 |
| 5 | " . | II | 1,7 | 6 | 2,0 | 5 | 1,75 | 7 | 17,4 |
| 6 | შარვალი . | I | 0,6 | — | — | — | — | 6 | 4,6 |
| 7 | " . | II | 0,7 | — | — | — | — | 6 | 5,0 |
| 8 | ტოლსტოუკა . . | — | 1,1 | 5 | 1,0 | — | — | 6 | 7,8 |
| 9 | გიმნასტურა . . . . . . . . | — | 0,7 | 6 | 1,0 | — | — | 6 | 5,6 |
| | ბ. ქ ა ლ ი ს ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი | | | | | | | | |
| 1 | პალტო დემისეზონისა ან საზაფხულო . | I | 2,0 | 6 | 1,8 | 5 | 1,75 | 7 | 12,2 |

ცხრილი 8-ა.

| №№ რიგზე | ნაკეთობათა დასახელება | ზომა | ფასონის სირთულე | გამოჭრა და პირველი მიზომვა. დროის ნორმა კაც-საათებში. | დალამბვა პირველ მიზომვაზე | | ქვესამხრეების დამზადება | | კ ე რ ვ ა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სამუშაოს თანრიგი | დროის ნორმა კაც-საათებში | სამუშაოს თანრიგი | დროის ნორმა კაც-საათებში | სამუშაოს თანრიგი | დროის ნორმა კაც-საათებში |
| | გ. საბავშვო ტანსაცმელი ვაჟებისათვის | | | | | | | | | |
| 1 | პალტო საზამთრო . . | 24—32 | I | 1,5 | 6 | 2,5 | — | — | 7 | 9,2 |
| | " " . . . . | 34—38 | I | 1,5 | 6 | 2,8 | — | — | 7 | 10,3 |
| | " " . . . | 40—44 | I | 1,9 | 6 | 3,1 | — | — | 7 | 12,6 |
| 2 | ბუშლატი საზამთრო . . . | 24—32 | — | 1.5 | 6 | 2,5 | — | — | 7 | 8,4 |
| | " " . . | 34-38 | — | 1,5 | 6 | 2,8 | — | — | 7 | 9,4 |
| | " " . . | 40—44 | — | 1,9 | 6 | 3,1 | — | | 7 | 11,4 |
| 3 | პალტო დემისეზონის ან საზაფხულო . . | 24—32 | I | 1,5 | 6 | 1,4 | — | — | 7 | 8,0 |
| | " " " . | 34—38 | I | 1,5 | 6 | 1,5 | — | — | 7 | 9,2 |
| | " " " . | 40—44 | I | 1,9 | 6 | 1,7 | — | — | 7 | 11,0 |
| 4 | პიჯაკი ან ქურთუკი . | 24—32 | I | 1,4 | 6 | 1,1 | — | — | 7 | 6,9 |
| | " " . | 34—38 | I | 1,4 | 6 | 1,3 | — | — | 7 | 8,1 |
| | " " . | 40—44 | I | 1,6 | 6 | 1,4 | — | — | 7 | 9,4 |
| 5 | პიჯაკი ან ქურთუკი . . . . . | 24—32 | II | 1,4 | 6 | 1,1 | — | — | 7 | 7,6 |
| | " " . . . . . . . . . . . | 34—38 | II | 1,4 | 6 | 1,2 | — | — | 7 | 8,8 |
| | " " . . . . . . . . . . . | 40—44 | II | 1,6 | 6 | 1,4 | — | — | 7 | 10,4 |

ცხრილი 3-ბ.

| №№ რიგზე | ნაკეთობათა დასახელება | ზომა | ფასონის სირთულე | გამოჭრა და პირველი მიზომვა. დროის ნორმა კაც-საათებში | დალამბვა პირველ მიზომვაზე: სამუშაოს თანრიგი | დალამბვა პირველ მიზომვაზე: დროის ნორმა კაც-საათებში | ქვესამხრეების დამზადება: სამუშაოს თანრიგი | ქვესამხრეების დამზადება: დროის ნორმა კაც-საათებში | კერვა: სამუშაოს თანრიგი | კერვა: დროის ნორმა კაც-საათებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | შარვალი | 24—32 | I | 0,5 | — | — | — | — | 6 | 3,0 |
| | „ | 34—38 | I | 0,5 | — | — | — | — | 6 | 3,1 |
| | „ | 40—44 | I | 0,7 | — | — | — | — | 6 | 3,3 |
| 7 | შარვალი | 24—32 | II | 0,6 | — | — | — | — | 6 | 3,7 |
| | „ | 34—38 | II | 0,6 | — | — | — | — | 6 | 4,4 |
| | „ | 40—44 | II | 0,7 | — | — | — | — | 6 | 4,7 |
| 8 | ტოლსტოურა | 24—32 | — | 0,8 | 5 | 0,7 | — | — | 6 | 5,1 |
| | „ | 34—38 | — | 0,8 | 5 | 0,8 | — | — | 6 | 6,0 |
| | „ | 40—44 | — | 1,0 | 5 | 0,8 | — | — | 6 | 7,0 |
| 6 | კოსტიუმი მეზღვაურისა | 24—32 | — | 1,9 | 6 | 1,1 | — | — | 6 | 7,0 |
| | „ „ | 34—38 | — | 1,9 | 6 | 1,3 | — | — | 6 | 8,3 |
| | **გოგოებისათვის** | | | | | | | | | |
| 1 | პალტო საზამთრო | 24—32 | I | 1,5 | 6 | 2,6 | — | — | 7 | 8,6 |
| | „ „ | 34—36 | I | 1,5 | 6 | 2,9 | — | — | 7 | 10,9 |
| | „ „ | 40—44 | I | 2,0 | 6 | 3,2 | 5 | 1,75 | 7 | 11,8 |
| 2 | პალტო დემისეზონისა ან საზაფხულო | 24—32 | I | 1,5 | 6 | 1,3 | — | — | 7 | 7,5 |
| | „ „ | 34—38 | I | 1,5 | 6 | 1,4 | — | — | 7 | 8,8 |
| | „ „ | 40—44 | I | 2,0 | 6 | 1,5 | 5 | 1,75 | 7 | 14,3 |

## ქალის მსუბუქი ტანისამოსის კერვის დროის ნორმები და სამუშაოთა ტარიფიკაცია სახელოსნოში ან III თანრივის ატელიეში.

| №№ რიგზე | ნაკეთობათა დასახელება | ფასონის სირთულე | გამოჭრა და პირველი მოზომვა. დროის ნორმა კაც-საათ. | დალამბვა: სამუშაოს თანრიგი | დალამბვა: დროის ნორმა კაც-საათებში. | მეორე მოზომვა და შეჭრა. დროის ნორმა კაც-საათებში. | კერვა: სამუშაოს თანრიგი | კერვა: დროის ნორმა კაც-საათებში. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტანისამოსი შალისა | I | 1,2 | 7 | 0,8 | 0,6 | 8 | 13,6 |
| | " " | II | 1,6 | 7 | 1,2 | 0,8 | 8 | 15,2 |
| | " " | III | 2,0 | 7 | 1,5 | 1,0 | 8 | 18,0 |
| 2 | ტანისამოსი აბრეშუმისა | I | 1,4 | 7 | 0,9 | 0,7 | 8 | 15,2 |
| | " " | II | 1,8 | 7 | 1,3 | 0,9 | 8 | 16,1 |
| | " " | III | 2,2 | 7 | 1,6 | 1,1 | 8 | 19,2 |
| 3 | ტანისამოსი ბამბეულისა | I | 1,0 | 6 | 0,3 | 0,5 | 7 | 7,9 |
| | " " | II | 1,4 | 6 | 0,4 | 0,7 | 7 | 10,4 |
| | " " | III | 1,8 | 6 | 0,5 | 0,9 | 7 | 12,0 |
| 4 | ტანისამოსი—კოსტიუმი შალისა | I | 1,3 | 7 | 1,0 | 0,6 | 8 | 16,0 |
| | " " | II | 1,8 | 7 | 1,5 | 0,9 | 8 | 19,2 |
| | " " | III | 2,2 | 7 | 1,8 | 1,1 | 8 | 22,0 |
| 5 | ტანისამოსი—კოსტიუმი აბრეშუმისა | I | 1,6 | 7 | 1,1 | 0,8 | 8 | 19,2 |
| | " " | II | 2,0 | 7 | 1,6 | 1,0 | 8 | 20,1 |
| | " " | III | 2,3 | 7 | 1,9 | 1,1 | 8 | 22,2 |
| 6 | ტანისამოსი კოსტიუმი ბამბეულისა | I | 1,3 | 6 | 0,5 | 0,8 | 7 | 10,3 |
| | " " | II | 1,6 | 6 | 0,8 | 1,0 | 7 | 13,8 |
| | " " | III | 2,0 | 6 | 1,0 | 1,1 | 7 | 15,5 |
| 7 | ბლუზა (ხალათი) შალისა | I | 0,8 | 7 | 0,4 | 0,4 | 8 | 9,8 |
| | " " | II | 1,0 | 7 | 0,6 | 0,5 | 8 | 10,7 |
| | " " | III | 1,2 | 7 | 0,7 | 0,6 | 8 | 12,2 |
| 8 | ბლუზა (ხალათი) აბრეშ. | I | 0,9 | 7 | 0,3 | 0,4 | 8 | 9,4 |
| | " " | II | 1,1 | 7 | 0,6 | 0,5 | 8 | 11,2 |
| | " " | III | 1,3 | 7 | 0,8 | 0,6 | 8 | 13,7 |
| 9 | ბლუზა (ხალათი) ბამბეულისა | I | 0,6 | 6 | 0,2 | 0,3 | 7 | 7,1 |
| | " " | II | 0,7 | 6 | 0,3 | 0,3 | 7 | 8,0 |
| | " " | III | 0,8 | 6 | 0,6 | 0,4 | 7 | 9,5 |

შენიშვნა: ქვესამხრეების დამზადებისათვის ეძლევა დამატებითი დრო 1,75 კაც-საათი; სამუშაო ტარიფიცირდება მე-5 თანრიგით.

**ავტოტრანსპორტზე გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და შოფერების, მტვირთავებისა და ავტობუსების კონდუქტორების შრომის საზღაურის შესახებ.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 12/IV, № 906 დადგენილებიდან:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს რსფსრ სახკომსაბჭოსა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ შემუშავებული დებულება რსფსრ ტერიტორიაზე არსებული ავტომეურნეობების ავტოტრანსპორტზე გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და შოფერების, მტვირთავებისა და ავტობუსების კონდუქტორების შრომის საზღაურის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ავტოტრანსპორტზე გამომუშავების ერთიანი ნორმები, ხელფასის განაკვეთი და შრომის ანაზღაურების სისტემა სავალდებულოა რსფსრ და უსსრ ტერიტორიაზე არსებულ ავტომეურნეობათათვის, დამოუკიდებლად იმისა, ვის დაქვემდებარებაში იმყოფებიან ისინი, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის, სამხედრო და საზღვაო ფლოტის, შინაგან საქმეთა, სახუშიშროების, დამზადების, მიწათმოქმედების სახკომატების სისტემისა და საბჭოთა მეურნეობების ავტომეურნეობებისა.

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს
მიერ 1941 წლის 12 აპრილს.

## შოფერების შრომის საზღაური

**ამონაწერი დებულებიდან რსფსრ ტერიტორიაზე არსებული ავტომეურნეობების ავტოტრანსპორტზე გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და შოფერების, მტვირთავებისა და ავტობუსების კონდუქტორების შრომის საზღაურის შესახებ.**

1. საბარგო მანქანებზე მომუშავე შოფერებისათვის როგორც წესი დაიდგინება, შრომის ანაზღაურების პირდაპირი სანარდო სისტემა. გამომუშავების ნორმა გაიანგარიშება ერთ კილომეტრზე გარბენისა და მანქანის დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროიდან გამომდინარე.

საბარგო მანქანების შოფერებს სანარდო ფასდებანი უწესდება გადაზიდული ტვირთის ტონაზე და მანქანის, როგორც ტვირთით, ისე უტვირთოთ გადარბენილ კილომეტრზე, გამომდინარე მე-3 დანართში მოყვანილი ხელფასის თვიურ განაკვეთიდან.

2. დაწესდეს, რომ გზებზე ავტოგადაზიდვების მწარმოებელ ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ საბარგო მანქანების შოფერებისათვის დააწესონ სანარდო ფასდებანი ტონა-კილომეტრზე.

3. შოფერის მიზეზით მანქანის არასრულად დატვირთვის შემთხვევაში შეფასება გადარბენილ კილომეტრზე მცირდება მანქანის ნაკლტვირთვის პროპორციულად.

4. ავტომეურნეობებში, ცალკეულ შემთხვევებში, ავტოგადაზიდვების მეტად მნიშვნელოვან უბნებზე, დაშვებულია შრომის სახლაურის პროგრესული სისტემის გამოყენება.

პროგრესული სისტემის სკალა წესდება სსრ კავშირისა და რსფსრ სათანადო სახკომატებისა და სსრ კავშირის ცენტრალური დაწესებულებების მიერ, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

5. სპეციალური და საბმურიანი ავტომანქანებზე მუშაობის დროს შოფერებს უწესდება სართი, ფაქტიურ ხელფასზე, პირდაპირი სანარდო შეფასებით (მონარდეებისათვის) და ხელფასზე ტარიფით (დროებრივთათვის) შემდეგი რაოდენობით:

მანქანებზე აირგენერატორიანი დანადგარით . . . . 20%
" ნახევარსაბმურით ან ერთღერძიანი საბმურით 20%
" ორღერძიანი ერთი საბმურით . . . . . . 25%
" ორღერძიანი ორი საბმურით და ავტომატარებლებზე . . . . . . . . . . 40%

აირბალონებიანი დანადგარით სპეციალურ მანქანებზე, ავტოცისტერნებზე (ნავთობ-ნაწარმის გადაზიდვისას), თვითგადამბრუნი ბაქნებიან და სწრაფი ტექნიკური დახმარების მანქანებზე . . . . . . . . . 15%

ჯალამბარიანი სპეციალურ მანქანებზე, საასენიზაციო მანქანებზე ამწე ექსკავატორებით და სწრაფი საექიმო დახმარების მანქანებზე . . . . . . . 25%

მანქანებზე „ლიუქსის“ ტიპის სპეციალური ძარებით . . 10%

6. მსუბუქ მანქანებზე მომუშავე შოფერებისათვის შესაძლებელია დაწესებულ იქნას არანორმირებული სამუშაო დღე, სისტემატურად სამუშაო დროის გადამუშავებისათვის, № 3 დანართში აღნიშნულ თვიურ განაკვეთზე 25-დან 50%-მდე სართით.

არანორმირებული სამუშაო დღე და სართის რაოდენობა წესდება წარმოების ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სათანადო პროფკავშირის საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით.

7. ავტობუსებზე მომუშავე შოფერთათვის დაწესებულია სანარდო ფასდებანი მანქანის ერთ კილომეტრზე გრაფიკით გადარბენისათვის.

ანაღების გეგმის გადამეტსრულებაში ავტობუსების შოფერების დასაინტერესებლად წარმოებს პრემირება ხელფასის თვიური განაკვეთი-

დან 2⁰/₀-ის რაოდენობით, ანალების თვიური გეგმის თითოეული პროცენტის გადამეტსრულებისათვის.

8. ტაქსომოტორზე მომუშავე შოფერებისათვის სანარდო ფასდებანი წესდება მანქანის გადარბენის ფასიან კილომეტრზე.

ანალების გეგმის გადამეტსრულებისათვის წარმოებს ტაქსომოტორის შოფერების პრემირება.

ანალების თვიური გეგმის თითოეული პროცენტის გადამეტსრულებისათვის შოფერს ეძლევა მისი ხელფასის თვიური განაკვეთის ერთი პროცენტი.

**შოფერების პრემირება თვიური დავალებათა გადამეტსრულებისათვის, უავარიო მუშაობისათვის, ბენზინისა და რეზინის ეკონომიისათვის და შეკეთებათაშორისო გადარბენების გაგრძელებისათვის.**

1. დაუწესდეს პრემია დაწესებული ნორმის წინაშე ბენზინისა და სხვა სახის თხევადი სათბობის ეკონომიისათვის:

ა) შოფერებს—ეკონომიაქმნილი სათბობის ფაქტიური ღირებულების 65⁰/₀-ის რაოდენობით.

ბ) მრეგულირებლებს — მათზე მიმაგრებულ ყველა მანქანაზე ეკონომიაქმნილი სათბობის ღირებულების ჯამის 10⁰/₀-ის რაოდენობით.

გ) ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს, რომელთაც სათბობის ეკონომიას მიაღწიეს თავისი უშუალო მონაწილეობით,—ავტომეურნეობაში ეკონომიაქმნილი სათბობის ღირებულების ჯამის 5⁰/₀.

დაწესებული ნორმის ზევით შოფერის მიზეზით სათბობის გადახარჯვისათვის მას დაეკავება გადახარჯული სათბობის ღირებულება.

2. დაწესებულ ნორმაზე ზევით ავტორეზინის გადარბენისათვის წარმოებს შოფერების პრემირება ეკონომიაქმნილი თანხის 65⁰/₀-ის რაოდენობით და 10⁰/₀-მდე სხვა მუშაკთათვის, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული არიან რეზინის (ავტოსაფარების) ზედმეტ გადარბენასთან.

3. ყველა მარკის მანქანებზე, უავარიოდ მომუშავე შოფერებს, კვარტალის განმავლობაში წარჩინებით მუშაობისათვის, კვარტალში ერთხელ ეძლევათ პრემია 120 მანეთის რაოდენობით.

4. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ ავტომანქანების მიერ შეკეთებათაშორისო გადარბენების საგეგმო ნორმების გადამეტსრულების ანგარიშზე, იმ პირობებში თუ მანქანები ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში იმყოფება, გადარიცხონ შოფერებისა და შემკეთებელ მუშათა პრემირების ფონდში ყველა სახის შე-

კეთებათა ფაქტიურად ეკონომიაქმნილი თანხის 50%, რომლის ანგარიშზე წარმოებს პრემირება რსფსრ ავტოტრანსპორტის სახკომატის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით.

6. მანქანების ცარიელი გადარბენის გამოყენებისათვის შოფერების მიმართ ძირითად ხელფასზე სართის გაცემა წარმოებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომსაბჭოს 1941 წლის 8 თებერვლის № 212 დადგენილების შესაბამისად.

## ავტომანქანებზე მიმაგრებული მტვირთავებისა და ავტობუსების კონდუქტორების შრომის საზღაური.

1. მანქანებზე მიმაგრებული მტვირთავების შრომის ანაზღაურება წარმოებს ტონა-ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისა და კილომეტრზე მანქანის გადარბენის სანარდო შეფასებით.

შეფასების გაანგარიშება წარმოებს ხელფასის თვიური განაკვეთიდან, მათთვის დადგენილი გამომუშავების ნორმებიდან გამომდინარე.

ტონა-ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის სანარდო შეფასების განსაზღვრისათვის ხელფასის განაკვეთი გაიზრდება 20%-ით.

3. უფროს მტვირთავს, მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის და მიღება-ჩაბარების დოკუმენტების გაფორმებისათვის ყოველთვიურად ეძლევა მისი სანარდო ხელფასის 10%.

## სტატისტიკური აღრიცხვა

სახალხო მეურნეობის სწორად დაგეგმვისათვის აუცილებელ პირობას აღრიცხვის სწორი ორგანიზაცია წარმოადგენს. რაც უფრო იზრდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, მით უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ის მისი შედეგების აღრიცხვის საქმის დაყენებას. უდაოა, რომ შეუძლებელია წარმოების მუშაობის სწორი დაგეგმვა, თუ არ არის ათვისებული და დაყენებული აღრიცხვის სწორი სისტემა.

ამხანაგი ვლადიმერ ილიას-ძე ლ ე ნ ი ნ ი უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევდა აღრიცხვიანობას სოციალისტურ მეურნეობაში, რაც მკვეთრათაა გამოხატული მის შემდეგ სიტყვებში: „შრომის რაოდენობისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი, ამაშია სოციალისტური გარდაქმნის არსი“.

სამეურნეო ანგარიში მოითხოვს კონტროლსა და საწარმოო-საფინანსო მაჩვენებელთა სწორ ანალიზს. ასეთი ანალიზის შედეგად ვარ-

კვევთ სამეურნეო საქმიანობაში არსებულ დარღვევებისა და დეფექტების ყოველგვარ მიზეზებს და ამით შესაძლებლობას ვღებულობთ სათანადო ღონისძიებათა გატარებით ლიკვიდაცია ვუყოთ ასეთებს, სწორი ანალიზი კი აღრიცხვის სრულყოფილი ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია.

ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის ყველა დარგი განსაზოგადოებულია და იგი ხალხის საკუთრებას შეადგენს, რის გამო არ შეიძლება ის დატოვებულ იქნას განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. აქედან გამომდინარე სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობა და მისი მონაცემები არ შეიძლება დარჩეს აღრიცხვის გარეშე.

მეურნეობის მთლიანი აღრიცხვის მაღალი ხარისხისათვის აუცილებელია პირველადი აღრიცხვის რაციონალური დაყენება, მისი პირველადი დოკუმენტაციის სწორი წარმოება. ამის გარეშე აღრიცხვა დეფექტიური იქნება, ე. ი. მოცემული ციფრები საეჭვო და მიუღებელი.

„სტატისტიკამ უნდა მოგვცეს ციფრების არა უბრალო მწკრივები, არამედ ციფრობრივი გაშუქება შესასწავლი მოვლენის ყველა იმ სხვადასხვა სოციალური ტიპებისა, რომლებიც უკვე ჩამოყალიბდნენ ან ყალიბდებიან ცხოვრების მიერ“ *).

რაიონული დაქვემდებარების ადგილმრეწველობის, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის წარმოებებში აღრიცხვის საკითხები დღემდე მოუგვარებელია, რაც აიხსნება იმით, რომ აღრიცხვის ზოგიერთ მუშაკს დღემდე ვერ შეუფასებია აღრიცხვის როლი სოციალისტურ მრეწველობაში. ამას კი უდიდესი სიძნელეები შეაქვს ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

„ეკონომიურ მეცნიერებასთან კავშირმა უნდა უზრუნველჰყოს სტატისტიკური აღრიცხვისათვის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია. მხოლოდ მარქსისტულლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ზუსტი და სწორი გაშუქება სოციალისტური საწარმოო ურთიერთობათა, გაფართოებული რეპროდუქციის პროცესებისა, რომლებიც საბჭოთა მრეწველობაში და მის ცალკეულ დარგებსა და წამოწყებებში ვითარდებიან **).

ჩვენთვის ცნობილია აღრიცხვის ორი ძირითადი მეთოდი: ბუღალტრული და სტატისტიკური.

---

*) ლენინი. ტომი XVI, გვ. 100 და 106.

**) პეტროვიჩი და შამაში. სტატისტიკური აღრიცხვა სოციალისტურ მრეწველობაში, გვ. 18.

ბუღალტერია აწარმოებს აღრიცხვას წამოწყების განკარგულებაში მყოფ მატერიალურ-ქონებრივ საშუალებებს ფულად გამოხატულებაში. ის ფულადი გამოხატულებით აღრიცხავს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. ბუღალტერიისათვის რაოდენობრივი აღრიცხვა დამხმარე ჩანაწერებს წარმოადგენს და ის არ შეიძლება შეტანილ იქნას მეურნეობის ბალანსში.

სტატისტიკური აღრიცხვიანობა მრავალსახოვანია და სამოქმედო ასპარეზის მხრივ შეუზღუდველი. სტატისტიკა აღრიცხავს ყოველივეს რაც ბუნებაში, საზოგადოებაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში წარმოიშვება და იქმნება. ის ეხება ყოველ საკითხს, რომელიც კი შეადგენს სამრეწველო, თუ სხვა მეურნეობის საქმიანობის აღრიცხვას.

მრეწველობაში სტატისტიკა აღრიცხავს გამოშვებულ პროდუქციას ნატურალურ და ფულად გამოხატულებაში, ხარისხობრივ მაჩვენებლებს, სტანდარტიულობას, თვისობრივობას, შრომის ნაყოფიერებას, გამომუშავების ნორმების შესრულებას და სხვა.

აღრიცხვის დარგის მუშაკები ბევრად უფრო მეტ, ყოველდღიურ და მჭიდრო დამოკიდებულებაშია მრეწველობის საქმიანობასთან ვიდრე დაგეგმვის მუშაკები.

სტატისტიკური აღრიცხვის შედეგები ამჟღავნებს დაგეგმვის ხარისხს.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი განმარტავს დაგეგმვასა და აღრიცხვის ორგანიულ კავშირს მრეწველობაში.

„მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საგეგმო მუშაობა თავდება გეგმის შედგენით. გეგმის შედგენა არის დაგეგმვის საწყისი. ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა იშლება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, ადგილებზე მისი შემოწმების შემდეგ, გეგმის განხორციელების, შესწორებისა და დაზუსტების დროს“ (ამხანაგი სტალინი).

გეგმის შედგენის შემდეგ იწყება მისი ცხოვრებაში გატარება, ყოველთვიური შესრულების აღრიცხვა და ანალიზი, საჭირო შემთხვევაში შედგენილი გეგმის დაზუსტების მიზნით მისი შესწორება. ყოველივე ეს ხდება აღრიცხვიანობის შედეგად. თუ წარმოებაში სტატისტიკური აღრიცხვიანობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე, იქ შეუძლებელია გეგმის მაჩვენებელთა შესრულების სწორი აღრიცხვა და მისი ანალიზი. ამის გამო აუცილებელია, რომ სამეურნეო მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრონ წარმოებაში დაგეგმვა-აღრიცხვის სწორ ორგანიზაციას.

განვიხილოთ სტატისტიკური აღრიცხვის შედგენის წესები:

# ტ ა ბ ე ლ ი

წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე გამოცხადებისა და გაცდენების აღრიცხვის გავრცელებულ მეთოდს აღრიცხვის ტაბელური სისტემა წარმოადგენს.

ტაბელში აღინიშნება მუშა-მოსამსახურეთა გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა. მუშების აღრიცხვა ტაბელში უნდა წარმოებდეს საამქროებისა და ბრიგადების მიხედვით მათი სპეციალობის (პროფესიის) აღნიშვნით.

ტაბელში მოცემული უნდა იყოს, თითოეული მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის მაჩვენებლები. ტაბელშივე ნაჩვენები უნდა იყოს მათი მუშაობის ყოველდღიური ხანგრძლივობა. მასშივე აღინიშნება თითოეული მუშა-მოსამსახურის ნამუშევარი კაც-საათები და გაცდენების ხასიათი: საპატიო და არა საპატიო.

ტაბელის შეჯამება ხდება დეკადურად და ყოველთვიურად. ეს დამოკიდებულია წარმოების აღრიცხვის პირობებზე. ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის წარმოებებში დაწესებულია ტაბელის ყოველთვიური შეჯამება.

ტაბელის შემოღება და მისი ზუსტად აღრიცხვა ხელს უწყობს წარმოება-დაწესებულებებში შრომის დისციპლინის ამაღლებას. ტაბელი საუკეთესო საშუალებაა გამცდენელ და უდისციპლინო მუშა-მოსამსახურეთა გამოსააშკარავებლად.

ტაბელის შეჯამების შედეგად მიიღება ცნობები ყველა მუშის მიერ ნამუშევარი კაც-საათებისა და კაცდღეების შესახებ, რომელთა საფუძველზე დადგენილი იქნება საანგარიშო თვეში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო სიობრივი რიცხვი.

შრომის მაჩვენებელთა სტატისტიკური აღრიცხვიანობისათვის ტაბელის წარმოება აუცილებელი პირობაა.

მუშების საშუალო სიობრივი რიცხვის გასაანგარიშებლად მუშების გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის დღეთა რაოდენობა გაყოფილი უნდა იქნას ოპერაციული თვის საკალენდარო დღეთა რიცხვზე.

მუშების გამოცხადება ტაბელში აღინიშნება საათებში

| | |
|---|---|
| გაცდენები ავადმყოფობის გამო | . „ა“ |
| გაცდენები საპატიო მიზეზით | „ს“ |
| „ არა საპატიო მიზეზით | „გ“ |
| უქმე დღეები . . . . | . „უ“ |

მიღებული ჯამი 280 კაცდღეთა რიცხვი, (იხ. გვ. 144) გაყოფილი უნდა იქნას, ამ შემთხვევაში 28-ზე (თებერვლის თვის კალენდარულ დღეთარიცხვზე), რის შედეგად გამოვარკვევთ, რომ თებერვალში მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი შეადგენდა 280 : 28 = 10 კაცს.

ქვემოთ მოყვანილი ტაბელი (იხ. გვ. 144) არ შეიძლება ჩაითვალოს სანიმუშოდ ყველა წარმოებისათვის. სასურველია ტაბელში მუშების აღრიცხვა საამქროებისა და მონარდე და დროებრივი მუშაობის მიხედვით, რაც აადვილებს გამომუშავების ნორმების შესრულების მაჩვენებლების შედგენას.

არსებობს აგრეთვე მოსამსახურე პერსონალთა აღრიცხვის ტაბელი, რომლითაც წარმოებს სამუშაოზე მათი გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის აღრიცხვა.

ტაბელი წარმოადგენს სტატისტიკური აღრიცხვიანობის პირველად დოკუმენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევებში, რაიონული დაქვემდებარების წარმოების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშები დეფექტიურია; ეს აიხსნება იმით, რომ სტატისტიკური აღრიცხვიანობაზე მომუშავე ზოგ თანამშრომელს არა აქვს სათანადო მომზადება; ჩვენი მიზანია განვმარტოთ სტატისტიკური აღრიცხვიანობის ძირითადი ფორმების შევსების ელემენტარული წესები.

საქართველოს სსრ-ის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო საწარმოო და შრომის გეგმების ლიმიტებს უშვებს არა ცალკეულ წარმოებებზე, არამედ გაერთიანებებზე (ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებებზე, მრეწვკომბინატებზე, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებზე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაზე). ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთივე გაერთიანებული სახით უნდა ეგზავნებოდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ხსენებული გაერთიანებებზე დაშვებული გეგმების შესრულების ყველა მაჩვენებელი.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებები საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს უნდა უდგენდეს გეგმების შესრულების შემდეგ ფორმებს:

ფორმა № 1-რ. დამტკიცებული სსრკ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ 1949 წლის 9 აპრილს, № 1—09.

ფორმა № 1-აპ. დამტკიცებული სსრკ სახ. საგეგმო კომისიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1941 წელი 10/VII—№ 207.

აღნიშნულ ფორმაში მოცემული იყო, როგორც პროდუქციის, ისე შრომის მაჩვენებლები, მაგრამ 1949 წლის 1 მაისიდან შეცვლილ იქნა საერთო პროდუქციის აღრიცხვის წესი, რის გამო ფორმა №-აპ-ს კარებიდან გამოიყენება მხოლოდ მე-2 კარი შრომის მაჩვენებლების აღსარიცხავად.

ფორმა № 4-პრ. ანგარიში მონარდე მუშების მიერ გამომუშავების ნორმების შემცირებაზე.

## ტ ა ბ ე ლ ი

. . . . . . . . წარმოების 19 . . . წლ.

| | გვარი, სახელი და მამის სახელი | მუშაობა და გაცდენები | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 კვირა | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | გოგლაძე ივანე პეტრეს-ძე . . | 8 | 8 | 8 | 8 | 7 | — | 8 | 8 | 8 | 7 | 8 | 8 |
| 2 | პეტრეშვილი ალექსი ნოეს-ძე . . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | ა | ა | ა | ა | ა | 8 |
| 3 | საყვარელიძე ლევან ივანეს-ძე . . . . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| 4 | კვაპანტირაძე კასიანე გიორგის-ძე . . . | 8 | 8 | ა | ა | ა | — | ა | ა | 8 | 8 | ს | 8 |
| 5 | ოსკანოვა სათენიკ კარაპეტის-ასული . | 8 | 8 | 8 | 7 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| 6 | გომელაური ივანე იესეს-ძე . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| 7 | წიკლაური პლატონ გიორგის-ძე . . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| 8 | გიგიბერია შოთა ვასილის-ძე . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| 9 | პოლოკაძე პავლე ბახუს-ძე . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| 0 | ჩარგეიშვილი ლევან პლატონის-ძე . . . . | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 |
| | ჯამი . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

რას უდრის საანგარიშო

| | |
|---|---|
| ნამუშევარი კაცდღეები . . . . . | 216 კ.დ |
| გაცდენები ავადმყოფობის გამო . . | 20 „ |
| გაცდენები საპატიო მიზეზით | 2 „ |
| უქმე კაცდღეები . . . . . . . . | 40 „ |
| გაცდენები არა საპატ. მიზეზით .. | 2 „ |
| სულ | . 280 კ. დ. |

(მაგალითისათვის)

თებერვლის თვისა

| თვის რიცხვების მიხედვით | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | კვირა 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | კვირა 27 | 28 | 29 | 30 | ნამუშევარი კაც-დღეები | ნამუშევარი კაც-დღეები | ავადმყოფობა „ა“ | საპ. გაცდ. „ს“ | გაცდ. არა საპ. მიზეზით „გ“ |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 190 | 24 | — | — | — |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 154 | 19 | 5 | — | — |
| — | 8 | 8 | 7 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 176 | 22 | — | — | 2 |
| — | 8 | 7 | 8 | ა | ა | ა | — | 8 | 8 | 8 | ა | ა | ა | — | ს | — | — | 87 | 11 | 11 | — | — |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 191 | 24 | — | — | — |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 192 | 24 | — | — | — |
| — | ა | ა | ა | ა | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 160 | 20 | 2 | — | — |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 192 | 24 | — | — | — |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 192 | 24 | — | — | — |
| — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | — | 8 | — | — | 192 | 24 | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1726 | 216 | 20 | 2 | 2 |

თვეში მუშების საშუალო რიცხვი?

ფორმა № 1-რ

დამტკიცებულია სსრკ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ 1949 წლის 6 აპრილს № 1—09

იგზავნება ფოსტით, დადგენილ ვადებში, არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის შემდეგი თვის 5 რიცხვისა.

## ყოველთვიური სასწრაფო ანგარიში პროდუქციის გამოშვების გეგმის შესახებ.

19 . . წლის . . თვის, რაიონის (ქალაქის) მრეწვკომბინატის დასახელება . . . . . . მისამართი . . . . . . . . .

კარი 1. პროდუქციის გამოშვება ფულად გამოხატულებაში (მან.)

| მაჩვენებლები | გეგმით საანგარიშო | | | ფაქტიურად გამოშვებულია | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მთელი წლისათვის | კვარტალში | თვეში | წინა თვეში | საანგარიშო თვეში | გ/წლის სათანადო თვეში | მ/წლის დასაწყისიდან | გასული წლ. სათანადო პერიოდში |
| I. საერთო პროდუქცია: | | | | | | | | |
| ა) მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) სულ მათ შორის: . | × | × | × | | | × | | × |
| 1. ფართო მოხმარების | × | × | × | | | × | | × |
| 2. პროდუქცია შემკვეთელთა ნედლეულიდან | × | × | × | | | × | | × |
| ბ) გეგმითი საბითუმო ფასებში (ბრუნვითი გადასახადის ჩართვით) სულ | | | | | | × | | × |
| მათ შორის ფართო მოხმარების . . . . | | | | | | × | | × |
| II. სასაქონლო პროდუქცია | | | | | | | | |
| ა) მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) | × | × | × | | | × | | × |
| ბ) გეგმით საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) . . | | | | | | | | |

ცნობა: 1. რეალიზებულია სამრეწველო პროდუქცია: (რეალიზაციის ფაქტიურ ფასებში).

ა) წინა თვეში . . . . . . . . მან .

ბ) საანგარიშო წლის დასაწყისიდან . . . მან .

2. მათ შორის ბრუნვიდან გადასახადი, დარიცხული რეალიზებული სამრეწველო პროდუქციაზე.

ა) წინა თვეში . . . . . . . მან .

ბ) საანგარიშო წლის დასაწყისიდან . მან

## კარი II. პროდუქციის გამოშვება ნატურალურ გამოხატულებაში.

| ნაკეთობათა, ნახევარფაბრიკატების, სამრეწველო სამუშაოთა დასახელება | აღრიცხვის ერთეული | დანიშნულია გამოსაშვებად | | | ფაქტიურად გამოშვებულია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთელი წლისათვის | საანგარიშო კვარტალში | საანგარიშო თვეში | საანგარიშო თვეში | საანგარიშო კვარტალის დასაწყისიდან | მიმდინარე წლის დასაწყისიდან | გ/წლის სათანადო პერიოდში |
| 1. | | | | | | | | |
| 2. | | | | | | | | |
| 3. | | | | | | | | |
| 4. | | | | | | | | |

## კარი III. საერთო პროდუქცია წარმოებათა მიხედვით

| წარმოებათა დასახელება | საანგარიშო თვის გეგმა | ფაქტიურად | | |
|---|---|---|---|---|
| | | საანგარიშო თვეში | მიმდინარე წლის დასაწყისიდან | გასული წლის სათანადო პერიოდში |
| 1 საერთო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) | | | | |
| ა) | X | | | X |
| ბ) | X | | | X |
| გ) . . . . . . . . . . | X | | | X |
| ს უ ლ . . . | | | | |
| 2. საერთო პროდუქცია გეგმითი საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) | | | | |
| ა) | | | | X |
| ბ) | | | | X |
| გ) . . . . . . . . | | | | X |
| ს უ ლ . . . . | | | | |
| 3. საერთო პროდუქცია 1926/27 წლის უცვლელ ფასებში | | | | |
| ა) | | | | |
| ბ) | | | | |
| გ) | | | | |
| დ) | | | | |
| ე) . . . . . . . . . | | | | |
| ს უ ლ . . . . | | | | |

## კარი IV. სამრეწველო საქმიანობა.

| | გეგმა საანგარიშო თვეში | ფაქტიურად საანგარიშო თვეში | ფაქტიურად მიმდინარე წლის დასაწყისიდან |
|---|---|---|---|
| 1. არა სამრეწველო საწარმოთა ბრუნვა მოქმედ ფასებში (მანეთებში) | | | |
| ა) ფოტოგრაფია | | | |
| ბ) საპარიკმახერო | | | |
| გ) . . . . | | | |

2. მოსახლეობისათვის ჩატარებულია საცხოვრებელთა რემონტი განსაკუთრებული სარემონტო ბრიგადების მიერ მანეთებში (მოქმედ ფასებში)

194 წ. თვე

დირექტორი—

ეკონომისტი—

# ინსტრუქცია

(სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1949 წ. 2 აპრილის № 1—09 დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად).

**ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წარმოებათა მიერ 1949 წელში საერთო და სასაქონლო პროდუქციის საბითუმო (სავასაცემო) ფასებით აღრიცხვის წესის შესახებ.**

სსრკ მინისტრთა საბჭომ 1949 წლის 13 თებერვლის დადგენილებით დააწესა, რათა 1949 წელში მრეწველობის პროდუქციის, შრომის ნაყოფიერების, კაპიტალური შეკეთებისა და თვითღირებულების სტატისტიკური ანგარიშგება აწარმოონ, როგორც ახალი საბითუმო ფასებით, აგრეთვე იმ ფასებით, რომელთა მიხედვით 1949 წლის 1-ლ იანვრამდე აღირიცხებოდა სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულება. ამასთან ერთად საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის დადგენილია საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით).

აღნიშნულის შესაბამისად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა პროდუქციის აღრიცხვისას უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. საწარმოს ყოველთვიური სასწრაფო ანგარიშგება, საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ ფორმა № 1-რ.-ით, უნდა შედგებოდეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის შემდეგი მაჩვენებლებისაგან:

ა) საანგარიშო პერიოდის ნაერთი პროდუქცია მრეწველობის მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით).

ბ) ნაერთი პროდუქცია 1949 წლის პირველ იანვრისათვის მრეწველობის მოქმედ (გეგმით მიღებული) საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით),

გ) ნაერთი პროდუქცია 1926/27 წლის უცვლელ ფასებში.

დ) საანგარიშო პერიოდის სასაქონლო პროდუქცია მრეწველობის მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით).

ე) სასაქონლო პროდუქცია 1949 წლის პირველ იანვრისათვის მრეწველობის მოქმედ (გეგმით მიღებული) საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით).

რაიონული (ქალაქის) მრეწვკომბინატები ნაერთ პროდუქციას ანგარიშგების ფორმა № 1 რ-ის მიხედვით უჩვენებენ დარგობრივად

(საწარმოთა მიხედვით) და რაიონული (ქალაქის) მრეწვკომბინატებზე მთლიანად.

გარდა აღნიშნული მაჩვენებლებისა ანგარიშგების ფორმებში ნაჩვენები უნდა იქნას:

ა) მონაცემები ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების შესახებ, როგორც ფაქტიურ საბითუმო, ისე 1926/27 წლის უცვლელ ფასებში.

ბ) ცნობა წინა თვეში რეალიზებული სამრეწველო პროდუქციისა და მასზე დარიცხული ბრუნვიდან გადასახადის შესახებ.

2. ფორმა № 1-რ-ით ყოველთვიური ანგარიშგების მიხედვით ნაერთი და სასაქონლო პროდუქციის განსაზღვრისას აუცილებელია ნაერთი და სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობის შესახებ არსებული მოქმედი ინსტრუქციებით ხელმძღვანელობა.

### ნაერთი და სასაქონლო პროდუქციის გაანგარიშება მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით).

3. პროდუქციის შეფასება მრეწველობის მოქმედ საბითუმო ფასებში (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) წარმოებს საბითუმო ფასების საპრეისკურანტო ფასებით (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით), რომელიც დამტკიცებულია სათანადო წესით და მოქმედებს მოცემულ საანგარიშო პერიოდში.

იმ სახის ნაწარმთა საბითუმო ფასებად (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით), რომელთათვის დადგენილია მხოლოდ საცალო ფასები, გამოიყენება ის საცალო ფასები, რომელნიც მოქმედებს საანგარიშო პერიოდში სავაჭრო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვადასხვა მარკის, არტიკულის, ხარისხისა და სხვა სახის ნაწარმთა შეფასება წარმოებს სათანადო სახისა და ხარისხის პროდუქციის საპრეისკურანტო ფასებით.

4. საბითუმო ან საცალო ფასების შეცვლის დროს, ახლად დადგენილი ფასების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პროდუქციის მიმართ, რომელიც გამოშვებულია ახალი ფასების დადგენის შემდეგ.

5. იმ სახის ნაწარმებზე, რომელთათვის საცალო ფასების პრეისკურანტით დადგენილია სხვადასხვა ფასი, ქალაქისა ან სოფლის სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ ნაწარმის შეფასება წარმოებს სათანადო პერიოდში მოქმედ საპრეისკურანტო ფასებით, ამ ნაწარმთა რეალიზაციის წლიური გეგმით გათვალისწინებული ჰარბითი მიმართულების შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული რეალიზაციის მიმართულებისათვის შესაბამისი სავაჭრო ფასდაკლების ჩართვით.

ამგვარად, ხსენებულ ნაწარმთა შეფასების დროს ანგარიშგებაში გამოიყენება ქალაქის ან სოფლის სავაჭრო ქსელში ნაწარმის რეალიზაციის ის პრეისკურანტი, რომლის მიხედვითაც იყო გაანგარიშებული პროდუქციის ღირებულება გეგმით.

იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის რეალიზაციის მიმართულება არაა ცნობილი და არც პროდუქციის დამახასიათებელი თვისებით განისაზღვრება ეს, მაშინ მათი შეფასება წარმოებს საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით, ე. ი. თუ საწარმოო მდებარეობს ქალაქად მხედველობაში მიიღება ქალაქში არსებული სავაჭრო ქსელისათვის დადგენილი ფასები და თუ საწარმოო მდებარეობს სოფლად—სოფლის სავაჭრო ქსელისათვის დადგენილი ფასები.

6. შეფასება ახალი ნაწარმების, რომლებზედაც არსებობს მხოლოდ დროებითი ფასები, საანგარიშო პერიოდში წარმოებს ამ დროებითი ფასებით.

7. ხელშეკრულებითა და ერთდროული შეკვეთებით გამოშვებული მზა ნაწარმების შეფასება წარმოებს ხელშეკრულების ფასებით, ხოლო ასეთის უქონლობის შემთხვევაში კი ფაქტიური სარეალიზაციო ფასებით.

8. შემკვეთლების ნედლეულითა და მასალებით გამომუშავებული ნაწარმი (ინდივიდუალური შეკერვის ჩართვით) საერთო პროდუქციის გამოთვლისას შეფასებული უნდა იქნას საბითუმო ფასებით (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) და იმ ნაწარმებზე, რომლებზედაც დადგენილია მხოლოდ საცალო ფასები, საცალო ფასებით, სავაჭრო ფასდაკლების გამოკლებით, ე.ი. ფასებით, შემკვეთის ნედლეულისა და მასალის ღირებულების ჩართვით.

თუ ამ ნაწარმზე საბითუმო ანდა საცალო ფასები არ არის დადგენილი, მაშინ საერთო პროდუქციის გაანგარიშებისას გადამუშავების ღირებულებას დაემატება შემკვეთის დახარჯული ნედლეულისა და მასალების ღირებულება საბითუმო ფასებით (ნედლეულისა და მასალების ფასებში აუცილებლად ჩათვლილი უნდა იქნას ბრუნვიდან გადასახადი).

შემკვეთის ნედლეულის გადამუშავებით მიღებული ნაწარმის შეტანა სასაქონლო პროდუქციაში წარმოებს რეალიზაციის ფაქტიური ფასით, ე.ი. გადამუშავების ფაქტიური ფასითა და მასზე დახარჯული საწარმოს კუთვნილი დამხმარე მასალების ღირებულებით (შემკვეთის ნედლეულისა და მასალათა ღირებულების გარეშე).

9. ნაყიდი ნახევარფაბრიკატებიდან გამომუშავებული ნაწარმები საერთო და სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში შევა მისი

სრული ღირებულებით (ნახევარფაბრიკატების ღირებულების ჩართვით).

10. სხვათა მიერ დამზადებული პროდუქციის შეფუთვა (გარეშე ნაყიდობა) ჩაითვლება საერთო და სასაქონლო პროდუქციაში ამ შეფუთულ ნაწარმთათვის დადგენილი საბითუმო ფასებით, შეძენილი შეფუთული პროდუქციის ღირებულების გამოკლებით.

11. გარეშე რეალიზაციაქმნილი ნახევარფაბრიკატები და მათი ნაშთის მატება ან კლება შეფასებული უნდა იქნას საპრეისკურანტო ფასებით (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით). თუ ნახევარფაბრიკატების ფასები არ არის გათვალისწინებული დამტკიცებული პრეისკურანტით, მათი შეფასება წარმოებს მათივე საგეგმო თვითღირებულების გადამრავლებით კოეფიციენტზე; ეს კოეფიციენტი წარმოადგენს ამ წარმოების მთელი მზა პროდუქციის სრული საბითუმო ღირებულების (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით) შეფარდებას იმავე პროდუქციის საგეგმო თვითღირებულებასთან (წლიური გეგმით დადგენილ).

ამდაგვარადვე წარმოებს შეფასება: ინსტრუმენტებისა, შტამპებისა, საყალიბო ყუთებისა, ნიმუშებისა, სამარჯვებისა, დეტალებისა, სამარაგო ნაწილებისა და სხვა.

ამავე წესით—საბითუმო ფასებით (ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით), საცალო ფასებით სავაჭრო ფასდაკლების გამოკლებით, ან საგეგმო თვითღირებულებით, სათანადო კოეფიციენტის გამოყენებით, წარმოებს შეფასება ნაწარმთა და ნახევარფაბრიკატებისა, რომელნიც მოხმარებულია საწარმოო საჭიროებისათვის.

12. შეფასება სარემონტო და სხვა სამრეწველო ხასიათის სამუშაოებისა, რომელთა ფასები პრეისკურანტით არაა გათვალისწინებული, შეიტანება საერთო და სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში ფაქტიური საგასაცემო ფასებით, იმ ნაწარმთა ღირებულების გამოკლებით, რომელნიც დამუშავებული ან შეკეთებული იქნენ. პროდუქციაში შეიტანება აგრეთვე აღნიშნული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით წარმოებაში დახარჯული დამხმარე მასალების ღირებულება, თუ ასეთი შესრულებულ სამუშაოთა საგასაცემო ფასში არ იყო ჩათვლილი.

შემკვეთის ტანსაცმელების გადაკეთება, როდესაც ტანსაცმელები საჭიროებს ხელახალ სრულ გამოჭრას და გადაკეთებას სხვა სახის ან და სხვა ზომის ტანსაცმელებზე, შეფასდება შემკვეთის მასალის ღირებულების ჩათვლით (შემკვეთის მასალის შეფასება აღნიშნული უნდა იქნას მისაღებ ქვითარზე გაცვეთის მდგომარეობის აღრიცხვით).

ტანისამოსის მეორე პირზე გადაბრუნება შეფასდება როგორც რემონტი.

საკუთარი მოწყობილობის კაპიტალური რემონტი შეფასდება 1949 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებში.

ნაყიდი ნაკეთობათა რესტავრირება ჩაითვლება საერთო და სასაქონლო პროდუქციაში სრული გასაყიდი ფასებით (სავაჭრო ფასდების გარეშე), ე. ი. აღდგენილი ნაწარმის ღირებულების ჩართვით.

13. ენერგეტიკულ საამქროებში და წარმოების ელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგია, რომელიც გაიცემა წარმოების გარეშე, შეფასდება გეგმითი ფასის მიხედვით (წლიური გეგმის მიხედვით). იმავე წესით წარმოებს წარმოების გარეშე გაცემული წყლისა და ორთქლის შეფასება.

14. დაუმთავრებელი ნაწარმის ნამატის (შემცირების) ნაშთის ღირებულება საბითუმო ფასებში (იმ დარგებში, სადაც ასეთის შეტანა წარმოებს საერთო პროდუქციაში) განისაზღვრება შემდეგნაირად:

იმ შემთხვევაში, როდესაც საბითუმო ფასების პრეისკურანტში გათვალისწინებულია იმ ცალკეული დეტალების ფასები, რომელნიც ითვლება დაუმთავრებელი ნაწარმებში, მათი შეფასება წარმოებს ინვენტარიზაციით დადგენილი, დაუმთავრებელი ნაწარმთა ნაშთების შეფასების მიხედვით.

ხანგრძლივი ციკლიანი წარმოების დარგში (როგორიცაა გემთმშენებლობა, ტურბინების მშენებლობა) დაუმთავრებელი ნაწარმის შეფასება საბითუმო ფასებში წარმოებს ცალკეული კვანძების მიხედვით (მზადყოფნის პროცენტის მიხედვით), გამომდინარე მზა ნაწარმის საბითუმო ფასებიდან.

დაუმთავრებელი ნაწარმის მზადყოფნის პროცენტულად განსაზღვრის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სახის მანქანათმშენებელ წარმოებებშიც, მხოლოდ იმ პირობის და წესების აუცილებელი დაცვით, რა მეთოდითაც წარმოებს აღრიცხვა აღნიშნულ საწარმოში.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაუმთავრებელი ნაწარმის პირდაპირი შეფასება საბითუმო ფასებით, დაუმთავრებელი ნაწარმის ნაშთების ცვლილება საერთო პროდუქციის გაანგარიშებისას გაითვალისწინება გეგმითი თვითღირებულების მიხედვით.

თუ დაუმთავრებელი ნაწარმი ბუღალტრული აღრიცხვიანობაში ნაჩვენებია მისი ფაქტიური თვითღირებულებით, თვის ბოლოსათვის გარდამავალი დაუმთავრებელი ნაწარმის ნაშთის ფაქტიური თვითღირებულება გადამრავლებული უნდა იქნას კოეფიციენტზე, რომელიც მიღებულია, წინათვის მზანაწარმის საგეგმო თვითღირებულების

იმავე პროდუქციის ფაქტიურ თვითღირებულებაზე გაყოფის საშუალებით.

შენიშვნა: იანვრის თვის საერთო პროდუქციის აღრიცხვისას საჭირო კოეფიციენტი გაანგარიშებული უნდა იქნას იანვრის თვეში გამომუშავებული მზანაწარმის მიხედვით.

დაუმთავრებელი ნაწარმის თვითღირებულების გადაანგარიშება წარმოებულ უნდა იქნას კოეფიციენტის მიხედვით, შესაბამისად ცალკეულ ნაკეთობათა ან ნაკეთობათა ცალკე ჯგუფებისა.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დიფერენცირებული კოეფიციენტების გაანგარიშება, დასაშვებია მთლიანი მზა პროდუქციისათვის გაანგარიშებულ იქნას საშუალო კოეფიციენტი.

## საერთო და სასაქონლო პროდუქციის გაანგარიშება 1949 წ. 1 იანვრის საბითუმო ფასებში, რომლებიც მიღებულია 1949 წ. გეგმების შედგენისათვის (წლიურად და კვარტალურად).

15. საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების აღრიცხვისათვის საბითუმო ფასებით ბრუნვიდან გადასახადის ჩართვითსაანგარიშო პერიოდის პროდუქცია უნდა შეფასდეს 1949 წლის 1 იანვრისათვის მოქმედ, იმ ფასების მიხედვით, რომელთა საფუძველზე 1949 წლის გეგმის შედგენისას გაანგარიშებული იყო საერთო და სასაქონლო პროდუქციის ღირებულება, გამოშვებული პროდუქციის მარკის, არტიკულისა და ხარისხის მხედველობაში მიღებით.

16. გამომუშავებული ნაწარმი შეიტანება საერთო და სასაქონლო პროდუქციაში 1949 წლის 1-ლ იანვრისათვის მოქმედ იმ საბითუმო ფასების მიხედვით, რომლებითაც გეგმით გაანგარიშებული იქნება საერთო პროდუქციის მოცულობა.

ის ნაწარმი, რომელზედაც 1949 წლის 1-ლ იანვრისათვის დადგენილი იყო მხოლოდ საპრეისკურანტო საცალო ფასები, აღირიცხება ამავე ფასებით (სავაჭრო დათმობის გამოკლებით) რა მეთოდითაც წარმოებდა ასეთი სახის პროდუქციის დაგეგმვა.

ასეთივე წესით წარმოებს, როგორც გეგმით გათვალისწინებული, ისე გეგმის გარეშე გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა, თუკი მათზე 1949 წლის 1-ლ იანვრისათვის არსებობდა საბითუმო ან საცალო ფასები.

17. ახალი სახის პროდუქცია, რომლის გამოშვება გათვალისწინებული არ არის 1949 წ. გეგმაში და არც 1949 წ. 1-ლ იანვრისათვის მოქმედ პრეისკურანტებში, შეფასდება საანგარიშო პერიოდში მოქმედი ფასების მიხედვით, (ე.ი. იმ ფასების მიხედვით, რომლებითაც ამ ნაწარმის გამოშვება შეფასებული იქნება ფაქტიურ საბითუმო ფასებში).

18. ნაწარმი, რომელზედაც პრეისკურანტით დადგენილია სხვადასხვა ფასი ქალაქის ან სოფლის საცალო ქსელში სარეალიზაციოდ, შეფასდება პრეისკურანტის ფასის მიხედვით, რომელიც მოქმედებდა 1949 წ. 1-ლ იანვრისათვის და მიღებულია გეგმით ამ ნაწარმის შეფასებისათვის, მე-5 პუნქტში ნაჩვენები წესების შესაბამისად. საცალო ფასდაკლება წარმოებს გეგმაში მიღებული ნორმებით.

19. ელექტროენერგია, წყალი და ორთქლი, წარმოების გარეშე გაცემული, შეფასდება გეგმითი ფასებში (მე-14 პუნქტის მითითების შესაბამისად).

საწარმოს საკუთარი მოწყობილობათა კაპიტალური რემონტი შეფასდება 1949 წ. სახარჯთაღრიცხვო ფასებით.

20. დანარჩენი ელემენტების საერთო და სასაქონლო პროდუქციის შეფასება გეგმითი ფასებში წარმოებს არსებული ინსტრუქციის ზემოთ ნაჩვენები 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, და 14 პუნქტების წესებით, 1949 წლ. 1-ლ იანვრისათვის იმ მოქმედი ფასების გამოყენებით, რომლებიც მიღებულია გეგმის შედგენისათვის.

21. თუ 1949 წლის, 1-ლ იანვრისათვის მოქმედი ფასები (მიღებული გეგმის შედგენისას) არ შეიცვალა, პროდუქციის მაჩვენებლები მოქმედ ფასებში უნდა დაემთხვეს ამავე პროდუქციის მაჩვენებლებს გეგმითი ფასებში.

**საერთო პროდუქციის შეფასება 1926—27 წ. წ. უცვლელ ფასებში.**

22. საერთო პროდუქციის შეფასება უცვლელ ფასებში წარმოებს იმავე წესების მიხედვით, როგორც 1948 წელში. ახალ ნაწარმზე უცვლელი ფასების დამტკიცების წესი რჩება ძალაში.

## ფ ა ს ი

პროდუქციის დაგეგმვისა და აღრიცხვისას ხშირად შეგვხვდება ფასების შემდეგი სახეები:

1. პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებში. ეს ნიშნავს გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას დათმობის გამოკლებით და ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით.

2. საგეგმო-საბითუმო ფასები ნიშნავს ფასებს, რომლებიც მოქმედებდნენ დასაგეგმი წლის პირველ იანვრისათვის, ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით და დათმობის გამოკლებით. ჩვენში საგეგმო ფასი, მისი შემცირების მხრივ, სისტემატურ ცვალებადობას განიცდის.

3. პროდუქციის სამრეწველო ფასი. ეს იგივე პროდუქციის საბითუმო ფასია, იმავე პირობებში, ე. ი. ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით და დათმობის გამოკლებით.

4. საწარმოო ფასი წარმოების მიერ გამოშვებულ სასაქონლო პროდუქციის საბითუმო ფასია, დათმობისა და ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით.

5. საპრეისკურანტო საცალო ფასი. ეს არის ცენტრალიზებული წესით დამტკიცებული ერთიანი საცალო ფასი ბრუნვიდან გადასახადისა და დათმობის ჩათვლით.

6. 1926/27 წლის უცვლელი ფასი შემოღებულ იქნა პირველი ხუთწლედის დაწყებიდან, რაც წარმოადგენს 1926 და 1927 წლებში მოქმედ საპრეისკურანტო საბითუმო საგასაცემო ფასს. 1949 წლამდე ამ ფასებით ხდებოდა მრეწველობაში პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა. თავის დროზე აღნიშნული ფასებით პროდუქციის დაგეგმვამ და აღრიცხვამ საუკეთესო გამართლება ჰპოვა. ამავე ფასების საშუალებით იგეგმებოდა ან აღირიცხებოდა წარმოებებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებიც.

1927 წლის შემდეგ გაიზარდა ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის სახეობა (ასორტიმენტი). აქ უკვე შეუძლებელი შეიქნა ახალ პროდუქციაზე 1926/27 წლის უცვლელი ფასების დაწესება და როგორც წესი მასზე უცვლელ ფასად მიღებულ იქნა მისი საგეგმო საქარხნო თვითღირებულების ფასი. შემდეგ ეს წესი შეცვლილ იქნა კოეფიციენტის გამონახვის საშუალებით, მაგრამ ყველა იმ უნიფიცირებულ ფასებს, რაც 1926/27 წლის ფასების შემდეგ იყო მიღებული, ერთგვარი სიძნელეები შეჰქონდა მრეწველობის დაგეგმა-აღრიცხვიანობის საქმეში. პროდუქციის უცვლელი ფასი უკვე აღარ შეიქნა ამ პროდუქციის შრომატევადობის გამომხატველი. ხშირ შემთხვევაში უცვლელი ფასი პროდუქციის, რომლის შესაქმნელად დახარჯული იყო 20 კაცდღე, გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ისეთი პროდუქციისა, რომლის გამოშვებაზე დახარჯული იყო მხოლოდ 5—6 კაცდღე, რასაც ერთი მუშის საშუალო გამომუშავების მაჩვენებლის დადგენისას უდიდესი არევ-დარევა შეჰქონდა.

დათმობა. წარმოებები სავაჭრო დაწესებულებებს პროდუქციის რეალიზაციისათვის აძლევს ფასდაკლებას, რაც უდრის სავაჭრო ორგანიზაციაზე გაცემულ სასაქონლო პროდუქციის ღირებულების ქალაქად 8%-სა და სოფლად 6%-ს. ამ თანხას სავაჭრო ორგა-

ნიზაცია იყენებს სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად.

1949 წლიდან საბჭოთა კავშირში შემოღებულია პროდუქციის დაგეგმვისა და აღრიცხვის ახალი წესი, რომლის თანახმად: ა) ნაცვლად არსებული უცვლელი ფასებისა, საერთო პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა წარმოებს მოქმედ საბითუმო ფასებში.

ბ) წარმოებების (ქარხნები, ფაბრიკები, საამქროები, სახელოსნოები) საერთო პროდუქციის დაგეგმვა-აღრიცხვა იწარმოებს საწარმოო საბითუმო ფასებში, ე. ი. ბრუნვიდან გადასახადისა და დათმობის გამოკლებით.

შრომის ნაყოფიერებისა და მუშის საშუალო გამომუშავების გაანგარიშება წარმოებს საბითუმო ფასებიდან გამომდინარე.

მრეწველობის დარგობრივ გაერთიანებასა და მთლიანად მრეწველობის საერთო პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა წარმოებს სამრეწველო ფასებით (ე. ი. ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით და დათმობის გამოკლებით). იმის გამო, რომ მრეწველობის დარგის ცალკეული წარმოების საერთო პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვიანობა წარმოებს საწარმოო საბითუმო ფასებით, წარმოებებზე კონტროლის გაწევის მიზნით, მრეწველობის დარგობრივ გაერთიანებებსა და მთლიანად მრეწველობის საერთო პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა, პარალელურად სამრეწველო საბითუმო ფასებისა, წარმოებს აგრეთვე საწარმოო ფასებითაც.

მრეწველობისა და სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციისა და სხვა წარმოებებში დროებით დაშვებულია საერთო პროდუქციის აღრიცხვა, როგორც მოქმედ საბითუმო, აგრეთვე საგეგმო ფასებშიც.

აი, ეს ფასებია, რომელთა საშუალებით ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საერთო პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა.

## სტატისტიკური ცნობების შედგენის წესი

როგორც ამ წიგნის 143 გვერდზე აღვნიშნეთ, რაიონული დაქვემდებარების წარმოებათა დაგეგმვა წარმოებს მათი გაერთიანების მიხედვით, ე. ი. საგეგმო მაჩვენებლებს სამინისტრო ცალკეულ წარმოებებზე კი არ უშვებს, არამედ მათ გაერთიანებებზე (ავტონომიური რესპუბლიკების ადგილმრეწველობის სამინისტროებზე, საოლქო, საქალაქო და რაიონული ადგილმრეწველობის განყოფილებებზე და მრეწკომბინატებზე).

ასეთივე შენაერთებით უნდა წარმოებდეს სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენა, შემდეგ მაჩვენებლებზე:

1. პროდუქციის გამოშვება ნატურ-გამოხატულებაში.

2. საერთო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებით.

3. „ გეგმითი საბითუმო ფასებით.

4. „ „ 1926/27 წლების უცვლელ ფასებით.

5. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო სიობრივი რიცხვი პერსონალური დაყოფის მიხედვით.

6. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი, პერსონალის მიხედვით.

7. არასამრეწველო პერსონალის საშუალო სიობრივი რიცხვი.

8. არასამრეწველო პერსონალის ხელფასის ფონდი.

9. უხალხო ხელფასის ფონდი.

10. გამომუშავების ნორმების შესრულების მაჩვენებლები.

11. თვითღირებულების მაჩვენებლები.

წარმოების მიერ გამოშვებული ნატურალური, საერთო და სასაქონლო პროდუქციის აღსარიცხავად შემოღებულია სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული № 1-რ ფორმა, რომელიც ოთხი კარისაგან შედგება.

### ფორმა № 1 რ-ის, კარი პირველი. პროდუქციის გამოშვება ფასეულობათა გამოხატულებაში.

1. საერთო პროდუქცია:—საერთო პროდუქციის დაგეგმვა წარმოებს:

ა) გეგმითი საბითუმო ფასებით, რაც დაწესებული იყო დასაგეგმი წლის 1-ლ იანვრისათვის;

ბ) მოქმედი საბითუმო ფასებით, რაც გამოიხატება საანგარიშო პერიოდის არსებული ფასებით, და

გ) 1926/27 წლების უცვლელი ფასებით, რომლის საფუძველზე 1949 წლამდე წარმოებდა მრეწველობის საერთო პროდუქციის გაანგარიშება.

რა განსხვავებაა მოქმედ და გეგმითი საბითუმო ფასებს შორის?

ჩვენთვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს პროდუქციაზე საგასაცემო ფასების თანდათანობითი შემცირება, რის გამო წლის დასაწყისისათვის დადგენილი სარეალიზაციო ფასებსა და ოპერაციულ-საანგარიშო თვეებში მოქმედ სარეალიზაციო ფასებს შორის აუცილებელ განსხვავებას ექნება ადგილი. ამის გამო № 1-რ სტატისტიკური ფორმით მოცემული საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასებით საგეგმო მონაცემები არ გვექნება, არამედ შეიტანება მხოლოდ ფაქტიური მაჩვენებლები. 1949 წელში საერთოდ სასაქონლო პროდუქციის წლიური გეგმის

შესრულების განსაზღვრისათვის საანგარიშო პერიოდში გამომუშავებული პროდუქცია აღრიცხული უნდა იქნას იმ ფასებით, რა ფასებითაც დადგენილ იქნა წლიური საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობა. მრეწველობაში შექმნილი პროდუქციის დინამიკისათვის პროდუქციის საბითუმო ფასებით აღრიცხვის პარალელურად განსაზღვრულ პერიოდში კვლავ იწარმოებს პროდუქციის აღრიცხვა უცვლელი ფასებით.

1950 წლიდან საერთო პროდუქციის დაგეგმვა-აღრიცხვა იწარმოებს შემდეგი ფასებით: მრეწვკომბინატისა და წარმოებების—საწარმოო საბითუმო ფასებით და მრეწველობის ცალკეული დარგებისა და მთლიანად მრეწველობის კი—სამრეწველო ფასებით (განმარტება იხ. „ფასებში").

მრეწვკომბინატის სისტემაში შემავალ წარმოებათა მიერ გამომუშავებული პროდუქციის აღრიცხვის მეთოდი ორგვარია:

ა) მრეწვკომბინატის სისტემაში შემავალ, დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებებში საერთო პროდუქციის გაანგარიშება ხდება საქარხნო მეთოდით, ე. ი. იმ ნახევარფაბრიკატების გამოკლებით, რომელიც წარმოების შიგნით ერთი საამქროს მიერ იქნა გამომუშავებული და გადაცემული მეორე საამქროზე, მისი შემდგომი გადამუშავებისათვის.

ბ) მრეწვკომბინატის გაერთიანებაში უშუალოდ დაქვემდებარებული საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა კი ხდება არა საქარხნო მეთოდით, არამედ შიდა ბრუნვის გამოუკლებლივ, ე. ი. მრეწვკომბინატის საამქროთა მიერ გამომუშავებული საერთო პროდუქციის თანხა ედრება ცალკეული საამქროების მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის საერთო ჯამს. ერთ საამქროდან მეორე საამქროზე გადასამუშავებლად გადაცემული ნახევარფაბრიკატების ღირებულება საერთო პროდუქციის ჯამს არ გამოაკლდება, ე. ი. ამ შემთხვევაში საერთო პროდუქციის საერთო ჯამი იგივეა, რაც საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქციის ბრუნვა. ცხადია, პროდუქციის ბრუნვაში არ უნდა იქნას შეტანილი ნაკეთობათა გადამუშავების ცალკეული სტადია, თუ ეს შესრულებული იქნება საამქროს დამხმარე განყოფილების მიერ, იმავე საამქროს ხელმძღვანელობის ქვეშ. ავეჯის საამქროს მიერ მისივე საწარმოო მოხმარებისათვის მასალის დახერხვის ღირებულება საერთო პროდუქციის შემადგენლობაში არ შევა, არამედ ის უშუალოდ შესული იქნება მის მიერ დამზადებული ავეჯის ღირებულებაში.

შემკვეთის მასალების გადამუშავებით მიღებული ნაწარმი საერთო პროდუქციაში შეტანილი უნდა იქნას მისი საბითუმო ფასებით. იმ შემთხვევაში, თუ მასზე არ არსებობს ასეთი ფასები, გადამუშავების ღირებულებას უნდა დაემატოს მასალების ღირებულება.

## 2. სასაქონლო პროდუქცია

სასაქონლო პროდუქცია, საერთო პროდუქციის შემადგენელი ნაწილია, რომლის რეალიზაცია წარმოებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ (ავტონომიური) წარმოებისა და მრეწვკომბინატის გარეთ. სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში აგრეთვე შეტანილი უნდა იქნას გარეშე საწარმოებისათვის გაწეული მომსახურების ღირებულება (წყლის, ელენერგიისა და ორთქლის გაცემა, ტრანსპორტით მომსახურების ღირებულება და სხვა). სასაქონლო პროდუქციის საგასაცემო ღირებულებიდან გამოთიშული უნდა იქნას სავაჭრო ორგანიზაციებისადმი მიცემული დათმობა (ფასდაკლება).

გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის ღირებულების დადგენისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას საქონლის ხარისხიანობა.

სხვისი ნედლეულის გადამუშავების შემთხვევაში სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ მისი გადამუშავების ღირებულება.

რაიონული დაქვემდებარების წარმოებებში, სასაქონლო პროდუქციის დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის ორგვარი მეთოდი არსებობს:

ა) მრეწვკომბინატის სასაქონლო პროდუქცია წარმოადგენს მრეწვკომბინატის სისტემაში შემავალი ავტონომიური*) წარმოებათა მიერ გამომუშავებული სასაქონლო პროდუქციის შენაერთს. ეს იმით აიხსნება, რომ ავტონომიური წარმოების მიერ გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობას არ გამოაკლდება ამავე გაერთიანებაში შემავალ მეორე ავტონომიურ წარმოებაზე გადაცემული მზანაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულება.

ბ) მრეწვკომბინატის გაერთიანებაში უშუალოდ შემავალი ყველა საამქროს მიერ გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში შედის ის ნაწილი, რომელიც რეალიზაციაქმნილია ან რეალიზებული იქნება მრეწვკომბინატის გარეთ; ე. ი. პროდუქციის ის ნაწილი, რომელსაც ერთი საამქრო გადასცემს მეორე საამქროს საერთო პროდუქციის შემადგენლობაში არ შევა.

---

*) ავტონომიური, ე. ი. სამნეო ანგარიშზე ანუ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი.

აღრიცხვის მეთოდის პრაქტიკულად გადმოცემის მიზნით მოგვყავს შემდეგი მაგალითები.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1-ლი, როცა ნახევარფაბრიკატები თავისი ხასიათის მიხედვით არ შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო პროდუქციას.

ა გ უ რ-კ რ ა მ ი ტ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა

| პროდუქციის სახეობა | საბითუმო ფასი ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით | | 1926/27 წლის უცვლელი ფასებით მან. | გამომუშავებულია საანგარიშო თვეში ათ. ც. | გადაეცემა გადამუშავებაში საანგარიშო თვეში ათ. ც. |
|---|---|---|---|---|---|
| | გეგმით მან. | მოქმედი მან. | | | |
| ნედლი აგური | 93 | 93 | 24—00 | 500,0 | 220,0 |
| ნედლი კრამიტი | 210 | 210 | 42—00 | 100,0 | 57,5 |
| გამომწვარი აგური | 400 | 360 | 39—00 | 200,0 | — |
| გამომწვარი კრამიტი | 1000 | 890 | 70—00 | 50,0 | — |

გავიანგარიშოთ აგურ-კრამიტის ქარხნის მიერ საანგარიშო თვეში გამოშვებული ნატურპროდუქციის ოდენობა. ამისათვის საჭიროა გამომუშავებული ნატურგამოხატულება გავამრავლოთ მის სათანადო ფასზე.

ს ა ე რ თ ო პ რ ო დ უ ქ ც ი ა 1926/27 წ ლ ი ს უ ც ვ ლ ე ლ ი ფ ა ს ე ბ ი თ :

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნედლი აგური | 500,0 × 24 მან. | = | 12.000 | მანეთი |
| ნედლი კრამიტი | 100,0 × 42 „ | = | 4.200 | „ |
| გამომწვარი აგური | 200,0 × 39 „ | = | 7.800 | „ |
| გამომწვარი კრამიტი | 50,0 × 70 „ | = | 3.500 | „ |

სულ პროდუქციის ბრუნვის ჯამი = 27.500

როგორც აღვნიშნეთ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ წარმოებათა საერთო პროდუქციის გაანგარიშება წარმოებს საქარხნო მეთოდით, ე. ი. გადამუშავებაში გადასული ნახევარფაბრიკატების ღირებულების გამოკლებით. ამ შემთხვევაში 200,0 ათასი ცალი გამომწვარი აგურის და 50,0 ათასი ცალი კრამიტის მისაღებად ღუმელში გადაცემული 220,0 ათასი ც. აგურის ალიზისა და 57,5 ათასი ცალი ნედლი კრა-

მიტის ღირებულება გამოაკლდება საანგარიშო თვის პროდუქციის ბრუნვას 220,0×24=5.280 მ.
57,5×42=2.415 მ.

სულ გადამუშავებაში გადაცემული

დაუმთავრებელი პროდუქციის ღირებულება=7.695 მ.

საანგარიშო თვეში გამომუშავებული საერთო პროდუქციის ჯამი შეადგენს 27.500 მ.—7.695 მ.=19.805 მანეთს.

მრეწველობის დარგში, სადაც პროდუქციის დამზადება ხანგრძლივი საწარმოო ციკლით ხასიათდება, დაუმთავრებელი ნაწარმი აღრიცხული უნდა იქნას საერთო პროდუქციის შემადგენლობაში. რაიონულ მრეწველობაში ასეთი სახის წარმოებებს აგურ-კრამიტის ქარხნები წარმოადგენენ.

საქარხნო მეთოდით საერთო პროდუქციის საბითუმო ფასებით გაანგარიშებისათვის საჭიროა ვიცოდეთ გამომუშავებული და გადასამუშავებლად გადაცემული ნახევარფაბრიკატებისა და დაუმთავრებელი ნაწარმის საბითუმო ფასები.

ამ შემთხვევაში აგურ-კრამიტის ქარხნის დაუმთავრებელი ნაწარმის (ალიზის) თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მასზე, როგორც არა მოხმარების საგანზე, საბითუმო ფასები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს (შეიძლება დაგეგმვა-აღრიცხვისათვის დაწესებულ იქნას მხოლოდ პირობითი ფასები); დაუმთავრებელი ნაწარმის მატება და გამოკლება საერთო პროდუქციის შემადგენლობაში უნდა წარმოებდეს საგეგმო თვითღირებულების ფასებით, რომელნიც ცალკეული წარმოებისათვის წლიური საწარმოო საფინანსო გეგმის შედგენისას განისაზღვრება.

ჩვენს მიერ დასაგეგმად აღებული აგურის ქარხნის 1000 ცალი ალიზის საგეგმო თვითღირებულების ფასი 92—78 კაპ. განისაზღვრება. 1000 ცალი ნედლი კრამიტის საქარხნო თვითღირებულების ფასს პირობით ვღებულობთ 210 მანეთს და გამოგვყავს მოცემული მაგალითის მიხედვით საანგარიშო თვეში გამოშვებული აგურ-კრამიტის ქარხნის საერთო პროდუქცია.

საერთო პროდუქცია საბითუმო-საგეგმო ფასებით:

ა) საერთო პროდუქციის ბრუნვის ჯამი საგეგმო-საბითუმო ფასებით (93 მან.×500,0)+(210 მან.×100,0)+(400 მან.×200,0)+ +(1000 მან.×50)=197.500 მან.

ბ) გადასამუშავებლად გადაცემული ნაწარმის ღირებულება (93× ×220,0)+(210×57,5)=32.535 მან.

გ) რას უდრის ქარხნის საერთო პროდუქცია კაგეგმო-საბითუმო ფასებით? 197.500 მან.—32.535 მან.=164.965 მანეთს

3. საერთო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებით:*)

ა) საერთო პროდუქციის ბრუნვის ჯამი მოქმედ საბითუმო ფასებით (93 მან.×500,0)+(210 მან.×100,0)+(360 მან.×200,0)+ +(800 . მან.×50,0)=179.500 მან.

ბ) გადამუშავებაში გადაცემული დაუმთავრებელი ნაწარმის ღირებულება (93 მან.×220,0)+(210 მან.×57,5)=32.535 მან.

გ) რას უდრის საერთო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებში? 179.500 მან.—32.535 მან.=146.965 მანეთს.

სასაქონლო პროდუქცია

ა) სასაქონლო პროდუქცია საგეგმო საბითუმო ფასებით (400 მ.× ×200,0)+(1000 მან.×50,0)=130.000 მან.

ბ) სასაქონლო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებით (360 მ.× ×200,0)+(1000 მან.×50,0)=122.000 მან.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2. ავტონომიური წარმოების გაერთიანებაში შედის საფეიქრო და სამკერვალო საამქროები. პირველის დანიშნულებაა დაამზადოს ქსოვილი და შესაკერად გადასცეს სამკერვალო საამქროს. ქსოვილები დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს სასაქონლო პროდუქციაც და დაუმთავრებელი ნაწარმიც.

საანგარიშო თვეში საფეიქრო სამკერვალო წარმოების მიერ გამოშვებულია პროდუქცია:

(ფ ა ს ე ბ ი   ა ღ ე ბ უ ლ ი ა   პ ი რ ო ბ ი თ ი)

| | საბითუმო ფასი ბრუნვიდან გადასახადის ჩართვით მან. | | უცვლელი ფასები მან. | გამოშვება საანგარიშო თვეში | გადაეცემა სამკერვალო საამქროს მეტ. |
|---|---|---|---|---|---|
| | გეგმით | ფაქტიური | | | |
| ქსოვილი აბრეშუმის | 100—00 | 90—00 | 5—00 | 7500 მეტ. | 6000 |
| „ ბამბის . | 12—00 | 10—80 | 1—00 | 5000 „ | 3580 |
| კაბა აბრეშუმის . . | 380—00 | 342—00 | 100—00 | 2000 ცალი | — |
| შარვალი ბამბის ქსოვ. | 65—00 | 58—50 | 5—40 | 1000 „ | — |

*) საანგარიშო თვის მოქმედი საბითუმო ფასები აგურ-კრამიტის ქარხნისათვის იგივეა, რაც საგეგმო ფასები, რადგან 1949 წლის 1 იანვრის შემდეგ ფასები სამშენებლო მასალებზე არ შემცირებულა; ჩვენს მიერ შემცირება ნაჩვენებია პირობით, პროდუქციის გაანგარიშების მეთოდის შესასწავლად.

ფაქტიურად გამომუშავებულ ნატურპროდუქციიდან გამოვიყვანოთ საერთო და სასაქონლო პროდუქცია.

## საერთო პროდუქცია 1926/27 წლის უცვლელი ფასებით.

ა) გამომუშავებული პროდუქციის საერთო ბრუნვა—(5 მან. × 7500)+(1 მან. × 5000)+(100 მან. × 2000)+(5 მან. 40 კ. × 1000) = 247.900 მ.

ბ) რას უდრის გადამუშავებაში გადაცემული პროდუქციის ღირებულება? (5 მან. × 6000)+(1 მან. × 3580) = 33.580 მანეთს.

გ) რას უდრის საერთო პროდუქცია უცვლელი ფასებით საქარხნო მეთოდით გაანგარიშებული? 247.900—33.580 = 214.320 მანეთს.

## საერთო პროდუქცია საგეგმო-საბითუმო ფასებით.

ა) გამომუშავებული პროდუქციის საერთო ბრუნვა (100 მან. × 7500)+(12 მან. × 5000)+(380 მან. × 2000)+(65 მან. × 1000) = 1.635.000 მან.

ბ) რას უდრის გადამუშავებაში გადაცემული პროდუქცია? (100 მ. × 6000)+(12 მან. × 3580) = 642.960 მანეთს.

გ) რას უდრის საერთო პროდუქცია საგეგმო-საბითუმო ფასებით? 1.635.000 მან.—642.960 მან. = 992.040 მანეთს.

## საერთო პროდუქცია მოქმედი საბითუმო ფასებით.

ა) გამომუშავებული პროდუქციის საერთო ბრუნვა მოქმედ საბითუმო ფასებით (90 მან. × 7500)+(10 მან. 80 კ. × 5000)+(342 მ. × 2000)+(58 მან. 50 კ. × 1000) = 1.471.500 მან.

ბ) რას უდრის გადამუშავებაში გადაცემული პროდუქცია მოქმედი საბითუმო ფასებით? (90 მ. × 6000)+(10 მ. 80 კ. × 3.580) = 578.660 მ.

გ) რას უდრის საერთო პროდუქცია მოქმედი საბითუმო ფასებით? 1.471.500 მან. — 578.660 მან. = 892.840 მან.

### სასაქონლო პროდუქცია.

მოცემულ მაგალითიდან სასაქონლო პროდუქციის ჯამის გამოყვანამდე საჭიროა დადგენილ იქნას საფეიქრო საამქროს მიერ გამომუშავებული ქსოვილის დანიშნულება. იმ შემთხვევაში, როდესაც დამზადებული ქსოვილის მთელი რაოდენობა გადაცემული უნდა იქნას სამკერვალო საამქროზე, ქსოვილი თავისი ღირებულებით სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში არ შევა; მაგრამ, თუ გამოშვებული ქსოვილის განსაზღვრული რაოდენობა (50%—30% და ა. შ.) დაგეგმილია სარეალიზაციოდ, მაშინ ეს რაოდენობა შეტანილი უნდა იქნას სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში.

ჩვენს მიერ მოცემული მაგალითით, საფეიქრო საამქროს მიერ დამზადებული პროდუქცია მთლიანად დანიშნულია სამკერვალო საამქროში გადასამუშავებლად, რის გამო სასაქონლო პროდუქციის მოცულობა შემდეგში გამოიხატება:

ა) სასაქონლო პროდუქცია საგეგმო-საბითუმო ფასებით (380 მ.$\times$ $\times$2000)+(65 მ.$\times$1000)=825.000 მანეთი.

ბ) სასაქონლო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებით (342 მ.$\times$ $\times$2000)+(58 მ. 50 კ.$\times$1000)=742.500 მანეთს.

მ ა გ ა ლ ი თ ი  მე-3. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ტყავფეხსაცმელების წარმოების მიერ საანგარიშო თვეში გამომუშავებულია:

(ფ ა ს ე ბ ი  ა ღ ე ბ უ ლ ი ა  პ ი რ ო ბ ი თ ი)

| პროდუქციის სახეები | საბითუმო ფასი მან. | | უცვლელი ფასები მან. | გამომუშავებულია საანგარიშო თვეში | გადაეცემა გადამუშავებაში საანგარიშო თვეში | დანიშნულია სარეალიზაციოდ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საგეგმო | მოქმედი | | | | |
| 1. რბილი ტყავი . | 0,70 | 0,70 | 0,10 | 40000 კვ. დც. | 12200 კვ. დც. | 20000 კვ. დც. |
| 2. მაგარი ტყავი . | 40,00 | 40,00 | 3,10 | 1000 კლგ. | 200 კლგ. | 500 კლგ. |
| 3. მამაკაცის ფეხსაცმელი . | 304,00 | 304,00 | 10,00 | 100 წყვ. | — | 100 წყვ. |
| 4. ქალის ფეხსაცმელი. . | 194,00 | 194,00 | 10,00 | 200 | — | 200 „ |
| 5. მოწაფის ფეხსაცმელი . | 87,00 | 87,00 | 6,00 | 200 „ | — | 200 „ |

ა) რას უდრის საერთო პროდუქცია 1926/27 წლის ფასებით? (4000+3100+1000+2000+1200)—(1220+806)=9.274 მანეთს.

ბ) რას უდრის საერთო პროდუქცია საგეგმო საბითუმო ფასებით? (28000+40000+30400+38800+17400)—(8540 + 10400)=135660 მანეთს.

გ) რას უდრის საერთო პროდუქცია მოქმედი საბითუმო ფასებით? (28.000 + 40.000 + 30400 + 38800 + 17400) — (8540 + 10400)= =135660 მ.

დ) რას უდრის სასაქონლო პროდუქცია საგეგმო და მოქმედი საბითუმო ფასებით?

14.000+20.000+30.400+38.800+17.400=120.600 მანეთს.

სასაქონლო პროდუქციის საგეგმო-საბითუმო და საგასაცემო მოქმედი საბითუმო ღირებულებების ერთნაირობა აიხსნება იმით, რომ ტყავეულობაზე და ტყავფეხსაცმელებზე 1949 წელში დღემდე ფასების ცვლილება არ მომხდარა.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4. ინდივიდუალური დაკვეთის სამკერვალოში თვის განმავლობაში შეკერილია: დამკვეთების მასალიდან მამაკაცის 6 კოსტიუმი. მასალის ღირებულებაში დამკვეთებს გადაუხდიათ 3.600 მანეთი. წარმოებამ შეკერვაზე დახარჯა თავისი სასარჩულე, ძაფი, ღილები, ელენერგია და სხვა 500 მანეთად ღირებული. შეკერილი ტანსაცმელების ღირებულება საპრეისკურანტო ფასით შეადგენს 6.400 მანეთს, სავაჭრო დათმობა—6%-ს.

1. რა ღირებულებით უნდა იქნას შეტანილი ხსენებული 6 კოსტიუმი საერთო პროდუქციაში?

6.400—6% ე.ი. 6.400—384=6.016 მანეთის რაოდენობით.

2. რას უდრის სასაქონლო პროდუქცია?

6.016—3.600=2.416 მანეთს.

მ ა გ ა ლ ი თ ი 5. დამკვეთმა, მის მიერ შედგენილი ნახაზის მიხედვით, მისცა დაკვეთა საავეჯო წარმოებას კომბინირებული კარადა. ამისათვის მანვე მიიტანა საჭირო ხე-ტყის მასალა—1,5 კბ. მეტრი, ღირებული 800 მანეთად. კარადის გასაკეთებლად წარმოებამ დახარჯა დამატებით თავისი მასალები: ფანერი, ლურსმანი, წებო, სახელურები და სხვა 500 მანეთად ღირებული. სამუშაოს შესრულების ღირებულება (დამხმარე მასალების ღირებულების გარდა) 825 მანეთი დამკვეთს გადაახდევინეს. აღნიშნულ ნარჩენზე, როგორც კერძო შენაკვეთზე და არა სტანდარტულზე, საპრეისკურანტო საბითუმო ან საცალო ფასები არ არსებობს.

1. რა ღირებულებით უნდა იქნას შეტანილი ეს ნაკეთობა საერთო პროდუქციაში?

800+500+825=2.125 მანეთის რაოდენობით.

2. რას უდრის სასაქონლო პროდუქცია?

500+825=1.325 მანეთს.

## მრეწვკომბინატში გაერთიანებულ საამქროთა მიერ გამომუშავებული საერთო და სასაქონლო პროდუქციის აღრიცხვის მეთოდი.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ისეთი მრეწვკომბინატი, რომლის გაერთიანებაში იმყოფება მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საამქროები. ასეთ პირობებში საერთო და სასაქონლო პროდუქციის აღრიცხვის მეთოდი არსებითად განსხვავდება ისეთი მრეწვკომბინატის პროდუქციის აღრიცხვის მეთოდისაგან, რომელიც ავტონომიურ წარმოებათა გაერთიანებას წარმოადგენს.

მაგალითისათვის ავიღოთ იგივე წარმოებები, მხოლოდ საამქროებად დანაწილებული და წარმოვიდგინოთ, რომ თითოეული მათგანი მრეწვკომბინატთან უშუალო დამოკიდებულებაშია.

| საამქროებისა და ნაწარმის დასახელება | აღრიცხვის ერთეული | საბითუმო ფასი ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით ფასდაკლების გამოკლებით. მან. | | [illegible] ფასი მან. | გამოშვებულია საანგარიშო თვეში | გადაეცა გადამუშავებაში საანგარიშო თვეში | დანიშნულია სარეალიზაციოდ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საგეგმო | ფაქტიური | | | | |
| აგურის წარმოება: ალიზი . . | 1000 ც. | 93—00 | 93—00 | 24—00 | 500,0 | 220,0 | — |
| აგური გამომწვარი . | | 400—00 | 360—00 | 39—00 | 200,0 | — | 200,0 |
| კრამიტისწარმოება: | | | | | | | |
| ნედლი კრამიტი . . | | 210—00 | 210—00 | 42—00 | 100,0 | 67,5 | — |
| კრამიტი გამომწვარი . | | 1000—00 | 800—00 | 70—00 | 50,0 | — | 50,0 |
| საფეიქრო საამქრო: | | | | | | | |
| აბრეშუმის ქსოვილი | მეტრი | 100—00 | 90—00 | 5—00 | 7500 | 6000 | — |
| ბამბის ქსოვილი . . | " | 12—00 | 10—80 | 1—00 | 5000 | 3580 | — |
| სამკერვალო საამქრო | | | | | | | |
| კაბა აბრეშუმის . . | ცალი | 380—00 | 342—00 | 100—00 | 2000 | — | 2000 |
| შარვალი ბამბის ქსოვ. | " | 65—00 | 58—50 | 5—40 | 1000 | — | 1000 |
| ტყავის გადამმუშავებელი საამქრო | | | | | | | |
| რბილი ტყავი | კვ. დცმ. | 0—70 | 0—70 | 0—10 | 40000 | 12200 | 20000 |
| მაგარი ტყავი | კგრ. | 40—00 | 40—00 | 3—10 | 1000 | 260 | 500 |
| ფეხსაცმელების საამქრო | | | | | | | |
| მამაკაცის ფეხსაცმელები . . . . . . . . . | წყვილი | 304—00 | 304—00 | 10—00 | 100 | — | 100 |
| ქალის ფეხსაცმელები . | " | 194—00 | 194—00 | 10—00 | 200 | — | 200 |
| მოწაფის ფეხსაცმელები | " | 87—00 | 87—00 | 6—00 | 200 | — | 200 |

შენიშვნა: ფასები და მასალის ხარჯვის ნორმები აღებულია პირობითი.

## საერთო პროდუქცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მრეწვკომბინატის გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა წარმოებს არა საქარხნო მეთოდით, არამედ შიდაბრუნვის გამოუკლებლად; ამ შემთხვევაში მოცემული საამქრო-

ების მიერ დამუშავებული პროდუქციის ბრუნვა ამავე დროს მრეწვ-კომბინატის საერთო პროდუქციის ჯამს წარმოადგენს. საერთო პროდუქციის შემადგენლობაში შეიტანება საანგარიშო პერიოდში გამოშვებული და გამოსაწვავად გადაცემული ნედლი აგურ-კრამიტის სხვაობა. მოცემული მაგალითის მიხედვით საერთო პროდუქციაში შეტანილი უნდა იქნას შემდეგი სხვაობა:

ნედლი აგური 500,0—220,0=280,0 ათასი ცალი
ნედლი კრამიტი 100,0— 57,5=42,5 ათასი ცალი
რას უდრის საერთო პროდუქცია:

| ნაწარმის სახეობა | ალრიცხვის ერთეული | ფასები მან. | | | გამომუშავება საანგ. თვეში | საერთო პროდუქცია მან. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უცვლელი | საგეგმო საბითუ-მო | მოქმედ. საბითუ-მო | | უცვლელი ფასებით | საგეგმო ფასებით | მოქმედი ფასებით |
| ალიზი . . . | 1000ც | 24—00 | 93—00 | 93—00 | 280,0 | 6720 | 26040 | 26040 |
| ნედლი-კრამიტი . | „ | 39—00 | 210--00 | 210—00 | 42,5 | 1660 | 8920 | 8920 |
| გამომწვარი აგური | | 42- 00 | 400—00 | 360 - 00 | 200,0 | 8400 | 80000 | 72000 |
| „ კრამიტი | | 70—00 | 1000—00 | 800—00 | 50,0 | 3500 | 50000 | 40000 |
| აბრეშუმის ქსოვილი . . . . . | მეტ. | 5—00 | 100—00 | 90—00 | 7500 | 37500 | 750000 | 675000 |
| ბამბის ქსოვილი . | „ | 1—00 | 12—00 | 10—80 | 5000 | 50000 | 60000 | 54000 |
| კაბა აბრეშუმის . | ცალი | 100—00 | 380—00 | 342—00 | 2000 | 200000 | 760000 | 684000 |
| შარვალი ბამბის ქსოვილის . . . | „ | 5—40 | 65—00 | 58—50 | 1000 | 5400 | 65000 | 58500 |
| ტყავი რბილი**) . | კვ დც | 0—10 | 0—70 | 0—70 | 40000 | 4000 | 28000 | 28000 |
| ტყავი მაგარი . . | კგ. | 3—10 | 40—00 | 40—00 | 1000 | 3100 | 40000 | 40000 |
| ფეხსაც. კაცის . . | წყვ. | 10—00 | 304—00 | 304—00 | 100 | 1000 | 30400 | 30400 |
| „ ქალის | „ | 10—00 | 194—00 | 194—00 | 200 | 2000 | 38800 | 38800 |
| „ მოწაფის | „ | 6- -00 | 87—00 | 87—00 | 200 | 1200 | 17400 | 17400 |
| | | | | | | 279,480 | 1.054,560 | 1.778,000 |

*) ნედლი აგური და ნედლი კრამიტი ნაჩვენებია მხოლოდ იმ რაოდენობით, რომელიც საანგარიშო პერიოდში გადამუშავებაში არ გადადის და რჩება ნაშთად შემდეგი საანგარიშო პერიოდისათვის.

**) იმ შემთხვევაში თუ ტყავს დამზადებას და მისგან ფეხსაცმლების შეკერვას აწარმოებს ერთი და იგივე საამქრო—პროდუქციის გაანგარიშება იწარმოებს საქარხნო მეთოდით.

ზემომოყვანილი გაანგარიშების ცხრილების საფუძველზე ჩვენთვის გარკვეულია, რომ მრეწვკომბინატის სისტემაში გამოშვებული ნატურსახეობიდან საერთო პროდუქციის ღირებულების სიდიდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის გაანგარიშების მეთოდს.

პროდუქციის არასაქარხნო მეთოდით გაანგარიშების ღირებულებაში გაცილებით მეტი რაოდენობის საერთო პროდუქციის ჯამს ვღებულობთ, ვიდრე იმავე ნატურ-პროდუქციის საქარხნო მეთოდით საერთო პროდუქციის გამოყვანისას. ასე მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მრეწვკომბინატის გაერთიანებაში შემავალი ავტონომიური ქარხნების მიერ ნატურპროდუქცია გადავიყვანეთ საერთო პროდუქციაში მივიღეთ 1926/27 წლის უცვლელი ფასებით 243.399 მ.; საგეგმო საბითუმო ფასებით 1.292.665 მ. და მოქმედი საბითუმო ფასებით 1.174.965 მან.

იგივე ნატურპროდუქცია გამომუშავებული მრეწვკომბინატის სისტემაში გაერთიანებულ საამქროთა მიერ და გაანგარიშებული არა საქარხნო მეთოდით*) შეადგენს: 1926/27 წლის უცვლელი ფასებით 279.480 მ. საგეგმო საბითუმო ფასებით 1.954.560 მან. და მოქმედ საბითუმო ფასებით 1.773.060 მანეთს.

სასაქონლო პროდუქციის გაანგარიშების დროს კი გვექნება საწინააღმდეგო სურათი.

მრეწვკომბინატის ავტონომიური ქარხნის მიერ გამომუშავებული პროდუქციის იმავე მრეწვკომბინატის გაერთიანებაში შემავალ მეორე ავტონომიურ წარმოებაზე გადასამუშავებლად გადაცემის შემთხვევაში, პირველის საერთო პროდუქციის ჯამს არაფერი არ მოაკლდება.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მრეწვკომბინატი აერთიანებს არა ავტონომიურ ქარხნებს, არამედ საამქროებს, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციიდან და ნახევარფაბრიკატებიდან სასაქონლო პროდუქციის შემადგენლობაში შეტანილი იქნება მხოლოდ იმ პროდუქციის ღირებულება, რომლის რეალიზაცია მოხდება მრეწვკომბინატის გარეთ.

საანგარიშო თვეში გამომუშავებულ ნატურ პროდუქციიდან გავიანგარიშოთ სასაქონლო პროდუქცია.

---

*) ჩვენი აზრით მიზანშეწონილია ეწოდოს „პროდუქციის საამქრო მეთოდით გაანგარიშება".

| პროდუქციის დასახელება | აღრიცხვის ერთეული | საბითუმო ფასი ბრუნვიდან გადასახადის ჩათვლით მან. | | სასაქონლო ნატურ. პროდუქცია | სასაქონლო პროდუქცია 1000 მან. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | საგეგმო | მოქმედი | | საგეგმო | მოქმედი |
| აგური გამომწვარი . | 1000 | 400—00 | 360—00 | 200,0 | 80,0 | 72,0 |
| კრამიტი გამომწვარი . | „ | 1000—00 | 800—00 | 50,0 | 50,0 | 40,0 |
| კაბა აბრეშუმის . . . . | ცალი | 380—00 | 342—00 | 2000 | 760,0 | 684,0 |
| შარვალი ბამბის . | „ | 65—00 | 58—50 | 1000 | 65,0 | 58,5 |
| ტყავი რბილი . | კვ. დეც. | 0—70 | 0—70 | 20000 | 14,0 | 14,0 |
| ტყავი მაგარი . . . | კგ. | 40—00 | 40—00 | 500 | 20,0 | 20,0 |
| ფეხსაცმ. მამაკაცის . . | წყ. | 304—00 | 304—00 | 100 | 30,4 | 30,4 |
| ფეხსაცმ. ქალის . . . . | „ | 194—00 | 194—00 | 200 | 38,8 | 38,8 |
| ფეხსაცმ. მოწაფეების . . . | „ | 87—00 | 87—00 | 200 | 17,4 | 17,4 |
| | — | — | — | — | 1075,6 | 976,1 |

სტატისტიკური აღრიცხვის № 1— რ-ის II კარში მოცემულია პროდუქციის გამოშვება ნატურალურ გამოხატულებაში.

აღნიშნულ ფორმაში შეტანილი უნდა იქნას მრეწვკომბინატის გაერთიანებაში შემავალი წარმოებათა მიერ გამოშვებული პროდუქციის სახეობა, შემდეგი მაჩვენებლებით:

საანგარიშო (აგვისტო) თვეში ფაქტიურად გამომუშავებული ნატურალური პროდუქცია:

ა) საანგარიშო თვეში,

ბ) საანგარიშო კვარტალის დასაწყისიდან,

გ) საანგარიშო წლის დასაწყისიდან,

დ) გასული წლის სათანადო პერიოდში.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1 - ლ ი: აგურ-კრამიტის ქარხნის ნატურ პროდუქციის გამოშვების წლიურ გეგმას შეადგენდა:

| | | |
|---|---|---|
| ნედლი აგური . | 1300,0 | ათასი ცალი |
| ნედლი კრამიტი . | 700,0 | „ „ |
| აგური გამომწვარი . | 1000,0 | „ |
| კრამიტი „ | 600,0 | |

III კ ვ ა რ ტ ა ლ შ ი

| | | |
|---|---|---|
| ნედლი აგური . | . 400 | ათ. ცალი |
| ნედლი კრამიტი | 160,0 | „ „ |
| აგური გამომწვარი | . 300,0 | „ |
| კრამიტი „ | . 120,0 | „ |

აგვისტოში: ნედლი აგური . . 150,0 ათ. ცალი
ნედლი კრამიტი . 60,0 „ „
აგური გამომწვარი . . 100,0 „ „
კრამიტი „ . . . . . . 40,0 „ „

ფაქტიურად: აგვისტოს თვეში გამოშვებულია:
ნედლი აგური . 160,0 ათ. ცალი
ნედლი კრამიტი . 70,0 „
აგური გამომწვარი . . 120,0 „
კრამიტი „ . . 45,0 „

ქარხანამ ივლისში გამოუშვა:
ნედლი აგური . . 165,0 ათ. ცალი
ნედლი კრამიტი . 65,0 „ „
აგური გამომწვარი . . 110,0 „ „
კრამიტი „ . . . 41,0 „ „

წლის დასაწყისიდან გამოშვებულია:
ნედლი აგური . . 820 ათ. ცალი
ნედლი კრამიტი . . . 350,0 „ „
აგური გამომწვარი . . 625,0 „ „
კრამიტი „ . . . . . . . . 310,0 „ „

ქარხანამ გასული წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ სექტემბრამდე გამოუშვა:
ნედლი აგური . 605,0 ათ. ცალი
ნედლი კრამიტი . . 210,0 „
აგური გამომწვ. 420,0 „
კრამიტი „ . . . 215,0 „

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე საალრიცხვო ფორმის მიხედვით შევადგინოთ ნატურალური პროდუქციის გამოშვების სტატისტიკური მაჩვენებლები.

| ნაკეთობათა, ნახევარფაბრიკატებისა და საწარმოო სამუშაოთა დასახელება | აღრიცხვის ერთეული | დანიშნულია გამოსაშვებად | | | ფაქტიურად გამოშვებულია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთელი წლისათვის | საანგარიშო კვარტ. | საანგარიშო თვეში | საანგ. თვეში | საანგარიშო კვ. დასაწყისიდან | საანგარიშო წლის დასაწყისიდან | გასული წლის საანგარიშო პერიოდში |
| ნედლი აგური | 1000ც. | 1300,0 | 400,0 | 150,0 | 160,0 | 325,0 | 820,0 | 605,0 |
| ნედლი კრამიტი . | | 700,0 | 160,0 | 60,0 | 70,0 | 135,0 | 350,0 | 210,0 |
| აგური გამომწვარი. | | 1000,0 | 300,0 | 100,0 | 120,0 | 230,0 | 625,0 | 420,0 |
| კრამიტი გამომწვარი | | 600,0 | 120,0 | 40,0 | 45,0 | 86,0 | 210,0 | 215,0 |

## კარი III. საერთო პროდუქცია წარმოებათა მიხედვით.

აქ მოცემული უნდა იქნას მრეწვკომბინატის გაერთიანებაში შემავალი ავტონომიური და უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ წარმოება-საამქროთა მიერ გამოშვებული პროდუქცია:

ა) მოქმედ საბითუმო ფასებით.

ბ/საგეგმო-საბითუმო ფასებით
გ/1926/27 წლის უცვლელ ფასებით.

## კარი IV. არასამრეწველო საქმიანობა.

ამ მუხლით აღირიცხება ისეთი სახის არასამრეწველო საქმიანობა, რომლის ღირებულება საერთო პროდუქციის შემადგენლობაში არ შეიძლება, რომ შეტანილ იქნას, როგორც მაგალითად საპარიკმახერო, აბანო, სამრეცხაო და სხვა.

## III. გამომუშავების ნორმების შესრულების ანალიზი.

მრეწველობაში შრომის სწორი ორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმების დაწესებას.

ტექნიკური ნორმების დამუშავების შედეგად გამოვლინდება მუშაობის ნორმალური პირობები, რომელთა ცხოვრებაში გატარება ხელს უწყობს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას, შრომის ინტენსივობას, დროის განსაზღვრულ პერიოდში მეტი პროდუქციის დამზადებას და მუშის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ტექნიკური ნორმირება შრომის ორგანიზაციისა და წარმოების რაციონალიზაციის უმნიშვნელოვანესი რგოლია.

ტექნიკურ ნორმირებამ სოციალისტური მრეწველობიდან უნდა განდევნოს ზოგიერთი წარმოების პრაქტიკაში დღემდე არსებული შრომის ანაზღაურების არასწორი შემთხვევები.

წარმოებაში მოქმედი გამომუშავების ნორმების გადაჭარბებითი შესრულება მხოლოდ მაშინ არის ეფექტიური, როდესაც ისეთი ნორმები დადგენილია ტექნიკურად დასაბუთების საფუძველზე. ასეთი წესით დადგენილი გამომუშავების ნორმები და გამომუშავების საშუალო პროგრესული ნორმები შრომის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას წარმოადგენს, რის გამო ყველა სამეურნეო მუშაკი უნდა ზრუნავდეს ხსენებული ნორმების დანერგვისათვის.

გამომუშავების ნორმების შესრულებასთან დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები, მაგრამ მათი შესრულების პროცენტულობა უთანაბროა, ვინაიდან გამომუშავების ნორმების შესრულებაში მონაწილეობას მხოლოდ მონარდე მუშები ღებულობენ, ე. ი. ის მუშები, რომლებიც ასრულებენ დანორმილ სამუშაოს.

ერთი მუშის საშუალო (წლიური, კვარტალური, თვიური) გამომუშავების გასაანგარიშებლად კი საწარმოს მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის ჯამს ყოფენ ყველა მუშის (მონარდე, დროებრივი, ძირითადი და დამხმარე) საშუალო სიობრივ რიცხვზე.

აქედან გამომდინარე, შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა სისტემატურად შევამციროთ დამხმარე და დროებრივი მუშების მონაწილეობა პროდუქციის გამომუშავებაში.

ნორმების შესრულების მთავარ ფაქტორებს იგივე მაჩვენებლები და პირობები წარმოადგენს, რაც შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის საჭირო მაჩვენებლები და პირობებია: მანქანა-მოწყობილობათა უკეთესად გამოყენება, წარმოების პროცესების მექანიზაცია, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება, მაღალხარისხოვანი ნედლეულის მიწოდება, წუნდებული პროდუქციის გამოშვების ლიკვიდაცია, შრომის სწორი ორგანიზაცია, შრომის პირობების გაუმჯობესება, მუშათა დენადობის ლიკვიდაცია, გაცდენების მაქსიმალურად შემცირება და სხვა.

აი ის ყველა მონაცემი, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გამომუშავების ნორმების, ისე შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების შესრულებაზე.

წარმოებები ზემდგომ ორგანოებს გამომუშავების ნორმების შესრულების მაჩვენებლებს უდგენენ ჯგუფურად, შემსრულებელთა მიერ გამომუშავების ნორმების ერთსა და იმავე %%-ში შესრულების მიხედვით, მაგრამ ამავე დროს წარმოებებში უნდა ხდებოდეს გამომუშავების ნორმების შესრულების აღრიცხვა ერთეულ მუშაზე და დანორმილ სამუშაოთა თითოეულ პროცესზე.

ფორმა № 4-პრ ივსება რაიონული დაქვემდებარების წარმოებების მიერ ყოველკვარტალურად. წარდგენის ვადა იანვარი, აპრილი, ივლისი და ოქტომბერია.

# ა ნ გ ა რ ი შ ი

მონარდე მუშების მიერ გამომუშავების ნორმების შესრულებაზე
194 . . . წლის . . . . . . . თვის
კომბინატის (ადგილმრეწველობის დასახელება) . . . . . . .

| მონარდეთა განაწილება გამომუშავების ნორმების შესრულების მიხედვით | | | | | | გამომუშავების ნორმების საშუალო პროცენტი | ნორმა-საათების რაოდენობა | მონარდეთა მიერ ფაქტ. გამომუშავებული კაცსაათები | მუშათა რიცხვი სააღრიცხვო თვის 1-ლი რიცხვისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 100%-მდე | 100%-დან 120%-მდე | 120%-დან 150%-მდე | 150%-დან 200%-მდე | 200%-ზე ზევით | სულ | | | | |
| | | | | | | | | | |

ზემონაჩვენებ ფორმაში აღირიცხება ყველა მონარდე მუშა, რომელიც კი ღებულობს ხელფასს გამომუშავების ნორმა-შეფასებით, მიუხედავად მის მიერ ნამუშევარი კაცდღეთა რაოდენობისა.

გამოშვების ნორმების შესრულების პროცენტი განისაზღვრება მონარდე მუშების მიერ სანარდო სამუშაოზე ფაქტიურად ნამუშევარი დროით. სრულდღიური მიმდინარე გაცდენები, სამუშაოზე გამოუსვლელობა, ან კიდევ მონარდე მუშის მიერ დროულ სამუშაოზე დახარჯული დრო, გამომუშავების ნორმების შესრულების გაანგარიშებაში არ შეიტანება.

მონარდე მუშის მიერ გამომუშავების ნორმების შესრულების გაანგარიშება შემდეგნაირად წარმოებს:

## ალიზის საამქრო

მ ა გ ა ლ ი თ ი 1 - ლ ი : მუშამ თვეში იმუშავა 180 საათი და დააყალიბა 34.500 ცალი ნედლი აგური (წუნის გამოკლებით). ნორმის მიხედვით 180 საათში მას უნდა დაემზადებია 27.600 ცალი ნედლი აგური. გამომუშავების ნორმების შესრულების გაანგარიშებისათვის საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა იყოფა იმ სიდიდეზე, რომელიც მას ნორმით ფაქტიურად ნამუშევარი დღეების ან საათების განმავლობაში უნდა დაემზადებია და მიღებული ჯამი მრავლდება 100-ზე.

$$\frac{34.500 \times 100}{27.600} = 125\%$$

ე. ი. მუშას გამომუშავების ნორმები შესრულებული აქვს 125%-ით ანუ მან გამომუშავების ნორმებს გადააჭარბა 25%-ით.

მაგალითი მე-2: მექანიკურ საამქროს მუშამ თვის განმავლობაში 200 კაცსაათში დაამზადა ოთხი სხვადასხვა სახის დეტალი, რომელთა დამზადება, გამომუშავების ნორმების მიხედვით შემდეგში გამოიხატება;

| №№ რიგზე | დეტალები | რაოდენობა | გამომუშავების ნორმა თითოეულ დეტალზე | ნორმა-საათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | | 200 | 0,3 | 60 |
| 2. | | 100 | 0,5 | 50 |
| 3. | | 50 | 1 | 50 |
| 4. | | 50 | 2 | 100 |
| | ნორმა-საათების საერთო ჯამი | . | . | 260 |

მრავალსახოვანი პროდუქციის გამოშვების ნორმის შესრულების %-ის გამოსაყვანად, ფაქტიურად დამზადებული პროდუქციისათვის ნორმით საჭირო კაცსაათების რიცხვი უნდა გავყოთ ფაქტიურად ნამუშევარი კაცსაათების რიცხვზე და გავამრავლოთ 100-ზე.

$$\frac{260 \times 100}{200} = 130\%.$$

მაგალითი მე-3: ტრიკოტაჟის წარმოების მუშამ, რომელიც ერთ და იმავე დროს ემსახურება ტრიკოტაჟის საქსოვ დაზგას და ყელიან წინდის საქსოვ ავტომატს, 100 კაცსაათში სამუშაო ადგილის დროულად მომზადებითა და მანქანების წესრიგში მოყვანით მიაღწია ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმების გადაჭარბებას, რაც შემდეგში გამოიხატა:

| მანქანის დასახელება | მანქანების წარმადობა საათში | | ერთეულ ნაწარმზე დროის ხარჯვის ნორმა კაცსაათში | გამომუშავება 100 საათში | |
|---|---|---|---|---|---|
| | დღეში | ერთ საათში | | ნორმით | ფაქტიური |
| „პოლტავკა" 400 ნემსიანი | 10 კგრ | 1,25 | 0,4 | 125 | 210 |
| ყელიანი წინდის საქსოვი ავტომატი . . . . . | 40 წყ. | 5 | 0,1 | 500 | 450 |

ფაქტიურად გამოშვებულ 210 კგრ. ქსოვილზე გამოშვების ნორმის მიხედვით უნდა დახარჯულიყო 0,4 ს.$\times$210=84 საათი. ფაქტიურად დახარჯულია 50 საათი.

450 წყ. ყელიანი წინდის მოქსოვაზე უნდა დახარჯულიყო 45 კაც-საათი, ფაქტიურად კი დახარჯულია 50 კ. საათი,—ვაჯამებთ ნორმით 84+45=129 კ/საათ.

ფაქტიურად დახარჯულია: 50+50=100 კ/საათ.

ე. ი. ტრიკოტაჟის საამქროს მუშამ იმუშავა 100 საათი და გამომუშავების ნორმა შესრულდა:

$$\text{ტრიკოტაჟის მოქსოვაზე}\quad \frac{84\times100}{50}=168\%.$$

$$\text{ყელიანი წინდების მოქსოვაზე}\quad \frac{45\times100}{50}=90\%.$$

საშუალო შესრულება კი უდრის $(129:100)\times100=129\%$.

მ ა გ ა ლ ი თ ი მე-4. აბრეშუმის საქსოვ საამქროს მქსოველმა, რომელიც მომსახურებას უწევს 3 დაზგას, თვეში იმუშავა 200 საათი და მოგვცა ერთი და იგივე სახის აბრეშუმის ქსოვილი.

| დაზგის | მანქანა-საათში წარმადობა მეტრებში | დაზგის მომსახურების ნორმა | დროის ნორმა პროდუქციის ერთეულზე კაც-საათებში | გამომუშავება 200 საათში | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნორმით | ფაქტიურად |
| 1 | 2 | 3 დაზგა | 0,1666 | 400 | 550 |
| 2 | 2 | „ | 0,1666 | 400 | 520 |
| 3 | 2 | „ | 1,1666 | 400 | 380 |
| | | | | 1.200 | 1.450 |

ამ შემთხვევაში გამომუშავების ნორმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშება შეიძლება ორგვარად:

ა) $\frac{1450\times100}{1200}=120,6\%$

ბ) $\frac{(550\times0,1666)+(520\times0,1666)+(380\times0,1666)}{200}\times100=$

$$=\frac{1450\times0,1666\times100}{200}=120,6\%.$$

მ ა გ ა ლ ი თ ი მე-5: ხარატმა 25 სამუშაო დღეში დაამზადა 1800 დეტალი; გამომუშავების ნორმა საათში უდრის 8 დეტალს. გასაანგარიშებელია ნორმის შესრულება.

1) რას უდრის 25 დღის მისი გამომუშავების ნორმა?

$25 \times 8 = 200$ კ/ს. $\times 8 = 1600$ დეტალს.

2) რას უდრის ნორმის შესრულება?

$$\frac{1800 \times 100}{1600} = 112{,}5\%.$$

## ხელფასის ფონდის ხარჯვის ანალიზი

როგორც აღვნიშნეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების ვადამდე შესრულება უშუალოდ დაკავშირებულია სახალხო მეურნეობაში დაგროვების წყაროების გაფართოებასთან.

სოციალისტური დაგროვების ძირითად ფაქტორს მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება და გადამეტსრულება წარმოადგენს.

პროდუქციის თვითღირებულების ელემენტთა შორის ხელფასი ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელთაგანია. ხელფასის ფონდის მომჭირნეობით ხარჯვა და მასზე კონტროლის დაწესება აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებისათვის და ზეგეგმიური დაგროვების მიღებისათვის. ამისათვის კი საჭიროა:

I. ყოველ წარმოებას ჰქონდეს ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების მტკიცე ნორმები, მხოლოდ სადაც კი ეს შეუძლებელია, შემუშავებულ იქნას დაკვირვების შედეგად მიღებული გამომუშავების ნორმები;

II. წარმოებათა სამეურნეო მუშაკებმა უზრუნველჰყონ გამოშვებული პროდუქციის სისტემატური გაიაფება, ერთეულ პროდუქციაზე ზედნადები ხარჯებისა და ხელფასის შემცირებით.

ერთეულ პროდუქციაზე ხელფასის შემცირება არ უნდა იწვევდეს მუშის საშუალო ხელფასის შემცირებას; პირიქით, საშუალო ხელფასის რაოდენობა თანდათანობით ზრდას უნდა განიცდიდეს. პროდუქციის ერთეულზე ხელფასის შემცირებისა და მუშის საშუალო ხელფასის ამაღლების ფაქტორს შრომის ნაყოფიერების ზრდა უნდა წარმოადგენდეს.

მთელ რიგ წარმოებებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადჰყვეს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ საწარმოში მონარდე მუშები გამომუშავების ნორმებს 200—600%-დე ასრულებენ. ასეთი დიდი გადაჭარბება ზოგჯერ საწარმოთა ხელმძღვანელობის მიერ გამომუშავების ნორმების არასწორი დადგენის შედეგია, რის გამო მონარდე მუშები, გამომუშავების ნორმის დადგენის დღიდან, ყოველგვარი რაციონალური და ტექნიკური ღონისძიებათა გატარების გარეშე იძლევი-

ან ასეთ გადაჭარბებას. ასეთი გამომუშავების ნორმების დაწესება უპასუხისმგებლობის შედეგია, როგორც ასეთი, დანაშაულია და მიუღებელი ჩვენი სოციალისტური მრეწველობისათვის. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგს დღემდე ვერ შეუგნია გამომუშავების სწორი ნორმების დაწესების მნიშვნელობა, რის შედეგად გამომუშავების ნორმების დადგენაში ადგილი აქვს მთელ რიგ დამახინჯებებს, რაც დაუყოვნებლივ აღმოფხვრილი უნდა იქნას.

წარმოებებში, ყოველგვარი სახის რაციონალიზაციისა და ტექნიკური ღონისძიებების გატარების გარეშე, გამომუშავების ნორმების სისტემატურად დიდი გადაჭარბება პირველყოვლისა მისი არასწორი დაწესებით აიხსნება. ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა წარმოებდეს გამომუშავების არსებული ნორმების გადასინჯვა, მისი ტექნიკურად დასაბუთებამდე დაყვანის მიზნით. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სწორად დადგენილი გამომუშავების ნორმები ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ზრდის მუშის სურვილს მისი გადაჭარბებით შესრულებისათვის, მისი საშუალო ხელფასის გაზრდისათვის და მრეწველობა კი ამ ღონისძიებებით აიაფებს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას.

### რა ელემენტებისაგან შედგება ხელფასის გადახარჯვის მთავარი ფაქტორები?

ხელფასის ფონდის გადახარჯვის მთავარ ფაქტორებს წარმოადგენს:

1. სრულდღიური და მიმდინარე გაცდენები, მასალებისა და ელექტროენერგიის რეგულარულად მიუწოდებლობით ან მანქანა-მოწყობილობათა მოუწესრიგებლობით, დროებრივი დამხმარე მუშათა რიცხვის არა პროპორციულად ზრდა, ხელფასზე სხვადასხვა არაკანონიერი წანამატების გაცემა და საწარმოო გეგმის შეუსრულებლობა.

ხელფასის ფონდის ხარჯვის ანალიზი წარმოებს ორი მეთოდით: პირველი—საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად გამოშვებული საერთო პროდუქციის შეფარდებით ხელფასის ფონდის ხარჯვასთან და მეორე—გამოშვებული ნატურპროდუქციის დასამზადებლად დაწესებული ნორმა-შეფასების მიხედვით საჭირო ხელფასის ფონდის გაანგარიშებით და მისი შედარებით ხელფასის ფაქტიურ ხარჯთან.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1-ლი. ლითონის გადამმუშავებელ ქარხანას საანგარიშო თვეში გეგმით უნდა მოეცა საერთო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებით 2500,0 ათასი მანეთად ღირებული. გეგმის შესრულებისათვის უნდა დაეხარჯა მუშების ხელფასის ფონდი 625,0 ათასი მანეთი.

ფაქტიურად ქარხანამ გამოუშვა 3100,0 ათასი მანეთის პროდუქცია და გახარჯა მუშების ხელფასის ფონდი—700,0 ათასი მანეთი. გამოვარკვიოთ დახარჯული ხელფასის ფონდის მდგომარეობა.

1. ამისათვის უნდა გავიგოთ გამოსაშვები პროდუქციის ღირებულების თუ რა პროცენტს შეადგენს გეგმით გათვალისწინებული ხელფასის ფონდი.

$$\frac{625.000 \times 100}{2.500.000} = 25,0\%$$

II. რამდენი უნდა დაეხარჯა ქარხანას 3.100,0 ათ მანეთის პროდუქციის გამოშვებაზე?

$$\frac{3.100.000 \times 25}{100} = 775,0 \text{ ათასი მანეთი.}$$

III. რა თანხის ეკონომია მიიღო ქარხანამ საანგარიშო პერიოდში?

775,0—700,0=75,0 ათასი მანეთი, ანუ 9,7%.

მ ა გ ა ლ ი თ ი მე-2: მრეწვკომბინატის ოთხმა საამქრომ საანგარიშო თვეში გამოუშვა 808,0 ათასი მანეთის პროდუქცია და გახარჯა მუშების ხელფასის ფონდი 194,0 ათასი მანეთი. გასაანგარიშებელია ხელფასის ფონდის ხარჯვის მდგომარეობა.

| საამქროების დასახელება | საერთო პროდუქცია საბითუმო ფასებით ათას მანეთებში | | | ხელფასის ფონდი მანეთებში | | | შედეგი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმით | ფაქტიური | %% | გეგმით | გეგმის შესრულების პროცენტით გადაანგარიშებული ფონდი | ფაქტიური | ეკონომია | გადახარჯვა |
| ფეხსაცმელების . | 100,0 | 160,0 | 160,0 | 20000 | 32000 | 30200 | 1800 | — |
| სამკერვალო . | 50,0 | 30,0 | 60,0 | 15000 | 9000 | 9900 | — | 900 |
| სატრიკოტაჟო . | 200,0 | 210,0 | 105,0 | 50000 | 52500 | 51400 | 1100 | — |
| საგალანტერიო . | 400,0 | 408,0 | 100,2 | 100000 | 102000 | 102500 | — | 500 |
| | 750,0 | 808,0 | 115,3 | 185000 | 195500 | 194000 | 2900 | 1400 |

როგორც გაანგარიშების ცხრილიდან ჩანს მრეწვკომბინატის ოთხ საამქროს საანგარიშო პერიოდში მუშაობის შედეგად ხელფასის ფონდში მიუღწევია 1500 მანეთის ეკონომიისათვის, რაც ხელფასის ფონდის 0,8% შეადგენს.

ხელფასის ფონდის ხარჯვის ანალიზის ეს მეთოდი მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენ-

ტი შეესაბამება გეგმით დადგენილი პროდუქციის სახეობას და ამ სახეობის პროპორციულად შესრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოშვებული საერთო პროდუქციის საბითუმო ფასებით ღირებულებასთან ხელფასის ფონდის შეფარდება არ მოგვცემს გადახარჯვა-ეკონომიის სწორ სურათს. ეს იმით აიხსნება, რომ პროდუქციაზე დადგენილი საბითუმო ფასები ხშირ შემთხვევაში არ გამოხატავს პროდუქციის შრომა-ტევადობას, რის გამო ხელფასის ფონდის ხარჯვის სწორი ანალიზის საფუძვლად უნდა დაედვას გამოშვებული წლიური პროდუქციის შესადარისი სახეები.

განმარტებისათვის მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: სამკერვალო წარმოებას საანგარიშო თვეში მოცემული ჰქონდა საწარმოო გეგმის შემდეგი მაჩვენებლები:

| მაჩვენებლები | აღრიცხვის ერთეული | გეგმით | | ფაქტიურად | |
|---|---|---|---|---|---|
| | | პროდუქცია | მუშების ხელფასის ფონდი ათას მანეთებში | პროდუქცია | მუშების ხელფასის ფონდი ათას მანეთებში |
| 1. საერთო პროდუქცია მოქმედ საბითუმო ფასებში | ათ. მან. | 140,0 | — | 220,0 | — |
| 2. ნატურპროდუქცია: | | | | | |
| ა) კაბა აბრეშუმის . . | ცალებში | 500 | 12,5 | 1000 | 26,0 |
| ბ) კაბა ბამბის ქსოვილიდან | „ | 1000 | 8,0 | 500 | 4,1 |
| სულ | | | 20,5 | | 30,1 |

საგეგმო მონაცემების თანახმად 140,0 ათასი მანეთის საერთო პროდუქციის გამოსაშვებად უნდა დახარჯულიყო მუშების ხელფასის ფონდი 20,5 ათასი მანეთი. ფაქტიურად 220,0 ათასი მანეთის საერთო პროდუქციის გამოსაშვებად გახარჯულია ხელფასის ფონდი 30,1 ათასი მანეთი.

1. რამდენი მანეთი უნდა დახარჯულიყო გეგმის შესრულების პროპორციულად 220,0 ათასი მანეთის საერთო პროდუქციის გამოსაშვებად?

$$\begin{matrix} 140{,}0 & . & 20{,}5 \\ 220{,}0 & & X \end{matrix} \quad X=\frac{20{,}5\times 220{,}0}{140{,}0}=32{,}2 \text{ ათ. მანეთი.}$$

2. რას უდრის ხელფასის ფონდის ეკონომია?

32.200—30.100=2.100 მანეთი.

თუ ვიანგარიშებთ ნატურპროდუქციის მიხედვით ხელფასის ფონდის გადახარჯვას სულ სხვა სურათი გვექნება.

რა რაოდენობის ხელფასი უნდა გაცემულიყო 1000 ცალი აბრეშუმის და 500 ცალი ბამბის ქსოვილიდან შეკერილ კაბებზე, თუ გამომუშავების ნორმა-შეფასების მიხედვით 1 ცალი აბრეშუმის კაბის შეკერვა ღირს 25 მანეთი და ბამბის ქსოვილის კაბის შეკერვა კი 8 მანეთი.

1000 ც. × 25 მ. = 25.000 მანეთი.
500 ც. × 8 = 4.000 "
სულ . . 29.000 მანეთი.

ფაქტიურად კი დახარჯულია 30.100 მანეთის ხელფასის ფონდი, ანუ გადახარჯვა შეადგენს 1.100 მანეთს, მაშინ როცა საერთო პროდუქციის გამოშვების მიხედვით თითქმის პირიქით 2100 მანეთის ეკონომია გვაქვს.

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ხელფასის ფონდის გადახარჯვის სწორ ანალიზს, სადაც ეს შესაძლებელია, საფუძვლად უნდა დაედოს გამომუშავებული ნატურპროდუქცია და მასზე დაწესებული გამომუშავების ნორმა-შეფასებები. ხელფასის ფონდის ანალიზის ეს მეთოდი ყველაზე უფრო გამართლებულ მეთოდს წარმოადგენს.

### შრომის მაჩვენებელთა აღრიცხვა

ნამუშევარ კაცდღეთა, გაცდენებისა და საშუალო სიობრივი რიცხვის გასაანგარიშებლად პირველად დოკუმენტს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ტაბელი წარმოადგენს. შრომის აღრიცხვის სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა წარმოებას ყოველი საანგარიშო თვისათვის გააჩნდეს შემდეგი სახის მაჩვენებლები:

1. წარმოებებში მომუშავეთა სქესობრივი დანაწილება.
2. მუშათა შემადგენლობის შემდეგი დანაწილება:
   ა) მონარდე და დროებრივ მუშებად.
   ბ) ძირითად და დამხმარე საამქროების მუშებად,
   გ) პროფესიების მიხედვით.
3. მოწინავე სტახანოველებზე პირადი ბარათების წარმოება, სადაც აღირიცხება მათ მიერ გამომუშავების ნორმების შესრულება და მათი მიღწევები გამოგონებისა და რაციონალიზაციის დარგში.

ფორმა №1-აპ-ს I კარი, რომლის მიხედვით წარმოებდა საანგარიშო თვის პროდუქციისა და შრომის მაჩვენებლების სტატისტიკური აღრიცხვა, შეცვლილია. ამ ფორმის II კარი კი დატოვებულია შრომის მაჩვენებლების აღსარიცხავად.

ფორმა № 1-აპ.

დამტკიცებულია სსრკ სახ. საგ. კომ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1941 წ 12/VII—№ 207.

ეგზავნება საანგარიშო პერიოდის შემდეგი თვის არა უგვიანეს 5 რიცხვისა:

1. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორს.

2. ზემდგომ ორგანოს—მისი მითითებით.

# საწარმოს მოკლე ყოველთვიური სასწრაფო ანგარიში გეგმის შესრულების შესახებ მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით

194 . . წ . . . . . . თვის

მრეწვკომბინატის ან ადგილმრეწველობის დასახელება . . . . . .

უშუალოდ ვის ექვემდებარება . . . . . . . . . . . . . . . .

მისი მისამართი . . . . . . . . . . . . . . . . . ტელეფონი № . . . . . .

კარი II. მთელი პერსონალის საშუალო-სიობრივი შემდგენილობა და ხელფასის ფონდი

| პერსონალის კატეგორიები | საშუალო სიობრივი რიცხვი: გეგმით საანგარიშო თვისათვის | საშუალო სიობრივი რიცხვი: ფაქტიურად: საანგარიშო თვეში | საშუალო სიობრივი რიცხვი: ფაქტიურად: გ/წლის სათანადო თვეში | დარიცხვა. ხელფასის ფონდი: გეგმით საანგარიშო თვისათვის | დარიცხვა. ხელფასის ფონდი: ფაქტიურად: საანგარიშო თვეში | დარიცხვა. ხელფასის ფონდი: ფაქტიურად: გასული წლის სათანადო თვეში | დარიცხვა. ხელფასის ფონდი: ფაქტიურად: მიმდინარე წლის დასაწყისიდან | საშუალო თვიური ხე/ფასი საანგარიშო თვეში (მან.) სვ. 5; სვ. 2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 8 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| მუშები . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| მოწაფეები . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| ინჟ. ტექნ. მუშაკები . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| მოსამსახურეები . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| უმცროსი მომსახ. პერსონალი . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| სახანძრო-სადარაჯო და სახანძრო დაცვა . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| მთელი სამრეწველო საწარმოო პერსონალი . | — | — | — | — | — | — | — | — |
| საწარმოს არასამრეწველო პერსონალი (ტრანსპორტი, საბინაო მეურნეობა, სასწავლებელი) . . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| საწარმოს მთელი პერსონალი . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — |

მე-III. კარში ნაჩვენები ხელფასის ფონდის გარდა დაერიცხა საანგარიშო თვეში საწარმოს პერსონალს არა ძირითადი სამუშაოებისათვის და გარეშე პირებს, ძირითადი და არა ძირითადი საქმიანობის სამუშაოებისათვის (მანეთი)

| გეგმით საანგარიშო თვისათვის | ფაქტიურად საანგარიშო თვეში |
|---|---|
| | |

ც ნ ო ბ ა : საწარმოს მთელი პერსონალი 194 . წ. I ოქტომბრისათვის . . . . . მათ შორის ქალები . . . . . . სულ მუშები . . . . მათგან ქალები . . . გაგზავნის დრო „ . . „ . . . . . 194. წ.

დირექტორი (გამგე). ბუღალტერი (მოანგარიშე)

ფორმა № 1-აპ-ს კარი II „მთელი პერსონალის საშუალო სიობრივი შემადგენლობა და ხელფასის ფონდი“.

აღნიშნული კარი შედგენილი უნდა იქნას შემდეგი წესით.

გრაფა პირველი, „მუშები“-ს პირველ სვეტში, „საშუალო სიობრივი რიცხვი გეგმით საანგარიშო თვისათვის“ შეტანილი უნდა იქნას საანგარიშო თვეში გეგმით გათვალისწინებული ყველა კატეგორიის მუშები, რომელთა ხელფასის ფონდი შეტანილია წარმოების ხარჯთაღრიცხვაში.

მე-2 სვეტში „საშუალო სიობრივი რიცხვი ფაქტიურად საანგარიშო თვეში“ შეიტანება საანგარიშო თვეში რიცხვი მომუშავე მუშათა, რომელთა მიმართ შესრულებული სამუშაოსათვის გაცემული ხელფასის ფონდი დაერიცხება წარმოებას, როგორც პირდაპირ ისე საერთო საქარხნო და საამქრო ხარჯების სახით (ძირითადი და დამხმარე საამქროთა ძირითადი და დამხმარე მუშები, როგორც მონარდე ისე დროებრივი), ფაბრიკა, ქარხნის ტერიტორიის გასუფთავებაზე მომუშავეები, ტრანსპორტის მუშები და შოფერები, თუკი ტრანსპორტი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს და ემსახურება ნედლეულის ტრანსპორტირებას, ნარჩენებიდან ტერიტორიის განთავისუფლებას და სხვა, შრომის დაცვაზე (სამრეცხაო, აბანო, შხეფი) და უშიშრობის ტექნიკაზე მომუშავე მუშები, თუ კი მათი ხელფასის ფონდი უნდა დაერიცხოს წარმოების დანახარჯებს.

მე-3 სვეტში შეიტანება გასული წლის სათანადო თვეში მუშათა სიობრივი რიცხვი ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით.

მე-4 სვეტში შეიტანება საანგარიშო თვეში გეგმით დარიცხული მუშების ხელფასის ფონდი.

მე-5 და 6 სვეტში შეიტანება იმ მუშებზე გაცემული ხელფასის ფონდი, რომლებიც აღრიცხულია ამავე გრაფის მე-2 და მე-3 სვეტებში.

მე-7 სვეტში შეიტანება წლის დასაწყისიდან მუშებზე გაცემული ხელფასის ფონდი.

ასეთივე მეთოდით შეიტანება სხვა პერსონალის საშუალო სიობრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი.

აღნიშნულ ფორმაში შეიტანება ყველა სახის ხელფასი, როგორიც არის:

### 1. ძირითადი ხელფასი, რომელშიც შედის:

ა) დროებრივი მუშების საზღაური სათანრიგო განაკვეთისა ან თვიური ხელფასის მიხედვით.

ბ) სანარდო სახლაური შესრულებულ სამუშაოებზე წარმოებაში მოქმედ ნორმა-შეფასებების მიხედვით.

გ) დანამატი მავნე და მძიმე სამუშაოს შესრულებისათვის.

დ) ზედმეტ საათებში და უქმე დღეებში მუშაობისათვის გაცემული სახლაური.

ე) პრემიები დროებრივი მუშებისათვის.

ვ) დანამატი ბრიგადირობისათვის.

ზ) მეძუძური დედებისათვის ბავშვების გამოსაკვებად მუშაობის შეწყვეტის სახლაური.

თ) წარმოების მიზეზით სამუშაო დღის პერიოდში გაცდენილი დროის სახლაური და სხვა.

## 2. დამატებითი ხელფასი.

ა) შვებულებისა ან კონპენსაცია გამოუყენებელ შვებულებისათვის.

ბ) საზოგადოებრივი ვალდებულებასთან დაკავშირებით გაცდენილი დროის ღირებულების ანაზღაურება.

გ) მუშა-მოსამსახურეებზე უსასყიდლო კომუნალური მომსახურების გაწევის ღირებულება და სხვა.

ყველა ზემოაღნიშნული სახის დანახარჯები შეტანილი უნდა იქნას მუშების ხელფასში, როგორც საგეგმო ისე ფაქტიური მონაცემების მიხედვით.

მოწაფეები: ამის გრაფაში და სვეტებში მოცემული უნდა იქნას მოწაფეთა სიობრივი რიცხვი და მათი ხელფასის ფონდი, იმავე წესების დაცვით, როგორც ეს განმარტებული იყო გრაფა „მუშების“ შესახებ. ზოგიერთი რაიონული დაქვემდებარების წარმოების გამოკვევამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ წარმოებაში მოწაფეებად ჩარიცხული პირები მუშაობენ სანარდო შეფასებებით და მათ ხელფასს მოწაფეების ხელფასში უჩვენებენ.

მოწაფეს განსაზღვრული დროის განმავლობაში ეძლევა თვიური ხელფასი 200-230 მანეთამდე, რომ მან აითვისოს და დაეუფლოს მუშაობის გარკვეულ პროცესებს. აღნიშნულის ათვისების შემდეგ მოწაფეები სათანადო თანრიგის მიკუთვნებით, გადადიან სანარდო სამუშაოზე და უკვე მუშათა სიობრივ რიცხვში შედიან. ამ დროიდან მათზე გაცემული ხელფასი შეტანილი უნდა იქნას მუშების ხელფასის ფონდში.

## ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

ინჟ. ტექნ. პერსონალის შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იქნან მრეწვკომბინატის დირექტორი და მისი მოადგილეები (ტექნიკური

ხელმძღვანელები, მთავარი ინჟინრები), ეკონომისტები საწარმოო და შრომის დარგში; მნორმავები, ტექნიკური კონტროლიორები, წუნმდებელნი (ტექნიკური განათლებით), საამქროს უფროსები (გამგეები), ტექნიკოსები და სხვა (იხ. „ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთა ჯგუფი"). მათი ხელფასის ფონდში შეტანილი უნდა იქნას:

ა) ძ ი რ ი თ ა დ ი ხ ე ლ ფ ა ს ი: თვიური განაკვეთი, ამის მიხედვით ზედმეტ საათებში შესრულებული სამუშაოების გასამრჯელო, დანამატი მავნე და მძიმე სამუშაოს შესრულებისათვის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შემადგენლობისა და მოსამსახურეების პრემიები საწარმოო გეგმის შესრულებისა და გადამეტსრულებისათვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ბ) დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ხ ე ლ ფ ა ს ი: შვებულებისა და კომპენსაცია გამოუყენებელ შვებულებისათვის, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული გაცდენილი დროის ღირებულების ანაზღაურება, უსასყიდლოდ გაწეული კომუნალური მომსახურების ღირებულება, დახმარება მათი სამსახურიდან გაუფრთხილებლად დათხოვნის გამო და სხვა.

### მოსამსახურეები.

სხვა მოსამსახურეთა პერსონალის ჯგუფს ეკუთვნიან:

დირექტორის მოადგილეები და თანაშემწეები კომერციული, საფინანსო, მარაგგასაღების და კადრების დარგში, მთავარი ბუღალტრები, ბუღალტრები, მოანგარიშეები, სტატისტიკოსები, საქმის მწარმოებელნი, მეტაბელეები, ფინანსისტ-ეკონომისტები, ეკონომისტები მარაგგასაღების დარგში, იურისკონსულტები, ექსპედიტორები, მომარაგების აგენტები და სხვა.

### უმცროსი მომსახურე პერსონალი

მათ შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იქნან:

მეეზოვენი, შიკრიკები, კანტორის გამთბობნი და წყლის ამდუღებელნი, დამლაგებლები, მეჯინიბეები, მეგარდეროპენი და ასენიზატორები.

### სახანძრო და სადარაჯო დაცვა.

სახანძრო და დაცვის უფროსები, მეხანძრეები, შეიარაღებული და უიარაღო მცველები.

მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის გაანგარიშება და სტატისტიკური ფორმაში შეტანა იმავე მეთოდით წარმოებს, როგორც ინჟ. ტექნიკ. პერსონალის ხელფასისა.

## საწარმოს არასამრეწველო პერსონალი.

აქ შეყვანილი უნდა იქნას: ტრანსპორტის ხაზით მომუშავენი, რომელნიც ცალკე სამეურნეო ანგარიშზე არიან და არ წარმოადგენენ ქარხნის შიდა-საქარხნო ტრანსპორტზე მომუშავეებს, ეწევიან მზაპროდუქციის გადატანას და სხვა სახის სამუშაოებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული წარმოებების ძირითად საქმიანობასთან.

ამავე პერსონალში შედიან წარმოების კომუნალური მეურნეობის მუშაკები, ქარხნის საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, მეეზოვეები, დამლაგებლები, დამხმარე მეურნეობების მომსახურე პერსონალი, კადრების მოსამზადებელ-გადასამზადებელი სკოლებისა და წარმოების საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების მუშაკები და სხვა.

კარი III. აქ მოცემული უნდა იქნას უხალხო ხელფასის ფონდი. ეს არის ხელფასის ფონდი, გათვალისწინებული იმ პირთათვის, რომლებიც არ ირიცხებიან წარმოების პერსონალთა სიობრივ რიცხვში.

როგორც წესი უხალხო ხელფასის ფონდიდან გაცემული უნდა იქნას თანხება, ისეთ სამუშაოებზე, როგორიცაა:

ტვირთის გადატან-გადმოტანა და დატვირთვა-გადმოტვირთვა (თუ კი წარმოებას ასეთ სამუშაოთა შესასრულებლად არ ჰყავს დამტკიცებული ერთეულები), მიმდინარე შეკეთება, ტერიტორიის დასუფთავება (თუ კი შტატით მეეზოვე არ ჰყავთ დამტკიცებული), საბუღალტრო, საგეგმო-სტატისტიკური და საკანცელარიო საბუთების აკინძვა, განსაკუთრებული მდგომარეობის შემთხვევაში წლიური ანგარიშების და საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისათვის კერძოდ მოწვეულ პირებზე გასამრჯელოს გაცემა და სხვა.

როგორც გამონაკლისი ამ თანხიდან დასაშვებია გაცემულ იქნას ხელფასი წარმოების მუშა-მოსამსახურეებზე ისეთი სამუშაოს შესრულებისათვის, რომელიც მათ თანამდებობრივ მოვალეობასთან არ არის დაკავშირებული და სამუშაოს შესრულება ხდება არა სამუშაო საათებში.

სამეურნეო მუშაკების მოვალეობაა მაქსიმალურად შეამცირონ უხალხო-ხელფასის ფონდის მოხმარება და არ დაუშვან მისი არადანიშნულებისამებრი გაფორმების გარეშე ხარჯვა.

დამტკიცებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1949 წლის 24 თებერვალს № 813.

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველოსი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის შემადგენლობის შესახებ.

## I

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ამ ინსტუქციით ხელფასის ფონდის აღრიცხვის დროს.

## II

ხელფასის ფონდში შედის მთლიანად ყველა ის ფულადი თანხა, რომელსაც დაარიცხავს საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია შესრულებულ სამუშაოსათვის მუშებს, მოსამსახურეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მომუშავეებს, მოწაფეებს, უმცროს მომსახურე პერსონალს, დაცვისა და სხვა მომუშავეებს, როგორც სიობრივი შემადგენლობისას, ისევე სიობრივ შემადგენლობის გარეშე მომუშავეებს.

ხელფასის ფონდში შევა აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ სპეციალური ხელშეკრულების თანახმად გამოგზავნილ მომუშავეთა შრომის ანაზღაურების თანხები, როგორც მომუშავეებისათვის უშუალოდ მიცემული ისევე გადარიცხული სახელმწიფო დაწესებულებებისათვის.

ხელფასის დარიცხვა უნდა წარმოებდეს შრომის ანაზღაურებისათვის დაწესებული ნორმების საფუძველზე (განაკვეთი, ნიხრი, თანრიგი).

## III

ხელფასის თანხა, რომელსაც საწარმო (დაწესებულება, ორგანიზაცია) დაარიცხავს მუშა-მოსამსახურეებს, ყოველ შემთხვევაში შევა ხელფასის ფონდში, მიუხედავად მათი გაცემის დაფინანსების წყაროებისა და გასაცემი საბუთების სახეებისა (უწყისები, ანგარიშები, შრომის ხელშეკრულებები და სხვა).

ხელფასის საანგარიშო ფონდში აუცილებლივ უნდა შევიდეს აგრეთვე, დარიცხული ხელფასის ის თანხებიც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ხელფასის ფონდის შემადგენლობიდან არ შეიძლება გამორიცხულ იქნას მუშა-მოსამსახურეებისაგან შემოსული სხვადასხვა დაკავება (გადასახადები, დაკავება აღმასრულებელი ფურცლით, სესხების დარიცხვა და სხვა) და აგრეთვე ხელფასიდან გამოქვითებისა (საწვავის გადახარჯვისათვის, მინდობილი სახელმწიფო ქონებისათვის მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის წესით).

იმ პირებისათვის გაცემული თანხა, რომლებიც მუშაობდნენ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში თავისი ცხენებით (ხარ-კამეჩით) და წარმოების სხვა საშუალებით, ჩაირიცხება ხელფასის ფონდში მხოლოდ თვით მომუშავეს პირადი შრომის ანაზღაურების თანხის რაოდენობით.

ფულადი თანხები, დარიცხული მუშებზე და მოსამსახურეებზე მათი კუთვნილი ინსტრუმენტის, ცხენის (ხარ-კამეჩის) და წარმოების სხვა საშუალებებისათვის, რომლითაც ისინი სარგებლობდენ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში სამუშაოების შესრულებისას, არ ჩაირიცხება ხელფასის ფონდში.

## IV

თვიური (კვარტალური, წლიური) ხელფასის საანგარიშო ფონდში საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ვალდებული არიან აჩვენონ ხელფასის ყველა თანხა, რომელიც დაერიცხა მუშებსა და მოსამსახურეებს საანგარიშო თვეში (კვარტალში, წელში) შესრულებული სამუშაოებისათვის. ხელფასის თანხები, რომლებიც დაირიცხა წარსულ თვეებში შესრულებული სამუშაოებისათვის და რომლებიც არ იყო შეტანილი სათანადო თვის ანგარიშში, შეტანილი უნდა იქნას მიმდინარე თვის ხელფასის ფონდში.

მორიგი შვებულების დღეებისათვის დარიცხულ ხელფასიდან, საანგარიშო თვის ფონდში შევა თანხა, მხოლოდ შვებულების იმ დღეებისა, რომლებიც შედიან საანგარიშო თვეში.

## V.

მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მომუშავეთა ხელფასის ფონდში შეტანილი უნდა იქნას კერძოდ:

1. ხელფასი, დარიცხული ნამუშევარი დროისათვის სატარიფო განაკვეთის ნიხრით, ძირითადი სანარდო თანრიგით (პირდაპირი და პროგრესული სანარდო) ან საშუალო ხელფასით.
2. ნამატი ნამსახურობისათვის.

3. ნამატი მონარდეებს სამუშაოთა პირობების შეცვლასთან დაკავშირებით (მასალის შეუსაბამობისათვის, დამუშავების სირთულისათვის, ინვენტარის და მოწყობილობის შეუწყობლობისათვის და სხვა.)

4. სანარდო სამუშაოების ანაზღაურება.

5. დანამატი მონარდეებს პროგრესული განიხვრით.

6. პრემიები ფულადი და ნატურით და პრემიალური წანამატი (გარდა VI განყოფილებაში ნაჩვენებისა), რომლებიც გაიცემა თანახმად საწარმოში (დაწესებულებაში, ორგანიზაციაში) მუდმივად მოქმედ დაჯილდოვების წესისა გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დაწესებული ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის, წუნის პროცენტის დაწევისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, გაცდენების შემცირებისათვის, სათბობის, ელექტროენერგიის, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მასალების ეკონომიისათვის, მოწყობილობის დაცვისათვის, უავარიო მუშაობისათვის, ახალი მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქციის ათვისებისათვის, პრემიები და პრემიალური წანამატები ტყის მჩეხავებს და დამცურებლებს.

7. დანამატი ზედმეტ საათებში მუშაობისათვის და დანამატი უქმე დღეებში მუშაობისათვის.

8. დანამატი სამუშაოს მძიმე პირობებისათვის (მავნე, მძიმე და საშიში სამუშაო და სხვა).

9. დანამატი მუშა მონარდეებს, რომლებიც ასრულებენ უფრო დაბალი თანრიგის სამუშაოს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მისთვის მიკუთვნილი თანრიგით, სხვაობა მუშის სატარიფო განაკვეთისა და შესრულებული სამუშაოსათვის გათვალისწინებულ განაკვეთს შორის.

10. დანამატი კლასისათვის.

11. დანამატი გაუთავისუფლებელ ბრიგადირებს, ბრიგადის მუშაობის ორგანიზაციისათვის.

12. დანამატი საშუალო ხელფასამდე.

13. დანამატი ღამით მუშაობისათვის.

14. შრომის ანაზღაურება წარმოებაში მოწაფეების სწავლებისათვის და პრაქტიკანტების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

15. ანაზღაურება იმ შეწყვეტებისა, რომლებიც საჭიროა დედებისათვის ძუძუთა ბავშვების საკვებად.

16. ანაზღაურება მუშაობაში იძულებული შეწყვეტებისა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

17. ანაზღაურება წუნისა, რომლის გამომუშავებაში მუშას დანაშაული არ მიუძღვის.

18. მუშისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეული გაცდენების ანაზღაურება.

19. მოზარდთა საშეღავათო საათების ანაზღაურება.

20. უქმე დღეებში მორიგეობის ანაზღაურება.

21. დროებითი შეთავსების ანაზღაურება.

22. ნამატი ხელფასზე შორეულ ადგილებში და განაპირა ჩრდილოეთში მუშაობისათვის.

23. დანამატი პროფესიების შეთავსებისათვის იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებით.

24. დანამატი სრულ განაკვეთამდე ავადმყოფობის დროს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

25. ანაზღაურება იმ სამუშაო დროისა, რომელიც მოხმარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ვალდებულებათა ასრულებას და სამხედრო შეკრებათა გავლას.

26. ხელფასის გაცემა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იმ მუშებისათვის, რომლებიც მივლინებული არიან სწავლების გასავლელად სასწავლებლებში, აგრეთვე კურსებზე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და კვალიფიკაციის გამოცვლისათვის და რომლებიც კვლავ ირიცხებიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სიობრივ შემადგენლობაში.

27. ძირითადი და დამატებითი შვებულებაში ყოფნის დროს ანაზღაურება.

28. შორეულ ადგილებში და განაპირა ჩრდილოეთში მომუშავეების შვებულების გამოყენების ადგილამდე მისვლასა და უკან დაბრუნებაზე დახარჯული დროის ანაზღაურება იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

29. კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის.

30. გასასვლელი დახმარება.

31. პროცენტული დაჯილდოება (პროცენტი, ბრუნვიდან და სხვ.) მიუხედავად იმისა, ეძლევა ეს სატარიფო განაკვეთზე დამატებისა თუ ძირითადი ანაზღაურების სახით.

32. ანაზღაურება საწარმოს მიერ უსასყიდლოდ მიცემული ბინის, კომუნალური მომსახურებისა და გაცემული პროდუქტებისა და აგრეთვე ნივთების ღირებულება, მოქმედ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

33. ფულადი კომპენსაციები კანონით გათვალისწინებული, მაგრამ ნატურით გაუცემელი, ბინისა და კომუნალური მომსახურებისა, პროდუქტებისა და სხვა ნივთების.

34. სალიტერატურო, სალექციო და სხვა ჰონორარი, საჟეტონო დაჯილდოება, სპეციალური სამუშაოების ანაზღაურება (კონსტრუ-

ქციები, ექსპერიმენტები, გეგმების შედგენა, სამეურნეო სამუშაოები, ინვენტარის რემონტი, სამუშაო სადგომის შეღებვა, იატაკების გაწმენდა, გარეცხვა და სხვა).

35. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სახელოსნოს და რკინიგზის სასწავლებლების იმ მოწაფეთა მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება, რომლებიც გადიან საწარმოო პრაქტიკას საწარმოებში და მშენებლობებზე, მთლიანი დარიცხული თანხით.

## VI

ხელფასის ფონდთან ერთად აღრიცხვაში ცალკე უნდა ეჩვენის და ხელფასის ფონდში არ უნდა შევიდეს:

1. ერთდროული ფულადი პრემიები მუშებს, მოსამსახურეებს და მომუშავეებს, რომელთა დარიცხვა გათვალისწინებული არ არის საწარმოში (დაწესებულებაში, ორგანიზაციაში) მუდმივ მოქმედ სისტემით პრემიების გაცემის შესახებ და წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საწარმოს ეძლევა მთავრობის მიერ დამტკიცებული, ან მოქმედ კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ასიგნობები:

ა) პრემიები სოციალისტური შეჯიბრებისათვის;

ბ) პრემიები და დაჯილდოვება გამოგონებებისა და ტექნიკური გაუმჯობესებისათვის;

გ) პრემიები შრომის პროცესების რაციონალიზაციისათვის;

დ) სხვადასხვა ერთდროული პრემია, რომელიც გაიცემა ცალკეულ კონკრეტულ დავალებათა შესრულებისათვის, კანონით გათვალისწინებული სპეციალური ასიგნობების, დირექტორის ფონდისა და სხვა ფონდის ანგარიშზე.

2. დანარჩენი გაცემები ფულად და ნატურით მუშებს და მოსამსახურეებს:

ა) საგზაო და დღიურები;

ბ) მოწაფეების სტიპენდიები, რომლებსაც იხდის უშუალოდ საწარმოები და დაწესებულებები;

გ) მთავრობის მიერ ნებადართული დოტაციები სადილებისათვის და დახმარებები დირექტორის ან სხვა სპეციალური ფონდებიდან;

დ) სოციალური დაზღვევის სახსრების ანგარიშზე გაცემული დახმარება და პენსიები მომუშავე პენსიონერებს სოციალური დაზღვევის ხაზით;

ე) ღირებულება გაცემული სპეციალური ტანსაცმელისა, დამცველი მოწყობილობისა, შხამის საწინააღმდეგო საშუალებებისა (ცხიმები

და გამანეიტრალიზებელი ნივთიერებანი) და მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სპეცტანსაცმელისა და დამცველი მოწყობილობის შეძენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

3. დარიცხვები ხელფასზე სოციალური დაზღვევისათვის და სხვა დარიცხვები, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედ კანონმდებლობით.

## VII

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებულია იქონიოს ცალკ-ცალკე აღრიცხვა:

1. მომუშავეთა ხელფასის ფონდისა:

ა) სიობრივი საშტატო შემადგენლობისა,

ბ) არასიობრივი არასაშტატო შემადგენლობისა.

2. ერთდროული პრემიებისა.

3. დანარჩენი გაცემებისა მუშებს და მოსამსახურეებს ფულად დანატურით.

4. დანარიცხებისა ხელფასის ფონდზე.

## სოციალისტური შეჯიბრება

კაპიტალისტურ ქვეყნებში საწარმოო საშუალებანი კერძო საკუთრებას წარმოადგენს და მუშების მიერ ზედმეტი ღირებულების შექმნა მხოლოდ კაპიტალისტების გამდიდრების საშუალებას. იქ სრულიად დავიწყებულია მშრომელთა ინტერესები.

ჩვენს ქვეყანაში კი საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება დიდი ხანია ლიკვიდირებულია და ის მთლიანად ხალხის საკუთრებას შეადგენს. ჩვენში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილ იქმნა, რამაც შეცვალა მუშების დამოკიდებულება წარმოებასთან.

მუშების შეგნებამ, რომ თითოეული მათგანი მუშაობს და ქმნის ღირებულებას თავისი ქვეყნისა და, მაშასადამე, მისი პირადი კეთილდღეობისათვის, შექმნა უდიდესი პოლიტიკურ-მორალური სტიმული, შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისათვის, რაც თავის გამოხატულებას სოციალისტურ შეჯიბრებაში პოულობს.

სოციალისტური შეჯიბრება არის მასების შეგნებული მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

„ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი შეჯიბრებაში არის, ის რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას სათაკილო ან მძიმე ტვირთისაგან, როგორც მას თვლიდნენ წინათ, ხდის ღირსების საქმედ, დიდების საქმედ" (სტალინი „ლენინიზმის საკითხები" გამოცემა მე-10, გვ. 466).

სოციალისტური შეჯიბრება იწვევს და ანვითარებს მუშათა პირად ინიციატივას შრომის ნაყოფიერების ზრდის, წუნდებული პროდუქციის შემცირებისა და ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით გამოყენების საქმეში.

სოციალისტური შეჯიბრება გვეუბნება: „ერთნი ცუდად მუშაობენ, მეორენი კარგად, მესამენი უკეთესად, დაეწიე უკეთესებს და მიაღწიე საერთო აღმავლობას"*).

სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესწავლა, მისი შედეგების შემოწმება და შეჯამება ამჟღავნებს მოწინავეებსა და ჩამორ-

*) სტალინი „კრებული—ლენინი და სტალინი პროფკავშირების შესახებ". პროფგამომცემლობა გვ. 432.

ჩენილებს; მისი მიმდინარეობის შესწავლა და შედეგების შემოწმება აგრეთვე მიზნად ისახავს მოწინავეთა გამოცდილების სხვაზე გაზიარებას და გადაცემას.

საჭიროა არ დარჩეს სოციალისტური შეჯიბრების გარეშე არც ერთი საწარმო, საამქრო, ბრიგადა და ცალკეული მუშა-მოსამსახურე.

„საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება გახდა მილიონიანი მასის საქმედ. ის არის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა აღმავლობის გამოხატულება"*).

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის წარმოებებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შემდეგი სახეები:

1946 — 1950 წლების ხუთწლიანი საწარმოო-საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაზე. აღნიშნულ შეჯიბრებაში გამარჯვებული წარმოებებისა, მრეწვკომბინატებისა და ადგილმრეწველობის განყოფილებებისათვის დაწესებულია თერთმეტი პრემია, მათ შორის: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორი გარდამავალი წითელი დროშა ფულადი პრემიებით, პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი სამი წითელი დროშა და ფულადი პრემიები და დანარჩენი ფულადი პრემია.

სარეწაო კოოპერაციის საწარმოთათვის განსაზღვრულია ოთხი პრემია, მათ შორის: ერთი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა თვიური პრემიით, ერთი პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა და სხვა.

ორი პრემია საქართველოს სსრ ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთათვის, მათ შორის ერთი პროფსაბჭოსა და საქ. სსრ ინვალიდთა კოოპერაციის გარდამავალი წითელი დროშა და მეორე ფულადი პრემია.

რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მოწოდებითა და კრასნოხოლმსკის შალეულის კომბინატის ოსტატის თანაშემწის ამხ. ალექსანდრე ჩუდკინის ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის წარმოებებში ორგანიზებულია სოციალისტური შეჯიბრება 1949 წელში ფართო მოხმარების პროდუქციის ასორტიმენტის მაქსიმალური გაფართოების, გამოშვებული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულისა და მასალების ყოველმხრივი ეკონომიის ბრძოლისათვის, რაც

---

*) გაზეთ „პრავდას" მოწინავედან 1943 წლის 6 იანვარი.

ხელს შეუწყობს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ასორტიმენტის გაფართოებას, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. თვითღირებულების შემცირება კი გააიაფებს პროდუქციის საგასაცემო ფასს, რაც გაზრდის მშრომელთა რეალურ ხელფასს აამაღლებს მათ მატერიალურ-კულტურულსა და საყოფაცხოვრებო დონეს.

აქვე ვურთავთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1948 წლის 8 დეკემბრის № 1429 დადგენილებით დამტკიცებულ პირობებს 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №. 501

### საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსადმი

ქ. თბილისი, 1949 წლის 30 დეკემბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 ოქტომბრის № 3935 დადგენილებით და აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 8 დეკემბრის № 1429 დადგენილებით, 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ სამინისტროების და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

1. ორგანიზებულია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრება 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციებისათვის დაწესებულია გარდამავალი წ/დროშები და ნებადართულია ფულადი პრემია 108,0 ათასი მანეთის რაოდენობით (იხ. დანართი №-1).

2. ამავე დადგენილებით დაწესებულია რომ:

ა) სოციალისტური შეჯიბრების მიხედვით ყველა პრემია გაიცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივლისის № 2395 დადგენილების შესაბამისად № 2 დანართში აღნიშნული სკალის მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და საქალაქო (რაიონული) აღმასკომების სამრეწველო საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრებით, იმ თანხების არა უმეტეს 75%-ისა, რაც გათვალისწინებულია იმავე სკალით.

ბ) სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებს პრემია მიეცემათ ამ საწარმოთა ზეგეგმითი მოგების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებული ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე.

გ) საწარმოებისათვის დასაჯილდოებლად გადაცემული თანხებიდან: 60—70% მოხმარდეს ინდივიდუალური პრემიების მიცემას მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის და 30—40% კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებასა და საბინაო საჭიროებებს.

დ) ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი თანხებიდან არა ნაკლებ 50%-ისა, მოხმარდეს მუშების დაჯილდოებას.

3. ზემოხსენებული დადგენილებებით:

ა) დამტკიცებულია თანდართული პირობები 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრებისა, თანახმად № 3 დანართისა.

ბ) აკრძალულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და საბინაო საჭიროებისათვის დაჯილდოვების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენება რაიმე სხვა მიზნებისათვის გარდა ისეთებისა, როგორიცაა: საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა რემონტი, ინვენტარის შეძენა საბავშვო ბაღებისა, საბავშვო ბაგებისა, პიონერ ბანაკებისა და მუშათა საერთო საცხოვრებლებისათვის, სანატორიუმების დასასვენებელი სახლების, კლუბების, წითელი კუთხეების, მუშათა სასადილოებისა და სპორტულ ნაგებობათა მოწყობა და რემონტი, კულტ-ინვენტარისა და ლიტერატურის შეძენა საქარხნო ბიბლიოთეკებისათვის.

1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და საკავშირო მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების უფროსმა, რესპუბლიკური დაქვემდებარების წარმოებათა და საქალაქო (რაიონის) მრეწვ. კომბინატების დირექტორებმა, და აგრეთვე რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის გამგეებმა:

ა) უზრუნველჰყონ მუშათა, სტახანოველთა, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთა შემადგენლობის პირთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლა 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და მიაღწიონ წარმოებათა მიერ მთავრობის დავალებათა ვადამდე შესრულებას საუკეთესო საწარმოო-ფინანსიური მაჩვენებლების მისაღებად.

ბ) მოაწყონ პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრება ყოველ საწარმოში, საამქროთა, ცვლათა, ბრიგადებს შორის, აგრეთვე მომუშავეთა ინდივიდუალური შეჯიბრება, დაეხმარონ სისტემატურად სოციალისტურ შეჯიბრებათა მაჩვენებლების დადგენაში და მათ შეჯამებაში.

გ) წარმოუდგინონ სამინისტროს აღრიცხვისა და სტატისტიკის სექტორს საწარმოო მაჩვენებლები თანახმად № 3 დანართისა და ანგარიშგება სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი პრემიის მისანიჭებლად თანახმად № 4 და 5 დანართისა.

II. აღრიცხვისა და სტატისტიკის სექტორის უფროსმა ამხ. ს. ბერიძემ, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა ამხ. გოგუამ უზრუნველჰყონ ნაერთი ანგარიშგების ზუსტი და დროული შედგენა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ, შეჯიბრებაში გამარჯვებულ წარმოებებზე გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი პრემიის მისანიჭებლად.

III. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ი. დ. კოჩლამაზაშვილს გამოჰყოს წარმომადგენელი პროფესიულ კავშირთა ორგანიზაციებიდან სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებაში მონაწილეობის მისაღებად 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და გადამეტსრულებისათვის.

საქართველოს სსრ ადგილობრივი
მრეწველობის მინისტრი გ. მ. გორდეზიანი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 1948 წლის 30 დეკემბრის № 601 ბრძანების № 3 დანართი.

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 8/XII № 1429 დადგენილების დანართი № 8).

# პ ი რ ო ბ ე ბ ი

## 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრებისა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონმა რესპუბლიკის ადგილობრივ მრეწველობას დაუსახა საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანები—განახორციელოს ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობის ფართო განვითარება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს ადგილობრივი ნედლეული რესურსები და საკავშირო და რესპუბლიკური მრეწველობის ნარჩენები, გაადიდოს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება და უზრუნველჰყოს მისი მაღალი ხარისხი.

მხარს უჭერენ რა ადგილობრივი მრეწველობის მოწინავე საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინიციატივას, რომლებმაც მიმართეს მოწოდებით—მოეწყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრება 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო აცხადებენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

### I. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები

საერთო რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან რესპუბლიკური დაქვემდებარების ის საწარმოები, რომლებიც მიაღწევენ კარგი ხარისხის დაწესებული ასორტიმენტის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის რაც შეიძლება მეტი გადაჭარბებით შესრულებას, პროდუქციის თვითღირებულების

შემცირებას გეგმის შესრულებას, შრომის ნაყოფიერების გეგმის, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის დროულად და სრულად ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება'ს, წარმოების დონის განუხრელ ამაღლებასთან ერთად.

**II. რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოები, რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატები და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებები.**

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების ის საწარმოები, რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატები და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებანი, რომლებიც მიაღწევენ კარგი ხარისხის დაწესებული ასორტიმენტით საერთო პროდუქციის გეგმის რაც შეიძლება მეტი გადაჭარბებით შესრულებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულებას, შრომის ნაყოფიერების გეგმის, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის დროულად და სრულად ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, წარმოების დონის ამაღლებასთან ერთად.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა შრომის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს გადაეცემათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) დაქვემდებარების საუკეთესო საწარმოებს—სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს—გადაეცემათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საუკეთესო საწარმოებს—სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს — გადაეცემათ აფხაზეთის და აჭარის მინისტრთა საბჭოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, რომლებმაც შეჯიბრებაში მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს, მიეცემათ მეორე და მესამე ფულადი პრემიები.

ფულადი პრემიები დაიხარჯება იმ მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, აგრეთვე მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონისძიებებისათვის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ყოველკვარტალურად არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა; აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებში—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომი და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო არაუგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, საბუღალტრო ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

რაიონული (საქალაქო) დაქვემდებარების საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ იმავე ვადებში პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო.

იმავდროულად ეწყობა შეჯიბრება თითოეულ საწარმოს შიგნით, საამქროებსა, ცვლებსა, ბრიგადებსა და მონაწილეებს შორის, აგრეთვე მომუშავეთა ინდივიდუალური შეჯიბრება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო მოუწოდებენ ადგილობრივი მრეწველობის ყველა მუშაკს მიიღონ აქტიური მონაწილეობა 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაკები მიაღწევენ ამ საქმეში ახალ საწარმოო წარმატებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 1948 წლის 30 დეკემბრის № 501 ბრძანების № 1-დანართი

(საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 8 დეკემბრის № 1429 დადგენილების დანართი № 1).

# რაოდენობა

## გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიებისა საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

| სამინისტროებისა და უწყებების დასახელება | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წითელი დროშები პირველი პრემიებით. | საკავშირო პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტ-ბისა და უწყებების გარდამავალი წითელი დროშები პირველი პრემიებით. | ავტონომიური რესპუბ-ების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის წითელი დროშები პირველი პრემ. | მეორე პრემიები. | მესამე პრემიები | პრემიების საერთო თანხა კვარტალში (აქედან) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | | | | | | |
| ა) რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებში . | 1 | — | — | 1 | — | 45,0 |
| ბ) აფხაზეთის ასსრ საწარმოები . . . . . . . | — | — | 1 | 1 | — | 13,75 |
| გ) აჭარის ასსრ საწარმოები . . . . . . . . . | — | — | 1 | 1 | — | 13,75 |
| გ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოები . . . . . | — | — | 1 | — | — | 7,5 |
| დ) საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოები . . . . . | 1 | 1 | — | 1 | 1 | 28,0 |
| საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო . . | 1 | — | — | — | — | 30,0 |
| კომუნალური მეურნეობის სამინისტრო . . | 1 | 1 | — | 1 | 1 | 87,0 |
| პოლიგრაფიისა და გამომცემლობების საქმეთა სამმართველო . . . | — | 1 | — | — | — | 30,0 |
| სარეწაო კოოპერაცია . . | 1 | 1 | — | 1 | 1 | 72,0 |
| ინვალიდთა კოოპერაცია . | — | 1 | — | 1 | — | 27,0 |
| სულ . . . | 5 | 5 | 3 | 7 | 3 | 355,0 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 1948 წლის 30 დეკემბრის № 501 ბრძანების № 2 დანართი.

(საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლ. 8 დეკემბრის № 1429 დადგენილების დანართი № 2).

# პრემიების სკალა

**საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს (ამასთან გათვალისწინებულია შემცირება 50%-ით, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის № 2395 დადგენილებისა).**

| საწარმოთა განაწილება მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით | პრემიების ოდენობა, რაც კვარტალობით გაიცემა (მანეთობით) | | |
|---|---|---|---|
| | პირველი პრემია | მეორე პრემია | მესამე პრემია |
| 100-დან 250 კაცამდე . . | 32.500 | 15.000 | 12.000 |
| 250-დან 500 . | 30.000 | 22.500 | 15.000 |
| 500-დან 1000 . | 60.000 | 45 000 | 30.000 |
| 1000-დან 2000 . | 97.500 | 75.000 | 60.000 |
| 2000-დან 3000 . | 150.000 | 112.500 | 90.000 |
| 3000-დან 5000 . | 225.000 | 150.000 | 127.500 |

შენიშვნა: პრემიები იმ საწარმოებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი ნაკლებია განისაზღვრება იმ პრემიების სათანადო ნაწილის რაოდენობით, რაც დაწესებულია საწარმოებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს უდრის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი: ს. როსტიაშვილი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 1948 წლის 30 დეკემბრის № 501 ბრძანების № 4 დანართი

# მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

## საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოს 194 წლის.... კვარტალის გეგმის შესახებ

| №№ რიგზე | საწარმოს დასახელება | საერთო პროდუქცია 1926-27 წ. უცვლელი ფასებით | | | მათ შორის ფართო მოხმარება | | | შრომის ნაყოფიერება. | | | სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულება გასაცემი ფასებით | | | სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია გასაცემი ფასებით | | | კომერციული თვითღირებულების შემცირება შესადარ პროდუქციაზე %/% | | მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. | | | | შ ე ნ ი შ ვ ნ ა: |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | ფაქტ. | %/% | გეგმა | ფაქტ. | %/% | გეგმა | ფაქტ. | %/% | გეგმა | ფაქტ. | %/% | გეგმა | ფაქტ. | %/% | გეგმით დავალება | ფაქტ. | გეგმით ფასებით | ფაქტიური თვითღირებულებით. | ეკონომია (—); გადახარჯვა (+) | ეკონომიის %/% შესრულება | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| ნაწარმის დასახელება | აღრიცხვის ერთეული | შესრულება 194 . . წლ. . . კვარტალზე | | |
|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | ფაქტიური შესრულება | %/% |
| | | | | |

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 1948 წლის 30 დეკემბრის № 501 ბრძანების № 5 დანართი.

დირექტორი: ეკონომისტი: მთ. ბუღალტერი:

# ს ა რ ჩ ე ვ ი


წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა . . . . . . . 3
შრომის მაჩვენებელთა დაგეგმვა 5

**I. პერსონალის ჯგუფური დანაწილება**

1. ძირითად სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ჯგუფი 7
2. არასამრეწველო ხასიათის პერსონალის ჯგუფი . . . 8
3. კაპიტალური მშენებლობის პერსონალის ჯგუფი . 9
4. კაპიტალური რემონტის პერსონალის ჯგუფი . . 10

**II. მუშა-მოსამსახურეთა-შემადგენელი ჯგუფის პერსონალური დანაწილება**

1. მუშათა პერსონალი . . . . . . . . . . . 11
2. მოსამსახურე პერსონალის ჯგუფური დანაწილება 19

**III. ხელფასი**

**IV. ძირითად საწარმოო პერსონალთა ჯგუფის დაგეგმვა და საჭირო მუშათა სიობრივ-რიცხობრივი გაანგარიშება** 24
**V. მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი** 24
**VI. უხალხო ხელფასის ფონდი** . . . . . . 25
**VII. ერთი მუშის საშუალო გამომუშავება (შრომის ნაყოფიერება)** 27
**VIII. გამომუშავების პროგრესიული საშუალო ნორმები** . 29
**IX. სასაქონლო პროდუქცია** . 32
1. საერთო პროდუქცია 33
**X. წარმოებათა კლასიფიკაცია** . . . . . . 39
**XI. სამინისტროთა დაქვემდებარების ორგანიზაციული სტრუქტურა** . 43
1. ადგილობრივი მრეწველობის წარმოებათა მიზნები და ამოცანები 44
**XII. ადგილობრივი მრეწველობის გეგმარების მეთოდები** . . . . . 47
ა) წარმოების დაგეგმვა მოქმედ მანქანა-მოწყობილობათა წარმოების მიხედვით . . . . . . . . 48
ბ) საბალანსო გაანგარიშების მეთოდი 49
გ) ვარიანტების დამუშავების მეთოდი 49
დ) საექსპორტო შეფასებათა მეთოდი . . . . . . . . . 50
ე) მოწინავე საწარმოთა და სტახანოვური მუშაობის გამოცდილების განზოგადების მეთოდი . . . . . . . 50
ვ) უცხო სახელმწიფოებთან შედარების მეთოდი 50

XIII. სამეურნეო ანგარიში და მისი როლი სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკაში . 51
XIV. საწარმოო-საფინანსო გეგმის მაჩვენებლები . 57
საწარმოო-საფინანსო გეგმა . 59
ნედლეული 60
საწვავი მასალა . . 61
შრომა 63
მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი 66
გაანგარიშების ცხრილი . . . . . . . . . . 67
საამქრო პერსონალის შემადგენლობა 69
საერთო საქარხნო პერსონალი 69
შრომის მაჩვენებლების გეგმა . . . . . 70
ანარიცხები ხელფასზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 72
წარმოების დანახარჯების შენაერთი გეგმა და პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა . . . . . . . . 72
პროდუქციის თვითღირებულება . . 74
ამორტიზაცია . . . . . . 75
ამორტიზაციის გაანგარიშება . . . 76
დანახარჯების შენაერთი გეგმა . 77
სამეურნეო საქმიანობის შედეგები 79
დაგროვების დაგეგმვა . . 80
შედეგების გაანგარიშება . . . . . . . . . 81
საბრუნავ საშუალებათა საჭიროების გეგმა . 82
ძირითადი საშუალებანი . . . . . . . 84
საბრუნავ საშუალებათა საჭიროება 86
საწესდებო ფონდი . . . . . . . . . 87
XV. მრეწვკომბინატისა და ადგილმრეწველობის განყოფილების შენაერთი საფინანსო გეგმა . . . . . . . 92
საფინანსო გეგმა . . . . . . . . . 95
დანახარჯების შენაერთი გეგმა ცხრილი 1 . 105
საბრუნავ საშუალებათა საჭიროება. ცხრილი 2 106
შედეგების გაანგარიშება. ც ხ რ ი ლ ი 3 . . 107
საშუალებათა წარმართვა. ც ხ რ ი ლ ი 4 . . . 108
შემოსავალ-გასავლის ბალანსი. ც ხ რ ი ლ ი 5 110
შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმა
პროდუქციის გამომუშავების ნორმა-შეფასებები . . . . . . . . . . 116
სატარიფო ცხრილი სამკერვალო-საშემკეთებლო საწარმოთა მონარდე მუშებისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . 118
შალეული ქსოვილის მამაკაცის, ქალის, ფორმისა და საბავშვო ზედა ტანსაცმელის გადმობრუნების დროის ნორმები და სამუშაოთა ტარიფიკაცია ინდივიდუალური კერვის სახელოსნოში . . . . . 127
ბამბეული ქსოვილებიდან მამაკაცის, ქალის და საბავშვო ზედა ტანსაცმელის კერვის დროის ნორმები და სამუშაოთა ტარიფიკაცია ინდივიდუალური კერვის სახელოსნოში . . . 132

ქალის მსუბუქი ტანისამოსის კერვის დროის ნორმები და სამუშაოთა ტარიფიკაცია სახელოსნოში ან III თანრიგის ატელიეში 135
შოფერების შრომის საზღაური . . . . . . . 136
სტატისტიკური აღრიცხვა . 139
ტაბელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 142
ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წარმოებათა მიერ 1949 წელში საერთო და სასაქონლო პროდუქციის საბითუმო (საგასაცემო) ფასებით აღრიცხვის წესის შესახებ . 149
ფასი . . . . . . . . . . . . . . . . 155
სტატისტიკური ცნობების შედგენის წესი . . . 157
სასაქონლო პროდუქცია . . . 160
საერთო პროდუქცია 167
ანგარიში . . . . 174
გაანგარიშება . . . . . . . . . . . 176
ხელფასის ფონდის ხარჯვის ანალიზი 177
შრომის მაჩვენებელთა აღრიცხვა . . . . . . . . . . . . . . . . 181
საწარმოს მოკლე ყოველთვიური სასწრაფო ანგარიში გეგმის შესრულების შესახებ მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით 182
ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის შემადგენლობის შესახებ . . 187
სოციალისტური შეჯიბრება . . . . . . . . . . . . 193
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 501 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსადმი . . . . . . . . . . . . . . . . 196
პ ი რ ო ბ ე ბ ი 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრებისა . 199
პრემიების სკალა . . . . . . . . . . 203
მაჩვენებლები . . 204

რედაქტორი ი. ტურაშვილი
კორექტორ-გამომშვები შ. ხელაძე

უე02052. შეკვ. № 21[illegible]. ტირაჟი 1000

ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×92.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 19.
საავტორო ფორმათა რაოდენობა 10,87.
საგ.-სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 11,23

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.